საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება

გამომცემლობა „ხელოვნება" ● თბილისი ● 1974

ვახტანგ
ბერიძე



# ძველი
# ქართული
# ხუროთმოძღვრება

7 С 1 (С 41) (09)
ბ 53

© გამომცემლობა „ხელოვნება“, 1974
საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება, 1974

80102
19—ადგ. 74

*ვუძღვნი ჩემი მასწავლებლის, ქართული ხელოვნებათმეცნიერების ფუძემდებლის გიორგი ჩუბინაშვილის ხსოვნას.*

Საქართველოს მიწა-წყალზე მგონი არ მოიძებნება არც ერთი კუთხე, არც ერთი ხეობა და სოფელი, რომ წარსულის რაიმე ნაშთი არ იყოს დარჩენილი — ან ძველი ეკლესია და სამრეკლო, ან ციხის ნანგრევი, ან სადარაჯო კოშკი, ან ნასახლარი; ჩვენი ქვეყნის მძიმე ისტორიული ხვედრის მოწმეებია ნასოფლარები და ნაქალაქარები, რომლებიც უმეტესად სამხრეთის რაიონებშია, იმ კუთხეებში, რომელთაც პირველად უხდებოდათ მტრის შეხვედრა და გამკლავება.

თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების მუზეუმებში ინახება ოქრომჭედლობის, დეკორაციული ქანდაკების, გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგთა მშვენიერი ნიმუშები, მრავალი ათასი ხელნაწერი წიგნი, რომელთაგან ბევრი ოსტატურად შესრულებული სამკაულებითა და მინიატურებითაა მორთული; ტაძრების კედლებმა შემოგვინახა სხვადასხვა დროის ფრესკები და მოზაიკები — ამ მხატვრობაში მარტო საღვთო წერილის სიუჟეტებს კი არ ვხვდებით, არამედ ისტორიულ პირთა — მეფეთა, ფეოდალთა, სასულიერო მოღვაწეთა საინტერესო პორტრეტებსაც. ბოლო ათეული წლების არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ დიდად განავრცო ქართული ხელოვნების ქრონოლოგიური არე: მეცნიერებამ უკვე ჩააღწია ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე ათასწლეულამდე, როდესაც ჩვენი შორეული წინაპრები სრულიად პრიმიტიულ საცხოვრებლებს ქმნიდნენ, და, ამგვარად, პირველ ნაბიჯებს დგამდნენ სამშენებლო ხელოვნების დარგში (აღარაფერს ვამბობ პირველყოფილ ადამიანთა ნაკვალევის შესახებ). ეს ყველაფერი მოწმობს, რომ მრავალი ათეული საუკუნის მანძილზე ჩვენი ხალხის შემოქმედება უწყვეტი და უშრეტი იყო.

საქართველოსთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მის გეოგრაფიულ მდებარეობას დიდი სავაჭრო გზების ჯვარედინზე, ევროპისა და აზიის მიჯნაზე, დასავლეთისა და აღმოსავლეთის უმნიშვნელოვანეს ცენტრთა შორის. მოხერხებულმა მდებარეობამ ბევრი გაჭირვება და უბედურება მოუტანა — მას გამუდმებით უხდებოდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა; მაგრამ ამავე მდებარეობის წყალობით, საქართველომ იმთავითვე შეძლო კულტურული ურთიერთობა დაემყარებინა სხვადასხვა ქვეყნებთან და ერებთან. იგი მოქცეული იყო წინა აზიისა და ხმელთაშუაზღვეთის სახელმწიფოთა და ხალხთა წრეში, ე. ი., არსებითად, ცივილიზებული სამყაროს შუაგულში, მჭიდრო კავშირი ჰქონდა ჯერ აქემენელთა, შემდეგ კი სასანიანთა ირანთან, ელინისტურ აღმოსავლეთსა და რომთან. ქართული სახელმწიფო იბერია ერთი პირველთაგანი იყო იმათ შორის, ვინც ქრისტიანობა ოფიციალურ სარწმუნოებად აღიარა. ამ გარემოებამ, რა თქმა უნდა, განსაზღვრა საქართველოს ორიენტაცია, მისი კავშირი ბიზანტიასა და სხვა ქრისტიანულ ქვეყნებთან; იმავე დროს, უკვე VII ს-ში, საქართველოს მოუხდა ისლამურ სამყაროსთან შეჯახება: ჯერ არაბთა შემოსევის მსხვერპლი გახდა, შემდეგ, რამდენიმე საუკუნის მანძილზე, მათი განდევნისათვის იბრძოდა, ებრძოდა სელჯუკებსაც, დასასრულ, ურთიერთობა

ჰქონდა გამაჰმადიანებულ ირანთან, არა მარტო როგორც მტერთან, არამედ როგორც გარკვეული კულტურული ტრადიციების მატარებელ ქვეყანასთანაც.

სხვა ერებთან, მათ კულტურასთან ურთიერთობის პროცესში ქართული ხელოვნება ბევრ რასმე ითვისებდა, მაგრამ თვითონაც შეჰქონდა წვლილი საერთო განვითარებაში; საუკუნეთა მანძილზე მან მკაფიოდ გამოსახული ეროვნული თავისებურება შეიმუშავა, და ეს თავისებურება არც არასოდეს არ დაუკარგავს; აყვავების ეპოქებში ქართული ხელოვნება მუდამ იდგა მოწინავე ქვეყნების მიერ დასახულ იდეურ და მხატვრულ ამოცანათა დონეზე, იგი თვითონვე იყო ერთ-ერთი დამსახველი და ამომხსნელი ამ ამოცანებისა.

ქართულ ხელოვნებაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა — მით უფრო, შუა საუკუნეთა მანძილზე — ხუროთმოძღვრებას. საქართველოს მცირე ტერიტორიაზე აღრიცხულია რამდენიმე ათასი ხუროთმოძღვრული ნაგებობა სხვადასხვა დანიშნულებისა — სამარხები, საკულტო შენობები, სამოქალაქო, სათავდაცვო, სამეურნეო, საინჟინრო ნაგებობანი. ვისაც კი სერიოზულად აინტერესებს წინა აღმოსავლეთისა და ევროპის შუა საუკუნეთა არქიტექტურის შესწავლა, აუცილებლად უნდა გაეცნოს ქართულ ხუროთმოძღვრებას, განსაკუთრებით შუა საუკუნეების საეკლესიო ხუროთმოძღვრებას: სწორედ საქართველოში მოიძებნება ზოგი ისეთი ხუროთმოძღვრული თემისა და პრობლემის ძირები, რომლებიც საერთოა ყველა ქრისტიანული ქვეყნისათვის; საქართველოში შემონახულია „ქრისტიანული არქიტექტურის" ძალიან ადრეული ნიმუშები; ქართულ ძეგლებში ძალიან ადრე გვხვდება კონსტრუქციები, რომლებიც უფრო გვიან რომანულმა ხუროთმოძღვრებამ შეითვისა. ამას გარდა, ქართული ძეგლების გაცნობა საინტერესო შედარებათა საშუალებას გვაძლევს, გვიჩვენებს, თუ რამდენად მრავალფეროვანი, ეროვნულად თავისებური შეიძლება იყოს ერთისა და იმავე ხუროთმოძღვრული თემის რეალური ხორცშესხმა. აყვავების პერიოდებში ქართული ხუროთმოძღვრება ქმნიდა მხატვრულად მომწიფებულ ნაწარმოებთ, რომელნიც შეიძლება მივაკუთვნოთ შუა საუკუნეების მსოფლიო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს.

მაგრამ ქართული არქიტექტურის ძეგლები მარტო სპეციალისტებისათვის კი არ არის საინტერესო. მათი მხატვრული ღირსებები, მათი მდებარეობა და ორგანული შერწყმა გარემო ბუნებასთან, მათი სიძველე, ამ „სიძველეთა სურნელება" არ შეიძლება არ იზიდავდეს ყოველ ადამიანს, ვისაც კი სილამაზე უყვარს, ვისაც უყვარს და აღელვებს თავისი ქვეყნისა და ერის წარსული და გული შესტკივა მისი მომავლისათვის.

## ისტორიული ვითარება

ადამიანის მოღვაწეობის უძველესი კვალი საქართველოს ტერიტორიაზე პალეოლითის ხანას მიეკუთვნება (ზემო პალეოლითის დროინდელი გამოქვაბული საცხოვრებლები აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოში). არქეოლოგიური კვლევა-ძიებით აღმოჩენილია ნეოლითისა და ენეოლითის ძეგლებიც. მომდევნო დროისთვისაც — ე. ი. ჩვენი წელთაღრიცხვის IV-V საუკუნეებამდე — უმთავრესი მასალა კვლავ არქეოლოგიური მონაპოვარია.

ქართველი ხალხი წარმოშობით დაკავშირებულია წინა აზიის უძველეს მკვიდრ მოსახლეობასთან. ჩვენ წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულში უკვე გამოკვეთით ისახება ორი ძირითადი კულტურული რაიონი, რომლებიც შეესაბამება ქართველ ტომთა ორ გაერთიანებას — დასავლურსა და აღმოსავლურს. მაგრამ ეს რაიონები დიდად სცილდება საქართველოს ფარგლებს და მოიცავს ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის მეზობელ ტომებს, რომელთა კულტურა მრავალი ნათესაური თვისებით უკავშირდება ერთმანეთს. ამ ნათესაობას მოწმობს როგორც სამშენებლო, ისე გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები.

ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლედის მეორე ნახევარში საქართველოს ტერიტორიაზე ორი სახელმწიფო იქმნება. ეს სახელმწიფოებია კოლხეთი და იბერია. მაშინდელი საზოგადოების განშრევების შესახებ ცნობებს გვაწვდიან ანტიკური დროის ავტორები; რომ აქ განვითარებული იყო სოფლის მეურნეობა და ხელოსნობის სხვადასხვა დარგები (ლითონის დამუშავება, მეთუნეობა, იარაღისა და სამკაულის დამზადება ქვისა, თიხისა, ბრინჯაოსა და მინისაგან და სხვ.) — ამას მოწმობს წერილობითი ცნობებიც და მდიდარი არქეოლოგიური მასალაც.

დასავლეთ საქართველოში მნიშვნელოვანი საქალაქო ცენტრები იყო აია, კოტატისი — წინაპარი ახლანდელი ქუთაისისა, ფაზისი შავი ზღვის სანაპიროზე, დიოსკურია — აწინდელი სოხუმი; აღმოსავლეთ საქართველოში ძვ. წ. I ათასწლედის ბოლოს უდიდეს ქალაქად და სამეურნეო ცენტრად იქცევა მცხეთა, იბერიის მაშინდელი დედაქალაქი. მცხეთის აღმოჩენები საქვეყნოდაა ცნობილი. იქაურ ნეკროპოლისებში ნაპოვნი ოქროს, ვერცხლისა და სხვა მასალის ნივთები — სამკაულები, ჭურჭელი, იარაღი — ამ ნივთების დამუშავება და მორთვა, მოწმობს ერთი მხრივ ადგილობრივი ხელოვნებისა და ხელოსნობის ძალიან მაღალ პროფესიულ დონესა და თავისებურებას, მეორე მხრივ, მჭიდრო კავშირს ელინისტურ კულტურულ სამყაროსა და ახლო აღმოსავლეთთან.

ჩვენი წელთაღრიცხვის IV-V საუკუნეებს მიეკუთვნება ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვა საქართველოში. დაახლოებით 337 წელს, მირიან მეფის დროს, იბერიამ ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარა; ცოტა ხნის შემდეგ დასავლეთ საქართველომაც მის მაგალითს მისდია. ამ ამბავს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის შემდგომი პოლიტიკური და კულტურული ცხოვრებისათვის. ამ ხანაში—VII ს-მდე — საქართველოს რთული და დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა თავის მძლავრ და აგრესიულ მეზობლებთან — დასავლეთით ჯერ რომთან, შემდეგ კი მის მემკვიდრე ბიზანტიის იმპე-

რიასთან, აღმოსავლეთით — სასანიანთა ირანთან, რომელიც ცალკეულ პერიოდებში თავის პოლიტიკურ გავლენას საქართველოზედაც ავრცელებდა. V ს-ის ბოლოს, მეფის ვახტანგ გორგასლის დროს, სახელმწიფოს დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში იქნა გადმოტანილი. V-VII საუკუნეები შუა საუკუნეთა ქართული კულტურის პირველი აყვავების ხანაა. ამას მოწმობს ხელოვნებისა და მწერლობის ძეგლები.

VII ს-ის შუა წლებში საქართველოში არაბები შემოიჭრნენ, დაისადგურეს თბილისში და აქ თავისი საამირო დააარსეს. მათ უმეტესად თბილისის მიმდებარე რაიონები ეჭირათ. საამირომ XII საუკუნემდე იარსება, თუმცა კი ბოლოს ძალიან შეკვეცილი და დაუძლურებული იყო. VII-IX საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს გათიშულ ნაწილებში ახალი ქართული სახელმწიფოები შეიქმნა: აფხაზთა სამეფო ძველი კოლხეთის მიწაზე (მას, არსებითად, მთელი დასავლეთი საქართველო ეჭირა), ტაო-კლარჯეთის სამთავრო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და კახეთი — აღმოსავლეთში. თანდათან გამოცოცხლდა და წელში გაიმართა უცხოელთა შემოსევებით ძირგამოთხრილი სახალხო მეურნეობა, ვაჭრობა; გაუკაცრიელებული კუთხეები მოშენდა, დაარსდა და გაიზარდა ქალაქები, აშენდა ციხეები და დიდი მონასტრები. IX-XI საუკუნეები არაბთა განდევნისა და საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის ხანაა. ქვეყნის დაქსაქსულობის აღკვეთას, მის გაერთიანებას ობიექტური მიზეზები ჰქონდა — ეს აუცილებელი იყო მისი მომავლისთვის, მისი ნორმალური სამეურნეო და პოლიტიკური განვითარებისთვის. გაერთიანებისათვის ბრძოლას ართულებდა მწვავე სოციალური მტრობა მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის, მეფის ხელისუფლებასა და დიდ ფეოდალთა შორის, აგრეთვე ცვალებადი საგარეო პოლიტიკური ვითარებაც.

XII საუკუნის დასაწყისში, მეფის დავით აღმაშენებლის დროს, უცხოელნი საბოლოოდ განდევნილ იქნენ, ქვეყნის მთლიანი გაერთიანება წარმატებით დაგვირგვინდა, სამეფო ხელისუფლებამ დროებით დათრგუნა ფეოდალთა სეპარატისტული მიდრეკილებანი. XII საუკუნე ფეოდალური საქართველოს უდიდესი ძლიერების ხანაა. საქართველო იმ დროს წინა აღმოსავლეთის ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და მძლავრი სახელმწიფოთაგანია. მისი საზღვრები — თუ ჩავთვლით შემოერთებულსა და ყმადნაფიც ქვეყნებს — შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე აღწევს, ხოლო სამხრეთით სცილდება ამიერკავკასიის ფარგლებს. ეს არის ხანა ქვეყნის სახალხო მეურნეობის წარმატებისა, სავაჭროსახელოსნო ქალაქების ზრდა-განვითარებისა, ქართული კულტურის ბრწყინვალე აყვავებისა.

XIII ს-ში საქართველოს მონღოლთა ველური ურდოები შემოესივნენ და დიდი ხნით დაამყარეს აქ თავისი ბატონობა. მართალია, საქართველო ამის შემდეგაც აღწევდა სრულ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას (მაგ. XIV ს-ში გიორგი ბრწყინვალის დროს), მაგრამ ისტორიულ მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ (თემურ-ლენგის გამანადგურებელი შემოსევები XIV ს-ის მიწურულში; დასავლეთ ევროპისაგან მოწყვეტა მას შემდეგ, რაც ოსმალო თურქებმა ბიზანტიის იმპერია დაამხეს და კონსტანტინეპოლი დაიპყრეს, თურქეთისა და ირანის აგრესიული მოქმედება XV-XVI საუკუნეებიდან, მათ მიერ საქართველოს აოხრება მრავალგზის), აგრეთვე თვით ქვეყნის შინაგანმა ევოლუციამ — მისმა დაქუცმაცებამ ცალკეულ სამეფო-სამთავროებად, ბატონყმობის საბოლოო დამკვიდრებამ, საქალაქო ცხოვრების დაქვეითებამ — მძიმე ლახვარი ჩასცეს საქართველოს, მის პოლიტიკურ ძლიერებას, მის ეკონომიკას.

ეს საუკუნეები — XIX-ს-მდე — ერთიანად ავსებულია თავდადებული ბრძოლით ეროვნული დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. ბრძოლას დიდად ართულებდა ფეოდალური ქვეყნისთვის დამახასიათებელი შინაური აშლილობა.

1783 წელს მეფე ერეკლე მეორემ, რომლის ხელშიაც გაერთიანებული იყო მთელი აღმოსავლეთი საქართველო, ე. ი. ქართლ-კახეთის სამეფო, მეგობრობისა და მფარველობის ხელშეკრულება დასდო რუსეთის იმპერიასთან. მას, როგორც „ერთმორწმუნე“ სახელმწიფოს, უკვე კარგა ხანია იმედით შეჰყურებდნენ საქართველოს მესვეურნი. 1801 წელს, გიორგი XII გარდაცვალების შემდეგ, აღმოსავლეთ საქართველო (ცოტა უფრო გვიან დასავლეთიც) შეერთებულ იქნა რუსეთის იმპერიასთან ცალკე გუბერნიის სახით. ამგვარად, საქართველოს დამოუკიდებელ სამეფოთა არსებობა დასრულდა. საქართველო გადაურჩა ფიზიკურ განადგურებას ირანისა და თურქეთისაგან, გადაურჩა ლეკების დაუსრულებელ თარეშს. XIX საუკუნე საქართველოსთვის ყოველმხრივი გარდატეხისა და არსებითი ცვლილებების ხანაა: დაიწყო პროცესი ფეოდალური ურთიერთობის თანდათანობითი რღვევისა; საუკუნის დასაწყისში ჩასახული კაპიტალიზმი საუკუნის მეორე ნახევრიდან სწრაფად იპყრობს პოზიციებს; ყოფა-ცხოვრებისა და კულტურის დარგში, რომელიც XVI-XVIII საუკუნეთა მანძილზე განიცდიდა მაჰმადიანური აღმოსავლეთისაკენ იძულებითი ორიენტაციის გავლენას, სწრაფად ისახება ევროპისაკენ შემობრუნება, რასაც, რა თქმა უნდა, არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ხელოვნებისთვისაც. მიუხედავად მძიმე ეროვნული ჩაგვრისა და შევიწროებისა, მიუხედავად გარუსების პოლიტიკისა, ქართული კულტურა, უპირველეს ყოვლისა, მწერლობა და პუბლიცისტიკა, შემდეგ თეატრი და სახვითი ხელოვნებაც ახალ საფეხურზე ადის, იგი მტკიცედ უკავშირდება ხალხის ცხოვრებას, ასახავს მის მისწრაფებებს, ასახავს ეროვნული და სოციალური გათავისუფლების მწვავე პრობლემებს. XIX ს-ის ქართული ხელოვნება ჩვენი ეროვნული ხელოვნების ისტორიის ახალი, სრულიად განსხვავებული, თავია.

## უძველესი და ანტიკური დროის ხუროთმოძღვრება

საქართველოს ტერიტორიაზე, ისევე, როგორც სხვაგანაც, საცხოვრებლის თავდაპირველი სახე პალეოლითის ხანის ბუნებრივი გამოქვაბულები იყო, ხოლო ხუროთმოძღვრული ხელოვნების უადრესი ნიმუშები (ყოველ შემთხვევაში, ის, რასაც ჩვენ დღესდღეობით ვიცნობთ) შეიძლება მიეკუთვნოს გვიანა ნეოლითის ხანას. ტაბ. 1—4.
ეს არის ნასოფლარები შ უ ლ ა ვ რ ი ს მახლობლად (აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისის სამხრეთით), ე. წ. შულავრის გორა და იმირის გორა. მათ ძველი წელთაღრიცხვის V და IV ათასწლეულს მიაკუთვნებენ. აქ დარჩენილია მრგვალი გეგმის მქონე მცირე საცხოვრებელ უჯრედთა მთელი ჯგუფი. ყოველ ასეთ უჯრედს, რომლის დიამეტრიც 2,5—3 მეტრია, თავისი კერა აქვს; სამეურნეო სადგომები აგრეთვე მრგვალია, მაგრამ კიდევ უფრო მცირე — მათი დიამეტრი 1.50 მ. არ აღემატება. შენობები ალიზისაა, თიხის ხსნარით. ოთახები კონუსური გუმბათებით იყო გადახურული. მთელი ინვენტარი შედგება პრიმიტიული კერამიკისა, სამეურნეო დანიშნულების ობსიდიანის, ძვლისა და რქის ხელსაწყოებისაგან.

მაგრამ იმირის გორაზე გამოვლინდა ბრტყელსახურავიანი საცხოვრებლებიც. გადახურვისთვის ხის ბოძები და კოჭები იყო გამოყენებული, ხოლო კერის თავზე სახურავში კვამლის გასასვლელი ნახვრეტი იყო გაკეთებული: ძალიან საყურადღებო გარემოებაა, რადგანაც ეს ხუროთმოძღვრული თემა — ზემო ხვრელი შუქის შესაშვებად და ბოლის გასასვლელად — საქართველოში განვითარდება და ძალიან დიდხანს იარსებებს (იხ. ქვემოთ, დარბაზი).

საცხოვრებლის უფრო განვითარებული ფორმა აღმოჩნდა ქ ვ ა ც ხ ე-

ლ ე ბ შ ი, სოფ. ურბნისის მახლობლად (გორიდან ათიოდე კილომეტრის დაშორებით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე). აქაური საცხოვრებელი სახლები ჩამოყალიბებული ტიპისაა, გეგმა სავსებით შემუშავებულია, მისი ვარიაციები უმნიშვნელოა: ოთახი დაახლოებით კვადრატულია, კუთხეები კი მომრგვალებული აქვს, რაც მოწმობს ამ შენობების გენეზისურ კავშირს მრგვალ სახლებთან. შუაში ბოძი დგას, მის წინ კი კერაა. ოთახს წინ უძღვის ტალანი. ოთახიცა და ტალანიც ბრტყელი ჭერითაა გადახურული, აქაც დამახასიათებელია ჭერის ცენტრში გაკეთებული ხვრელი. კედლები ან ალიზისა იყო, ან დაწნული, ხის სარებით გამაგრებული კარკასისა, რომელიც ორივე მხრიდან — შიგნიდანაც და გარედანაც — თიხის რამდენიმე ფენით იყო შელესილი. გადახურვისთვის იყენებდნენ მრგვალ კოჭებს, რომლებიც კედლებსა და ცენტრალურ ბოძს ეყრდნობოდა. ეს ბოძი და კერა, რომელიც წმიდათა წმიდად ითვლებოდა, შეადგენდნენ საცხოვრებლის ბირთვს — ოჯახის მთელი ყოფა-ცხოვრება მათთან იყო დაკავშირებული. ქვაცხელების უძველესი ფენა ძვ. წ. III ათასწლეულის დასაწყისსა და ნახევარს მიეკუთვნება. არ შეიძლება არ აღინიშნოს ქვაცხელების სახლთა გარკვეული ნათესაობა ეგეოსის ზღვის არეში გავრცელებული საცხოვრებლის — მეგარონის ტიპთან.

II-I ათასწლეულებს მიეკუთვნება დასახლებათა სხვა ტიპები — ხელოვნურად გამაგრებულ გორაკებზე. მიკვლეულია ერთოთახიანი საკულტო და საცხოვრებელი შენობები; მათ საძირკვლები და კედლების ქვემო ნაწილები რიყის ქვისა ჰქონდათ, ზემო ნაწილები კი ხის ჯარგვალი იყო. საფიქრებელია, რომ ამ სახლებსაც ზემო ხვრელი ჰქონდა (ნ ა ც ა რ გ ო რ ა ცხინვალთან).

მ ე გ ა ლ ი თ უ რ ი ა ნ უ ც ი კ ლ ო პ უ რ ი მშენებლობა აგრეთვე არ იყო უცხო ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოსთვის. მეგალითების ზუსტი დათარიღება ძნელია; ზოგ მკვლევარს მიაჩნია, რომ უძველესი ნიმუშები შეიძლება III ათასწლეულსაც მიეკუთვნოს. მეგალითური შენობებით განსაკუთრებით მდიდარია თრიალეთი. აქ აღმოჩენილია დაუმუშავებელი ლოდებით ნაშენი სიმაგრეები და საცხოვრებელი კომპლექსები. წყობა მშრალია, დუღაბის გარეშე.

ტაბ. 5

საცხოვრებელ და საკულტო (სარწმუნოებრივ) ნაგებობათა გარდა, ადრევე შემუშავდა სამარხების არქიტექტურაც. ადრეულ ბრინჯაოს ხანაში ძალიან გავრცელებული იყო ყ ო რ ღ ა ნ უ ლ ი ს ა მ ა რ ხ ე ბ ი. 1950—1951 წლებში თბილისის მახლობლად, სამგორის ველზე, ყორღანის 10-მეტრიანი მიწაყრილის ქვეშ, აღმოჩნდა მუხის ძელებით ნაშენი სამარხი კამერის ნარჩენები. ამ ყორღანს კ ო ხ რ ა ს გ ო რ ა ჰქვია და დაახლოებით ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულით თარიღდება. იატაკის ზემო ფენის ქვეშ იყო ორმო, რომელშიაც თიხის ჭურჭელი იდო, ჭურჭელში კი ფერფლი აღმოჩნდა—მიცვალებული დაუწვავთ. ინვენტარი მდიდარი არ ყოფილა. გვარის ან ტომის მეთაური, რომელიც იქ განისვენებდა, თავისი ეკონომიური მდგომარეობით ჯერ კიდევ ნაკლებად გამოირჩეოდა გვარის რიგითი წევრებისაგან.

საქართველოში ასეთი ან სხვა ტიპის ყორღანული სამარხი სხვაც ბევრია გამოკვლეული. ამას გარდა, ცნობილია დ ო ლ მ ე ნ ე ბ ი ს სახის სამარხებიც (აფხაზეთში).

რაც უფრო მეტად ვუახლოვდებით ჩვენი წელთაღრიცხვის მიჯნას, მით უფრო მრავლდება ძეგლთა რაოდენობა. ალბათ ძვ. წელთაღრიცხვის I ათასწლეულში უნდა ვეძიოთ კლდეში ნაკვეთი კომპლექსების შექმნის ტრადიციათა ძირები. ასეთი კომპლექსები ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს სამხრეთით მდებარე ურარტუს სახელმწიფოში. მართალია, ძალიან ძნელია ამ ტიპის უძველეს ქართულ ძეგლთა დათარიღება, მაგრამ მათი გენეტიკური კავშირი ურარტუსთან უეჭველია.

ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის მეორე ნახევრისა და ჩვენი წელ-

ტაღრიცხვის დასაწყისისათვის, ე. ი. იმ ხანისათვის, როცა კოლხიდისა და იბერიის სახელმწიფოები წარმოიქმნა, დარჩენილია ბერძენი და რომაელი ავტორების ცნობები. ეს ავტორები არიან ქსენოფონტე (ძვ. წ. V-IV სს.), სტრაბონი (ძვ. წ. I ს. — ჩვ. წ. I ს.). ვიტრუვი (ძვ. წ. I ს.). ქსენოფონტეს „ანაბაზისში“, ამიერკავკასიაში გაშლილი სამხედრო მოქმედების აღწერისას, ნახსენებია გამაგრებული ქალაქები, სასახლეები, კოშკებით აღჭურვილი ხის სახლები. სტრაბონის თანახმად, იბერიის უმეტესი ნაწილი მშვენივრადაა დასახლებული ქალაქებითა და სოფლებით, ასე რომ იქ გვხვდება კრამიტის სახურავებიც და სახუროთმოძღვრო ხელოვნების თანახმად მოწყობილი საცხოვრებლები და ბაზრები და სხვა საზოგადოებრივი შენობები (წიგნი XI, თავი III). ამ სიტყვების მნიშვნელობას უკეთ დავაფასებთ, თუ გავიხსენებთ, რომ რომაელი ვიტრუვი, ავტორი ათი წიგნისა ხუროთმოძღვრების შესახებ (ეს დღემდე გადარჩენილი ერთადერთი რომაული ტრაქტატია მშენებლობაზე), წერს, რომ დაახლოებით იმავე ხანებში გალიასა და ესპანეთში სახლებს კრამიტით კი არ ხურავდნენ, არამედ ჩალითა და ყავრით. იგივე ვიტრუვი აგვიწერს კოლხურ საცხოვრებელ სახლს, რომელსაც ძელებით ნაშენი პირამიდული სახურავი და ზემო ხვრელი აქვს (კვამლის და შუქისათვის). ახალ არქეოლოგიურ მონაპოვართა შუქზე (იხ. ზემოთ — შულავერი, ქვაცხელები), ვიტრუვისეული ცნობები ახალ მნიშვნელობას იძენს — ისინი სამშენებლო ტრადიციების ღრმა ფესვების არსებობასა და უწყვეტობას ადასტურებენ. მეორე მხრივ, კოლხური საცხოვრებლის ტიპი, რომელსაც წინა აზიის მრავალ ქვეყანაში მოეძებნება პარალელი, შეიძლება გლეხური საცხოვრებლის, ე. წ. დ ა რ ბ ა ზ ი ს პროტოტიპად მივიჩნიოთ. დარბაზს, რომელსაც ქვემოთ ცალკე შევეხებით, მნიშვნელობა ჰქონდა შუა საუკუნეთა ქართული საეკლესიო არქიტექტურის კომპოზიციური თავისებურებების შემუშავებისათვის.

ოცდაათიოდე წლის წინათ იმდროინდელი ხუროთმოძღვრების შესახებ ამ წერილობითი ცნობების გარდა ჩვენ არც არაფერი ვიცოდით. რა თქმა უნდა, ადრექრისტიანული ხანის დიდად განვითარებული ძეგლების გაცნობა ნათლად გვიჩვენებდა, რომ V-VI საუკუნეთა შესანიშნავი ტაძრების შექმნამდე ქართულ ხუროთმოძღვრებას გრძელი და რთული გზა უნდა გაევლო, რომ ასე მომწიფებულიყო, რომ ისეთი დასრულებული კომპოზიციური და ტექნიკური ხერხები შეემუშავებინა, როგორთაც იმ ძეგლებში ვხვდებით. ამ დასკვნის გამოტანას წერილობითი წყაროები არც ესაჭიროებოდა, ამისთვის აპრიორული მსჯელობაც საკმარისი იყო. ოცდაათიანი წლების დასასრულისა და ორმოციანი წლების დასაწყისის გათხრებმა ძველ დედაქალაქ მცხეთაში (გათხრები ომის შემდეგაც გაგრძელდა) ბრწყინვალედ დაადასტურა ეს მოსაზრებებიც და ანტიკური დროის ავტორთა ცნობებიც. აქ აღმოჩენილი იქნა ანტიკური ხანის — ძველი წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნეთა და ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეთა — უმნიშვნელოვანესი ძეგლები: უზარმაზარი აკროპოლისი, ქართლის (წინანდელი იბერიის) მმართველთა რეზიდენციის ნაშთი, სასახლის ნანგრევები, მცირე მავზოლეუმი და სხვ.. ამის შემდეგ მცხეთა, რომელიც მანამდე ყურადღებას იპყრობდა შუა საუკუნეთა დიდებული ტაძრებითა და ძველი სამარხებით, გადაიქცა საქართველოს ისტორიისა და ხელოვნების ნამდვილ ცოცხალ მუზეუმად, რომელშიაც შეგვიძლია თვალი გავადევნოთ განვითარების საფეხურებს მრავალი საუკუნის მანძილზე. ტაბ. I

მცხეთის დაწინაურებას ხელს უწყობდა მარჯვე ადგილმდებარეობა. დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ და ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ მიმავალი სავაჭრო გზების ჯვარედინზე, მტკვრისა და არაგვის შეერთების ადგილას გაშენებული დედაქალაქი გადაჭიმული იყო მტკვრის ორსავ მხარეს, ძალიან რთულსა და მრავალფეროვან რელიეფზე.

აკროპოლისი — ა რ მ ა ზ-ც ი ხ ე, რომელიც ახლა ბაგინეთის სახელითაა ცნობილი, მდებარეობდა მტკვრის მარჯვენა კლდოვან ნაპირზე, ქედის კალთებზე. იგი თავს დაჰყურებდა გარემოს, კონტროლს უწევდა დედაქალაქისკენ მიმავალ გზებს, თვითონ კი ძნელი მისადგომი იყო. აკროპოლისის კედლები ალმადალმა მიყვება რელიეფს და ფარგლავს უწესო მოხაზულობის ნაკვეთს, რომლის ფართობი 30 ჰექტარამდეა. კედლები (2-4-6 მეტრის სისქისა) უსაძირკვლოდ იყო ნაშენი, პირდაპირ კლდეზე, და ოთხკუთხა კოშკებითა და კონტრფორსებით იყო აღჭურვილი. კედლების ქვემო ნაწილი მშვენივრად გათლილი ქვის კვადრებითაა ნაშენი — ამათი პირველი (ქვემო) რიგი კლდეში ამოკვეთილ ბუდეებშია ჩაწყობილი; წყობა მშრალია, ქვები ერთმანეთთან „მერცხლისკუდა“ რკინის სამაგრებითაა დაკავშირებული. კედლის ეს ქვემო ნაწილი, მისი საფუძველი, დღეს მონუმენტური კიბის შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ საფუძველს ემყარებოდა ალიზის კედელი, სიმაღლით 6 მეტრამდე, სიმტკიცისათვის მას დატანებული ჰქონდა მუხის განივი ძელაკები. შესასვლელები და სარკმლები ქვით იყო ამოყვანილი, კოშკებს კი, როგორც ჩანს, წითელი კრამიტის სახურავი ჰქონდა. ადგილის შერჩევის მხრივ, მშენებლობის ტექნიკის თვალსაზრისით, არმაზციხეს ბევრი რამა აქვს საერთო წინა აზიის, კერძოდ, ურარტუსა და აქემენელთა ირანის სათავდაცვო შენობებთან; მას ძველი წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნეებით ათარიღებენ.

ტაბ. 7—8

მცხეთაშივე, რკინიგზის სადგურის მახლობლად, სახლისთვის საძირკვლის გათხრისას, შემთხვევით წააწყდნენ ა კ ლ დ ა მ ა ს, რომელიც ინვენტარის მიხედვით ჩვ. წელთაღრიცხვის I ს-ის დასასრულს მიაკუთვნეს. ეს მცირე აკლდამა (სწორკუთხედია, დაახლ. 2,35×1,75 მ.) დიდად საინტერესოა: იგი თლილი ქვითაა ნაშენი, ქვისავე ნახევარცილინდრული კამარითა და კრამიტის ორკალთიანი სახურავითაა გადახურული (ჯერჯერობით, ეს უძველესია საქართველოში აღმოჩენილ ქვის კამარათა შორის, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოში ადრევე შემუშავდა სამშენებლო ხელოვნების ტრადიციები, რომელნიც შემდეგ გაგრძელებას ჰპოვებენ შუა საუკუნეებში).

ძველი დედაქალაქის დასავლეთ მხარეს, ა რ მ ა ზ ი ს ხ ე ვ შ ი, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში არსებობდა ქართლის მმართველ პიტიახშთა სასახლისა და ნეკროპოლის კომპლექსი. ნეკროპოლში, როგორც ზემოთ გაკვრით აღვნიშნეთ, უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვანი ინვენტარი აღმოჩნდა: ოქროსა და ვერცხლის ნივთები, რომელთა დამუშავება დიდ დახელოვნებას მოწმობს. ოქროს ნივთების ხასიათი (აჟურული სამკაულები, ძვირფასი თვლები, რომლებიც პოლიქრომულ ეფექტს ქმნის) ადგილობრივია, ძირეული; ვერცხლის ნივთების უმეტესობა კი (თასები — ფორტუნას, ადრიანე იმპერატორის და სხვ. გამოსახულებებით) რომაული ნახელავია, ან, თუ საქართველოშია შესრულებული, ძლიერ ელინიზებულია. ძალიან ცუდად შენახული საცხოვრებელი შენობების ფრაგმენტები — ბაზისი და კორინთული სვეტისთავი, კარნიზის ნატეხი (კბილანებიანი) — ანტიკურ ხუროთმოძღვრებასთან მეტ სიახლოვეს მოწმობს, ვიდრე ეს აკლდამაში შეინიშნებოდა. აქვე, სასახლის გვერდით მდებარე აბანოს მიწისქვეშა გათბობა ჰქონდა, რომაული ტიპის ჰიპოკაუსტებით (აბანომაც ნანგრევის სახით მოაღწია).

დასავლეთ საქართველოში. სოფელ ვ ა ნ შ ი, არქეოლოგიური გათხრები ყოველ წელიწადს ახალ საინტერესო მასალას ავლენს. აქ მიწის წიაღში აღმოჩნდა ანტიკური ხანის ქალაქის ნაშთები — ქუჩის კვალი, სხვადასხვა შენობათა ნანგრევები, უაღრესად საინტერესო ნივთები. ხუროთმოძღვრული ფრაგმენტებიც და ეს ნივთებიც მოწმობს იქაური მოსახლეობის მჭიდრო კავშირს ელინისტურ კულტურასთან. ქალაქს, როგორც ჩანს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე არც მოუღწევია, იგი ძვ. წ. I საუკუნეში დაღუპულა.

დაახლოებით ამავე ხანებს, ორი წელთაღრიცხვის მიჯნას, უნდა მიეკუთვნოს, როგორც ჩანს, უ ფ ლ ი ს ც ი ხ ი ს კლდეში ნაკვეთი ქალაქის ზოგი დარბაზი (უფლისციხე გორის მახლობლადაა, მტკვრის მარცხენა ნაპირზე). ქალაქი უკვე დიდი ხანია მიტოვებული და გაუკაცრიელებულია. მისი გაუდაბურების შთაბეჭდილებას ხელს უწყობს ბუნებაც — შიშველი კლდეები, მხოლოდ შიშველი ქვა. მაგრამ საუკუნეთა მანძილზე ეს ქართლის ერთი უმთავრესი ცენტრთაგანი იყო და მატიანეთა ფურცლებზე მისი ხსენება ხშირია. უკვე XVIII ს-ის ორმოციან წლებში ვახუშტი ბატონიშვილი თავის «საქართველოს სამეფოს აღწერაში» უფლისციხის შესახებ აღნიშნავდა, „აწ არს შემუსვრილი“. შემდეგ მას ასეთი ცნობები აქვს: „არამედ შენობა უცხო, კლდისაგან გამოკვეთილი; პალატნი დიდ დიდნი. ქანდაკებული კლდისაგანვე; გვირაბი ჩახვრეტით ჩაკაფული მტკვრამდე, დიდი. დასავლით აქუს ქარაფი მაღალი, და მას შინა გამოკვეთილნი ქვაბნი მრავალ-დიდნი, არამედ აწ შეუალ არს“. ტაბ. 9

ამ „დიდ-დიდ პალატთა“ შორის, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს დიდი დარბაზი ქალაქის ზემო ნაწილში მდებარე კომპლექსიდან. გარედან იგი ერთბაშად გამოიყოფა დიდი თაღოვანი მალის წყალობით (ამ მხარეს დარბაზი ღიაა, კედელი არ გააჩნია). ამ მალის ზემოთ კლდეს ფრონტონის სახე აქვს მინიჭებული. შიგნით ნახევარწრიული კამარაა, რომლის ზედაპირი დაფარულია კლდეშივე ნაკვეთი რვაკუთხა კესონებით — მათი დამუშავება II-III საუკუნეთა რომაული კამარებისას უახლოვდება. შესაძლებელია, ამავე ხანისა (დაახლ. ორი წელთაღრიცხვის მიჯნისა) იყოს ზოგი სხვა დარბაზიც — მათ კოჭებიანი ჭერის მსგავსად დამუშავებული ბრტყელი გადახურვა აქვთ, უეჭველია, ოსტატმა აქ გადმოიღო და კლდეში გამოკვეთა („გამოაქანდაკა“) იმ ხანად გავრცელებული კონსტრუქციები. უფლისციხის გამოქვაბულთა დიდი ნაწილი კი შუა საუკუნეებისაა.

ამგვარად, საქართველოში საშენ მასალად უძველესი დროიდანვე იყენებდნენ ქვას, თიხას, ხეს. განსაკუთრებით დამახასიათებელია ქვის გამოყენება — შემდეგში, ძველი ქართული ხუროთმოძღვრების არსებობის მთელ მანძილზე, მონუმენტური შენობების უმთავრესი საშენი მასალა ბუნებრივი ქვა იქნება. ქვის კედლების მშენებლობის ტექნიკა თვალსაჩინო ევოლუციას განიცდის რიყის ქვის, ან დაუმუშავებელი ნატეხი ქვის მშრალი წყობიდან თლილი ქვის წყობამდე, რომელშიაც ჯერ რკინის სამაგრებს იყენებდნენ, შემდეგ კი კირის დუღაბს (ძნელი სათქმელია, როდის გაჩნდა ზუსტად ხსნარი; ზოგს მიაჩნია, რომ მას უკვე ჩვენს წელთაღრიცხვამდე ბევრად ადრე იცნობდნენ; სხვებს მისი გაჩენა აქეთ გადმოაქვთ, ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში).

ნაგებობათა შორის, დაგეგმარების მხრივ, შედარებით ნათლად საცხოვრებლები გვესახება. მთავარი, რაც აქ უნდა აღინიშნოს — ამას გ. ჩუბინაშვილმა მიაქცია ყურადღება — ის არის, რომ საცხოვრებელი უჯრედი შიდა ეზოს გარშემო კი არ არის ორგანიზებული (როგორც მესოპოტამიასა და ანტიკურ ქვეყნებში იყო), არამედ ერთიან მასივს შეადგენს და გარეთკენ არის გახსნილი. ასევე იყო სუბარებთან, მიტანისა და ხეთების ქვეყნებში (შეად. მაგ. ტელ-ჰალაფი, ზენჯირლი, კარხემიში და სხვ.). მთავარი ისაა, რომ ეს პრინციპი საქართველოში სულ ბოლომდე შეინარჩუნებს ძალას როგორც სასახლეთა, ისე გლეხურ საცხოვრებელთა მშენებლობაში. დამახასიათებელია აგრეთვე დერეფანპორტიკის თემა — ისიც საერთოა ხსენებულ წრესთან და ისიც ფართო გავრცელებას ჰპოვებს უფრო გვიან საქართველოს გლეხურ საცხოვრებლებში.

უნდა დავიმახსოვროთ, რომ თავიდანვე იყენებდნენ მრგვალს, ოვალურსა და კვადრატს მიახლოებულ გეგმას (ევოლუციის პროცესში ეს უკანასკნელი უფრო გამძლე, სიცოცხლისუნარიანი გამოდგა); რომ ბრტყელ გადახურვასთან ერთად, გუმბათისებრიც შემუშავდა (თიხისა, ქვისა და ხისა), რომ ზედა ხვრე-

ლი — შუქისა და კვამლისათვის — სულ მეორდება სხვადასხვა ტიპის შენობებში. ეს ყველაფერი — გეგმის ცენტრული ხასიათი, გადახურვათა ასეთი კონსტრუქციები, გავრცელებული წინა აზიის მრავალ ქვეყანაში — ფართო ხალხური საფუძვლის სახით შეერთვის ქართული მონუმენტური ხუროთმოძღვრების განვითარებას.

რამდენად ღრმა იყო ქართულ ხუროთმოძღვრებაში ანტიკურ-ელინისტური ფორმების გავლენა? საბოლოოდ ამის შესახებ დასკვნის გამოტანა ჯერ ნაადრევია. დღემდის ცნობილის მიხედვით — მე კვლავ გ. ჩუბინაშვილს ვიმოწმებ — ანტიკური მოტივების შემოღწევა (ჩვენ მათ ცალკეული ნანგრევებითა და ფრაგმენტებით ვიცნობთ) მხოლოდ საზოგადოების ზედა ფენის შენობებით იფარგლებოდა, მკვიდრი მოსახლეობის დიდი ნაწილი კი ხალხური არქიტექტურის ტრადიციებს მისდევდა. საბოლოო დასკვნის გამოტანის საშუალებას მომავალი კვლევა-ძიება მოგვცემს.

# შუა საუკუნეები

## პერიოდიზაცია

აქამდე ჩვენ საქმე გვქონდა ძალიან საინტერესო, ზოგ შემთხვევაში ფრიად მნიშვნელოვან, მაგრამ მაინც გაფანტულ, ერთმანეთისაგან დიდი ქრონოლოგიური მონაკვეთებით გათიშულ ძეგლებთან. მართალია, ამ ბოლო ხანებში ქართველ არქეოლოგთა ინტენსიური კვლევა-ძიების წყალობით „ცარიელი ადგილები" თანდათან მცირდება და ივსება, მაგრამ მთლიან სურათს, მოვლენათა უწყვეტ თანმიმდევრობას მაინც ჯერჯერობით ვერ წარმოვიდგენთ. ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ არქიტექტურის თემატიკის შესახებ, გავეცნოთ მაშინდელ სამშენებლო ტექნიკას, გავითვალისწინოთ, როგორი იყო ურთიერთობა ძველი სამყაროს სხვადასხვა კულტურულ წრეებთან, ერთი სიტყვით, შეგვიძლია დაჯერებით ვილაპარაკოთ სამშენებლო ხელოვნების ფრიად ძველსა და ჩამოყალიბებულ ტრადიციებზე, აგრეთვე გეგმათა კომპოზიციის ზოგი თავისებურების შესახებაც. ისტორიულ-ევოლუციური თვალსაზრისით ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია. მაგრამ ჩვენ ისიც დავინახეთ, რომ თვით ძეგლები იმდენად დაზიანებულია, რომ საკუთრივ ხუროთმოძღვრებას, მის მხატვრულსა და სტილისტიკურ თავისებურებას ძნელად თუ წარმოვიდგენთ: არა გვაქვს არც ერთი დიდი ძეგლი, მთლიანად რომ იყოს გადარჩენილი (მიწისქვეშა სამარხი კამერებისა და მცხეთის აკლდამის გარდა).

სხვა სურათია შუა საუკუნეებში — IV-V საუკუნეების შემდეგ. აქ, 15 საუკუნის მანძილზე, უამრავი გადარჩენილი ძეგლის წყალობით, საშუალება გვაქვს თვალი გავადევნოთ განვითარების თითქმის უწყვეტ სურათს, დავინახოთ ევოლუციის ისტორიული პროცესი, სტილთა ცვლა, დავინახოთ, როგორ ენაცვლება ერთმანეთს შემოქმედებითი ძიების, სრული მხატვრული სიმწიფისა და კრიზისის პერიოდები. ეს არის სურათი მკაფიო ეროვნული თავისებურების მქონე არქიტექტურისა, რომელიც მუდამ ვითარდებოდა, მაგრამ არასოდეს არ დაუკარგავს — თავისი ხანგრძლივი არსებობის მანძილზე — საკუთარი სახე.

შუა საუკუნეთა ქართულ ხუროთმოძღვრებას (და მთელ ხელოვნებასაც) შემდეგ ძირითად პერიოდებად ჰყოფენ:

1. ადრეული შუა საუკუნეების არქიტექტურა — IV საუკუნიდან VII ს-ის შუა წლებამდე. ეს პერიოდი ნაწილობრივ ემთხვევა ევროპული და წინააღმოსავლური ხელოვნების ე. წ. „ძველქრისტიანულ ხანას". ეს შუა საუკუნეთა ქართული არქიტექტურის პირველი ბრწყინვალე აყვავების ხანაა.

2. ე. წ. გარდამავალი ხანის არქიტექტურა — VII ს-ის მეორე ნახევრიდან X ს-ის ნახევრამდე. დამახასიათებელია წინა პერიოდის შემუშავებული სტილისტიკური პრინციპების თანდათანობითი უკუგდება და ახალი სტილის ჩამოყალიბება.

3. განვითარებული შუა საუკუნეების არქიტექტურა — შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების მეორე აყვავების ხანა — X ს-ის მეორე ნახევრიდან XIII-XIV საუკუნეთა მიჯნამდე. ამ ხანის დიდი ნაწილი საქართველოს გაერთიანებული სამეფოს არსებობის ხანას მიეკუთვნება. ქრონოლოგიურად იგი ემთხვევა დასავლეთ ევროპაში რომანული ხელოვნების საუკუნეებს და გუთური ხელოვნების დასაწყისს.

4. გვიანა შუა საუკუნეების არქიტექტურა — XIV-XVIII საუკუნეები. ეს ის ხანაა, როდესაც აგრესიული ძალებით გარშემორტყმული, ფეოდალურად დაქუცმაცებული საქართველო დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის იბრძვის. დასავლეთ ევროპაში ამ დროს რენესანსის ბრწყინვალე კულტურა ვითარდება, პროგრესულ რეფორმებს განიცდის მეზობელი რუსეთის კულტურაც.

## ქართული კულტურა IV-VII საუკუნეებში. არქიტექტურის ზოგადი ხასიათი. შენობათა ტიპები. მშენებლობის ტექნიკა

IV-VII საუკუნეები დიდად მნიშვნელოვანია არა მარტო ქართული ხუროთმოძღვრების, არამედ საერთოდ ქართული კულტურის განვითარებაში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მაშინ ჩამოყალიბდა საბოლოოდ ეროვნული კულტურის სახე. V საუკუნეს მიეკუთვნება, როგორც ცნობილია, დღემდე გადარჩენილი უძველესი ნიმუშები ქართული დამწერლობისა, თუმცა ქართული ანბანი, უეჭველია, უფრო ადრე უნდა შემუშავებულიყო. V ს-ში უკვე ნათარგმნი იყო ბიბლია, მაშინ შეიქმნა ჩვენთვის ცნობილი უადრესი ნაწარმოები ქართული ლიტერატურისა, — იაკობ ცურტაველის „შუშანიკის მარტვილობა".

ქრისტიანობის მიღების შემდეგ საქართველოს, რა თქმა უნდა, არ შეუწყვეტია კავშირი წინა აზიასთან, რომელსაც იგი თავისი ფესვებით ეკუთვნის, მაგრამ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა დასავლურ კულტურას. მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კონტაქტებს ბიზანტიურ სამყაროსთან, გაქრისტიანებულ სირიასა და პალესტინასთან, მეზობელ სომხეთთან, მცირე აზიასთან. უკვე V ს-ში დაარსდა ქართული მონასტრები სირიასა და პალესტინაში, უფრო გვიან კი საბერძნეთსა და სინას მთაზე. ეს მეცნიერული აზროვნების ცენტრები იყო; ქართველი ბერები, ბერძნებთან და სხვა ერების წარმომადგენლებთან ხელიხელჩაკიდებულნი, იქ ინტენსიურ სამწერლო და მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწეოდნენ, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კულტურული ურთიერთობისა და ურთიერთგავლენისათვის. ქართულმა თარგმანებმა შემოგვინახა ქრისტიანული სასულიერო მწერლობის მდიდარი საგანძური, შემოგვინახა ზოგი ისეთი ნაწარმოებიც, რომელთა დედნებს დღემდე არ მოუღწევია. მეცნიერებამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ იცის უცხოეთის ქართული მონასტრების შესახებ. ამ მხრივ ახალი კვლევა-ძიება, ახალი გათხ-

რები ჩვენ თვალწინ უცნობ ფურცლებს შლიან: ანტიოქიის მახლობლად აღმოჩნდა ბევრი ეკლესია და მონასტერი, რომლებიც ქართველებს ეკუთვნოდა; ეგვიპტეშიაც გამოვლენილი იქნა ეკლესია, რომელიც, მკვლევართა აზრით, ქართულ სასულიერო მოღვაწეებს უნდა აეშენებინათ V ს-ში. არც ისე დიდი ხნის წინათ იტალიელმა მეცნიერებმა გათხარეს უძველესი ქართული მონასტერი იუდას უდაბნოში, პალესტინაში (ამ მონასტრის იატაკის შესანიშნავ მოზაიკაში ჩართულია ყველაზე ძველი ქართული წარწერა — V ს-ის შუა წლებისა). ეჭვი არ არის, რომ მიწის წიაღი ჯერ კიდევ ბევრ საიდუმლოს ინახავს წინა აღმოსავლეთის ძველი ქართული მონასტრების შესახებ.

იმდროინდელი ქართული ნივთიერი კულტურის მაღალი დონის ყველაზე თვალსაჩინო მაჩვენებელი სწორედ ხუროთმოძღვრებაა — არა მარტო გადარჩენილ ნაწარმოებთა სიმრავლის, არამედ მათი განსაკუთრებული მხატვრული ღირებულების გამოც; ქართული ხუროთმოძღვრება უკვე მაშინ სახავს რთულ მხატვრულ პრობლემებს და ახერხებს მიზანდასახულად და თანმიმდევრობით მათს ამოხსნას. მჭიდროდაა დაკავშირებული არქიტექტურასთან დეკორაციული ქანდაკებაც — ტაძრების ფასადთა რელიეფები (ქვისა), საკულტო სტელები. გადარჩა აგრეთვე მოზაიკური შემკულობის რამდენიმე ნიმუშიც, მაგრამ მონუმენტური მხატვრობის აყვავების ხანა უფრო გვიან დადგება — X საუკუნიდან.

ქრისტიანულმა ეკლესიამ ხუროთმოძღვართ სრულიად გარკვეული ამოცანა დაუსახა: უნდა შექმნილიყო საგანგებო შენობა, რომელიც ბევრ მლოცველს დაიტევდა და სარწმუნოებრივი რიტუალის ჩასატარებლად გამოდგებოდა. ახალი ამოცანის ამოხსნა, ცხადია, ერთბაშად ვერ მოხერხდებოდა. როგორც წერილობითი წყაროები, ისე უძველესი გადარჩენილი ნიმუშების დაკვირვება მოწმობს, რომ თავდაპირველად მლოცველები მაინც ეკლესიის გარეთ იდგნენ — ადვილი კი არ იყო ამ ახალ, ჯერ კიდევ უცხო და უცნობ ღმერთთან შეგუება: „მისგან შიში დიდი დაცემული იყო ყოველსა კაცსა ზედა". ეკლესიაში მხოლოდ მღვდელი შედიოდა. ამიტომ გასაგებია, რომ სულ პირველი ეკლესიები ძალიან მცირე ზომისაა. სინამდვილეში ეს მხოლოდ მინიატურული სამლოცველოებია, რომლებიც მხოლოდ თანდათან იქცა პატნაკლებად ტევად ეკლესიებად, V ს-ის ბოლოს კი უკვე საკმაოდ დიდი ტაძრების შენებაც დაიწყეს.

როგორც ცნობილია, ევროპასა და წინა აღმოსავლეთში ძველ ქრისტიანულ ხანაში გავრცელებული იყო საეკლესიო ნაგებობათა ორი უმთავრესი სახეობა: ა) წაგრძელებული უგუმბათო შენობა, ე. წ. ბაზილიკა, რომლის წარმოშობის შესახებაც სხვადასხვა თეორიები არსებობს; ბ) ცენტრული — მრგვალი, მრავალწახნაგა (ჩვეულებრივ, რვაწახნაგა), ჯვარისებრი შენობა, რომელიც ყოველთვის გუმბათით არ იხურებოდა. გამოთქმულია მოსაზრება (ლასიუსი, გრაბარი), რომ ეს ორი სახეობა შენობათა ორ განსხვავებულ ფუნქციას შეესაბამებოდა: ცენტრული შენობები მარტირიუმები, ე. ი. წმინდანის საფლავთან დაკავშირებული მემორიული სამლოცველოები იყო, ხოლო ბაზილიკები — ჩვეულებრივი ეკლესიები, რომლებშიაც რეგულარული ყოველდღიური წირვა-ლოცვა წარმოებდა.

საქართველოშიაც, ქრისტიანულ საკულტო არქიტექტურაში, აგრეთვე ვხვდებით ამ ორ სახეობას — წაგრძელებულ უგუმბათო შენობებსა და ცენტრულ შენობებს, მაგრამ:

ა) მათ შორის არ არსებობს ზემოთ ხსენებული ფუნქციური სხვაობა, ე. ი. გეგმის ცენტრულობა სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ეკლესია წამებულის კულტთან, წმინდანის ნაწილებთანაა დაკავშირებული.

ბ) საქართველოში უცნობი იყო ისეთი მრგვალი ან მრავალწახნაგა გეგმა, როგორიც დასავლეთში და წინა აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში მემკვიდრეობით მიიღეს წინაქრისტიანული რომაული არქიტექტურისაგან.

გ) ქართული ცენტრული ტაძრების ბირთვს (სულ მცირე გამონაკლისით) შეადგენს კვადრატი, რომელზედაც აღმართულია გუმბათი და რომლის გარშემოც ვითარდება ჯვარისებრი გეგმა (სხვა ტიპები — გამონაკლისია, ან გარდამავალ საფეხურს შეადგენს). კვადრატზე დამყარებული გუმბათის თემა გენეტიკურად უკავშირდება, ერთი მხრივ, ანალოგიურ კომპოზიციას წინა-აღმოსავლეთის ქვეყნების ძველ ხუროთმოძღვრებაში (მაგ. სასანურ სასახლეებს ირანში), მეორე მხრივ — ეს ძალიან არსებითია — ქართული ხალხური არქიტექტურის ტრადიციებს, კერძოდ, გლეხური „დარბაზის“ ტიპს (როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ეს ტიპი ქრისტიანობის გავრცელებამდე ბევრად ადრე შემუშავდა). ამგვარად, კვადრატზე დასმული გუმბათის თემა, რომელმაც, არსებითად, გადამწყვეტი როლი შეასრულა მთელი აღმოსავლურ-ქრისტიანული საკულტო არქიტექტურის განვითარებაში, საქართველოსთვის ღვიძლი და ტრადიციული იყო. ეს გარემოება მკაფიოდ იჩენს თავს საქართველოში სარწმუნოებრივი არქიტექტურის ჩასახვისთანავე.

დ) პირიქით, ბაზილიკის ტიპი, ე. ი. ხაზგასმით გამომჟღავნებული სიგრძივი ღერძის მქონე შენობა, რომელიც აგებულია გარკვეული ელემენტების რიტმული განმეორებით, ქართველი ხუროთმოძღვრებისათვის უცხო იყო; მაგრამ ამ ტიპს ნერგავდა ოფიციალური ეკლესია, რადგანაც ქრისტიანულ ეკლესიას დასაწყისში ესაჭიროებოდა უკვე აღიარებული, სარწმუნოების მიერ ნაკურთხი ნიმუშები. ბუნებრივია, რომ ასეთ ნიმუშებად მიჩნეულ იქნა პალესტინის უძველესი ბაზილიკები, რაკი პალესტინა, საღმრთო წერილის თანახმად, ქრისტეს ამქვეყნიური ცხოვრების ასპარეზი იყო. ქვემოთ დავინახავთ, რომ ქართველ ოსტატთა პირველი ცდები ბაზილიკის აგებისა ამჟღავნებს ახალ ამოცანათა ამოხსნის სიძნელეს, მოწმობს, როგორ „ებრძოდა“ ეს ახალი თემა ტრადიციული ცენტრული გეგმების გავლენას. თანაც, ბაზილიკათა შეფარდება გუმბათოვან ეკლესიებთან საქართველოში ისეთი არ არის, როგორიც სირიაშია, სადაც ბაზილიკათა რაოდენობა დიდად სჭარბობს ცენტრული ტაძრების რაოდენობას.

ე) საქართველოში შემუშავდა ბაზილიკის თავისებური ვარიანტი, რომელსაც ქართველმა მეცნიერებმა „სამეკლესიიანი ბაზილიკა“ უწოდეს: გარედან, თავისი „პროფილით“, იგი არ განსხვავდება ჩვეულებრივი სამნავიანი ბაზილიკისაგან, მაგრამ შიგნით ნავები ერთმანეთისაგან ბოძებით კი არ არის გაყოფილი, არამედ კედლებითაა გათიშული. ე. ი., არსებითად, აქ ერთ შენობაში გაერთიანებული სამი დამოუკიდებელი სამლოცველოა. ეს თემა, რომელიც საქართველოს გარეთ უცნობია, VII საუკუნიდან მოყოლებული გარკვეულ ევოლუციას განიცდის და იარსებებს, ისევე, როგორც ბაზილიკა, X ს-მდე (ბაზილიკის უფრო გვიანდელი ნიმუშები მხოლოდ სპორადულად გვხვდება).

ვ) სამნავიანი და სამეკლესიიანი ბაზილიკის გვერდით, საქართველოში იმთავითვე შემუშავდა უგუმბათო ნაგებობათა კიდევ ერთი, უმარტივესი სახე: ერთნავიანი (ანუ ცალნავიანი) ეკლესია, რომელიც იარსებებს ძველი ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების მთელ მანძილზე. სოფლის მცირე სამლოცველოთა უმეტესობა ამ ტიპს მიეკუთვნება, თუმცა არსებობს საკმაოდ მოზრდილი ერთნავიანი ეკლესიებიც.

თავისი „შინაარსით“, მისი ხუროთმოძღვრების საფუძვლად დადებული ძირითადი იდეით, უმთავრესი შემადგენელი ნაწილების განლაგების მხრივაც. ქართული ეკლესია, რა თქმა უნდა, მთლიანად და სავსებით ემხრობა მთელ ქრისტიანულ სამყაროში მიღებულ ნორმებს; ფუნქციური თვალსაზრისით იგი ემთხვევა სხვა ქრისტიანული (უპირველეს ყოვლისა მართლმადიდებელი) ქვეყნების ეკლესიას. აღმოსავლეთისკენ მიმართული, ნახევარწრიულ აფსიდიანი საკურთხეველი, სადიაკვნე და სამკვეთლო მის ორსავ მხარეს (გარდა უძველესი ეკლესიებისა, სადაც ეს სადგომები ჯერ კიდევ არ არის), მლოცველთა დარბაზი (განსხვავებული სახისა ზემოთ ჩამოთვლილი ტიპების მიხედვით) — ესაა ძირითადი შემადგენელი ნაწილები ყოველი ქართული ეკლესიისა. მაგრამ ქართული ეკლესიები იმთავითვე ატრიუმების გარეშე შენდებოდა, მათ არ გააჩნდათ არც ნართექსები დასავლეთის მხარეს (გამონაკლისი იშვიათია), არც ცალკე აშენებული სანათლავები (ბაპტისტერიუმები) დასავლური ეკლესიებისა, ხოლო სამრეკლოები შედარებით გვიან გაჩნდა — დღემდე არსებულთაგან უძველესი XIII ს-ისაა.

მაგრამ, ცხადია, ხუროთმოძღვრების ცოცხალ თავისებურებას — მხატვრულსა და ეროვნულს — მარტო გეგმა ან შენობის ტიპი არ ქმნის. ყოველი ერი თავისებურ სულს შთაბერავდა ამ საყოველთაოდ გავრცელებულ სქემებს — სწორედ ამიტომაა საინტერესო სხვადასხვა ქვეყნის ხუროთმოძღვრული შემოქმედების გაცნობა.

ზემოთქმული მხოლოდ სარწმუნოებრივ არქიტექტურას ეხებოდა. თავისთავად იგულისხმება, რომ შუა საუკუნეების მანძილზე საქართველოში განაგრძობდა არსებობას ხუროთმოძღვრების ყველა სხვა სახეობაც — სამოქალაქო, უტილიტარული, სათავდაცვო შენობები. სამწუხაროდ, ეს ძეგლები ბევრად უფრო უარესადაა დაცული, ვიდრე საკულტო შენობები. მართალია, საქართველოს მთებსა და ხეობებში ციხე-კოშკები ყოველ ნაბიჯზე გვხვდება, მაგრამ თითქმის ყველა დანგრეულია, ან დაზიანებული მაინც, ყოველ შემთხვევაში, არ მოიძებნება არც ერთი ციხე, თავდაპირველი სახე რომ ჰქონდეს შენარჩუნებული. სასახლეებისა და ციხე-დარბაზების მდგომარეობა კიდევ უფრო უარესია: თუ დასავლეთ ევროპაში ძველი ფეოდალური ციხე-დარბაზები და ბევრი სამეფო რეზიდენცია თითქმის ხელშეუხებლად დგას, საქართველოში კვლავ მხოლოდ ნანგრევები გვაქვს. თბილისის, ქუთაისის, თელავის, სიღნაღის ძველ უბნებში ჯერ კიდევ არსებობს ქუჩების ძველი ქსელი, მაგრამ ძველი (XIX ს-ზე ადრინდელი) საცხოვრებელი სახლები აღარ არის (მხოლოდ ზოგი ნაქალაქარის გათხრისას აღმოჩნდა თითო-ოროლა ნიმუში). ამის ახსნა ძნელი არ არის — საკმარისია გავიხსენოთ სისხლისმღვრელი გამანადგურებელი შემოსევები, დასახლებულ ადგილთა აოხრება და მოსახლეობის ჟლეტა არაბ-თურქ-სპარსელთა და სხვა მტერთაგან. მაგრამ სამოქალაქო და სათავდაცვო არქიტექტურა უკეთაც რომ გადარჩენილიყო, თავისი მნიშვნელობით იგი მაინც ვერ შეედრებოდა საეკლესიოს. ამ მხრივ საქართველო გამონაკლისს არ შეადგენს: ცნობილია, რომ შუა საუკუნეთა ეპოქაში უმთავრეს როლს საეკლესიო არქიტექტურა (მონასტრები, ეკლესიები) თამაშობდა, რომ არქიტექტურის მხატვრულ-სტილისტიკურ თავისებურებათა შესახებ ყველაზე უკეთ სწორედ საეკლესიო შენობების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ.

სამშენებლო ტრადიციების სიძველემ და სიმტკიცემ იმაშიაც იჩინა თავი, რომ IV-V საუკუნეებში, როდესაც ქართული ხუროთმოძღვრება ახალი იდეური და მხატვრული ამოცანების წინაშე იდგა, მას უკვე სავსებით შემუშავებული ჰქონდა ტექნიკური ხერხების არსენალი — ეს ეხება საშენ მასალათა გამოყენებასა და დამუშავებას, ეხება კონსტრუქციებსაც. ყველა

მონუმენტური შენობა ქვით შენდება, კირის ხსნარის გამოყენებით; ეკლესიების კედლები, ფასადის მხრიდანაც და შიგნიდანაც, ნაშენია კარგად გათლილი წესიერი ფორმის კვადრებით, რომლებიც წესიერ ჰორიზონტალურ რიგებს ქმნის (გამონაკლისია მხოლოდ კახეთი, სადაც რიყის ქვას იყენებდნენ); ამოვსება ქვა-ყორე-ბეტონისაა, მცირე სიგანისა. კედლის მასალის შერჩევისას ხუროთმოძღვრები მარტო პრაქტიკული მოსაზრებით კი არ ხელმძღვანელობდნენ, არამედ ესთეტიკურითაც; ისინი გულგრილად კი არ ეკიდებოდნენ ქვის ფერსა და ფაქტურას, არამედ საგანგებოდ არჩევდნენ მას, ზოგჯერ უფრო ადვილად მისაწვდომ ქვას თმობდნენ და მას შორიდან ეზიდებოდნენ, თუ კი ამ მხრივ უფრო შესაფერისად მიაჩნდათ.

აგურს, როგორც საშენ მასალას, კარგა ხანს მეორეხარისხოვანი ადგილი ეჭირა, მხოლოდ ბევრად უფრო გვიან — XVI-XVIII საუკუნეებში — დაიმკვიდრა მან საქართველოს ზოგიერთ ნაწილში მთავარი ადგილი. ბიზანტიისთვის დამახასიათებელი მონაცვლეობა ქვისა და აგურისა, ქართულ ეკლესიებში გვიანა ხანამდე უცნობია. სახურავის მასალად იხმარება ქვის ფილები და კრამიტი.

სადგომთა გადასახურავად საეკლესიო შენობებში მიღებულია კამარები და გუმბათები, მალის გადასახურავად უმეტესად თაღები; ცალკე მდგომი საყრდენი, ჩვეულებრივ, ქვით ნაწყობი ბოძია (მონოლითური სვეტები იშვიათია და მათ უმნიშვნელო ადგილი უჭირავთ, ორიოდე გამონაკლისს გარდა). საკმაოდ ადრე ვრცელდება კამარის სხვადასხვა სახეები: შეკრული კამარა, რომელიც ზოგჯერ სფერული გუმბათის მაგივრობას სწევს; ნახევარწრიული და ჯვაროვანი კამარები; ამგვარად, საქართველოში V-VII საუკუნეებში უკვე გავრცელებულია კონსტრუქციები, რომლებშიც შუა საუკუნეთა ევროპაში მხოლოდ რომანულ ეპოქაში მოიკიდებს ფეხს. დაახლოებით VIII ს-მდე კვადრატულ საფუძველზე გუმბათის დასამყარებლად ხმარობენ ტრომპებს (და არა პანდანტივებს, როგორც მაშინ ბიზანტიაში იყო). სასახლეებში დარბაზებს ზოგჯერ ბრტყელი, კოჭებზე დამყარებული გადახურვაც ჰქონდა (ზოგჯერ კამაროვანიც), მაგრამ მალებისთვის აქაც თაღებს იყენებდნენ.

ყველაფერი, რაც აქ ითქვა ხუროთმოძღვრულ თემათა, შენობების ტიპების, საშენ მასალათა და კონსტრუქციათა შესახებ, არსებითად, შეეხება მომდევნო პერიოდებსაც, თუმცა, ბუნებრივია, ადგილი ჰქონდა სტილისტიკურ ევოლუციას, და ცალკეული ფორმები და პროპორციებიც იცვლებოდა.

## IV-VII საუკუნეთა ხუროთმოძღვრების ისტორიული მიმოხილვა

პირველი ქართული ეკლესია, რომელიც IV ს-ის 30-იან წლებში ააშენა მირიან მეფემ საქართველოს „განმანათლებლის" წმ. ნინოს მითითებით, აღარ გადარჩენილა. მეორე ეკლესიისაგან, რომელიც იქვე ააგო ვახტანგ გორგასალმა (V ს-ის მეორე ნახევარში), გადარჩა ცალკეული ნაწილები, ამჟამად ჩართული სვეტიცხოვლის დღევანდელ კორპუსში*.

ქართველი მატიანეები იმ ადრინდელ ხანაში ყოველთვის აღნიშნავდნენ ეკლესიის აშენების ფაქტს, რადგანაც მაშინ ეს ახალი ამბავი იყო და ახალი

* 1970-71 წლებში ჩატარებულმა მუშაობამ გამოავლინა, ცალკეულ ფრაგმენტებთან ერთად, გორგასალისეული ეკლესიის მთელი მოხაზულობა და მირიანისეული სამლოცველოს კვალიც.

იდეოლოგიის დანერგვას ემსახურებოდა. მატიანეების ცნობით, პირველი ქართველი ქრისტიანი მეფის მირიანისა და მისი მემკვიდრეების ბაკურის, მირდატისა და სხვათა დროს, მცხეთის გარდა, ეკლესიები აუშენებიათ ერუშეთში, მანგლისში, ბოდბეში, წილკანში, ნეკრესში, რუსთავში, წუნდასა და ოუხარისის ციხეში, ე. ი. ისტორიულ პროვინციებში ქართლში, კახეთსა და მესხეთში. თითქმის ყველა ამ ჩამოთვლილ პუნქტში ეკლესია დღესაც არსებობს, მაგრამ ყველა უფრო გვიანდელია, თუმცა ზოგი კი მაინც ადრინდელ ხანას მიეკუთვნება. მხოლოდ ნეკრესის მონასტრის (კახეთშია) სხვადასხვადროინდელ ნაგებობათა შორის დგას ერთი სულ პატარა ეკლესია, რომელსაც მკვლევარნი IV საუკუნეს მიაკუთვნებენ და მატიანეთა ცნობებს უკავშირებენ.

ეს ნატეხი ქვით ნაშენი სამნავიანი ეკლესიაა (ჩვენ უკვე ვთქვით, რომ კახეთი საქართველოს ერთადერთი კუთხეა, სადაც თლილ ქვას არ ხმარობდნენ). იგი აღმართულია საგანგებო სუბსტრუქციაზე, რომელშიაც კრიპტა (სამარხი) არის მოთავსებული. შენობის თავისებურებას ის შეადგენს, რომ მას სიგანე მეტი აქვს სიგრძეზე, და არა პირიქით, როგორც ნამდვილ ბაზილიკაში უნდა იყოს, შიგნით მას არა აქვს ბოძები, რომელთა მწკრივი აგრეთვე დამახასიათებელია ბაზილიკისათვის, მისი ნავები ფართოდ გახსნილი თითო თაღით უკავშირდება ერთმანეთს. გვერდის ნავებსაც ღია თაღები ჰქონდა გარეთკენ, ასე რომ, მთელი შენობა გამჭოლი ფანჩატურივით იყო. ეს საშუალებას აძლევდა მლოცველთ წირვის დროს გარეთ დარჩენილიყვნენ.

დღეს ძნელია ნეკრესის სამლოცველოს თავდაპირველი სახის წარმოდგენა — დროთა განმავლობაში იგი დაზიანდა, გადარჩა მხოლოდ შუა და ჩრდილოეთის ნავები. აქ ჯერ კიდევ ნაადრევია რაიმე მკაფიოდ დასახული მხატვრული ამოცანის შესახებ ლაპარაკი. ეს მხოლოდ მიახლოებაა ახალი ამოცანების ამოხსნასთან. მაგრამ დამახასიათებელია, რომ ნეკრესის მშენებელმა თავისი სამლოცველო მხოლოდ გარეგნულად დაამსგავსა ბაზილიკას (სამი ნავი, რომელთაგან შუა ძლიერ ამოზიდულია ორ ლანარჩენთან შედარებით), მაგრამ უგულებელყო ბაზილიკის ისეთი არსებითი მხარეები, როგორიცაა ხაზგასმული სიგრძივი ღერძი და სივრცის დამანაწილებელი ბოძების მწკრივი.

ტაბ. 10 V საუკუნის პატარა ეკლესია კახეთის მეორე მონასტრის — ძველი შუამთის — ანსამბლში თითქოს ბაზილიკური თემის განვითარების შემდეგ საფეხურს გვიჩვენებს. აქ უკვე საგრძნობია სივრცის დაგრძელება აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძის გასწვრივ, ნავები ერთმანეთისგან გაყოფილია ბოძებზე დაბჯენილი ორ-ორი თაღით; მაგრამ თაღოვანი მალების სიგანე უბრალო კარის სიგანეს არ აღემატება. გვერდის ნავები ვიწრო და გრძელი კორიდორებია, საკუთარი საკურთხევლის აფსიდების გარეშე. დასავლეთით ეს ორი განაპირა ნავი განივი ნავით უკავშირდება ერთმანეთს. ამის გამო, შუა ნავის გარშემო სამმხრივი გარშემოსავლელი იქმნება, ხოლო გვერდის ნავებს უბრალო დერეფნების მნიშვნელობა-ღა რჩებათ. ეს თავისებურებები შეიძლებოდა საგანგებოდ არც აღგვენიშნა, რომ მათ აქ შემთხვევით ვხვდებოდეთ: იგივე მეორდება V ს-ნის კიდევ ერთ ძეგლში, მატანის ე. წ. ცხრაკარის მონასტრის ბაზილიკაში (ესეც კახეთშია — ამ კუთხემ შემოგვინახა ქრისტიანობის პირველი ხანების ხუროთმოძღვრების ყველაზე მეტი ნიმუში). შემდეგში ეს მოტივი ადგილს დაიმკვიდრებს ზემოთ უკვე მოხსენებული ორიგინალური ტიპის—სამეკლესიიანი ბაზილიკის—ნიმუშებში.

ძველი შუამთის ხუროთმოძღვრული გადაწყვეტა რამდენადმე უახლოვდება ქრისტიანული ეკლესიის ჩვეულებრივ ნორმებს, მაგრამ ბაზილიკის არსი აქ ჯერ კიდევ ვერ არის ნამდვილად გაგებული (შუამთის ბაზილიკა უფრო დიდია, ვიდრე ნეკრესისა).

მხოლოდ V ს-ის მიწურულიდან დაიწყეს საქართველოში ნამდვილი ბაზილიკების შენება, თუმცა ეს ბაზილიკებიც სავსებით თავისებურია.

ამ შენობათა პირველი და ყველაზე შესანიშნავი ნიმუშია ბ ო ლ ნ ი ს ი ს ს ი ო ნ ი, მრავალმხრივ საყურადღებო, სახელგანთქმული ძეგლი, რომელსაც თავისი ისტორიული მნიშვნელობითაც და მხატვრული ზემოქმედების ძალითაც ერთი პირველი ადგილთაგანი უჭირავს ძველ ქართულ ხუროთმოძღვრებაში. ტაბ. 11—18

ბოლნისის ნახვისას თვალს ერთბაშადვე იტაცებს მისი ფერი: ფართო კედლები მოპირკეთებულია მშვენივრად გათლილი ქვით. ეს ქვა საკვირველი სილამაზის ფირუზისფერ-მომწვანო ტუფია, ძალიან ღრმა და ინტენსიური ტონისა.



მთელი ბაზილიკა — მასიური, ფართოდ განრთხმული, თითქოს მიწას ჩაბღაუჭებული, სახურავის დამრეცი კალთებით, მტკიცე კედლებით, რომელთა სისქე შესასვლელებსა და ღია ლუნეტებში ჩანს — იშვიათი ძალისა და ურყეობის შთაბეჭდილებას ქმნის; როგორც არქაულ შენობათა წინაშე, აქაც ძალაუნებურად გიპყრობს ეს პირველყოფილი „ჰეროიკული" სიმარტივე და ლაკონურობა. მაგრამ, იმავე დროს, აქ არ არის რაიმე დამთრგუნველი სიმძიმე, სპეციფიკური „შუასაუკუნეობრივი" მისტიციზმი; პირიქით, მიუხედავად მასიურობისა და ძალისა, ეს თვალისმომჭრელი კედლები თითქოს სიხალისეს აფრქვევს; ამგვარი შეხამება საერთოდ დამახასიათებელი იქნება მომდევნო საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრებისათვის.

ბოლნისის სიონი სამნავიანი ბაზილიკაა საკურთხევლის შვერილი ნახევარწრიული აფსიდით, ღია თაღოვანი გალერიით ჩრდილოეთის ფასადის გაყოლებით (მთელ სიგრძეზე), მეორე მცირე თაღოვანი გალერიით და სანათლავი ოთახით სამხრეთის მხარეს. ნავები გაყოფილია ჯვარისებრი გეგმის მქონე ბოძების ხუთი წყვილით.

დამახასიათებელია შემდეგი: ა) სამივე ნავი გადახურულია საერთო ორკალთიანი სახურავით, ე. ი. თუმცა შუა ნავი სხვებზე მაღალი და განიერია, გარედან იგი არ გამოიყოფა, როგორც გვერდის ნავებზე მაღლა ამოსული მასა, რომლის კედლებშიაც სარკმლებია გაჭრილი—ასე კეთდებოდა ყოველთვის დასავლურ „ელინისტურ" ბაზილიკებში*. ბოლნისში შუა ნავი „სრული" კამარით იყო გადახურული, გვერდის ნავები კი „ნახევარკამარებით"; ბ) ეკლესიის შესასვლელები მოწყობილია არა დასავლეთით, (დასავლეთი კედლის ახლანდელი შესასვლელი XVII ს-შია გაჭრილი), არამედ გრძელ კედლებში — ერთი სამხრეთით, ორი ჩრდილოეთით. ეს, რა თქმა უნდა, ეწინააღმდეგება ბაზილიკის არსს, რადგანაც ბაზილიკაში ყველაფერი უნდა ემორჩილებოდეს სიგრძივი ღერძის გასწვრივ მოძრაობას, მოძრაობას დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, საკურთხევლისკენ, ყველაფერი ხაზს

---

* რომაულ-ელინისტური წრის ბაზილიკებისაგან ბოლნისის სიონს და საერთოდ ქართულ ბაზილიკებს ბევრი სხვა რამეც განასხვავებს: საშენ მასალად თლილი ქვის გამოყენება აგურისა (გარეთ) და მარმარილოს (შიგნით) ნაცვლად; კამაროვანი გადახურვა, თაღები და ბოძები ნაცვლად კოლონებისა და არქიტრავებისა; ატრიუმისა და ნართექსის უქეგდება; ამას გარდა — ეს ეხება არა მარტო ბაზილიკებს, არამედ სხვა ტიპის ქართულ ტაძრებსაც — კლასიკური პროფილებისა და მოტივების უქონლობა (ცალკეულ რემინისცენციათა გარდა).

უნდა უსვამდეს ამ პერსპექტივს, ამ მისწრაფებას. გვერდის შესასვლელები კი—როგორც ბოლნისშია — თითქოს ჰკვეთს და აფერხებს ამ მოძრაობას: სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან შემსვლელმა, იმისათვის, რომ თვალთახედვით ერთიანად მოიცვას შიგა სივრცე, უნდა გაიხედოს არა მარტო ერთ მხარეს, ერთი ღერძის გასწვრივ, არამედ მეორე მხარესაც, ე. ი. მარცხნივ და მარჯვნივ; სივრცე შემსვლელის ორსავე მხარეს თითქოს თანაბარზომიერად ნაწილდება, ისე როგორც ცენტრალურ შენობებში. აი აქ კვლავ იჩენს თავს ქართველი მშენებლის მჭიდრო კავშირი მრავალსაუკუნოვან ძირეულ ტრადიციებთან.

ბოლნისში თვალსაჩინოა სხვა ნიშნებიც, რომლებიც არა მარტო ბაზილიკებს ახასიათებს, არამედ საერთოდ იმ ადრეული ხანის შენობებს: ა) არ არის სადიაკვნე და სამკვეთლო — მღვდელთმსახურებისათვის საჭირო ცალკე ტებითი სადგომები საკურთხევლის სამხრეთითა და ჩრდილოეთით, მაგრამ VI ს-დან ეს ოთახები უკვე ჩნდება; ბ) ეკლესიის შემადგენლობაში ცალკეა გამოყოფილი სანათლავი — უფრო გვიან შეგვიძლია დავასახელოთ მხოლოდ ერთი ასეთივე მაგალითი, საერთოდ კი სანათლავისთვის ცალკე სადგომს აღარ აკეთებდნენ (როცა მონათვლის უფლება ეპისკოპოსთა გარდა მღვდლებსაც მიეცათ); გ) შესასვლელების თავზე ღია ლუნეტებია; დ) თაღებსა და კამარებს ნალისებრი მოხაზულობა აქვს: დამახასიათებელია, რომ ეს ფორმა, რომელსაც ჩვეულებრივ ისლამურ არქიტექტურას უკავშირებენ, საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული მხოლოდ VII ს-მდე, ე. ი. არაბთა შემოსევამდე, შემდეგ კი თანდათანობით გაქრა.

თუ ბოლნისის სიონს ხუროთმოძღვრის მიერ დასმული უმთავრესი მხატვრული ამოცანების თვალსაზრისით შევხედავთ, ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ მთავარი აქ ინტერიერის, შიგა სივრცის პრობლემაა, ე. ი. სწორედ ის ახალი რამ, რაც მთელ მსოფლიოში შუა საუკუნეების საკულტო არქიტექტურასთან იყო დაკავშირებული. თუმცა ბოლნისის გარეგნული სახე მთლიანად
ტაბ. 12 ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს, საკუთრივ ფასადებს აქ ჯერ კიდევ არა აქვს მოპოვებული სრული მხატვრული დამოუკიდებლობა, ჯერ კიდევ არა აქვს სავსებით შემუშავებული და დასრულებული სახე. შიგნით კი ყველაფერი გვაგრძნობინებს არქიტექტორის მტკიცე მაორგანიზებელ ხელს — საერთო პროპორციებიც, რომლებიც მონუმენტალობისა და დიდებულების შთაბეჭდილებას ტოვებს, მკაცრი, დახვეწილი ფორმებიც, ძუნწი მორთულობის გააზრებული გამოყენებაც.

ბოლნისის სიონი არა მარტო თავისი ხუროთმოძღვრებითაა საინტერესო: აქ პირველად ვხვდებით სკულპტურული და ორნამენტული სამკაულის გამოყენებას — ბარელიეფებითა და ჩუქურთმებით შემკულია ჩრდილოეთის გალერეა, ნავის პილასტრებისა და ბაპტისტერიუმის ცალკეული ბაზისები და სვეტისთავები. სამკაულის განაწილება გარკვეულ აზრს ემორჩილება. მაგ., შუა ნავში შემკულია მხოლოდ საკურთხევლის მიმდებარე სვეტისთავები, ე. ი. ოსტატი შეგნებულად სვამს გარკვეულ მახვილებს. რე-
ტაბ. 18 ლიეფები გამოხატავს სხვადასხვა ცხოველებს და მთელ სცენებსაც ცხოველთა მონაწილეობით. გადმოცემა, რა თქმა უნდა, პირობითი და დეკორაციულია; დამახასიათებელია, რომ ხარის გამოსახულებას (სანათლავის სვეტისთავზე ხარის ძლიერ რელიეფური თავია), რომელიც ხმელთაშუა ზღვის სამყაროში ხელოვნების საგნად იქცა ქრისტიანობის გავრცელებამდე დიდი ხნით ადრე, ბოლნისში ქრისტიანობის „ბეჭედი“ აზის: მის რქებს შორის ჯვარია ჩასმული (წინაქრისტიანულ ხალხურ რწმენათა გადმონაშთები და მათთან დაკავშირებული სხვადასხვაგვარი გამოსახულება საქართველოში შუა საუკუნეთა მანძილზე მუდამ იჩენს თავს). ჩუქურთმათა მოტივებში შე-

ნიშნება სასანური ორნამენტაციის წრესთან ნათესაობა. იმავე დროს, დიდი ადგილი უჭირავს ჯვარს — ახალი სარწმუნოების სიმბოლოს. რელიეფები და ჩუქურთმები, რომელთა შორის გვხვდება გეომეტრიული სახეებიც და მცენარეული მოტივებიც, მხატვრულად უკვე სავსებით შემუშავებულია და ოსტატთა რაფინირებულ გემოვნებას მოწმობს.

დასასრულ, ბოლნისი განსაკუთრებით სახელმოხვეჭილი იმიტომაც არის, რომ მისმა კედლებმა შემოგვინახა საქართველოში გადარჩენილი უძველესი ქართული წარწერები. ერთში მოხსენებულია მშენებლობის მოთავე — დავით ეპისკოპოსი (საკურთხევლის სარკმლის ზემოთ, აღმოსავლეთის ფასადზე), მეორეში (ჩრდილოეთის ერთ-ერთი შესასვლელის თავზე) მოხსენებული არიან სხვა ისტორიული პირები და მშენებლობის ხანგრძლივობა — ამის მიხედვით ირკვევა, რომ ბოლნისის სიონი აუშენებიათ 478—493 წლებში.

ტაბ. 15

სხვა უმთავრესი ქართული ბაზილიკები VI საუკუნისაა. ერთი ამათგანი, ე. წ. ა ნ ჩ ი ს ხ ა ტ ი, თბილისშია, მის ძველ უბანში მდებარეობს, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე — ეს დედაქალაქის უძველესი შენობაა. ესეც სამნავიანი ნაგებობაა, სამი შესასვლელი აქვს: თითო-თითო — გვერდის კედლებში და დასავლეთით. დასამახსოვრებელია, რომ საკურთხევლის აფსიდი გამოშვერილი კი აღარ არის, როგორც ბოლნისში, არამედ ჩამალულია ეკლესიის საერთო სწორკუთხა მოხაზულობის ფარგლებში — შემდეგში ეს ბევრად უფრო ხშირი და დამახასიათებელი იქნება, ვიდრე შვერილი აფსიდების გამოყენება. საკურთხევლის გვერდით აქ უკვე არის სადიაკვნე და სამკვეთლო, ამგვარად, საკურთხევლის განვითარებული სამნაწილედი სახე ამ დროს საქართველოში უკვე ცნობილია. ღია ლუნეტები და ნალისებრი თაღები ანჩისხატშიაც არის. ეს ეკლესია უფრო გვიან ძლიერ გადააკეთეს და დაამახინჯეს

ტაბ. 14

უ რ ბ ნ ი ს შ ი (ქართლი, ქარელის რაიონი, მტკვრის მარცხენა ნაპირზე) სიგრძივი ღერძი, ე. ი. საკუთრივ ბაზილიკურობა უფრო მკვეთრადაა გამომჟღავნებული, ვიდრე ბოლნისში: ბოლნისში სიგანისა და სიგრძის შეფარდება (შიგნით) 1:1,8 არის, ურბნისში კი თითქმის 1:2,26. VI საუკუნის სხვა მნიშვნელოვანი ბაზილიკებია: წ ყ ა რ ო ს თ ა ვ ი ისტორიულ ჯავახეთში (თურქეთის ტერიტორიაზე იყო, მაგრამ უკვე აღარ არსებობს), ხ ა შ მ ი ს ს ა მ ე ბ ა (V-VI სს. მიჯნა) და უ რ ი ა თ უ ბ ა ნ ი (ორივე კახეთში).



ურბნისი.

VI ს-ის მეორე ნახევარსა და VII საუკუნეში ქართულ ბაზილიკათა განვითარებაში ახალი ეტაპი იწყება: განსაკუთრებით დამახასიათებელია სიგრძივი ღერძის საგრძნობი დამოკლება. ახშანის მახლობლად მდებარე „გ ო რ ი ს ჯ ვ რ ი ს" ეკლესიასა და ბ ა ი ხ ო შ ი გეგმა თითქმის კვადრატს უახლოვდება. შემდეგ, VIII-IX საუკუნეებში, ეს მისწრაფება სპეციფიკური ბაზილიკური სივრცის უარყოფისა კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება. არის ისეთი გეგმებიც, რომლებიც ძლიერ უახლოვდება გუმბათოვანი ეკლესიების გეგმებს. გუმბათოვანი ეკლესიების გავლენა სივრცის აგების ზოგ თავისებურებაშიაც იჩენს თავს.

ს ა მ ე კ ლ ე ს ი ი ა ნ ი ბ ა ზ ი ლ ი კ ი ს ტიპის პირველი ნიმუშები VI ს-ის შუა წლებს მიეკუთვნება. მათი წარმოშობის მიზეზი, როგორც ჩანს, ის იყო, რომ სურდათ დღის განმავლობაში რამდენიმეჯერ გადაეხადათ წირვა და ყოველი წირვისთვის ცალკე საკურთხეველი ჰქონოდათ. უძველესი ნიმუშების აღნაგობა ელემენტარულია: სამი წაგრძელებული სადგომი ერთიმეორის გვერდით, ერთმანეთთან დაკავშირებული კარებით; შუა სადგომი დანარჩენ ორზე რამდენადმე უფრო მაღალი და ფართოა, რის გამოც გარედან შენობას ნამდვილი ბაზილიკის იერი აქვს. შემდეგში, ახალ პრაქტიკულ

მოთხოვნილებათა გაჩენასთან ერთად (მაგ. როცა რიტუალისთვის საჭირო სადიაკვნე და სამკვეთლო გამოყვეს), მხატვრულ ამოცანათა უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბების შემდეგ, ტიპი თანდათან რთულდება, კომპოზიციურად უფრო მთლიანი და შეკრული ხდება. გვერდის ნავები ერთმანეთს უკავშირდება დასავლეთის შემაერთებელი გალერიით (ამ მოტივის ადრინდელი ნიმუში ჩვენ უკვე ძველ შუამთაში ვნახეთ); ამ გალერიიდანაა შესასვლელი შუა ეკლესიაში (ნავში), რომელიც დომინანტის მნიშვნელობას იძენს; ჩნდება ახალი, დიდად მეტყველი, მოტივი — ორ ან სამთაღიანი ღია შესასვლელები გვერდის ეკლესიებისა, მრგვალ ბოძებზე დაყრდნობილი თაღებით.

სამეკლესიიანი ბაზილიკის ნიმუშებია VI-VII საუკუნეების ეკლესიები

ტაბ. 16, 17 ზეგანში, ზემოთ უკვე მოხსენებულ ნეკრესის მონასტერში (ორივე კახეთშია); ქვემო-ბოლნისი (1,5 კმ-ით დაშორებული ჩვენთვის უკვე ნაცნობ ბოლნისის სიონს); გვიანა ხანებში ძლიერ გადაკეთებული ეკლესია შუა საუკუნეების ქალაქ (ან ნაქალაქარ), დმანისში (ქვემო ქართლ-

ტაბ. 18 ში, თბილისიდან დაახლ. 100 კმ. მანძილზე სამხრეთ-დასავლეთით).

ცალნავიანი ეკლესია საკულტო ნაგებობის უმარტივესი ტიპია. ეს არის წაგრძელებული სწორკუთხედი, რომელიც შიგნით, აღმოსავლეთის მხარეს, ნახევარწრიული აფსიდით მთავრდება. იშვიათ გამონაკლისს გარდა, აფსიდი გარეთ გამოშვერილი არ კეთდება, არამედ სწორკუთხედის ფარგლებშივე რჩება*. სახურავი ორფერადაა, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფასადებზე ფრონტონებს ქმნის. შესასვლელი, ჩვეულებრივ, სამხრეთით ან დასავლეთითაა, მოზრდილ ეკლესიებში — ორივე მხარეს. სწორედ გეგმისა და კონსტრუქციის სიმარტივეს მიეწერება, რომ ცალნავიანი შენობის ტიპი დიდად გავრცელდა სოფლის ეკლესია-სამლოცველოების მშენებლობაში. უფრო გვიან, როდესაც უგუმბათო ეკლესიების ყველა სხვა ტიპი წყვეტს არსებობას, ცალნავიანი ეკლესია სულ ბოლომდე რჩება გუმბათიანი ტაძრების „თანამგზავრად".



ნეკრესი.

ხუროთმოძღვრული მასის სიმარტივე ცალნავიანი ეკლესიის მშენებელს თითქოს რამდენადმე ზღუდავს, და მაინც, ადრინდელი ხანის ძეგლები ამ ტიპისა გვიზიდავს თავისი მხატვრული ღირსებებით: პროპორციები ჰარმონიულია, კედლების წყობა მშვენიერი (ზოგი კედლის პერანგი ორიოდე ათეულ ქვას თუ შეიცავს), იგრძნობა ის მომხიბვლელი არტისტიზმი, რომელიც იმ დროს თანაბრად ახასიათებს დიდ ძეგლებსაც და მცირეთაც. ნიმუშებად შეიძლება დავასახელოთ ოლთისის პატარა ეკლესია წალკაში (ახლა ამ

ტაბ. 20 სოფელს კუშჩი ეწოდება), აგრეთვე ორი სამლოცველო ე. წ. კაცხის სვეტზე იმერეთში (ჭიათურის რაიონი). ეს ორი სამლოცველო თავისთავად უმნიშვნელოა, მაგრამ დამახასიათებელია მათი სრულიად უჩვეულო მდებარეობა — ორმოცმეტრიანი კლდის სვეტის ზემო ბაქანზე. ოდესღაც ეს სვეტი ახლო მდებარე კლდის მასივთან იყო დაკავშირებული, მაგრამ შემდეგ, კლდის დაშლის შედეგად, გამოეთიშა ქედს და მარტო, განცალკევებით დარჩა: „კრამშა შინა არს კლდე აყვანილი ვითარცა სვეტი, ფრიად მაღალი, — წერდა ვახუშტი. — მის კლდის თხემზედ არის ეკლესია მცირე, არამედ ვეღარა აღვალს კაცი, არცა უწყიან ხელოვნება აღსვლისაო". მაგრამ 1944 წელს სვეტი მაინც დაპყრობილ იქნა ქართველი ალპინისტების დახმარებით. სამლოცველოების აგებას ასეთ ადგილას, რომელიც, უეჭველია, მაშინაც ძნელი მისადგომი იქნებოდა, მკვლევარნი უკავშირებენ მესვეტეობას, რომელიც VI ს-ში გავრცელებული იყო წინა აზიაში და, უპირველეს ყოვლისა, სი-

---

* საქართველოში არსებობს სწორკუთხა საკურთხევლიანი ცალნავიანი ეკლესიებიც, მაგრამ ეს ტიპი ფართოდ არ გავრცელებულა.

რიაში (გავიხსენოთ თუნდაც სახელგანთქმული სვიმეონ მესვეტე) — ქრისტიანულ საქართველოს კი სირიასთან მჭიდრო კონტაქტები ჰქონდა. ასეა თუ ისე, ეს მაინც ნაყოფია სარწმუნოებრივი ასკეტიზმისა, ვანდეგილობისაკენ სწრაფვისა, რაც ადრინდელი ქრისტიანობის ხანის ბევრ სასულიერო მოღვაწეს ახასიათებდა.

თუმცა VI ს-ში კვლავ ბევრი ბაზილიკა, სამეკლესიიანი ბაზილიკა და მცირე ერთნავიანი სამლოცველო აშენდა, ამ საუკუნის ნახევრიდან საკულტო არქიტექტურის უმთავრეს თემად თანდათანობით გადაიქცა გუმბათოვანი ტაძრის თემა, რომელმაც ასიოდე წლის მანძილზე თვალსაჩინო ევოლუცია განიცადა; შემდეგშიაც, საუკუნეთა მანძილზე, გუმბათოვანი ხუროთმოძღვრება, რომელსაც, როგორც უკვე ვთქვით, ადგილობრივ ღრმა ფესვები ჰქონდა, შეინარჩუნებს უპირველეს მნიშვნელობას — ყველაზე უფრო საინტერესო შემოქმედებითი ძიება და წარმატება მასთან არის დაკავშირებული.

რა თქმა უნდა, მაშინდელ გუმბათიან ეკლესიათა უმეტესობამ ვერ მოაღწია დღემდე. ზოგი სულ დაიღუპა, ზოგი უფრო გვიან ძლიერ გადააკეთეს, მაგრამ დარჩენილთა მიხედვითაც შეიძლება საკმაოდ ნათელი სურათი წარმოვიდგინოთ. ირკვევა, რომ VI-VII საუკუნეებში გუმბათიან ნაგებობათა რამდენიმე ტიპი არსებობს: ტეტრაკონქების ვარიანტები, „თავისუფალი ჯვრის" ტიპი — აგრეთვე რამდენიმე ვარიანტით, „ჩახაზული ჯვრის ტიპი" და სხვ., ამ ტიპთაგან ადრინდელ ხანაში ყველაზე უფრო საინტერესო ევოლუცია ტეტრაკონქმა განვლო. ყველა ამ ეკლესიაში VII საუკუნემდე, წრომის ტაძრამდე (იხ. ქვემოთ), გუმბათი ეყრდნობა უშუალოდ კედლებს და არა ბოძებს. ცალკე მდგომი ბოძები მანამდე საერთოდ არ გვხვდება. ყველა გუმბათიანი ეკლესია (იმავე წრომამდე) ცენტრულია, ე. ი. მათი ორი ღერძი — აღმოსავლეთ-დასავლეთისა და სამხრეთ-ჩრდილოეთისა — ან ერთნაირია, ან პირველი მხოლოდ ოდნავ სჭარბობს მეორეს. ადრინდელი ნიმუშები მცირე და მარტივია. შემდეგ, VI ს-ის მეორე ნახევარსა და VII ს-ში ზომებიც იზრდება და კომპოზიციებიც რთულდება.

ერთი დამახასიათებელი მაგალითთაგანია *შიომღვიმის* მონასტრის ძველი ეკლესია VI ს-ის 50-60-იანი წლებისა (თბილისიდან 40-ოდე კმ. მანძილზე, ჩრდილო-დასავლეთით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე—ეს მცხეთის რაიონია). მონასტრის დამაარსებელი იყო შიო მღვიმელი, ერთი იმ „ათცამეტ ასურელ მამათაგანი", რომელნიც VI ს-ში საქართველოში ქრისტიანობის განმტკიცებისათვის იღვწოდნენ*.

მონასტრისთვის განმარტოებული ადგილია შერჩეული მაღალი შეუვალი ტაბ. 21, 22
კლდეების ძირში. შენობები თითქოს მთის ნაოჭშია შეხიზნული. დროთა განმავლობაში იქაურობას ბევრი სხვადასხვაგვარი შენობა მიემატა — საეკლესიო და სამონასტრო — ძველ ეკლესიასაც დასავლეთის მხრივ მიაშენეს სხვადასხვა სადგომები, მაგრამ ძველმა ნაწილმა მაინც შეინარჩუნა თავდაპირველი სახე. სპეციფიკური ის არის, რომ ეკლესია სანახევროდ მიწაშია ჩაფლული — ალბათ ეს თვით შიოს სურვილი იყო (შიო აქვეა, ეკლესიის ქვემოთ დასაფლავებული). ეკლესიის გეგმა ელემენტარულია: უბრალო ჯვარი, რომლის მოხაზულობა გარედანაც მჟღავნდება; ერთი აფსიდი (საკურთხევლისა) და სამი სწორკუთხა მკლავი. ამგვარად, ეს ე. წ. „თავისუფალი

* ამ მამათა დაარსებულია მონასტრები აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: დავითის სახელთანაა დაკავშირებული დავით-გარეჯის მონასტრების ჩასახვა და თბილისის მთაწმინდის პირველი ეკლესია; იოანემ დააარსა ზედაზნის მონასტერი და სხვ.

ჯვრის" ტიპის შენობაა, ე. ი. მთელ ქრისტიანულ სამყაროში ფართოდ გავრცელებულ ტიპს მიეკუთვნება. მის ბირთვს შეადგენს რვანაწილედი შეკრული კამარით გადახურული ცენტრალური კვადრატი. შეკრული კამარა თავისი ფორმით სფერულ გუმბათს უახლოვდება. აქ უკვე მკაფიოდაა გამოსახული ქართული გუმბათების აღნაგობა: ნახევარსფერული ნაწილი, ე. ი. საკუთრივ გუმბათი, დამყარებულია ე. წ. გუმბათის ყელზე, რომელშიაც სარკმლებია გაჭრილი. ყელიანი გუმბათი თითქოს მეორე სართულია, შიგნითაც და გარეთაც იგი შენობის გვირგვინად, მას ბუროთმოძღვრულ დომინანტად იქცევა. ამ პერიოდის გუმბათის ყელი ჩვეულებრივ რვაწახნაგოვანი მოცულობაა, სარკმლები თითო წახნაგგამოშვებით აქვს, მისი სიგანე — მით უფრო გარედან — თვალსაჩინოდ სჭარბობს სიმაღლეს, ხოლო სახურავი უმეტესად რვაწახნაგოვანსავე პირამიდს წარმოადგენს.

შიომღვიმის ძველი ეკლესია ასკეტურად უბრალო და მკაცრია. ეს არა მარტო მაშინდელი არქიტექტურის საერთო ხასიათს მიეწერება, არამედ მონასტრის დამაარსებლის პიროვნებასაც.

ტაბ. 23

იმ პერიოდში მოიძებნება მსგავსი გეგმის მქონე სხვა ნიმუშებიც და აგრეთვე „თავისუფალი ჯვრის" ტიპის ვარიანტებიც. გეგმით შიომღვიმის ეკლესიას უახლოვდება სოფ. იდლეთის „ნათლისმცემელი" (ქართლშია, კავთურის ხეობაში), რომელსაც აგრეთვე VI ს-ეს მიაკუთვნებენ, მაგრამ იგი უფრო შეუმუშავებელი და ტლანქია, არა მარტო კედლის მასალის (უწესო ფორმის, სხვადასხვა ზომის ქვაა), არამედ ტლანქად გამოყვანილი ფორმების გამოც—გეგმა დაბრეცილია, გუმბათის ყელის რვაწახნაგოვნება ჩამოუყალიბებელი, და სხვ.

უფრო თავისებურია ე. წ. „ერელაანთ საყდარი" ახმეტასთან (კახეთში). გ. ჩუბინაშვილის აზრით, იგი V ს-ისა თუ არა, VI ს-ისა მაინც არის. ესეც „თავისუფალი ჯვრის" ტიპისაა, ერთი აფსიდით და სამი სწორკუთხა მკლავით. მისი განმასხვავებელი ისაა, რომ სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავებს აღმოსავლეთით პატარა აფსიდები აქვს: ამ საკურთხევლების არსებობა ან იმით აიხსნება, რომ ეკლესიის დამფუძნებელთ სურდათ თავ-თავისი სალოცავი ადგილი ჰქონოდათ, ან იმით, რომ ჰირდებოდათ რამდენიმე წირვის ჩატარება დღის განმავლობაში. ყოველ შემთხვევაში, ამის ანალოგიური გეგმები კარგადაა ცნობილი სხვაგანაც, მაგ. მცირე აზიაში (იაგდებაში კაპადუკიაში, სიუთქილისე, დეგილე და სხვ.), დალმაციაში, სომხეთში (არტიკის ეკლესია) და სხვ.. ეკლესია რიყის ქვითაა ნაშენი და კირქვის ფილებითაა მოპირკეთებული. მისი შესრულებაც ვერ დგას ნამდვილი მხატვრული სიმწიფის დონეზე, მაგრამ ორივე ეს ძეგლი საყურადღებოა, როგორც ამ თავისებური „მოსამზადებელი საფეხურის" დამახასიათებელი ნიმუშები.

ტეტრაკონქის ერთი უარდესი ნიმუშთაგანია მანგლისის ტაძარი თავდაპირველი სახით, აგებული V ს-ის უკანასკნელ მეოთხედში, მას შემდეგ, რაც ვახტანგ გორგასალმა აქ ერთ-ერთი საეპისკოპო დააარსა. გეგმა მარტივი იყო: ცენტრალურ გუმბათქვეშა კვადრატს ოთხ მხრივ ბემების გარეშე ეკვროდა აფსიდები. მაგრამ გარედან ტეტრაკონქი არ ჩანდა. იგი ოქტოგონში (რვაწახნაგაში) იყო მოქცეული. დღეს ძნელია ტაძრის მაშინდელი სახის წარმოდგენა, რადგანაც XI ს-ში იგი საფუძვლიანად გადააკეთეს (იხ. ანოტაცია).

დაახლოებით იმავე ხანებს, ყოველ შემთხვევაში, VI საუკუნეს მიეკუთვნება ძველი გავაზის (კახეთში) პატარა ეკლესია: მისი გეგმა უბრალო ოთხყურას წარმოადგენს, მაგრამ ცენტრში აქაც გუმბათქვეშა კვადრატია.გავაზში ელემენტარული გეგმაა — ოთხი ნალისებრი აფსიდი და გუმბათი. მაგრამ მან-



გლისისაგან განსხვავებით, აქ შენობის გარეგნობა პირდაპირ იმეორებს შიგა მოხაზულობას. ამიტომ გარედან ოთხი ცილინდრის რამდენადმე პრიმიტიული შეხამება გამოდის (ახლანდელი გუმბათი და გარშემოსავლელი უფრო გვიანდელია).

ეკლესიის ზომა ძალიან მცირეა. გეგმის უმარტივესი კომპოზიცია არც იძლეოდა კონსტრუქციულ საშუალებას გუმბათქვეშა ნაწილის გასაფართოებლად, ახალი სარწმუნოების გავრცელება და დამკვიდრება კი სწორედ ასეთ ამოცანას უსახავდა მშენებელთ: საჭირო იყო უფრო ვრცელი და ტევადი გუმბათიანი ტაძრების შექმნა. ეს ძლიერი ბიძგი იყო ტექნიკურ და კომპოზიციურ სიახლეთა ძიების გზაზე. ასეთ ძიებათა საყურადღებო და დამახასიათებელი ნიმუშია ნ ი ნ ო წ მ ი ნ დ ი ს ეკლესია (დაახლ. 40 კმ. მანძილზე თბილისიდან, მის აღმოსავლეთით, საგარეჯოს რაიონში). მის გეგმაში სწორედ ტეტრაკონქის ტიპის განვითარებასა და გართულებას ვხედავთ. ხუროთმოძღვრის წინაშე აქ უფრო ძნელი ამოცანა იყო დასახული: მას უნდა შეექმნა დიდი საეპისკოპოსო ტაძარი და არა სოფლის უბრალო სამლოცველო, მსგავსად ძველი გავაზისა. გუმბათქვეშა სივრცის გაფართოების მიზნით მშენებელმა ცენტრალურ კვადრატს კუთხეები ჩამოჭრა და ოთხ აფსიდს შორის, შენობის დიაგონალურ ღერძებზე, ჩასვა კიდევ ოთხი მცირე სადგომი. ამგვარად, გუმბათისათვის მან მიიღო რვა საყრდენი და, ამის შესაბამისად, რვა გუმბათქვეშა თაღი, ე.ი. მას საშუალება მიეცა წინანდელთან შედარებით საგრძნობლად გაეზარდა გუმბათის დიამეტრი, ე.ი. მთელი გუმბათქვეშა სივრცე. კუთხეში ჩასმულ ოთახებს, რასაკვირველია, გარკვეული ფუნქცია ეკისრებოდა: საკურთხევლის მარცხნივ და მარჯვნივ სადიაკვნე და სამკვეთლო იყო, მესამეში, ალბათ ისევე, როგორც ბოლნისში — სანათლავი; მეოთხის დანიშნულება სავსებით ნათელი არ არის. საინტერესო და იშვიათია ამ ოთახების გეგმა — ორ-ორი, პირისპირ მოთავსებული აფსიდით მცირე სწორკუთხედის ერთსა და მეორე მხარეს (ასეთივე გეგმა აქვს ბოლნისის სანათლავსაც. უფრო გვიან ასეთი გეგმა აღარ შეგვხვდება).

ტაბ. 24



ინტერიერი თავის დროზე, სანამ გუმბათი და შენობის დასავლეთი ნაწილი დაინგრეოდა, ფრიად იმპოზანტური უნდა ყოფილიყო. მხატვრული ეფექტი ემყარებოდა ნაწილთა მკაფიო დიფერენციაციას — ერთი მხრივ იყო ოთხი აფსიდი — მათ შორის საკურთხეველი გამოირჩეოდა სამი სარკმლით, სხვებს კი თითო სარკმელი ჰქონდა; მეორე მხრივ — დაქვემდებარებული მნიშვნელობის მქონე კუთხის ოთახები, რომლებიც მოკლებული იყო შუქის საკუთარ წყაროს და ტაძრის შუა ნაწილიდან ნათდებოდა. ამგვარად, ხუროთმოძღვარს გააზრებული ჰქონდა ნაწილთა თანადაქვემდებარება მათი მნიშვნელობის მიხედვით.

გარედან აქაც, როგორც ძველ გავაზში, ჯერ კიდევ საკმაოდ ამორფული სურათია, თუმცა შვერილი აფსიდები, რომლებიც ვარსკვლავისებრ გეგმას ქმნის, სიდიდით თითოს გამოშვებით ენაცვლება ერთმანეთს. საკურთხევლის აფსიდს, შუა სიმაღლეზე, სადაც სარკმლებია გაჭრილი, წახნაგოვანი ფორმა აქვს მინიჭებული, მაშინ, როცა ამავე აფსიდის ზემო და ქვემო ნაწილები და ყველა სხვა აფსიდი ნახევარწრიული მოხაზულობისაა. შესაძლებელია, წახნაგების ჩართვით სასურველი მხატვრული შედეგი მიღწეული ჯერ კიდევ ვერ იყოს, მაგრამ საყურადღებოა თვით ფაქტი მხატვრული ამოცანის დასმისა: ხუროთმოძღვარს მიაჩნდა, რომ სარკმლების გაჭრა წახნაგოვან ზედაპირზე უფრო შესაფერისი იყო, ვიდრე მომრგვალებულზე. ამას გარდა, ამ ხერხით მან თავისებურად გამოჰყო ტაძრის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, თავისებურად ხაზი გაუსვა მას.

ნინოწმინდის საეპისკოპოსო ტაძარი ტიპიური გარდამავალი ძეგლია (საქართველოში მეორე ასეთი კომპოზიცია არ მოიძებნება). იგი დიდ მნიშვნელობას იძენს, თუ მას განვიხილავთ ევოლუციური თვალსაზრისით, ე.ი. ერთი მხრივ,

როგორც უბრალო ტეტრაკონქის განვითარებას, მეორე მხრივ კი, როგორც იმ ჯგუფის ძეგლთა უშუალო წინამორბედს, რომელსაც სათავეში უდგას მცხეთის ჯვრის სახელგანთქმული ტაძარი, ერთი უმაღლესი მწვერვალთაგანი ჩვენი ეროვნული ხელოვნებისა.

ტაბ. 25

მცხეთის ჯვარი (586/87-604 წლები) მდებარეობს მთაზე ძველი დედაქალაქის პირდაპირ, არაგვის გადაღმა, იქ, სადაც არაგვი მტკვარს ერთვის (ეს მტკვრისა და არაგვის მარცხენა ნაპირია). შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში არ არსებობს ნივთიერი კულტურის სხვა ასეთი პოპულარული ძეგლი. ხალხისათვის ეს მხოლოდ ხელოვნების ნაწარმოები კი არ არის, არამედ ნამდვილი სიმბოლოც, ხორცშესხმული განსახიერება მისი ისტორიული წარსულისა, სიცოცხლის ძალისა, უშრეტი შემოქმედებითი ენერგიისა. მასთან დაკავშირებულია ძველი გადმოცემები, მისდამი მიძღვნილია სამეცნიერო გამოკვლევები, მას შთაუგონებია პოეტებიც.

თბილისისკენ ჩრდილოეთიდან ან დასავლეთიდან მომავალი მგზავრი შორიდანვე ხედავს მცხეთის ჯვრის სილუეტს, მერე გარს უვლის მას სხვადასხვა მხრიდან; ძეგლი ხან გზის პერსპექტივში წარმოუდგება, ხან ცის, ხან მაღალი მთების ფონზე; და საიდანაც არ უნდა უყურებდე მას, მცხეთის ჯვარი გაოცებს და გაღელვებს გარემო ბუნებასთან, მთების მოხაზულობასთან ჰარმონიული შერწყმით — იგი თითქოს ამ მთებისგანაა აღმოცენებული, როგორც მათი ბუნებრივი ნაწილი და გაგრძელება. „ბუნების გრძნობა“, ხუროთმოძღვრებისა და გარემოს ორგანული კავშირი ქართული ძეგლების დამახასიათებელი და აუცილებელი თვისებაა.

ტაძრის სახელწოდებას ისტორიული საფუძველი აქვს. ქრისტიანობის მიღების პირველ ხანებიდანვე ამ ადგილას ხის მაღალი ჯვარი იყო აღმართული. ეს განმარტოებული ჯვარი, რომელიც მცხეთის არემარეს თავს დაჰყურებდა და ყოველი მხრიდან ჩანდა, დედაქალაქის მკვიდრთ ახალი, მათთვის ჯერ კიდევ იდუმალებით მოცული, სარწმუნოების ძალასა და უძლეველობას შთააგონებდა. მას მარტო ქართველები კი არ სცემდნენ თაყვანს, არამედ კავკასიის სხვა ქრისტიანი ერებიც*. მლოცველთა რიცხვი თანდათან მატულობდა. VI ს-ის მეორე ნახევარში ქართლის ერისთავმა გუარამმა ჯვრის გვერდით ააშენა პატარა ეკლესია (იგი დგას საგანგებო სუბსტრუქციაზე, რომელშიაც სამარხია). გარედან ეს ორფერდა სახურავიანი მარტივი სწორკუთხედია, მაგრამ შიგნით მას ჯვარისებრი მოხაზულობა აქვს — ერთი აფსიდითა და სამი სწორკუთხა მკლავით. მკლავები მცირე სიღრმისაა და თვით კედელშია „ამოღებული“. შუაში აქაც კვადრატია, რომელსაც გუმბათისებრი გადახურვა უნდა ჰქონოდა, მაგრამ ყელის გარეშე. ამ პატარა სამლოცველოს, რომელიც დღესაც დგას (თუმცა კი დაზიანებულია), ჩვეულებრივ ჯვრის მცირე ტაძარს ანუ „მცირე ჯვარს“ უწოდებენ. იმავე VI ს-ის მიწურულში და VII ს-ის დასაწყისში გუარამის ძემ, სტეფანოზ ერისმთავარმა მცირე ტაძრის გვერდით ააგო დიდი ტაძარი, რაკი მცირე სამლოცველო ველარ აკმაყოფილებდა ფესვგადგმული სარწმუნოების მოთხოვნილებას, მორწმუნეთა სიმრავლეს. დიდი ტაძარი ზედ გადაეხურა ხის ჯვარს, რომლის კვარცხლბეკი დღემდეა დარჩენილი ეკლესიის შიგნით. ახალ ტაძარს თარიღიანი სამშენებლო წარწერა არა აქვს, მაგრამ წარწერებში მოხსენებულ ისტორიულ პირთა (სტეფანოზისა და მისი ოჯახის წევრების) მიხედვით და სხვა ისტორიული საბუთების შეჯერებით მოხერხდა ტაძრის აგების ქრონოლოგიური ფარგლების დადგენა.

---

*მათ შორის სომხებიც.



უკვე ვთქვით, რომ ჯვარის უშუალო წინამორბედი ნინოწმინდის ტაძარია. ჯვარში განვითარებული და მხატვრულად სრულყოფილია ნინოწმინდის კომპოზიცია. გეგმის საფუძველს აქაც კუთხისოთახებიანი ტეტრაკონქი შეადგენს, მაგრამ ეს კუთხის ოთახები რადიალურად კი არ არის განლაგებული, როგორც ნინოწმინდაში იყო, არამედ აფსიდების ღერძების პარალელურად. გუმბათქვეშა სივრცეს ოთახები უკავშირდება მის კუთხეებში გაკეთებული ღრმა ნიშებით, რომელთაც წრის 3/4-ის მოხაზულობა აქვთ. შენობის ბირთვს, ჩვეულებისამებრ, შეადგენს კვადრატი, რომლის თავზეც აღმართულია რვაწახნაგოვან ყელზე დამყარებული გუმბათი. გუმბათია მთელი შიგა სივრცის დომინანტი, გუმბათი განსაზღვრავს ყველა სხვა ნაწილის ფორმასა და პროპორციებს ამ ხუროთმოძღვრულ სივრცეში, რომელიც ხიბლავს ადამიანს ნაწილთა სრული წონასწორობითა და პროპორციათა ჰარმონიით. არქიტექტორი დიდი ტაქტით სვამს საჭირო მახვილებს: აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძი ოდნავ უფრო გრძელია, ვიდრე სამხრეთ-ჩრდილოეთისა, იმიტომ რომ საკურთხეველისა და დასავლეთი აფსიდის წინ ბემებია ჩასმული; ღრმად არის გააზრებული განათების სისტემა: გუმბათის ყელში ოთხი სარკმელია, საკურთხეველში სამი (ისევე, როგორც ნინოწმინდაში იყო), სამხრეთის აფსიდში კარი და სარკმელია, დასავლეთისაში ერთი სარკმელი, ჩრდილოეთისაში კი მხოლოდ ერთი შესასვლელი. კუთხის ნიშებს, რომელთაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვთ, არც საკუთარი სარკმლები გააჩნია (ამ მხრივაც ნინოწმინდა ჯვარის წინამორბედია).

ტაბ. 20

ჯვარის გარეგნული სახე ნათლად ასახავს სივრცის შიგა დანაწევრებას. მაგრამ აქ მხოლოდ პასიური განმეორება კი არ არის იმისა, რასაც შიგნითა კონტურები კარნახობდა, არამედ შიგა და გარე ფორმების მხატვრულად გააზრებული შესაბამისობა. ეს პირველი მაგალითია შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრებაში, რომ ფასადის სახე დამოუკიდებელი, შეგნებულად დასახული, მხატვრული ამოცანის მნიშვნელობას იძენს. ამიერიდან ეს ქართული არქიტექტურის დამახასიათებელი ნიშანი იქნება, ერთი იმ მრავალ ნიშანთაგანი, რომლებიც მკვეთრად განასხვავებს მას ბიზანტიურისაგან: საკმარისია გავიხსენოთ სერგისა და ბაქოს ან წმ. ირინეს ეკლესიები კონსტანტინეპოლში, წმ. სოფიო — ბიზანტიური ხუროთმოძღვრების უმაღლესი მონაპოვარი, რავენის ეკლესიები, და ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ ბიზანტიაში ხუროთმოძღვართა ყურადღებას (ხელოვნების აყვავების პერიოდშიაც) მთლიანად იპყრობდა დიდებული შიგა სივრცის შექმნის ამოცანა. ფასადები მათ არ აინტერესებდათ.

ტაბ. 26

მთელი კომპოზიციის ცენტრსა და საფუძველს, მის „ნასკვს“ გუმბათქვეშა კვადრატი შეადგენს. მისგანაა „აღმოცენებული“ რვაწახნაგა ყელი (შედარებით დაბალი, ფართო და „ჯმუხი“, როგორც საერთოდ აკეთებდნენ მაშინ), გადახურული საკმაოდ დამრეცი სახურავით, მისგანვეა გამოზრდილი ჯვრის მკლავები შვერილი წახნაგოვანი აფსიდებით. აფსიდების წახნაგები და გადახურვა თითქოს ოთხგზის იმეორებს „შემოკლებული რედაქციით“ გუმბათის ყელის სახეს. მათ შორის უფრო დაბალი ნაწილებია (კუთხის ოთახების შესაბამისად), რომლებიც ნიშებით უკავშირდება შვერილ აფსიდებს. ყველა ეს ნაწილი ისეა შეკრული და ურთიერთშეპირობებული, თითქოს მთელი შენობა ერთიანი კრისტალი იყოს, რომელშიაც არც ერთი წერტილის, არც ერთი ხაზის შეცვლა არ შეიძლება. შენობა მაინცდამაინც დიდი არ არის, მისი სიმაღლე 25 მეტრს არ აღემატება, მაგრამ დიდად მონუმენტურ შთაბეჭდილებას კი ტოვებს. ფასადთა დამუშავებაშიაც სრული კანონზომიერებაა. დასავლეთისა, რომელიც ზედ ქარაფის პირსაა დაკიდებული, ან შორიდან ჩანს, ან ძლიერი რაკურსით. ამიტომ იგი ძალიან მარტივად და ზოგადად არის დამუშავებული — გამოყოფილია მხოლოდ უმთავრესი ფორმები. მთავარი ფასადები აღმოსავლეთისა და სამხრე-

თისაა, პირველ მათგანზე ფასადის შუა ნაწილი — საკურთხევლის აფსიდი — აღნიშნულია სამი სარკმლით, რომლებიც შეკრულია მათ თავზე გავლებული დეკორაციული რელიეფური სარტყლით — ყოველი სარკმლის თავზე იგი თაღს
ტაბ. 27
შემოხაზავს. სარტყლის ზემოთ სარკმლების შესაბამისად, მოთავსებულია სამი რელიეფი ტაძრის დამფუძნებელთა გამოსახულებებით (შუაში — ქრისტეს წინაშე მუხლმოდრეკილი სტეფანოზია). ეს თითქოს თავისებური ტრიპტიქონია, რომელიც ფასადის ყველა ნაწილს ჰკრავს და აერთიანებს. ცენტრალური კომპოზიციის გამოძახილივითაა ფასადის ფრთებში (კუთხის ოთახების შესაბამისად) გაკეთებული უფრო მცირე სარკმლები (თითო-თითო) თავ-თავისი თაღო-
ტაბ. 28
ვანი სათაურით. სამხრეთის ფასადი — უფრო ღრმა ნიშების წყალობით — უფრო დიფერენცირებული ჩანს. სამხრეთის შესასვლელის თავზე, ტიმპანში,
ტაბ. 30, 31
მოთავსებულია ძველქრისტიანულ სამყაროში დიდად გავრცელებული გამოსახულება — ანგელოზთა მიერ ჯვრის ამაღლება. საყოველთაოდ ცნობილი კომპოზიცია ოსტატურადაა ჩართული და შეხამებული ტიმპანის ნახევარწრიულ მოხაზულობასთან.

ჩრდილოეთის ფასადი, რომლის წინაც მცირე ჯვრის ეკლესია დგას, სრულიად მოურთავია, თუმცა საერთო დანაწევრებით სავსებით ემთხვევა სამხრეთისას.


ძველი შუამთა

შენობის საერთო ჰარმონიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფასადთა პერანგის მშვენივრად გათლილი ქვის ფერს: მოვარდისფრო-ქვიშისფერს, დროთა ვითარებისაგან თითქოს ოდნავ შეჟანგულს; ტაძარი არა მარტო ფორმებით, მასშტაბითა და პროპორციებით ეხება გარემოს, არამედ ფერითაც.

მცხეთის ჯვარი — წინა დროის ქართული ხუროთმოძღვრების ძიებათა დამაგვირგვინებელი და ყველაზე სრულად განმასახიერებელი ნაწარმოები — საფუძველს უყრის განვითარების მთელ საფეხურს: VII ს-ში იქმნება ანალოგიურ ძეგლთა მთელი ჯგუფი, რომლებიც გეგმისა და საერთო აგებულების მხრივ დიდად უახლოვდება მცხეთის ჯვარს, მაგრამ ბუნებრივია, კერძო თვისებებითა და დეტალებით განსხვავდება მისგან. დამახასიათებელი და მნიშვნელოვანია, რომ ეს ძეგლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებშია, რაც მოწმობს, რომ ქართველი ერის კულტურული ერთიანობა წინ უსწრებს მის სახელმწიფოებრივ გაერთიანებას: ატენის სიონი ქართლშია, გორის სამხრეთით,
ტაბ. 32—39
10-12 კმ. მანძილზე, ძველი შუამთა კახეთშია (ჩვენ უკვე გავეცანით იქაურ ბაზილიკას), მარტვილი — დასავლეთ საქართველოში, ეგრისში. მათ შესახებ იხ. ანოტაციებში. დასასრულ, უნდა დავუმატოთ, რომ ჯვარის ტიპი, ე. ი. კუთხის ოთახებიანი ტეტრაკონქი, ცნობილია მხოლოდ საქართველოსა და სომხეთში. იქაური ნიმუშები ქართულ ნიმუშთაგან განსხვავდება გარკვეული თავისებურებებით, ისე როგორც საერთოდ ამ ორი ქვეყნის ხუროთმოძღვრება.*

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ პროვინცია ტაოში VI ს-ში აშენდა ერთისა და იმავე ტიპის ორი მონუმენტური კათედრალი — იშხანსა და ბანა-
ტაბ. 40—45
ში. მათი გეგმა ტეტრაკონქის თემის თავისებური ვარიანტია — ტეტრაკონქი მრგვალი გარშემოსავლელით. კონსტრუქციული თვალსაზრისით ეს ფრიად ორიგინალური და რთული შენობებია. მოგვიანოდ, IX და XI საუკუნეებში, იშხნის ტაძარი საფუძვლიანად გადააკეთეს. თავდაპირველი ნაგებობისაგან დარჩა მხოლოდ აღმოსავლეთის (საკურთხევლის) აფსიდი, რომელიც გვიანდელი შენობის ფარგლებში მოექცა. ბანა XX ს-ის დასაწყისში, როდესაც იგი ექვთიმე თაყაი-

* ერთი განმასხვავებელი ნიშანთაგანია ის, რომ ჯვარის ტიპის სომხური ძეგლები გარედან ერთიან ბლოკს წარმოადგენს — მთელი შიდა გეგმა გარედან მკაცრ სწორკუთხედშია მოქცეული; ქართული ნიმუშების გარეგანი მასები კი უფრო დიფერენცირებულია აფსიდთა შეერილების წყალობით. განსხვავებულია პროპორციები, შენობის კორპუსისა და გუმბათის ყელის შეფარდება და სხვ..

შეილის ექსპედიციის წევრებმა გაზომეს, უკვე დანგრეული იყო, მაგრამ იმდენი მაინც არის გადარჩენილი, რომ მის შესახებ ასე თუ ისე მსჯელობა შეგვეძლოს. საკუთრივ ტეტრაკონქი მოქცეულია ორ კონცენტრულ წრეში, რომლებიც მის გარშემო ერთიან, უწყვეტ გარშემოსავლელ გალერეას ქმნის; აფსიდები ქვემო ნაწილში კედლებით კი არ არის შემოფარგლული, არამედ სვეტებზე დაყრდნობილი გამჭოლი თაღებით: სწორედ ეს თაღები შეადგენდა შუაგულ ტაძარში შესასვლელს. მხოლოდ საკურთხევლის აფსიდის სვეტები დგას შემაღლებით, ქვის ბარიერზე. ტეტრაკონქის ოთხ მკლავს შორის, ე. ი. ოთხ კუთხეში, აქაც მცირე ოთახებია, როგორც ჯვარის ტიპის ძეგლებში. განსხვავება ის არის, რომ ამ ოთახების თავზე ორ-ორი სართულია, ე. ი. კუთხეებში ოთახები სამ-სამ იარუსადაა განლაგებული. ეს კუთხის ნაწილები იმავე დროს შეადგენს ძირითად ბურჯებს, რომელთაც გუმბათი ეყრდნობა. შიდა კონცენტრული სარტყელი ქვემოთ აზის აფსიდების სვეტებს და დამატებით სვეტებს — მისი დაყრდნობა კონსტრუქციულად ყველაზე რთული ამოცანა იყო.



იშხანი

ტაძრის გარეგნული სახე შედგება ორი ცილინდრისაგან. ქვემო უფრო ფართოა — იგი შეესაბამება შენობის კორპუსს, მოიცავს თვით ტეტრაკონქს, გარშემოსავლელს და ამ უკანასკნელის თავზე მოთავსებულ II სართულის გალერეას; მეორე — გუმბათის ყელია, რომლის დიამეტრიც გაცილებით უფრო მცირე იყო და 10 მეტრს არ აღემატებოდა*.



ბანა

შიგა სივრცე — დიდ სიმაღლეზე აზიდული გუმბათით (ვარაუდით ტაძრის სიმაღლე 32 მეტრამდე უნდა ყოფილიყო), აფსიდების კოლონადებითა და თაღედებით, კუთხის ოთახების სარკმლებით, რომლებიც ხაზს უსვამდა მასშტაბს — დიდად შთამბეჭდავი იქნებოდა. განსაკუთრებით საინტერესოა იშხნის ძველი საკურთხევლისა და ბანას მორთულობა, კერძოდ სვეტისთავები, რომლებიც იონიურ სვეტისთავების სახეშეცვლილ გამოძახილს წარმოადგენს. ეს იშვიათი მაგალითია საქართველოს „ქრისტიანულ“ არქიტექტურაში ელინისტური მოტივების შემოჟონვისა. ბანაში გარედან ქვემო ცილინდრის მთელ გარშემოწერილობას დეკორაციული თაღების უწყვეტი მწკრივი მისდევდა, თაღებს ზემოთ კი, სამკუთხა არეებში, სტილიზებული ბროწეულის რელიეფური გამოსახულებები.





ბანასა და იშხნის ტიპი აგრეთვე უცნობია საქართველოსა და სომხეთის გარეთ (სომხეთში ამ ტიპისაა ზუართნოცის აწ ნანგრევებად ქცეული ცნობილი ტაძარი ეჩმიაძინის მახლობლად და ანისის გაგიკისეული ეკლესია 1001 წლისა). ბოსრას ტაძარი სირიაში, სადაც ტეტრაკონქის აფსიდები აგრეთვე კოლონადებითაა შემოფარგლული, კონსტრუქციულად ქართულ და სომხურ ძეგლებზე უფრო მარტივია: იქ არ არის კოლონებზე „დაკიდებული“ კედელი, რადგანაც არ არის მრგვალი გარშემოსავლელი, მთავარი კი ისაა, რომ არ არის გუმბათოვანი გადახურვა.

VII საუკუნის ოცდაათიან წლებს მიეკუთვნება წ რ ო მ ი ს ტ ა ძ ა რ ი (ქართლშია, ხაშურის რაიონში, მტკვრის მარჯვენა ვაკე ნაპირზე). მხატვრული ღირსებით იგი შეიძლება თვით მცხეთის ჯვარსაც კი გაეუტოლოთ. იმავე დროს, იგი უკვე შეიცავს ბევრ ისეთ ნიშანს, რომლებიც მოასწავებს ქართული საეკლესიო არქიტექტურის მომავალ განვითარებას.

ტაბ. 40-61

---

* ეს სახე თეორიული რეკონსტრუქციის მიხედვით წარმოგვიდგება, რადგანაც მთელი ზემო ნაწილი დანგრეულია. ამგვარია არქ. სიმონ კლდიაშვილის რეკონსტრუქცია, რომელსაც გ. ჩუბინაშვილიც იზიარებს. არქ. ა. კალგინის თანახმად შენობა გარედან სამ საფეხურიანი, ე.ი. „სამცილინდრიანი“ უნდა ყოფილიყო. მის რეკონსტრუქციაში ზემო გალერია გარშემოსავლელის თავზე კი არ არის, არამედ გუმბათის ყელის გარშემო.

გეგმით იგი მიეკუთვნება ე.წ. „ჩახაზული ჯვრის“ ტიპს, რომელიც იმ დროს ყალიბდებოდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების საკულტო ხუროთმოძღვრებაში. გუმბათი აქ კედლებს კი არ ეყრდნობა, როგორც ეს აქამდე განხილულ ყველა ტიპის ეკლესიებში იყო, არამედ ოთხ ცალკე მდგომ ბოძს. აფსიდი მხოლოდ ერთია, აღმოსავლეთით, საკურთხევლისა. შენობის ინტერიერში, რომელშიაც გარკვევითაა გამომჟღავნებული სიგრძივი (აღმოსავლეთ-დასავლეთის) ღერძი, დიდი მნიშვნელობა ენიჭება დასავლეთით მოთავსებულ პატრონიკეს — იგი აწონასწორებს მთელ შინაგან სივრცეს (რაკი აფსიდი მხოლოდ ერთია, პატრონიკესა და მის ქვეშ მდებარე ნართექსის გარეშე, აღმოსავლეთის მკლავი დასავლეთისაზე უფრო გრძელი გამოვიდოდა და თავის მხარეს „გადასძლევდა“ ეკლესიის მასებს — ქართულ ეკლესიებში კი მტკიცე ტრადიციაა, რომ გუმბათი შენობის მთავარი ღერძის ცენტრში უნდა იყოს, ან დაახლოებით ცენტრში მაინც. შემდგომი ევოლუციის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საკურთხევლის აფსიდი შვერილს არ ქმნის და აღმოსავლეთის კედლის სწორ სიბრტყის უკანაა „დამალული“: ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ შემდგომ ქართული საეკლესიო არქიტექტურა შეინარჩუნებს ამ თავისებურებას იმ ძეგლებში, რომლებიც განვითარების უმთავრეს ხაზს წარმოადგენენ. ამით ქართული ეკლესიები მკვეთრად განსხვავდება ბიზანტიის, დასავლეთის (რომანული, გოთური), შუა ევროპისა და რუსეთის ეკლესიებისაგან. მონათესავე ნიმუშები მათ მხოლოდ სომხეთისა და წინა აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში (მაგ. სირიაში) მოეძებნება. წრომის ხუროთმოძღვარმა აქ ამოხსნა ძნელი ამოცანა, რომელსაც შვერილი აფსიდის უგულებელყოფა სახავდა. ფასადის მხარეს, იქ, სადაც საკურთხეველის აფსიდი ემიჯნება გვერდის სადგომებს (სადიაკვნესა და სამკვეთლოს), მან კედლის სისქეში ჩაკვეთა ორი ღრმა ნიშა: კედელი გათავისუფლდა სრულიად ზედმეტი მასისაგან, რომელიც აფსიდების სიმრგვლისა და კედლის გარე სწორი ხაზის შეთავსების გამო წარმოიშობოდა. ამგვარად, ამ ხერხს კონსტრუქციული მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ არსებითია მხატვრული ეფექტიც: ეს ორი თაღოვანი ნიშა, საკურთხევლის დიდ სარკმელთან ერთად, რომელიც აგრეთვე თაღოვან ბრტყელ ნიშაშია ჩასმული, ქმნის ერთიან აკორდს ფასადის შუაში, თავს უყრის და იქვემდებარებს მთელ ფასადს. ღრმად ჩაჩრდილული ნიშები მკვეთრ კონტრასტს ქმნის კედლის მზით აკაშკაშებულ ზედაპირთან; დასასრულ, არც ისაა უგულებელსაყოფი, რომ ნიშები გამოყოფს და თითქოს ხაზს უსვამს კულტის თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილს ეკლესიისას — საკურთხეველს, ე. ი. მათ, კონსტრუქციულ და ესთეტიკურ ფუნქციასთან ერთად, გარკვეული იდეური ფუნქციაც აქვთ. სამკუთხა ნიშების მოტივმა, რომლის წყალობითაც მარჯვედ გადაიჭრა აფსიდისა და ფასადის სიბრტყის ურთიერთშეხამების საკითხი, მკვიდრად და დიდი ხნით მოიკიდა ფეხი ქართული საეკლესიო (მცირე გამონაკლისთა გარდა — გუმბათოვანი) ხუროთმოძღვრების რეპერტუარში. ამასთანვე იყო დაკავშირებული ის, რომ აღმოსავლეთის ფასადი, თავისი საერთო აღნაგობით, გამოეყო დანარჩენ სამ ფასადს, განსხვავდა მათგან, როგორც მთავარი ფასადი (მეორე მთავარი ფასადი სამხრეთისაა. გავიხსენოთ, რომ დასავლეთის ტაძრებში მთავარია ჩრდილოეთისა და დასავლეთის ფასადები). დასასრულ, წრომის შემდეგ ქართულ არქიტექტურაში საბოლოოდ დამკვიდრდა ჯვრის ოთხივე მკლავის, ე.ი. ოთხივე ფასადის შუა ნაწილების, ფრონტონით დაგვირგვინება. ეს მკლავები სივრცეში, გუმბათის ყელის გარშემო, მკაფიოდ გამოსახავს ჯვრის ფორმას.

ტაბ. 51

ტაბ. 46, 48

ტაბ. 46, 47

წრომის ტაძრის დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფასადთა დამახასიათებელია მკაცრი რიტმული დანაწევრება, რაც მიღწეულია კარ-სარკმელთა ღრმად გააზრებული განლაგებით. სამსავე ფასადს ერთნაირი შუა ღერ-

ძი აქვს: თაღოვანი ტიმპანით აღჭურვილი სწორკუთხა შესასვლელი, მის ზე-მოთ ფართო თაღოვანი სარკმელი პატრონიკეთა დონეზე, დასასრულ, ერთ-გვარი დამამთავრებელი წერტილი—მრგვალი სარკმელი ფრონტონის ფარ-გლებში. ეს სამგზის განმეორებული ლაიტმოტივი ერთბაშად ანათესავებს და აკავშირებს ერთმანეთთან სამივე ფასადს, მაყურებელი გრძნობს, რომ ხუროთ-მოძღვარს გააზრებული აქვს არა ცალკეული ფასადები სათითაოდ, არამედ მთე-ლი ნაგებობა ერთიანად. ამის წყალობით დიდი მხატვრული მთლიანობაა მიღ-წეული.



წრომის ქვაზე ნაკვეთი ძუნწი მორთულობა — სტილიზებული მცენარეუ-ლი მოტივები საპირეებსა და სათაურებში — მხოლოდ მსუბუქი მახვილების როლს ასრულებს. კვეთა მცირე სიღრმისაა, შესრულება განსაკუთრებით ფაქი-ზი და არტისტულია (ეს საერთოდ ახასიათებს ამ ძეგლს), ხოლო შესრულების ხასიათი და ზოგი მოტივიც ძალიან უახლოვდება ხეზე ნაკვეთ ორნამენტს — მათ შორის გენეტიკური კავშირი უეჭველია.

წრომის ჰარმონიული პროპორციები, მასების ნათელი წონასწორობა, გან-საკუთრებული ოსტატობით ნაშენი მკაცრი კედელი, ფასადთა დასრულებული კომპოზიციები, თაღების ფართო გაქანება, მარტივი პროფილების იშვიათი სი-ზუსტე, საშენი მასალის სპეციფიკისა და მხატვრულ შესაძლებლობათა განსა-კუთრებული შეგრძნება ხუროთმოძღვრის მიერ, თუ შეიძლება ასე ითქვას „ქვის გრძნობა" (რაც იმდროინდელი არქიტექტურის თვისებაა) — ღრმა და ამა-ღელვებელ შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა მდებარეობა და მისი ახ-ლანდელი გარემო მოკლებულია სილამაზეს და, მით უფრო, რაიმე რომანტიკუ-ლობას.

წრომის საკურთხევლის კონქი ეკლესიის თანამედროვე მოზაიკით იყო შემ-კული — გადარჩა მისი მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტები. ყველა სხვა კედე-ლი და კამარა, რომლებიც შიგნითაც ისე სუფთადაა ნაწყობი, როგორც გარეთ, შიშველი და შეუმკობი იყო. ამგვარი კონტრასტი, უეჭველია, გააძლიერებდა და გაამახვილებდა საერთო ეფექტს.

ტაძარი საუკუნეთა მანძილზე ძლიერ დაზიანდა: მას აღარც გუმბათი აქვს და აღარც კამარები (უეჭველია, აქაც რვაწახნაგა გუმბათის ყელი იყო, რომე-ლიც ტრომპების საშუალებით ეყრდნობოდა გუმბათქვეშა კვადრატს. ერთი ტრომპის ნაწილი გადარჩა კიდეც).

სანამ IV-VII საუკუნეთა საეკლესიო ხუროთმოძღვრებაზე თხრობას და-ვამთავრებდეთ, უნდა მოვიხსენიოთ VII ს-ის კიდევ ერთი მშვენიერი ძეგლი, რომელიც შეიძლება მივაკუთვნოთ ძველი ქართული ხელოვნების შედევრთა რიცხვს. ეს არის სამწევრისის ეკლესია წრომისავე მახლობლად (ქა-რელის რაიონში, მისგან სულ რამდენიმე კილომეტრის დაშორებით). იგი დგას მცირე ქედზე, რომელიც მტკვრის მარჯვენა ვაკე ნაპირზეა მდინარესთან მიჭ-რილი, თითქმის მის პერპენდიკულარულად. ეს „თავისუფალი ჯვრის" ტიპის შენობაა — ამ ტიპს ჩვენ უკვე გავეცანით შიომღვიმის მონასტრისა და იდლე-თის VI საუკუნის ეკლესიებში. ტაბ. 52, 53



აქაც ერთი აფსიდი და სამი სწორკუთხა მკლავეა: დასავლეთისა უფრო ღრმაა, ვიდრე დანარჩენი ორი და აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძი ამიტომ სჭარბობს მეორე ღერძს, მაგრამ მცირედ, ნაკლებ შესამჩნევად.

სამწევრისი აოცებს და მართლაც ატყვევებს მნახველს თავისი უბრალო და ნათელი სილამაზით. მისი ლაკონიური ფორმები არაჩვეულებრივად მეტყველია. პროპორციები უნაკლო, ტექნიკური შესრულება დიდად ოსტატური. საკვირ-ველია სიმკაცრისა და სინატიფის ასეთი შეხამება. შთაბეჭდილება თანაბრად დიდია — გარედან უყურებ ძეგლს, თუ მის შიგნით ხარ. ინტერიერში იქნებ კი- ტაბ. 54



დევ უფრო ნათლადაც იგრძნობოდეს დაუფარავი კონსტრუქციების ესთეტიკური ზემოქმედების ძალა, იმ ადრინდელი ხანისათვის დამახასიათებელი ფორმათა გამოკვეთილობა, სიცხადე, დასრულებულობა. გუმბათი აქაც ტრომპებს ეყრდნობა. სპეციფიკურია ის, რომ გუმბათქვეშა კვადრატი მკლავების თაღებს ზემოთაც გრძელდება და, ამის გამო, ტრომპები თაღებს კი არ ეყრდნობა, არამედ უფრო მაღლაა, უშუალოდ გუმბათის სფეროს ქვეშ. როგორც ყველა იმდროინდელ გუმბათს, სამწევრისის გუმბათსაც დამრეცი სახურავი ჰქონდა — დაბალი რვაწახნაგა პირამიდის სახისა. მორთულობა, რა თქმა უნდა, აქაც ძალიან ძუნწია. ყველაზე საინტერესოა კარნიზი, რომლის მთავარ მოტივს წვრილი თაღების მწკრივი შეადგენს.

სამწევრისის მინიატურული ეკლესია ნათლად გვიჩვენებს, რომ ხელოვნების დიდ ეპოქებში მხატვრული მომწიფება და სისრულე დიდ ძეგლებშიაც იჩენს თავს და მცირე, მეორეხარისხოვან ძეგლებშიაც. განსაკუთრებით საინტერესოა რაფინირებული სამწევრისის შედარება ამავე ტიპის ადრინდელ — V-VI საუკუნეთა — ნიმუშებთან, სადაც მხატვრული ამოცანა ჯერ კიდევ ბუნდოვნად ისახება. წინსვლა მეტად თვალსაჩინოა.

ამ დროის სამოქალაქო არქიტექტურის ძეგლთაგან სხვებზე უკეთაა ცნობილი ძველი ქალაქის უ ჯ ა რ მ ი ს ციტადელი—ივრის მარჯვენა ნაპირზე, გარეკახეთში, თბილისიდან დაახლ. 40 კმ დაშორებით აღმოსავლეთისაკენ.

ქალაქი წარმოიშვა ანტიკურ და ადრეფეოდალურ ეპოქათა მიჯნაზე, მაშინ იგი ქართლის სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილში იყო. IV-VI საუკუნეებში უჯარმა, თბილისსა და მცხეთასთან ერთად, ერთი უმთავრესი ცენტრთაგანია ქართლისა ერთხანს აქ მეფის რეზიდენციაც იყო, შემდეგ კი საუფლისწულო ქალაქად დარჩა. თვით საქალაქო ნაგებობათაგან აღარაფერი არ გადარჩენილა. ციტადელი კი, რომელიც ზემო და ქვემო ციხეებისაგან შედგება, მდებარეობდა მცირე მთის კეხსა და ფერდზე, იქ, სადაც მდინარე ვიწრო ხეობიდან ფართო ველზე გამოდის. ზემო ციხეში იყო სასახლე — სამსართულიანი ფართოსარკმლებიანი კოშკი ძარნითა და სარდაფ-საპყრობილით. ქვემო ციხის კედლები ფარგლავდა სწორკუთხა ტერიტორიას მთის კალთაზე, რომელიც ივრისკენ ეშვება; კედლები რიტმულადაა დანაწევრებული ორ-სამსართულიანი სწორკუთხავე კოშკებით. ტაბ. 56 დამახასიათებელია კედლის მოპირკეთება ერთი ზომის ბრტყელი კვადრებით, რომლებიც წესიერ ჰორიზონტალურ რიგებს ქმნის, თაღების ნალისებრი მოხაზულობა, სახურავისათვის დიდი, გვერდებაკეცილი კრამიტის გამოყენება. დამახასიათებელია ისიც, რომ კოშკები ან მცირედ, ან სულ არ არის გაწეული გალავნის ხაზს გარეთ და რომ მათ კარ-სარკმლები შიგნითა მხრიდან აქვთ. თუმცა პერანგის ქვები სუფთად გათლილი არ არის, ნაგებობა (წყობის ხარისხი, თაღების მოხაზულობა, კოშკების პროპორციები) როგორც ტექნიკური, ისე მხატვრული თვალსაზრისით მაღალ დონეზე დგას.

იმდროინდელი სიმაგრეებისა და ციხე-ქალაქების ნანგრევები დასავლეთ საქართველოშიაც არის დარჩენილი, მაგრამ ამ ძეგლთა დღევანდელი მდგომარეობა ისეთია, რომ მათ ხუროთმოძღვრებაზე საუბარი ძნელია, თანაც ეს ძეგლები ჯერ კიდევ საკმარისად გამოკვლეული არ არის. ურბნისის ადრეფეოდალური ქალაქის შენობათა შესახებ იხ. ანოტაცია.

თუ IV-VII საუკუნეთა ქართული ხუროთმოძღვრების ზოგადად დახასიათებას მოვისურვებთ, უპირველესად უნდა ითქვას, რომ მისი თვისებებია საერთო აგებულების სიმკაცრე და სიცხადე, სრული წონასწორობა და სიმეტრიულობაც კი მასებისა, რომლებიც საფეხურებად იზრდება საფუძვლიდან გუმბათამდე; შენობათა აღქმის ფრონტალობა; დიდებულება, მონუმენტალობა და, იმავე დროს, ადამიანურობა მასშტაბისა, მშვიდი პროპორციული შეფარდებანი (ხაზ-

გასმული ვერტიკალების გარეშე); განწყობილების სიხალისე, მაჟორულობა; სამკაულთა სიძუნწე, მათი გამოყენება მხოლოდ მახვილებად, რომლებიც ხაზს უსვამს ნაგებობის ამა თუ იმ ნაწილს. ეს „წმინდა წყლის" არქიტექტურის ხანაა, კლასიკურობის სულით გამსჭვალული ხანა, როდესაც განსაკუთრებული ძალით იგრძნობა დაუფარავი კონსტრუქციის — მძლავრი კედლის, თაღის, კამარის, ტრომპის, კონქის—სილამაზე და მატერიალურობა. VI ს-ის დასასრულს და VII ს-ის პირველ ნახევარში, სტილის მომწიფების პერიოდში, მიღწეულია ნაგებობის ყველა ნაწილის, მთელისა და ნაწილთა სრული ჰარმონია, სრული ურთიერთშეპირობება, კანონზომიერება. მცხეთის ჯვარი, წრომი, სამწევრისი ძალაუნებურად მოგვაგონებენ მშვენიერის განსაზღვრას რენესანსის დროის დიდი თეორეტიკოსის ლეონ-ბატისტა ალბერტის მიერ: მშვენიერია ხელოვნების ის ნაწარმოები, რომელშიც ვერც ერთ დეტალს ვერ შეცვლი ისე, რომ ამან მთელის დარღვევა არ გამოიწვიოს.

VII ს-ის მეორე ნახევრიდან და VIII ს-ში ქართულ ხუროთმოძღვრებაში განვითარების ახალი საფეხური იწყება.

## „გარდამავალი ხანის" (VII ს-ის მეორე ნახევრიდან X ს-ის ნახევრამდე) ქართული კულტურა. იმდროინდელი ხუროთმოძღვრების ხასიათი.

მას შემდეგ, რაც არაბებმა აღმოსავლეთი საქართველო და მისი ცენტრი თბილისი დაიპყრეს, საქართველოს კულტურული ძალები პერიფერიაში იყრის თავს. თუმცა არაბთა უღელი მძიმე და ხანგრძლივი იყო, მას საქართველოსთვის არ მოუტანია ისეთი შედეგი, როგორიც მოუტანა, მაგალითად, ირანს, სადაც ისლამის დამკვიდრებასთან ერთად, ცხოვრებისა და კულტურის ყველა მხარემ არსებითი ცვლილება განიცადა. საქართველომ ქრისტიანული სარწმუნოება შეინარჩუნა არაბობის დროსაც, ეს კი იმ პირობებში ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნებას უდრიდა. მართლაც საკვირველია, რომ არც ქართულ ხელოვნებას, არც მწერლობას, რომელიც გამდიდრდა არაბულიდან ნათარგმნი თხზულებებით და რომელმაც ასახა არაბობისდროინდელი მოვლენები, არსებითად არ განუცდია არაბული გავლენა, ორივე თავისი ბუნებრივი, სრულიად დამოუკიდებელი გზით ვითარდებოდა.

ქვეყნის სულიერი ცხოვრებისათვის, მთელი შემდგომი კულტურული განვითარებისა და ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებისათვის უაღრესი მნიშვნელობა ჰქონდა დიდ ქართულ მონასტრებს, რომლებიც არაბთა შემოსევების შემდეგ წარმოიშვა ამ შემოსევებისგან ყველაზე მეტად აოხრებულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ჩვეულებრივ, სიმოკლისთვის ამ კუთხეს ტაოკლარჯეთს უწოდებენ, თუმცა ეს სამთავრო სხვა ისტორიულ პროვინციებსაც აერთიანებდა). VII-X საუკუნეებში დაარსებული მონასტრები იშხანი, ბერთა, წყაროსთავი, ხანძთა, ოპიზა, შატბერდი, ზარზმა, ხახული, ოშკი და სხვები გადაიქცა დიდ კულტურულ კერებად, სადაც ინტენსიური შემოქმედებითი მოღვაწეობა იყო გაშლილი. იქმნებოდა ორიგინალური აგიოგრაფიული თხზულებები, ითარგმნებოდა უცხოური თხზულებები, გადაიწერა უამრავი წიგნი, რომლებიც განსაცვიფრებელი კალიგრაფიული ოსტატობით გამოირჩევა, სრულდებოდა ჭედური ხატები, ჯვრები, წიგნის ყდები; ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო კი ის არის, რომ აშენდა მონასტრების მთელი ხუროთმოძღვრული ანსამბლები ეკლესიებით, სამლოცველოებით, სატრაპეზოებით, გადამწერთა სახელოსნოებით, სემინარიებით, სამეურნეო შენობებით; აღდგა ძველი და დაარსდა ახალი ქალაქები, აშენდა მიუვალი ციხეები, ხიდები, გაყვანილი იქნა გზები.

შემოქმედებითი ცხოვრება ქვეყნის სხვა ნაწილებშიაც გრძელდებოდა: დასავლეთ საქართველოში — ე.წ. აფხაზთა სამეფოში, კახეთში და ქართლშიაც კი, ე.ი. საამიროსგან ყველაზე მეტად შევიწროვებულ პროვინციაში. ამაზე, უპირველეს ყოვლისა, მეტყველებს სწორედ ხუროთმოძღვრება, რომლის ძეგლებიც გვხვდება საქართველოს სულ სხვადასხვა კუთხეში — შავი ზღვის სანაპიროებიდან სამხრეთისა და აღმოსავლეთის საზღვრებამდე.

ამ ხანას მიეკუთვნება შუა საუკუნეთა ქართული სასულიერო მწერლობის ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები: იოანე საბანის ძის „აბო ტფილელის მარტვილობა" (VIII ს-ის დასასრულისა), ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება," მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება" (X ს.) და სხვ. (მეცნიერთა უმეტესობას მიაჩნია, რომ ამავე პერიოდს, IX საუკუნეს, მიეკუთვნება ბალავარიანის—შუა საუკუნეებში დიდად პოპულარული ბუდისტური ლეგენდის — ქართული ვერსია, რომელიც ბერძნულის წყაროდ იქცა, იქედან კი სხვა ენებზე ითარგმნა). ყველა ეს ნაწარმოები უშრეტი წყაროა ერისა და ქვეყნის მაშინდელი ცხოვრების გასაცნობად და გასაგებად, ყოველი მათგანი, თავისი განსაკუთრებულ მხატვრული ღირსებების წყალობით, პროზის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს.

აქტიური მოღვაწეობა არ შეუწყვეტია არც უცხოეთის ქართულ მონასტრებს, რომლებიც ხელს უწყობდა ქართველთა მჭიდრო სულიერ კონტაქტებს მთელ განათლებულ სამყაროსთან და, უპირველესად, ბიზანტიასთან. ადრე არსებულთა გარდა, იქმნება ახალი მნიშვნელოვანი ცენტრები: IX ს-ში ულუმბოს ქართული მონასტერი მცირე აზიის ბითინიაში, X ს-ის მეორე ნახევარსა და მიწურულში — ქართული მონასტრები სინას ნახევარკუნძულზე და ათონის მთაზე. ორივემ ძალიან დიდი როლი შეასრულა ქართული კულტურის ისტორიაში.

გარდამავალი ხანის არქიტექტურაში წინანდებურად მთავარი ადგილი უჭირავს სარწმუნოებრივსა და სათავდაცვო ნაგებობებს—ციხე-სიმაგრეებს, ციხე-ქალაქებს, ეკლესიებსა და მონასტრებს, რომლებიც ეს არის ვახსენეთ. მაგრამ სათავდაცვო შენობები ცუდადაა შენახული, ეკლესიათა დიდი ნაწილი კი ან შეუსწავლელია, ან არასაკმარისადაა შესწავლილი რაკი, როგორც ცნობილია, უფრო გვიან საქართველოს მიწა-წყლის ნაწილი, განსაკუთრებით მდიდარი ძეგლების მხრივ, მიტაცებული იქნა თურქეთის მიერ და კვლევისათვის მიუწვდომელი გახდა. მაგრამ მკვლევარებმა მაინც იმდენი გააკეთეს, რომ შესაძლებელია ამ ეპოქის ხუროთმოძღვრების ძირითადი ტენდენციების გათვალისწინება. ამას გარდა, გარდამავალი ხანისაგან დაგვრჩა საცხოვრებელთა ნანგრევები (კახეთში), რომლებიც დიდად აფართოებს ჩვენს ცოდნას შუა საუკუნეთა მშენებლობის შესახებ.

თემატიკურად საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში რაიმე შესამჩნევი ცვლილება არ მომხდარა — მნიშვნელობის მხრივ ახლაც გუმბათიან ეკლესიებს ენიჭება უპირატესობა, მაგრამ განაგრძობდნენ სამნავიანი და სამეკლესიიანი ბაზილიკებისა და ცალნავიანი ეკლესია-სამლოცველოების შენებასაც. ძირითადი საშენი მასალა კვლავ ქვაა, მაგრამ თლილ ქვასთან ერთად გვხვდება ნატეხიც, რაც ხშირად ეკონომიური მოსაზრებითაც იყო გამოწვეული — მძიმე დრო იყო, ქვეყანას უჭირდა. კახეთში, VIII ს-ში, აქა-იქ აგურსაც იყენებდნენ რიყის ქვასა და ნატეხ ქვასთან ერთად. იცვლება ზოგი კონსტრუქცია: მაგ., ტრომპები თანდათანობით პანდანტივებს უთმობს ადგილს: VIII-IX საუკუნეებში არის შემთხვევა, როცა ტრომპი და პანდანტივი ერთდროულადაა გამოყენებული ერთსადაიმავე შენობაში, შემდეგ კი ტრომპები მთლიანად ქრება (საგულისხმოა, რომ ბიზანტიაში ტრომპები პირველად ამ დროს ჩნდება ეკლესიების

ერთ ტიპში, რომელსაც ასე უწოდებენ კიდეც—კუთხისტრომპებიანი ეკლესიაო. ამის ნიმუშებია დაფნის მონასტრის ეკლესია, ფოკიდის ხოზიოს-ლუკასი და სხვ.). თანდათან ქრება აგრეთვე მანამდე დიდად გავრცელებული ნალისებრი მოხაზულობა თაღებისა, კამარებისა და აფსიდებისა.

მაგრამ, როცა უამრავ იმდროინდელ ძეგლს გადაავლებ თვალს, მთავარი ის არის, რომ გეგმები, ხუროთმოძღვრული თემები ჭრელია, რაც წინა ხანის მკაცრი სტილის დათმობასა და ახალი ხუროთმოძღვრული გზების ძიებას მოწმობს. ჩნდება დეკორაციული და ცხოველხატული ტენდენციები, რაც X ს-ის შუა წლებში უკვე ახალი სტილის საბოლოო შემუშავებამდე მიგვიყვანს. ეს გარდამავალი ხანის დამახასიათებელი სურათია: ხან აქ, ხან იქ ამოტივტივდება ხუროთმოძღვრული თემები, ფორმები, დეტალები, რომლებიც ვერ მოიკიდებს ფეხს და მალე გაქრება (მაგ., ორგუმბათიანი ეკლესიის თემა, ან უყელო გუმბათი ორფერდა სახურავქვეშ და სხვ); მაგრამ სამაგიეროდ, აღმოცენდება ისეთი მოტივებიც და კომპოზიციებიც, რომლებიც შემდგომ განვითარდება და ხუროთმოძღვრული და დეკორაციული ფორმების ძირითად ფონდში დაიმკვიდრებს ადგილს. ამ ძიებათა პროცესში მაინც შეიქმნა ზოგი ნაწარმოები, რომლებიც არა მარტო ევოლუციის გაგების თვალსაზრისითაა საყურადღებო, არამედ შესანიშნავი მხატვრული ღირსებებითაც.

## გარდამავალი ხანის ხუროთმოძღვრების ისტორიული მიმოხილვა

ისეთი ძეგლის დასახელება, რომელიც შეიძლება ზუსტად VII ს-ის მეორე ნახევარს მიეკუთვნოს, გაგვიძნელდება, მაგრამ VIII და IX საუკუნეებისათვის მშვენიერი მაგალითები გვაქვს. ზოგი მათგანი ზუსტად დათარიღებულიც კია.

პირველად შეიძლება განვიხილოთ სამშვილდის დიდი საეპისკოპოსო ტაძარი. სამშვილდე (70 კმ-ზე თბილისის სამხრეთ-დასავლეთით) ოდესღაც აყვავებული ქალაქი იყო, შემდეგ დაცარიელდა და დღეს დიდებული ნანგრევების სახით-ღა დგას. თვით ტაძარი, მსგავსად რამდენიმე სხვა ცნობილი ძეგლისა, სიონად წოდებული, აგრეთვე დანგრეულია. შედარებით უკეთ გადარჩა მხოლოდ აღმოსავლეთი ნაწილი. წინა ხანის ძეგლთაგან სამშვილდე ყველაზე მეტად წრომის ტაძარს ენათესავება: ძირითადი სივრცე აქაც წარმოადგენდა აღმოსავლეთ-დასავლეთით წაგრძელებულ სწორკუთხედს, რომელიც აღმოსავლეთის მხარეს აფსიდებიანი საკურთხევლით, სადიაკვნითა და სამკვეთლოთი მთავრდებოდა. გუმბათი აქაც ოთხ ბოძს ემყარებოდა. წრომისაგან განსხვავებით, ტაძარს სამხრეთითა და ჩრდილოეთით მისდევდა გრძელი გალერეები, რომელთაც აღმოსავლეთ ბოლოში დამოუკიდებელი ეკვტერები ჰქონდათ. ამგვარად. გეგმა აქ შედარებით გართულებულია. გარეგნობაც დიდად მოგვაგონებს წრომს: აღმოსავლეთ ფასადზე კვლავ ნიშებია შუა სარკმლის ორ მხარეს, მაგრამ არის ნიშების მეორე წყვილიც. IV-VII საუკუნეების არქიტექტურასთან სამშვილდის სიონი ჯერ კიდევ დაკავშირებულია ხუროთმოძღვრული დეტალების დამუშავების ხასიათით, მკაცრი ფორმებითა და პროფილებით, თლილი ქვით მოპირკეთებული კედლების ფართოდ გაშლილი სიბრტყეებით, მორთულების სიმკაცრით.

მკვლევარნი სხვადასხვა მოსაზრებას გამოთქვამდნენ ძეგლის თარიღის შესახებ, უმთავრესად აღმოსავლეთის ფასადზე დარჩენილი გრძელი წარწერის ფრაგმენტთან დაკავშირებით, თუმცა ტაძრის ხუროთმოძღვრება თვითონაც საკმაოდ ბევრის მთქმელია. წარწერაში კი — მიუხედავად იმისა, რომ მისი უდიდესი ნაწილი დაღუპულია — მაინც შეიძლება გავარჩიოთ, რომ მეოცე წელს „მეფობისა კოსტანტინესა დაიდვა საძირკველი“, ხოლო შენება დასრულდა მესა-

მე წელს ლეონის მეფობისა. დამფუძნებელნი ყოფილან ქართლის პიტიახშთა შთამომავალნი („ნათესავით პიტიახშნი“) ვინმე ვარაზბაკური და იოვანე. ვინლა არიან აქ მოხსენებული მეფენი — კონსტანტინე და ლეონი? იყო გამოთქმული მოსაზრება, აფხაზთა მეფენი არიანო. მაგრამ დამტკიცდა, რომ ეს ბიზანტიის იმპერატორები კონსტანტინე V კოპრონიმე და ლეონ IV ხაზარი ყოფილან. ამით დადგინდა ტაძრის აშენების ზუსტი თარიღიც — 759-777 წლები. წარწერისავე თანახმად, ტაძრის სატფურება, ე.ი. კურთხევა მომხდარა „დღესა ენკენიასა“, ე.ი. სექტემბრის 13-ს, „დიდითა კრებითა“ და დიდი ზეიმით, რომელიც ექვს დღეს გაგრძელებულა. დამახასიათებელია ბიზანტიის ხელმწიფეთა მოხსენიება თბილისთან, ე.ი. არაბთა ამირას რეზიდენციასთან, ასე ახლო მდებარე ტაძარში და არაბთა ბატონობის განსაკუთრებული სისასტიკის დროს. ეს მოწმობს ეროვნული საზოგადოებრიობის გარკვეულ რეაქციას არაბთა უღლის წინააღმდეგ, მოწმობს — სწორედ ამასთან დაკავშირებით — ქართველ სასულიერო მოღვაწეთა სწრაფვას „ერთმორწმუნე“ მეზობელი ქვეყნისადმი.

წინა ხანის ხელოვნებისაგან დაშორება მკაფიოდ გამომჟღავნდა ორ სხვა ეკლესიაში, რომლებიც შიდა ქართლში მდებარეობს, თბილისის ჩრდილო-დასავლეთით, ქსნის ხეობაში. ეს ეკლესიებია წირქოლისა და არმაზისა.

ტაბ. 59 წირქოლი მდინარის მარჯვენა მაღალ ნაპირზე დგას, მთის კალთაზე, ციხის მახლობლად — ეს ციხე X ს-ის ამბებთან დაკავშირებით იხსენიება ქართულ მატიანეებში. ეკლესია დიდად დააზიანა მიწისძვრამ: აღმოსავლეთის კედელი შუაზე იყო გაგლეჯილი, ფრონტონის დიდი ნაწილი ჩამოიქცა, ფასადის ჩრდილოეთის ნაწილი გვერდზე გადაიზნიქა. ახლა, სერიოზული სარესტავრაციო მუშაობის ჩატარების შემდეგ, ძეგლს თავდაპირველი სახე დაუბრუნდა. ჩვეულებრივ ქართულ ეკლესიებთან შედარებით წირქოლის ეკლესია შეიძლება უჩვეულოდ მოგვეჩვენოს. ეს ორკალთიანი სახურავით გადახურული წაგრძელებული სწორკუთხედია; გარედან მარტივი მასებია, შეიძლება შენობა ერთნავიანი სამლოცველო გვეგონოს. ნამდვილად კი სურათი ბევრად უფრო რთულია: რომ აღარაფერი ვთქვათ საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდისა და მის გვერდით მდებარე ოთახების შესახებ (ეს ხომ აღმოსავლეთ ნაწილის ჩვეულებრივი აგებულებაა), აქ ბევრი რამ სრულიად მოულოდნელია: ცენტრალური კვადრატული სივრცე სფერული გუმბათითაა გადახურული, ხოლო დასავლეთი ნაწილი გაყოფილია ორ სართულად, რომელიც გუმბათქვეშა ნაწილს თაღოვანი მალებით უკავშირდება. საგანგებოდ აღსანიშნავია ისიც, რომ აქაური გუმბათი — „ნორმალური“ ქართული გუმბათებისაგან განსხვავებით — უყელოა, იგი უშუალოდ აზის კვადრატულ საფუძველს (ჯერ კიდევ ტრომპების საშუალებით) და გარედან სულაც არ არის გამოვლენილი. ამგვარად, აქ დარღვეულია ჯვარისა და წრომის დროინდელი ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი შესაბამისობა შიგა სივრცისა და გარე მასებისა. და მაინც ფასადთა დამუშავება და შენობის მშვენიერი პროპორციები, გარე მასის კომპაქტურობა და ლაკონიურობა ხუროთმოძღვრის უეჭველ ნიჭსა და ალღოს მოწმობს. შენობის გარეგნობა მხატვრულად მთლიან შთაბეჭდილებას ტოვებს. აღმოსავლეთის ფასადი სიმეტრიულია: ჰორიზონტალური სარტყლით გამოყოფილი, მარტივი კარნიზით დაგვირგვინებული ფრონტონი, ორმაგი თაღოვანი სარკმელი ფასადის ცენტრში და თითო ვიწრო სარკმელი მის ერთსა და მეორე მხარეს. მაგრამ უმთავრეს მახვილს შეადგენს დიდი სწორკუთხა ჩაღრმავება ფრონტონის ქვეშ, ფასადის მთელ სიგანეზე — იგი მკვეთრად გამოიყოფა კედლის ყვითელ ფონზე, რადგანაც აქ ჩასმული იყო რუხ-მოშავო შიფერის ორი უშველებელი ფილა.

ეტყობა, ეს ჩაღრმავება, რომელიც წირქოლის ტაძრის კერძო თავისებურებას წარმოადგენს, წარწერისათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ მისი გაკეთება ან ვერ მოუსწრიათ, ან გადაიფიქრეს. სამხრეთის ფასადიც სიმეტრიულია — შუა

ადგილი ერთმანეთზე წაბმულ სამ თაღოვან ბრტყელ ნიშას უჭირავს (მათი სიმაღლე ოდნავ სცილდება კედლის შუა წელს), შუა თაღში უბრალო სწორკუთხა შესასვლელია, ამის ზემოთ კი ორმაგი სარკმელი. ამ უკანასკნელის სათაური (თავსამკაული) საგანგებოდაა დამუშავებული წვრილი დეკორაციული თაღების მწკრივით და ცხოველების გამოსახულებით (ეს რელიეფი ძლიერ შებღალულია). დეკორაციული ტენდენციების ზრდას ისიც მოწმობს, რომ ქვემო თაღების მოსაჩარჩოებლად საღებავიც კი არის გამოყენებული (წითელი ფერისა). გარკვეულ დეკორაციულ ეფექტს ქმნის ფასადთა პერანგის წყობაც — აქ ერთმანეთს ენაცვლება მაღალი და დაბალი რიგები, მიღებული ქვების დაწყობით ყირაზე და დაწოლილად (ქვა — ძლიერ ნასვრეტოვანი ტუფია). წირქოლის ტაძარი VIII საუკუნით თარიღდება მისი ხუროთმოძღვრებისა და მორთულობის ანალიზით. რაიმე წერილობითი საბუთები მისი აშენების შესახებ არ დარჩენილა.

სამაგიეროდ მეორე ძეგლს — ა რ მ ა ზ ს — ზედვე აწერია ზუსტი თარიღი 864 წელი: ეს პირველი ქართული ეკლესიაა, რომლის თარიღიც პირდაპირ არის მითითებული წარწერაში (ეს ძეგლი მცხეთის არმაზთან არ უნდა აგვერიოს). არმაზის ეკლესია წირქოლისას, უპირველეს ყოვლისა, იმით ენათესავება, რომ გუმბათი აქაც დამალულია: ესეც უყელოა — მაშასადამე, უსარკმლოც — და ორკალთიანი სახურავის ქვეშაა მიჩქმალული. მაგრამ აქ გუმბათი გარე კედლებს კი არ ეყრდნობა (ასეა წირქოლში), არამედ ოთხ ბოძს. ამას გარდა, ეკლესიას სამხრეთიდან და დასავლეთიდან დიდი გარშემოსავლელი აქვს. გუმბათქვეშა ბოძების მძიმე სვეტისთავებისა და კანკელის სამკაულები, ზოგი კონსტრუქციული ელემენტი, მაგ., საკურთხევლის გვერდით მდებარე ოთახში ქვის საფეხურებიანი „გვირგვინის“ გაკეთება კამარის ნაცვლად — მოწმობს, რომ ხუროთმოძღვარი შორდება ძველ, შემუშავებულ ფორმებს და სიახლეს ეძიებს; მაგრამ ეს ძიება აქ ჯერ კიდევ ვერ აღწევს მხატვრული სიმწიფის დონეს.

გარდამავალი ხანის უმნიშვნელოვანეს ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება VIII-IX საუკუნეების ორი ძეგლი კახეთში. ორივეს „ყველაწმინდა“ ეწოდება: ერთი გურჯაანთანაა, მეორე ვაჩნაძიანის (ახლანდელი შრომის) მახლობლად.



ვ ა ჩ ნ ა ძ ი ა ნ ი ს ყ ვ ე ლ ა წ მ ი ნ დ ა მთებშია, დაბურულ ტყეში. ეკლესია დიდი ხანია მიტოვებულია, ახლო-მახლო მოსახლეობაც არ იყო და შენობა ხეებმა და ეკალ-ბარდებმა დაფარა იმდენად, რომ ახლა მისი გარედან გადაღება თითქმის შეუძლებელია. იგი კუპოლ-ჰალეს ტიპს მიეკუთვნება, ე. ი. მისი ძირითადი ნაწილი შეადგენს წაგრძელებულ ნავს, რომლის ცენტრშიაც აღმართულია სიგრძივი კედლების შვერილებზე დაყრდნობილი გუმბათი. მაგრამ შუა ნავის გარშემო მოთავსებულია გარშემოსავლელი, აგრეთვე სადიაკვნე და სამკვეთლო. ტაძრის საერთო კომპოზიცია ნებას გვაძლევს, რომ ვაჩნაძიანის ყველაწმინდა მივიჩნიოთ ჩვენთვის უკვე ცნობილი ტიპის — სამეკლესიიანი ბაზილიკის — თავისებურ გადამუშავებად. ტრომპების ნაცვლად გუმბათისა და გუმბათქვეშა კვადრატის დამაკავშირებელ კონსტრუქციად უკვე აფრები (პანდანტივები) იხმარება, მაგრამ არც ტრომპია უგულებელყოფილი: მას იყენებენ დამატებითს სადგომებში და აგრეთვე ნავის გვერდის ნიშებში, რომლებიც კონქებითაა გადახურული.

ტაძრის ინტერიერი ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს. პირველი, რაც თვალს ხვდება წინა დროის ძეგლებთან (მაგ.: ჯვართან, წრომთან, ატენთან) შედარებით — პროპორციათა სრული შეცვლაა: წარმოიშვა სწრაფვა ზემოთკენ, სივრცე დავიწროვდა და ამაღლდა, სიგრძივი ღერძიც უფრო მკაფიოდაა ხაზგასმული. საერთო აღნაგობა, ნაწილთა ურთიერთშეთანხმება გასაოცრად ჰარმონიულია; ხუროთმოძღვრის მიერ ყველაფერი გააზრებულია, თვით შუქის წყაროთა განლაგებაც — გუმბათის ყელში, რომელიც აგრეთვე ამაღლდა, საკურთხეველში, გვერდის კედლებში. ვაჩნაძიანის ტაძარი ერთი წინამორბედთაგანია მომდევნო

ტაბ. 68



ეპოქისა, ხოლო თავისი მხატვრული ღირსებებით უეჭველად მიეკუთვნება თავისი დროის ყველაზე შესანიშნავ ძეგლთა რიცხვს.

გ უ რ ჯ ა ა ნ ი ს ყ ვ ე ლ ა წ მ ი ნ დ ა, რომელიც შიგა სივრცის პროპორციით ვაჩნაძიანის მსგავსია, ერთადერთი ორგუმბათიანი ეკლესიაა საქართველოში: ეს თემა დამახასიათებელი იყო შემოქმედებითი ძიების ხანისათვის, მაგრამ ეღარ განვითარდა. ინტერიერის აღქმისას დაბალყელიანი გუმბათები დიდ როლს არ თამაშობს, სამაგიეროდ განსაკუთრებით მეტყველია დასავლეთის კედელი, ერთიანად დაცხრილული ღია თაღოვანი მალებით: სულ ქვემოთ ერთი თაღია, რომელსაც ნავის თითქმის მთელი სიგანე უჭირავს, ამის ზემოთ კი ორ-ორი ღია თაღი ორ რეგისტრად და კიდევ ერთი, მცირე, სულ ზემოთ. ეს ოთხი თაღი-სარკმელი მთავარ სივრცეს აკავშირებს მეორე სართულის დონეზე მოწყობილ გარშემოსავლელთან.



გარედან ეკლესიის მასები ბაზილიკურ ფორმას ქმნის, გამოყოფილი (მაღალი) შუა ნავით, რომლის თავზეც აღმართულია ორი თითქმის ერთნაირი გუმბათი. თუმცა ტაძრის აღნაგობა და პროპორციები განსხვავდება იმისგან, რასაც ჩვენ IV-VII საუკუნეებში შევეჩვიეთ, ეს რვაწახნაგოვანი დაბალი გუმბათისყელები, დამყარებული მკაფიოდ გამოკვეთილ კვადრატულ საფუძველზე, მაინც ძლიერ ახლოა ჯვარისა და სამწევრისის გუმბათებთან. ყველაზე უფრო საინტერესო სამხრეთის ფასადია, სადაც შესასვლელის ზემოთ მეორე სართულის გარშემოსავლელის ოთხი თაღია გახსნილი. კარი და სარკმლები მკვეთრად გამოიყოფა ფასადის დიდ, დაუნაწევრებელ ზედაპირზე და ძალიან მკაფიო რიტმულ მახვილს ქმნის მის ცენტრში. რიტმულობის შთაბეჭდილებას ზრდის შუა ნავის

ტაბ. 56, 57

სარკმლებიც და განსაკუთრებით ორი გუმბათის ყელი თავისი დასაფეხურებული საფასადო სიბრტყეებით და მათ შუა დატოვებული ინტერვალით. რა თქმა უნდა, საერთო შთაბეჭდილებისათვის მნიშვნელობა აქვს — ისევე, როგორც კახეთის თითქმის ყველა სხვა ძეგლში, გვიანდელთა გარდა — კედლების საშენ მასალას — არა თლილ ქვას, არამედ კარგად შერჩეულ მსხვილ რიყის ქვას, რომელიც წესიერ, მკაფიოდ გამოყვანილ, ჰორიზონტალურ რიგებადაა დაწყობილი. ეს ზედაპირის ძალიან ცხოველხატულ ფაქტურასა და შუქ-ჩრდილის შეპირისპირებათა საშუალებას ქმნის. შიგნით კედლები და გუმბათები აგურისაა.

გარდამავალი ხანის ბოლოს, X ს-ში, საქართველოს სხვადასხვა პროვინციებში ვხვდებით გუმბათიანი ეკლესიების მანამდე უცნობ ექვსაფსიდიან ტიპს. ეს ტიპი, ალბათ, წარმოიშვა, როგორც ტეტრაკონქის ძველი ტიპის ერთგვარი დეკორაციული გადამუშავების თუ განვითარების შედეგი. თუ არ ჩავთვლით ზემოთ განხილულ ნინოწმინდის ტაძარს (VI ს.), ეს ერთადერთი სახეობაა ქართული გუმბათიანი ტაძრებისა, რომელშიაც გუმბათი კვადრატს არ ეყრდნობა — მის დასაყრდნობად აქ გამოყენებულია რადიალურად განლაგებული აფსიდების ექვსი შვერილი. გარედან ექვსაფსიდიანი ეკლესიები შედგება ორი, ერთმანეთზე შესმული წახნაგოვანი ცილინდრისაგან: ქვემო, უფრო ფართო, შეიცავს თვით აფსი-

ტაბ. 60

დებს, ზემო — გუმბათის ყელია. ამ ტიპის ცალკეული ნიმუშები საკუთარი თავისებურებებით გამოირჩევა: გ ო გ ი უ ბ ა შ ი (სამხრ. საქართველო, ახლა თურქეთშია) ექვსივე აფსიდი თანაბარია და გეგმა სრულიად სიმეტრიულია, იგი თანაბარზომიერად ვითარდება შუა ვერტიკალური ღერძის გარშემო; კ ი ა ლ მ ი ს-ა ლ თ ი ს ა და ო ლ თ ი ს შ ი (ეს ძეგლებიც თურქეთშია) აღმოსავლეთის აფსიდი — საკურთხეველი — გამოყოფილია, იგი გამოშვერილია საერთო აბრისიდან და, ამგვარად, შიდა სივრცეში გარკვეული ლოგიკური მახვილია დასმული. ყოველი ნიმუშის დასახასიათებლად გარკვეული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე აფსიდების

ტაბ. 61

სიღრმეს, ბემების არსებობას ან არ არსებობას აფსიდების წინ. მაგ., ბ ო ჭ ო რ მ ი ს ციხის ეკლესიაში (კახეთში), ბემები მკაფიოდ განაცალკევებს აფსიდებს

გუმბათქვეშა სივრცისაგან; კაცხში (იმერეთში), რომელიც ამ ტიპის უკანასკნელი ნიმუში უნდა იყოს (აშენებულია X-XI საუკუნეთა მიჯნაზე), უფრო განვითარებული გეგმაა — მთავარ ბირთვს ემატება გარშემოსავლელი, რომელიც გარედან მესამე (ქვემო) საფეხურს ქმნის. გენეტიკურად ამავე თემასთანაა დაკავშირებული ორი სახელგანთქმული ძეგლი — X ს-ის მეორე ნახევრის კუმურდო და XI ს-ის დასაწყისის ნიკორწმინდა. მათ, ისევე, როგორც კაცხს, ქვემოთ შევეხებით, რადგანაც მთელი მათი ხუროთმოძღვრული და დეკორაციული დამუშავება უკვე მომდევნო ხანას მიეკუთვნება. აქ კი უნდა მოვიხსენიოთ ტაოსკარის ტაძარი (სამხრეთ საქართველო, ახლა თურქეთშია), უნიკალური ძეგლი რვა სწორკუთხა რადიალური მკლავით, რომლებიც გარედან დაბალსა და ფართო თექვსმეტწახნაგაშია ჩასმული.


ტაოსკარი

გოგიუბასა და კიაღმის-ალთის* ფასადებზე, რომლებიც თლილი ქვითაა მოპირკეთებული, უკვე მოცემულია დეკორაციული თაღედი. თაღები ეყრდნობა შეწყვილებულ შვეულ ლილვებს. ეს სისტემა საბოლოოდ შემუშავდება X ს-ის დიდ საეპისკოპოსო ტაძრებში და შემდეგ ძალიან ფართოდ გავრცელდება.

სამხრეთ საქართველოშივე აშენდა X ს-ში ბაზილიკების ყველაზე საინტერესო გვიანა ნიმუშები. ერთი მათგანი, ოთხთა ეკლესია (ახლა თურქეთშია, ჭოროხის ხეობაში) წარმოადგენს წერილობითი წყაროებიდან ძველთაგანვე ცნობილი მონასტრის მთავარ ტაძარს. იგი მოხსენებული აქვს გიორგი მთაწმინდელს გამოჩენილ სასულიერო მოღვაწეთა, ათონის ქართული მონასტრის დამაარსებელთა, იოანე და ექვთიმე მთაწმინდელების ცხოვრებაში. თვით ბაზილიკის წარწერაში კი ცოცხლად იხსენიება 1001 წელს გარდაცვლილი მეფე დავით კურაპალატი. ბაზილიკა სამნავიანია, აქვს სადიაკვნე და სამკვეთლო, დასავლეთით კი პატრონიკე, რომელიც, შესაძლებელია, გვიან იყოს ჩამატებული. ტაძრის ზეატყორცნილი „გუთური" პროპორციები, ძლიერ გამოყოფილი შუა ნავი, სახურავთა ციცაბო კალთები, ფასადთა დამუშავება ვიწრო და მაღალ დეკორაციული თაღებით — მკვეთრად განასხვავებს ოთხთა ეკლესიას ძველი ბაზილიკებისა და, უპირველეს ყოვლისა, ბოლნისისაგან. ეს ნიშნები ასახავს ქართული ხუროთმოძღვრების საერთო ტენდენციებს განვითარებული შუა საუკუნეების ხანის მიჯნაზე. შენობა მაინცადამაინც დიდი არ არის — შიგნითა ზომებია დაახლ. 25,5 X 15,5 მ... კედლები აგურითა და ქვაყორითაა ნაშენი, პერანგი — მორუხო-მოყავისფრო თლილი ქვისაა. X ს-სათვის დამახასიათებელია, რომ ცალკეული ქვაზე ნაკვეთი დეკორაციული ელემენტები შიგნითაც არის. ამას გარდა, ინტერიერი მოხატულიც ყოფილა — საკურთხეველში დარჩენილია მხატვრობის კვალი.



ბაზილიკის გვერდით მონასტრის სატრაპეზო და დიდი სამნავიანი შენობაა (როგორც ფიქრობენ, სემინარია), აგრეთვე პატარა სამლოცველო, რომლის ქვეშაც სამარხია.

ძალიან ახლო დგას ოთხთა ეკლესიასთან პარხლის მონასტრის ეკლესია — ესეც სამხრეთ საქართველოშია, ტაოში. პარხალი აშენდა 973 წელზე ცოტა ადრე, როდესაც შესანიშნავმა კალიგრაფმა („მწერალმა") იოანე ბერამ შატბერდის მონასტერში გადაწერა და პარხალს შეწირა სახარება, რომელიც ლიტერატურაში ცნობილია პარხლის ოთხთავის სახელით. სახარების ერთ-ერთ მინაწერში ნათქვამია: „წინაშე ახალსა ეკლესიასა, ახალსა საკურთხეველსა ზედა დაიდვა სადიდებლად ღმრთივ გვირგვინოსნისა მეფეთა მეფისა... დავით მაგისტროსისაო" (ეს იგივე დავით კურაპალატია, მაგრამ 973 წელს მას მაგისტროსის წოდება ჰქონდა).



პარხლის პროპორციები კიდევ უფრო „ციცაბოა", ვიდრე ოთხთა ეკლესი-

* ეს სახელები, ცხადია, გვიანდელია, თურქული. ძველი ქართული სახელწოდებები დაკარგულია.

ისა, შუა ნავი კიდევ უფრო მკვეთრად გამოიყოფა და დეკორაციული თაღებიც მეტი ძალითაა მისწრაფებული ზემოთკენ. ორსავ ეკლესიაში, განსაკუთრებით პარხალში, ფასადთა ჩუქურთმა უკვე გარკვეულ როლს თამაშობს, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ ცალკეულ მახვილთა მნიშვნელობას ვერ სცილდება. პარხალში ეს სამკაულია სარკმელთა სათაურები და გრეხილით მორთული ჯვრები. არის ცხოველთა რელიეფური გამოსახულებებიც, რომლებიც საერთოდ დიდად პოპულარულია სამხრეთ საქართველოს X ს-ის საფასადო ქანდაკებაში. მაგრამ პარხლის მორთულობას კიდევ ერთი განსაკუთრებული თავისებურება აქვს: შუა ნავის სიგრძივი კედელი, რომელიც აგრეთვე დეკორაციული თაღებითა და შეწყვილებული შვეული ლილვებითაა დანაწევრებული, დამატებით შემკულია საღებავით შესრულებული გამოსახულებებით — მარაოსებრი სათაურებით სარკმლებს ზემოთ, ჯვრებით, დისკოებით და სხვ.. ამას გარდა, მთელი ეს კედელი აჭრელებულია საინტერესო შინაარსის წარწერებით, რომლებშიაც მოხსენებულნი არიან ის პირები, ვინც იღვაწა ტაძრის შესამკობად. ეს თავისებური ex voto-ებია.

გარდამავალი ხანის საეკლესიო არქიტექტურის რეპერტუარი მხოლოდ ზემოგანხილული ტიპებითა და ნიმუშებით არ ამოიწურება. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ ეპოქას სწორედ თემათა, ფორმათა და გეგმათა დიდი მრავალგვარობა და სიჭრელე ახასიათებს. აქ ყველაფრის განხილვა შეუძლებელია, მაგრამ ორიოდე მაგალითი უკეთ დაგვანახებს ძიებათა მრავალფეროვნებასა და სიჭრელეს:



ტაბ. 63





ო პ ი ზ ი ს სახელგანთქმული მონასტრის მთავარი ეკლესია (სამხრეთ საქართველოშია, კლარჯეთში. ეს ერთი უძველესი სამონასტრო ცენტრთაგანია, რომელიც ერთი პირველთაგანი აღდგა არაბების შემოსევის შემდეგ — ჯერ კიდევ VIII ს-ში). შენობა ჯვაროვან-გუმბათიანია, ყელიანი გუმბათით, რომელიც კედლის შვერილებს (და არა ბოძებს) ეყრდნობა, და ძალიან გრძელი ერთნავიანი დასავლეთი მკლავით. ერთბაშად იპყრობს ყურადღებას უჩვეულო გუმბათის ყელი, აღდგენილი X ს-ის პირველ ნახევარში: მას თორმეტი წახნაგი აქვს და ყოველი მათგანი საკუთარი ფრონტონითაა აღჭურვილი, რის გამოც კარნიზი ჰორიზონტალურის ნაცვლად ტეხილი გამოდის, ხოლო სახურავი სანახევროდ გაშლილ ქოლგას ემსგავსება. საქართველოში რამდენიმე მსგავსი მაგალითი გვაქვს. რა თქმა უნდა, ეს მაგალითები დეკორაციულობისადმი ინტერესის გაძლიერებას მოწმობს: ამ ტეხილ ფორმას ხომ არც ფუნქციური გამართლება ჰქონდა და არც კონსტრუქციული, პირიქით, მხოლოდ ართულებდა საქმეს. ოპიზის გუმბათის ყელზედაც დეკორაციული თაღედია, რომელიც X ს-ში უკვე სავალდებულო გახდა. ოპიზაში ბევრი სამონასტრო შენობა იდგა, ერთი მათგანი — დიდი სამნავიანი დარბაზი — ალბათ სატრაპეზო იყო.

ბ ი ჭ ვ ი ნ ტ ი ს ტ ა ძ ა რ ი, კიდევ ერთი ნიმუში X ს-ისა, შავი ზღვის სანაპიროზე. XIV-XVIII საუკუნეებში ეს დასავლეთ საქართველოს კათალიკოსთა ტახტი იყო. ესეც ჯვაროვან-გუმბათოვანი ნაგებობაა, მაგრამ აქვს ნართექსი (დასავლეთით) და სამი შვერილი აფსიდი (აღმოსავლეთით); ერთიც და მეორეც საგანგებოდ უნდა აღინიშნოს: ნართექსი საქართველოში საერთოდ ძალიან იშვიათია, შვერილი აფსიდები კი ახასიათებს ადრინდელ ეკლესიებს, უფრო გვიან — დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, შავი ზღვის სანაპიროს ძეგლებს (თუმც აქაიქ აღმოსავლეთ საქართველოშიაც გვხვდება). ტაძრის დასავლეთის მკლავი სამმხრივი პატრონიკეთია აღჭურვილი. გუმბათი ემყარება საკურთხევლის კედლების შვერილებსა და ორ ბოძს — ეს თემა უფრო გვიან საქართველოში მტკიცედ მოიკიდებს ფეხს. კედლები აგურისა და ქვის რიგების მონაცვლეობითაა ნაწყობი. ბიჭვინტის ტაძარი და აგრეთვე აფხაზეთის მიწაზე მდებარე რამდენიმე ძეგლი ორგანულადაა ჩართული ქართული ხუროთმოძღვრების განვითარება-

ში, მაგრამ მათი გარეგნობა, საქართველოს სხვა ნაწილების ძეგლთაგან განსხვავებით, ამჟღავნებს გარკვეულ მსგავსებას ბიზანტიურ შენობებთან. ტაბ. 64, 65

ზემოთ ვახსენეთ ამ ეპოქის სამოქალაქო შენობები — VIII-IX საუკუნეთა სასახლეები. ყველა ეს სასახლე კახეთშია. ნ ე კ რ ე ს ი ს მონასტერსა და ვ ე რ ე მ შ ი საეპისკოპოსო სასახლეებია, ვ ა ჩ ნ ა ძ ი ა ნ ს ა და ვ ა ნ თ ა შ ი — ფეოდალთა საცხოვრებლები. ტიპით ყველა ერთმანეთს ენათესავება: ეს გრძელი სწორკუთხა ორსართულიანი შენობებია. ჩვეულებრივ, არ არის არავითარი შვერილი, არც აივანი ან ლოჯია. ქვემო სართული დამხმარე სადგომებისთვისაა, უფრო დაბალია, მცირე სარკმლებით; ზემო — საცხოვრებელი და საზეიმოა. აქ, ჩვეულებრივ, მიყოლებით (ანფილადის წესით) დალაგებული ერთი დიდი დარბაზი და უფრო მცირე ოთახებია. მთავარი ფასადის მხარეს, რომელიც ხეობას ან ფართოდ გაშლილ ველს გადაჰყურებს, დიდი თაღოვანი სარკმლების მწკრივია. ფართო სარკმლები, რომლებიც იატაკიდანვე იწყება, უშუალოდ და მჭიდროდ აკავშირებს დარბაზის ინტერიერს გარემო ბუნებასთან — ლანდშაფტთან. ამგვარი კონტაქტი ყველა სასახლის აუცილებელი ნიშანია. მაგალითად, ალაზნის ველის თვალუწვდენელი პანორამა იშლება ნეკრესის სასახლიდან, რომელიც ზედ ხრამის პირასაა დაკიდული. დარბაზებში უზარმაზარი ბუხრებია — ასეთ ბუხარში მთელი ირმის შეწვა შეიძლებოდა; ქართველი ფეოდალები არ განსხვავდებოდნენ სხვა ქვეყნების ფეოდალთაგან — ნადირობა მათთვისაც ერთი უმთავრესი და უსაყვარლესი საქმეთაგანი იყო. ეკლესიებისაგან განსხვავებით, სასახლეების დარბაზებს ხის ბრტყელი კოჭებიანი გადახურვა ჰქონდა; სახურავები ორკალთიანი იყო. სარკმლის თაღები ჯერ კიდევ ინარჩუნებს მკაფიო ნალისებრ მოხაზულობას. კედლები რიყის ქვისაა — გარედან შელესილი ნაკერები ჰქონდა, შიგნით კი ერთიანად შელესილი იყო. დიდად დასანანია, რომ სასახლეთა დღევანდელი მდგომარეობის გამო, არაფერი არ ვიცით მათი გამართულობის შესახებ. ამ მხრივ ქართული საერო ხუროთმოძღვრების მდგომარეობა ვერ შეედრება დასავლეთ ევროპულისას. ტაბ. 66-68

ამ სასახლეებს შეიძლება დავუკავშიროთ იყალთოს აკადემიის შენობაც — ორსართულიანი, დიდი, ოცმეტრიანი დარბაზით ზემო სართულში, სადაც, ალბათ სამეცნიერო კრებები იმართებოდა. ტაბ. 67

დაახლოებით X ს-ის შუა წლებში და, მით უფრო, მომდევნო ათეულ წლებში, ახალი სტილის ნიშნები უკვე გამოკვეთილი და შემუშავებულია. იწყება ახალი „დიდი ეპოქა" ქართული ხუროთმოძღვრებისა, დაკავშირებული თვით ქვეყნის ცხოვრების ახალ ისტორიულ საფეხურთან.

## სახელმწიფოს გაერთიანების ხანის (X ს-ის ნახევრიდან XIII ს-ის დასასრულამდე) ქართული კულტურა. ხუროთმოძღვრების ზოგადი დახასიათება

ეს არის ხანა, როდესაც ფეოდალური სისტემა თავის სრულ განვითარებას აღწევს. პოლიტიკური თვალსაზრისით უმთავრესი ფაქტორი, რომელმაც ეროვნული კულტურის მთელი შემდგომი განვითარება განსაზღვრა — გაერთიანებისათვის ბრძოლაა; როგორც შესავალში აღვნიშნეთ, XII ს-ის დასაწყისში იგი სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა.

გაერთიანება მომზადებული იყო წინა ევოლუციით — საქართველოს ცალკეულ ნაწილთა კულტურული და ენობრივი ერთიანობით, მათი ეკონომიური ურთიერთსწრაფვით, პოლიტიკური აუცილებლობით. დაბრკოლება ბევრი და რთული იყო: ყოველი ფეოდალური საზოგადოების თანდაყოლილი თვისება — მძლავრი ცენტრგამსრბოლი ძალები; საქართველოს ნაწილის ოკუპაცია უცხო-

ელთა მიერ; საკუთრივ ქართულ და მეზობელ სახელმწიფოთა პოლიტიკური ინტერესების ურთულესი ხლართი; ამ უკანასკნელთა ბუნებრივი სურვილი და ცდა, რომ შეენარჩუნებინათ საქართველოს დაქუცმაცება. მაგრამ ამ დაბრკოლებათა მიუხედავად, ერთიანი ეროვნული სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობა შიგნიდანვე, ორგანულად ჩაისახა და გაიზარდა; გაერთიანებისაკენ მისწრაფება ისტორიულად კანონზომიერი და, ამიტომ, გარდუვალი იყო. გაერთიანებამ კი არ დათრგუნა ეროვნული კულტურა, როგორც ეს ნაძალადევი გაერთიანებისას ხდება, როცა იგი ადმინისტრაციული წესით ტარდება, არამედ ხელი შეუწყო მის გამდიდრებასა და გაღრმავებას. მის ასვლას უფრო მაღალ საფეხურზე.

X ს-ის უკანასკნელი ათეული წლები და განსაკუთრებით XI საუკუნე — უკანასკნელი ეტაპი გაერთიანების წინ — დიდი ეროვნული აღტყინების ხანაა, ხანა დიდი შემოქმედებისა, ხანა, როდესაც ხალხის სულიერი ძალები დაძაბულია დიდი ეროვნული მშენებლობისათვის. შედეგი კულტურის ყველა დარგში იჩენს თავს.

ლიტერატურაში უმნიშვნელოვანესი ფაქტია საერო პროზისა და პოეზიის ჩასახვა. კორნელი კეკელიძე, ქართული მწერლობის გამოჩენილი მკვლევარი, ნათელს ხდის ამ ამბის მნიშვნელობას: „ქართველი ერი ეკუთვნის იმ ერთა ჯგუფს, რომელთაც თავის ენაზე შექმნეს მდიდარი ქრისტიანული კულტურა და დაამუშავეს შინაარსიანი საეკლესიო მწერლობა. იმავე დროს, ის ერთგვარ გამონაკლისსაც შეადგენს როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქრისტიან ერთა შორის: მაშინ, როდესაც აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანი ერები შებოჭილი იყვნენ საეკლესიო-სქოლასტიკური ბორკილებით, ქართველებმა, საეკლესიო მწერლობასთან ერთად, განავითარეს მდიდარი საერო მხატვრული მწერლობა, რომელსაც მხედველობაში ჰყავს ჩვეულებრივი ადამიანი ამქვეყნიური ცხოვრების პირობებში, მისი არა მარტო სულიერი, არამედ მატერიალური მოთხოვნილებებითა და მისწრაფებებით. ერთი სიტყვით, ჰუმანიზმი, რომელიც დასავლეთ ევროპის ისტორიაში შედარებით გვიანი მოვლენაა, ჩვენს წარსულში, ყოველ შემთხვევაში, XI-XII საუკუნიდან, ფაქტია".*

ამ ხანაშია შექმნილი სადევგმირო-ფანტასტიკური ეპოსი — მოსე ხონელის „ამირან-დარეჯანიანი", რომელშიაც გადმოცემულია ქართული ფეოდალური საზოგადოების ცხოვრების მკაფიო სურათი, თუმცა მოქმედება სხვა ქვეყნებშია გადატანილი; იმდროინდელია ფახრუდინ გურგანელის ცნობილი რომანის „ვისრამიანის" შესანიშნავი (თავისუფალი) თარგმანი; თამარის დროს ცხოვრობდნენ შავთელი და ჩახრუხაძე და, როგორც ცნობილია, სწორედ ეს ხანა დააგვირგვინა „ვეფხისტყაოსანმა", რომლის მნიშვნელობაც, რა თქმა უნდა, დიდად სცილდება ერთი ერის კულტურის ფარგლებს. XI-XII საუკუნეები, იმავე დროს, ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ხანაც არის—მისი კერები იყო ქართული მონასტრები უცხოეთში (მაგ., გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ XI ს-ში დაარსებული მონასტერი ბულგარეთის ახლანდელ სოფელ ბაჩკოვოში, ცნობილი პეტრიწონის სახელწოდებით) და საქართველოში (გელათი, იყალთო). ამავე ხანებს მიეკუთვნება მრავალი ქართული მატიანე — ჩვენი ქვეყნის მაშინდელი ისტორიის შესწავლის ძირითადი წყარო (სუმბატ დავითის ძის, ლეონტი მროველის, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ისტორიკოსთა თხზულებანი და სხვ.).

X-XII საუკუნეებმა მონუმენტური მხატვრობისა და ხელნაწერი წიგნის მორთულობის შესანიშნავი ნიმუშები დაგვიტოვა (იმდროინდელ ხელნაწერთა უმეტესობა სასულიერო შინაარსისაა, უპირველეს ყოვლისა, ეს სახარებებია, რომელთაგან ზოგი მრავალი ათეული და ასეული მინიატურითაა შემკული;

* კ. კეკელიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, თბ., 1952, გვ. 1.

კალიგრაფიული ოსტატობა — ხელნაწერები მრგვლოვანთა და ნუსხურითაა შესრულებული — უმაღლეს დონეზეა. გადარჩენილია ერთი საერთო ხელნაწერიც — XII ს-ის ასტრონომიული ტრაქტატი ზოდიაკოს ნიშნების ძალიან საინტერესო გამოსახულებებით. საერო მხატვრულ ნაწარმოებთა ორიგინალები არ გადარჩენილა). ფრიად დამახასიათებელია ინტერესის გაძლიერება რეალური ადამიანის ფიგურისადმი, მისი სწორი სკულპტურული გადმოცემისადმი, რომელიც თავს იჩენს ქართულ პლასტიკაში, უპირველესად, ოქრომქანდაკებლობაში—ამ დარგში საქართველომ განსაკუთრებულ მხატვრულ დონეს მიაღწია: VIII-IX საუკუნეებიდან მოყოლებული, უფრო კი X-XII საუკუნეებში შეიქმნა უამრავი პირველხარისხოვანი ნაწარმოები, რომლებმაც შუა საუკუნეების ქართულ ოქრომქანდაკებლობას ერთი უპირველესი ადგილთაგანი მოუპოვეს მსოფლიოში, თუ უპირველესი არა. დარჩენილია აგრეთვე გამოყენებითი ხელოვნების — კერამიკის, ლითონის ნაკეთობათა—ბევრი ნიმუში. ამ ეპოქაშივე — ჩვენთვის ახლა ეს უფრო საინტერესოა—უჩვეულო მასშტაბს აღწევს მშენებლობა.

მრავალ სავაჭრო-სახელოსნო ქალაქს, რომლებიც მაშინ ყვაოდა, ჩვენ ქართველ არქეოლოგთა გათხრების წყალობით ვიცნობთ. ასეთებია, მაგალითად, რუსთავი, სამშვილდე, დმანისი. ქალაქებში, სიმაგრეთა და საცხოვრებელ სახლთა გარდა, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებიც იყო—ქარვასლები, აბანოები, ქულბაქები (სავაჭროები), მაგრამ ყველა ეს შენობა იმდენად დაზიანებულია, რომ მათი არქიტექტურის შესახებ, მცირე გამონაკლისით, მსჯელობა არც კი ხერხდება. დიდი მშენებლობა იყო სხვა — დღესაც ცოცხალ — ქალაქებში, ყველაზე მეტი თბილისში, რომელიც 1122 წელს, დავით აღმაშენებლის მიერ უცხოელთა საბოლოოდ განდევნის შემდეგ, სრულიად საქართველოს დედაქალაქად იქცა. წერილობითი საბუთები და რეალურად დარჩენილი ნაშთები ადასტურებს გზების, ხიდების, წყალსადენთა და ფუნდუკების (სასტუმროების) მშენებლობას. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ მეფემ „აღაშენა ქსენონი (საავადმყოფო) ადგილსა შემსგავსებულსა და შუენიერსა, რომელსა შინა შეკრიბნა ძმანი, თვითოსახითა განცდილნი, და მოუმზადა ყოველი საჭმარი მათი უნაკლულოდ“. დავითი ზრუნავდა ავადმყოფებზე, „თვით მივიდის და მოილხინის, მოიკითხნის და ამბორს უყვის თვითეულსა, აფუფუნებდის მამებრ... მონახის თვისითა ხელითა ცხედრები (ზეწრები), სამოსლები და საგებელი მათიო“ და სხვ. ამ ეპოქაში აშენდა ციხე-ქალაქი თ მ ო გ ვ ი და მძლავრი ციხე-სიმაგრეები საქართველოს ყოველ კუთხეში — ციხეები განლაგებული იყო გარკვეული, კარგად მოფიქრებული, საერთო-სახელმწიფოებრივი სისტემის მიხედვით — ძირითად გზებზე და უმთავრესი ცენტრების გარშემო. ბუნებრივია, დიდი ადგილი უნდა სჭეროდა სამეფო და ფეოდალთა სასახლეებსაც: მატიანეში მათი ხსენება ხშირია, მაგრამ რეალურად სულ თითოოროლაა გადარჩენილი და ისიც დანგრეულია. საგანგებოდ უნდა მოვიხსენიოთ, რომ ამ დროს კვლავ ცოცხლობს კლდეში ნაკვეთი კომპლექსების მშენებლობა — ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ ამ სახის უმთავრესი ძეგლები სწორედ მაშინაა შექმნილი (უფლისციხის გარდა).

მაგრამ განვითარების ყველაზე სრულ, თანმიმდევარსა და ნათელ სურათს ამჯერადაც საეკლესიო არქიტექტურა წარმოგვიდგენს. X-XIII სს. ტაძრები, იმავე დროს, გაცილებით უკეთესადაცაა დაცული, ვიდრე სამოქალაქო და სათავდაცვო შენობები.

საკულტო არქიტექტურაში უმთავრეს ადგილს იჭერს გუმბათოვანი ტაძრის ტიპი მკაფიოდ ხაზგასმული სიგრძივი ღერძითა და მასებით, რომლებიც სივრცეში ჯვრის ფორმას ქმნის; ჯვრის მკლავების გადაკვეთის ადგილას აღმართულია მაღალყელიანი გუმბათი, რომელიც ოთხ ბოძს ეყრდნობა; დასავლეთის მკლავი გრძელია და მასში შეიძლება კიდევ იყოს ბოძები. საკურთხევლის აფსი-

დი ჩვეულებრივ გარე კედლების ოთხკუთხედის ფარგლებში რჩება, მაგრამ გვხვდება შვერილი აფსიდებიც: პირველად, X ს-ის მეორე ნახევარსა და XI ს-ის დასაწყისში, ხშირად მიმართავენ ტრიკონქის ტიპს, რომელიც ამის შემდეგ სრულიად ქრება; ტეტრაკონქები უკვე საბოლოოდ დავიწყებულია. უგუმბათო ეკლესიათაგან X ს-ის შემდეგ მხოლოდ ცალნავიანი განაგრძობს არსებობას; ბაზილიკებს—არც სამნავიანსა და არც სამეკლესიანს—აღარ აშენებდნენ. X ს-ის მეორე ნახევარსა და XI ს-ის პირველ ათეულ წლებს მიეკუთვნება საქართველოს ყველა უდიდესი კათედრალის (საეპისკოპოსო ტაძრის) შექმნა ან აღდგენა — ამ ძეგლებს მაშინდელ პირობებსა და ვითარებაში ზოგადსახალხო, ზოგადეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. არა მარტო შენობათა მასშტაბი გაიზარდა, არამედ პროპორციებიც არსებითად შეიცვალა: ზემოთკენ მისწრაფება, რომელიც უკვე გარდამავალი ხანის ძეგლებში იჩენდა თავს, ახლა უფრო თვალსაჩინო გახდა; ამას ხელს უწყობს მრავალწახნაგა და მრავალსარკმლიანი გუმბათის ყელის აზიდული პროპორცია და მისი სახურავის წვეტიანი პირამიდი. ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ეკლესიას აქვს კარიბჭეები დასავლეთით და, უფრო ხშირად, სამხრეთით (ზოგჯერ ორივე მხარესაც). ცხოველხატულობა, დინამიკურობა, დეკორაციული გაფორმების სიმდიდრე ამ დროს მხატვრული შთაბეჭდილების საფუძვლად იქცევა; ნაცვლად ბოლნისის, ჯვარის, წრომის მკაცრი ფასადებისა, ახლა ჩვენ ვხედავთ დეკორაციული თაღების მთელი სისტემით დატვირთულ ფასადებს — თაღები ზოგჯერ ოთხსავ მხარეს უვლის შენობას; კარნიზები, კარ-სარკმელთა საპირეები და სათაურები შემკულია ქვაზე ნაკვეთი სახეებით. ფასადთა კომპოზიციაში ჩართულია ჩუქურთმიანი ჯვრები, როზეტები, კვადრატები, ფიგურული რელიეფები (განსაკუთრებით X-XI საუკუნეებში) — ეს მორთულობა ხუროთმოძღვრული ნაწარმოების სრულუფლებიანი კომპონენტია. ქვაზე კვეთა დიდად ვითარდება; X ს-დან XIII-მდე შეიძლება თვალი გავადევნოთ განვითარების საფეხურებს: მსუბუქი, მცირე სიღრმის „გრაფიკული" ორნამენტიდან, რომელიც თითქოს ობობას ქსელივით ედება კედელს — XI და ნაწილობრივ, XII-XIII საუკუნეთა ღრმა, შუქ-ჩრდილის დაპირისპირებით გაცოცხლებულ, პლასტიკურ ჩუქურთმამდე, რომელშიაც განსაკუთრებულ როლს მცენარეული სახეები თამაშობს, დასასრულ, პერიოდის ბოლოს — მშრალ, დაქუცმაცებულ ორნამენტამდე. ტაძრის შიგნით კედლები და კამარები ერთიანად მოხატული იყო. მაგრამ ეს ცხოველხატულობა და დეკორაციულობა, მდიდარი სამკაული, რომელმაც ფასადთა სიბრტყეებზე თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა, ოდნავადაც არ არღვევს საერთო აღნაგობის ნათელ ტექტონიკასა და გეომეტრიულ სიცხადეს. ეს თვისება დამახასიათებელი იქნება ქართული ხუროთმოძღვრებისათვის მისი განვითარების ყველა საფეხურზე. ასევე, საუკეთესო ძეგლებში სამკაულისა და ხუროთმოძღვრულ ფორმათა, ხუროთმოძღვრული მთელის ურთიერთკავშირი მუდამ ლოგიკურია, ხოლო ჩუქურთმის შესრულება, თუმც კი არტისტული თავისუფლებისა და ერთგვარი იმპროვიზაციულობის ბეჭედს ატარებს, მუდამ ემორჩილება გარკვეულ შემუშავებულ კანონებს.

საშენი მასალების გამოყენებისა და კონსტრუქციების მხრივ პრინციპულად ახალი არაფერია. თლილ ქვას ფასადთა პერანგისთვის კვლავ უმთავრესი ადგილი უჭირავს, მაგრამ ახლა ოსტატები პოლიქრომიის ეფექტებსაც მიმართავენ და სამისოდ ერთსადაიმავე შენობაში სხვადასხვა შეფერილობის ქვას იყენებენ; კედლის კონსტრუქცია ორმხრივი მოპირკეთებისა და მათ შუა ამოვსებისაგან შედგება; მაგრამ XII ს-დან ტაძრის შიგნით, უმეტეს წილად, თლილ ქვას მხოლოდ ბოძებისა, პილასტრებისა და თაღებისთვის ხმარობდნენ, კედლების შიგაპირი კი ტლანქად დამუშავებული ქვისა იყო, რაკი მაინც მხატვრობით იფარებოდა; სახურავი ქვის ფილებისა ან კრამიტისა კეთდებოდა. დარჩენილია მთლი-

ანად აგურით აშენებული რამდენიმე ეკლესიაც, რომელთა ფასადები, ბუნებრივია, მოკლებულია იმ დროის ჩვეულებრივ მორთულობას. ციხესიმაგრეთა კედლები ნაშენია შედარებით უხეშად დამუშავებული და წესიერ რიგებად დაწყობილი თანაბარი კვადრებით, თაღი და კამარა ძველებურად რჩება გადახურვის უმთავრეს საშუალებად, მაგრამ ტრომპები და ნალისებრი მოხაზულობა საბოლოოდ უთმობენ ადგილს პანდანტივებსა და ნახევარწრიულ მოხაზულობას (ზოგჯერ ცენტრთან ოდნავ შეისრულს). დასასრულ: შესრულების ტექნიკური ხარისხი, რომლის დონეც დაქვეითდა VII-X საუკუნეთა ზოგ ძეგლში, კვლავ დიდ სიმაღლეს აღწევს.

## ხუროთმოძღვრების ისტორიული მიმოხილვა X საუკუნის მეორე ნახევრიდან XIII-XIV ს-თა მიჯნამდე

პირველი ნიმუშები, რომლებიც ამ ეპოქას შეიძლება მივაკუთვნოთ, ჯერ კიდევ ატარებს გარდამავალი ხანის ნიშნებს. მაგრამ, მეორე მხრივ, მათში უკვე საკმაოდ ნათლად იჩენს თავს ახალი სტილის ნიშნებიც.

ამ დროის — X ს-ის შუა ათეული წლების—ტიპური მაგალითია კ უ მ უ რ დ ო ს შესანიშნავი ტაძარი ჯავახეთში, ახალქალაქის მახლობლად. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ერთი მწვერვალთაგანია როგორც მხატვრული ღირსებებით, ისე ტექნიკური შესრულების დონითაც. ტაბ. 60-74

საბედნიეროდ, კუმურდო მიეკუთვნება იმ იშვიათ ქართულ ძეგლთა რიცხვს, რომელთაც თავისსავე კედლებზე აქვთ თავისი „პასპორტი"—სამშენებლო წარწერა, რომელშიაც მოხსენებული არიან კტიტორი (მშენებლობის მოთავე და ხარჯის გამღები) და ხუროთმოძღვარი, მითითებულია აგების თარიღი; არის სხვა წარწერებიც, რომლებიც ძეგლის შემდგომ ისტორიულ თავგადასავალს ასახავს.

მთავარი წარწერა გვაცნობებს, რომ ტაძარი აგებულია ხუროთმოძღვარ საკოცარის მიერ ლეონ მეფის დროს, „ერისთვობასა ზვიასსა", „ქრონიკონსა რპდ", ე. ი. 184 ქრონიკონს, რაც ქრისტიანული წელთაღრიცხვით 964 წელს უდრის. XI საუკუნეში, მეფის ბაგრატ IV დროს, სამხრეთიდან ეკლესიას მიაშენეს ღია ექვტერი, რომლის თაღებიც უფრო გვიან ამოქოლეს. XVI ს-ში ტაძარი გადააკეთეს, შემდეგ კი ძლიერ დაზიანდა, შესაძლებელია, მიწისძვრისაგან: გუმბათი ჩამოიქცა, ხოლო დასავლეთი ნაწილი ჩაშენებით დაამახინჯეს. და მაინც, დანგრეული ტაძარიც უძლიერეს შთაბეჭდილებას ტოვებს.

ზემოთ ჩვენ კუმურდო მოვიხსენიეთ, როგორც გეგმის მხრივ გენეტიკურად ექვსაფსიდიან ეკლესიების ტიპთან დაკავშირებული. ეს ტიპური „გარდამავალი" ძეგლია სწორედ გეგმის თვალსაზრისით: შიგნით, გუმბათქვეშა ექვსწახნაგას გარშემო, განლაგებულია შენობის ცენტრისკენ გახსნილი ხუთი ღრმა აფსიდი: ორ-ორი, ერთმანეთის პარალელურად მოთავსებული — სამხრეთითა და ჩრდილოეთით, ერთი, ყველაზე უფრო ღრმა—აღმოსავლეთით. დასავლეთის ღაგრძელებული მკლავი, სწორკუთხა მოხაზულობისა, ბოძებით სამ „ნავად" იყო გაყოფილი. გუმბათი ეყრდნობა აფსიდების შვერილებზე წაბმულ წახნაგოვან ბოძებს. მაგრამ ექვსაფსიდიან ეკლესიებისგან განსხვავებით, გარედან ეს შიგა გეგმა ჩასმულია სწორკუთხამკლავებიანი წაგრძელებული ჯვრის ფორმაში, რომელიც გამოყენებულია X-XI სს. მიჯნის ზოგ სხვა ძეგლშიაც. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, კუმურდოს გეგმაში თითქოს შეთავსებულია წარსული და მომავალი — მრავალაფსიდიანობა, რომელსაც არ გადმოულწევია X-XI სს-თა მიჯნის ტაბ. 70

აქეთ, და წაგრძელებული სწორკუთხა გეგმა, დამახასიათებელი მთელი მომდევნო ხანის საეკლესიო არქიტექტურისათვის.

გარევნული იერით კუმურდო უკვე ახალ დროს მიეკუთვნება. ამას მოწ-
მობს აზიდული პროპორციებიც, აღმოსავლეთისა და გვერდის ფასადების სამ-
ტაბ. 74 კუთხა ნიშებიც (მოტივი, რომელიც შემდეგ დიდად გავრცელდა), სარკმელთა
მოჩუქურთმებული საპირეებიცა და ჩუქურთმიანი ჯვრებიც. ჩუქურთმის კვეთა
ფაქიზია, განსაცვიფრებლად რაფინირებული; ნახატი მცენარეული მოტივებისა
ტაბ. 71 და გეომეტრიული წნულისგან შედგება. მორთულობის სისტემაში ჩართულია
რელიეფური ქანდაკებებიც: საკურთხევლის სარკმლის მორთულობაში ოთხი
ტაბ. 73 მახარებლის სიმბოლოებია — ანგელოზი, ლომი, ხარი, არწივი; შიგნით, გუმბათ-
ქვეშა აფრებში (აღმოსავლეთის მხარეს) გამოსახული არიან საქართველოს მე-
ფის ბაგრატ III დედა გურანდუხტ დედოფალი და მისი ძმა, ლეონ მეფე.

კუმურდოს კედლები, უპირველეს ყოვლისა, გვხიბლავს თავისი ფერის სილამაზით: პერანგის ქვა მოვარდისფროა, ღრმა, ინტენსიური ტონისაა; აქა-იქ კი თითქოს შემთხვევით (სინამდვილეში კი, ღრმად მოფიქრებულად) „ჩაწვეთებულია“ სისხლისფერი „ლაქები“ (ჯვარი და სარკმლის სათაური აღმოსავლეთ ფასადზე), რაც განსაკუთრებით ამაღლებს უნაკლო ოსტატობით ნაწყობი კედლების ფართო ზედაპირთა ფერადოვან ძალას. ოსტატობის დონე მართლაც საკვირველია — მისი კვალი აჩნია ქვის დამუშავებასაც, კედლის წყობასაც, ყოველი თაღის მოხაზულობასა და ჩუქურთმათა შესრულებასაც. ხოლო შიგა სივრცე — შუა ექვსკუთხედი მძლავრად ატყორცნილი ბოძებით, ვირტუოზულად გამოყვანილი საპჯენი თაღებითა და კამარებით, ცალკეულ ნაწილთა ღრმად გააზრებული შეფარდება იტაცებს და აღელვებს მნახველს დიდებულებითა და კეთილშობილი სიმკაცრით.

ტაბ. 75-78, 80 კიდევ უფრო მეტად უახლოვდება ახალი დროის ნორმებს ო შ კ ი ს მონუმენტური საეპისკოპოსო ტაძარი (სამხრეთ საქართველო, ტაო). იგი მთიან ადგილას მდებარეობს, ვიწრო ხეობაში თორთუმის წყლის მარცხენა მაღალ ნაპირზე. შენობა აგებულია საგანგებო სუბსტრუქციაზე, რომელშიაც სამარხებია მოწყობილი. ძეგლის აგების შესახებ მოგვითხრობს სამხრეთის კედლის ძალიან გრძელი წარწერა, რომელიც ბევრ უაღრესად საინტერესო ისტორიულსა და საყოფაცხოვრებო ცნობას შეიცავს. მისი წყალობით ვიცით, რომ დამფუძნებლები ყოფილან ტაოს მფლობელი ბაგრატიონები — ბაგრატ ერისთავთ ერისთავი და დავით მაგისტროსი (იგივე დავით კურაპალატი, სახელგანთქმული პოლიტიკური მოღვაწე, ოთხთა ეკლესიისა და პარხლის მაშენებელი); რომ მშენებლობას ხელმძღვანელობდა გრიგოლი, რომელიც რელიეფურადაა გამოსახული სამხრეთის გალერიის ერთ-ერთ ბოძზე. წარწერაში არის ცნობები გაწეული ხარჯისა და საშენი მასალის შესახებაც. ტაძრის დაწყების თარიღია X საუკუნის 50-60-იანი წლები.

ოშკის გეგმა ჯვარისებრი მოხაზულობისაა; ეს არის ტრიკონქი, ე. ი. ჯვრის სამი მკლავი—აღმოსავლეთისა, სამხრეთისა და ჩრდილოეთისა—ნახევარწრიული აფსიდებით მთავრდება, მეოთხე კი — დასავლეთისა — წაგრძელებული და ერთნავიანი, უაფსიდოა. სამივე აფსიდის ერთსა და მეორე მხარეს ორ სართულად მოთავსებულია დამხმარე სადგომები. ჯვარისებრი მოხაზულობა შენარჩუნებულია გარედანაც, მაგრამ აფსიდების სიმრგვლე არ მჟღავნდება: გარედან მკლავები სწორკუთხაა. დასავლეთის მკლავის სამხრეთი კედლის გასწვრივ გაყოლებულია ღია გალერეა: მისი ბოძები (მდიდრულად მორთული ჩუქურთმებითა და რელიეფებით) ორ მწკრივადაა განლაგებული, ხოლო კარნიზი ტეხილ ხაზს შეადგენს და ყოველი მალის თავზე ცალკე ფრონტონს ქმნის — ესაა ყველაზე მე-





ტად დამახასიათებელი (ე. ი., აქაც, ისევე, როგორც ოპიზის ტაძრის გუმბათის ყელზე, სავსებით დეკორაციული მოტივია გამოყენებული).

შენობის გარეგნობა არაჩვეულებრივად იმპოზანტურია. ტაძარი თავისი სიდიდითაც ბევრად სჭარბობს წინა დროის ძეგლებს და პროპორციების მხრივაც ახალი დროის ტიპური ნაწარმოებია: კედლების სიმაღლე — შენობის კორპუსის სიგანესთან შეფარდებით — გაიზარდა, გუმბათის ყელი დიდად ამაღლდა, წინანდელ გუმბათისყელთა გეომეტრიულად მკაფიო რვაწახნაგამ ადგილი დაუთმო ცილინდრს, რომელიც გრეხილი ლილვებითა და დეკორაციული თაღებით 24 არედ იყოფა: სარკმელთა რაოდენობამაც იმატა: თუ წინათ ოთხი იყო, ახლა თორმეტია. ტაძრის ფასადებიც დეკორაციული თაღებითა და პილასტრებითაა შემკული; სარკმლები, კარნიზები, ბოძების კაპიტელები ორნამენტული მოტივებითა და ფიგურებიანი რელიეფითაა დამუშავებული. რელიეფების სიმდიდრით ოშკს ერთი უპირველესი ადგილთაგანი უჭირავს შუა საუკუნეების ქართულ ტაძართა შორის. ერთი მხრივ აქ საკმაოდ ბევრია ადამიანის გამოსახულება: სამხრეთის ფასადის აღმოსავლეთ ნაწილში ხუთფიგურიანი კომპოზიციაა — ქრისტე, ღვთისმშობელი, იოანე (ე. ი. „ვედრება") და ტაძრის ორი დამფუძნებელი; კიდევ ერთი „ვედრება", ოსტატის გრიგოლის ხსენებული გამოსახულებით, მოთავსებულია გალერეის ბოძზე; არის სხვადასხვა წმინდანთა ფიგურებიც; მეორე მხრივ, ბევრია ცხოველთა გამოსახულებაც (ხარები, ირმები, ფრინველები); ზოგი თითქოს ჩაწნულია ორნამენტში, სხვები ცალკეულ სცენებს შეადგენს (ცხოველები, რომლებიც ერთმანეთს სდევნიან, არწივი, რომელიც კლანჭებს უჭერს თავის მსხვერპლს, ცხოველთა ბრძოლა, ირემზე ნადირობა და სხვ.). ამ მოტივთა უმეტესობა წინაქრისტიანული წარმოშობისაა, მაგრამ ქრისტიანული ეკლესიის მიერ ნაკურთხი და „ლეგალიზებული". ბევრი მათგანის თავდაპირველი მნიშვნელობა, შესაძლებელია, ოსტატს აღარც კი ესმოდა, მაგრამ უეჭველია, რომ ამ გამოსახულებებს რაღაც დამცველი და მფარველი ძალა მიეწერებოდა; იმავე დროს, სავსებით გამოყენებულია რელიეფთა დეკორაციული თვისებები. უმეტესობა განლაგებულია გუმბათის ყელის ძირში, მედალიონებში, უფრო კი სარკმლების გარშემო; მათი განაწილება და არქიტექტურულ ელემენტებთან — სარკმლებთან, სარკმელთა საპირეებთან — ურთიერთობა ყოველთვის მთლიანად გააზრებულია.

ტაბ. 77, 80

ოშკის გარეგნული სახის ყველაზე დამახასიათებელი მოტივია სამგზის განმეორებული კომპოზიცია ხუთი დეკორაციული თაღისა — აღმოსავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფასადებზე, უფრო ზუსტად, ჯვრის შვერილ მკლავებზე ამ სამ მხარეს. ამ თაღებში ჩართულია ორ-ორი სამკუთხა ნიში, რომელთაც პირველად ჯვარისა და წრომის ეპოქაში შევხვდით. ეს სისტემა ხუთი თაღისა და ორი ნიშისა გადაიქცევა XI-XII საუკუნეთა მრავალგუმბათიანი ტაძრის აღმოსავლეთ ფასადთა ტიპურ კომპოზიციად.

ტაბ. 75, 78

განსაკუთრებით მდიდარი და მრავალფეროვანია სამხრეთის ფასადი. აქ ფასადის შვერილი ნაწილის დეკორაციული თაღებისა და სახურავთა დაქანებული კალთების მოძრავი რიტმი გაცხოველებულია სამხრეთი გალერეის კარნიზის კიდევ უფრო ცოცხალი რიტმით. შენობის მასები ამ მხარეს მკვეთრად ასიმეტრიულია.



ტაძრის შიგნითაც დიდებულებისა და ჰარმონიის შთაბეჭდილებაა. ქვაზე ნაკვეთ მორთულობას აქაც დიდი ადგილი უჭირავს — ეს დამახასიათებელია X საუკუნისათვის: ჩუქურთმითაა დაფარული გუმბათქვეშა ბოძების მძლავრი, რთულად პროფილირებული, ბაზისები და სვეტისთავები, სამხრეთი გალერეის ვარსკვლავისებრი კამარები. მორთულობის შესრულების დონე ფრიად მაღალია.

მთავარ ტაძარს სამონასტრო შენობები ერტყა გარს.

იმავე დავით კურაპალატმა, ეროვნული ერთიანობისათვის დიდმა მებრძოლმა, რომლის სახელსაც უკვე რამდენიმეჯერ შევხვდით, ააგო კიდევ ერთი შესანიშნავი ტაძარი — ხ ა ხ უ ლ ი ს მონასტრისა (სამხრეთ საქართველოშივე, თორთუმის წყლის ხეობაში). ტაბ. 61 თავისი საერთო ხასიათით იგი ენათესავება ოშკს, ხოლო ქვაზე ნაკვეთი მორთულობის სიმდიდრით უეჭველად შეიძლება მიეკუთვნოს თავისი დროის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს.

ჩვენ მივადექით XI ს-ის მიჯნას. XI საუკუნე ჩვენი ძველი ხუროთმოძღვრების დიდი საუკუნეა, როდესაც ახალი სტილის ნიშნები სრულსა და ყოველმხრივ ხორცშესხმას ჰპოვებს, როდესაც გაერთიანებული საქართველოს ყველა კუთხეში მშენებლობა არაჩვეულებრივი ინტენსიობით იშლება. არა მარტო დიდი საეპისკოპოსო ტაძრები, არამედ პატარა სასოფლო სამლოცველოებიც მოწმობს, რომ სახუროთმოძღვრო ხელოვნებამ კვლავ მიაღწია სრული სიმწიფის საფეხურს.

დროის მიხედვით პირველი ღირსშესანიშნავი ძეგლი, რომელიც XI ს-ის მიჯნაზე შეიქმნა, ქუთაისის ე. წ. ბ ა გ რ ა ტ ი ს ტ ა ძ ა რ ი ა. ტაბ. 62-65 თავისი ისტორიული და მხატვრული მნიშვნელობით მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შუა საუკუნეების მთელ ქართულ ხელოვნებაში. ტაძარი მდებარეობს მთაზე, რიონის მარცხენა ნაპირას, და თავს დაჰყურებს ძველ ქალაქს. მისკენ მივყავართ ძალიან გრძელ დაკლაკნილ კიბეს, რომელიც ამწვანებულ ბაღებს და ეზოებს შუა მიემართება. ახლა, მას შემდეგ, რაც იგი 1691 წელს საქართველოში შემოჭრილმა თურქებმა ააფეთქეს — ტაძარი დანგრეულია, მას აღარც გუმბათი აქვს, აღარც კამარები, აღარც გუმბათქვეშა ბოძები დგას. შენობის შიგნით ყრია მდიდრულად მოჩუქურთმებული უზარმაზარი სვეტისთავები, ბოძებისა და კამარების ფრაგმენტები. დიდად რომანტიკული ნანგრევია.

„ოდეს განიმტკიცნა იატაკი, ქრონიკონი იყო 223", გვაუწყებს წარწერა ჩრდილოეთის დიდ სარკმელთან. თუ ამ თარიღს ქრისტიანულ წელთაღრიცხვაზე გადმოვიტანთ, 1003 წელი გამოდის (თარიღი აღნიშნულია არაბული ციფრებით — ეს საქართველოში შემონახული უძველესი არაბული ციფრებია).

მემატიანე მოგვითხრობს, რომ ტაძრის კურთხევა დიდი ზეიმით მოეწყო — მასში მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა წარმომადგენლები: ქვეყანა მაშინ თითქმის მთლიანად გაერთიანებული იყო ბაგრატ III-ის ხელში. ამ ზეიმით ბაგრატმა თითქოს საგანგებოდ გამოაჩინა, რომ საქართველოს მაშინდელ დედაქალაქში ახლად აგებულ საეპისკოპოსო ტაძარს ზოგადეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. რუსი ელჩები, რომელთაც ბაგრატის ტაძარი დანგრევამდე ნახეს, მოწმობენ, რომ შიგნით იგი მოზაიკით იყო მორთული.



გეგმის მხრივ ბაგრატის ტაძარი უშუალოდ ემხრობა ოშკის ტაძარს; ეს უბრალო გამეორება კი არ არის, არამედ ოშკის ტაძარში ჩანერგილი იდეის განვითარება. ხუროთმოძღვარმა, რომლის სახელიც, სამწუხაროდ, ცნობილი არ არის, აგრეთვე შექმნა ტრიკონქი ჯვრის შვერილი მკლავებით, მაგრამ, იმავე დროს, მან გაზარდა და თითქოს განაზოგადა შიგა სივრცე: მოსპო სადგომები სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავების ერთსა და მეორე მხარეს — აქეთ დარჩა მხოლოდ აფსიდები; დიდად გააფართოვა დასავლეთის მკლავი, გაჰყო იგი სამ ნავად და მოაწყო ამ მხარეს პატრონიკე მეფის ოჯახისათვის (პატრონიკეები ქართულ ხუროთმოძღვრებაში უკვე წრომის დროიდანაა ცნობილი). გუმბათი ემყარებოდა ოთხ მძლავრ ბოძს, რომლებიც დაშორებულია გარე კედლებს — ამიტომ მათ გარშემო დიდი თავისუფალი სივრცე იყო. დასავლეთის ფასადს, მარცხენა მხარეს, ებჯინება სამსართულიანი კოშკი — ალბათ, ესეც მეფის ოჯახისათვის; უკანასკნელი გამოკვლევების მიხედვით, სამხრეთ-დასავლეთ კუთხეს თავდაპირველად მისდევდა მთლიანი ღია თაღებიანი გალერეები. ლუტა მოგვი-

ანოდ, XI ს-ის პირველსავე ნახევარში, დასავლეთისა და სამხრეთის შესასვლელების წინ აშენდა მდიდრულად მოჩუქურთმებული საზეიმო კარიბჭეები. დღემდე მხოლოდ სამხრეთისა გადარჩა, დასავლეთისა კი დანგრეულია.

შენობის გარეგნული იერი მონუმენტური და დიდებულია და, იმავე დროს, მრავალფეროვანი და დინამიკური: შვერილი მკლავები, დასავლეთის კოშკიანი ფასადის ასიმეტრიულობა, კარიბჭეები, დეკორაციული თაღები (აღმოსავლეთ ფასადზე ჩვენთვის უკვე ცნობილი კომპოზიციაა ხუთი თაღისა და ორი ნიშისა), ჩუქურთმიანი სამკაული ქმნის ტაძრის ცხოველხატულ სახეს. შენობა აოცებს და ხიბლავს მნახველს პროპორციების დახვეწილობით, პროფილების, სამკაულთა, თაღების შესრულების თავისუფლებითა და არტისტიზმით, კონსტრუქციების სიმსუბუქით — ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა განსაცვიფრებელი სინატიფის ორმაგი სარკმლები აფსიდებისა.



ბაგრატის ტაძრის ჩუქურთმები საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ევოლუციას, რომელიც მცირე ხნის მანძილზე. ნახევარ საუკუნეზე ნაკლები ხნის განმავლობაში, განიცადა ხუროთმოძღვრულმა ორნამენტმა: საკუთრივ ტაძრის სამკაულები, რომლებიც X-XI საუკუნეთა მიჯნაზეა შესრულებული, მსუბუქია, მცირე სიღრმისა, სტილის მხრივ კუმურდოს ჩუქურთმებს ენათესავება; კარიბჭეთა სამკაულები კი, რომლებიც მასიურ ბაზისებსა და სვეტისთავებს ფარავს, ღრმაა, „ხორციანი", ცხოველხატული: აქ მცენარეული და გეომეტრიული სახეებიც არის და ცხოველთა გამოსახულებებიც, მაგალითად, გვხვდება შუა საუკუნეთა მანძილზე დიდად პოპულარული მოტივი არწივისა, რომელსაც კლანჭები მსხვერპლისათვის ჩაუსვია, ან რაღაც ფანტასტიკური არსება ცხოველის ტანითა და ფრინველის ან ადამიანის თავით და სხვ. XI საუკუნისათვის ძალიან დამახასიათებელია ბაგრატის ტაძრის სარკმელთა მორთულობა: თაღოვანი მოჩუქურთმებული საპირე, ასევე თაღოვანი და მოჩუქურთმებული (მაგრამ აუცილებლად სხვა, უფრო მსხვილი სახეებით) სათაური ჰორიზონტალურად გადაკვეცილი კიდეებით ერთსა და მეორე მხარეს.

ტაბ. 85

ამჟამად (უკვე მრავალი წელია) წარმოებს მუშაობა ძეგლის სარესტავრაციოდ.

ქუთაისის ტაძარს მრავალმხრივ უახლოვდება ა ლ ა ვ ე რ დ ი ს სახელგანთქმული საეპისკოპოსო ტაძარი, აგებული XI ს-ის პირველ მეოთხედში. იგი კახეთში მდებარეობს, თელავიდან 18 კილომეტრის დაშორებით. ბაგრატის ტაძრისაგან განსხვავებით, იგი ვაკეზე დგას და თავს დაჰყურებს ალაზნის ველს — მისი ცად აწვდილი წვეტიანი სახურავი და თეთრი კედლები ყოველი მხრიდან დიდი მანძილიდან ჩანს. ამ უზარმაზარი ველისა და მის შუაგულში აღმართული ტაძრის სანახაობას მარადთოვლიანი კავკასიონი ამთავრებს. ეს ერთი ულამაზესი ადგილთაგანია ჩვენს ქვეყანაში, ხოლო თვით ალავერდის ტაძარი საქართველოს ყველაზე მაღალი ეკლესიაა (გუმბათიანად 50 მეტრს აღემატება).

ტბ. 86-88

გეგმის საფუძველს, ისევე როგორც ოშკსა და ქუთაისში, აქაც ტრიკონქი შეადგენს. ოღონდ აქ სამივე აფსიდი გარე კედლების სწორკუთხედის ფარგლებშია მოქცეული, ე. ი. არ არის შვერილი მკლავები, რომლებიც იმ ორ ტაძარში გარედანაც ჯვარისებრ მოხაზულობას ჰქმნიდა. ჯვრის სახე აქ მიწის დონეზე კი არ იხაზება, არამედ სივრცეში იქმნება შენობის მასებით. აფსიდები ერთმანეთს მიუახლოვდა და მძლავრ გუმბათქვეშა ბოძებს გადაება. დასავლეთის მკლავის გარშემო აქაც პატრონიკეა. ალავერდის ხუროთმოძღვარმა შექმნა გრანდიოზული შიგა სივრცე (შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე უფრო გრანდიოზული მთელ ქართულ არქიტექტურაში), რომელიც არაჩვეულებრივი ძალით მოქმედებს მნახველზე. ამ სივრცეში ძალიან ნათლად იგრძნობა კახური ძეგლების დამახასიათებელი თავისებურება — პროპორციების აზიდულობა,

ცენტრალობა. ეს თვისება კიდევ უფრო მკაფიოდ იჩენს თავს გარედან. ტაძრის ფასადების მორთულობა ძალიან ძუნწია — ესეც კახური თავისებურებაა. უზარმაზარი კედლების ფართო, მხოლოდ თაღებითა და ნიშებით დანაწევრებული სიბრტყეები ხელს უწყობს დიდებულების შთაბეჭდილებას. აღმოსავლეთ ფასადზე აქაც მეორდება ხუთთაღიანი კომპოზიცია, მაგრამ არის ზოგი დეკორაციული დამატებაც, რომლებიც იმ დროს სხვა ოსტატებმაც შეითვისეს — ეს არის წრეხაზები და თაღები, ამოზრდილი იმ ლილვების კონებისაგან, რომელთაც შუა თაღი ეყრდნობა.

ალავერდის ტაძარი გარედანაც და შიგნიდანაც მთლიანად მოპირკეთებულია (მეორეხარისხოვან სადგომთა გარდა) მოყვითალო ნასვრეტოვანი ტუფის, ე. წ. შირიმის ფილებით (თავდაპირველად ფასადები შეთეთრებული არ ყოფილა). შენობა არა ერთხელ შეუკეთებიათ და აღუდგენიათ. თავიდან მას სამ მხრივ სტოა-გალერეა უვლიდა, ახლა გადარჩენილია მხოლოდ მისი დასავლეთი ნაწილი. კედლების დაზიანებული ნაწილები აგურითაა აღდგენილი, გუმბათქვეშა თაღები და მთელი თექვსმეტსარკმლიანი გუმბათის ყელი, აგურისა, ხელმეორედაა აშენებული XV ს-ის უკანასკნელ მეოთხედში კახთა მეფის ალექსანდრესა და ანა დედოფლის მიერ; ეჭვს გარეშეა, რომ ახლანდელი გუმბათის ყელი თავისი სიდიდითა და პროპორციებით, სავსებით შეესატყვისება თავდაპირველს. შიგნით ტაძრის კედლები XIX საუკუნეში შეათეთრეს. 1967 წელს დაიწყო შეთეთრებული კედლების გაწმენდა — აღმოჩნდა ძველი მხატვრობის ნაწილები მეფეთა პორტრეტებითა და წმინდანთა გამოსახულებებით.

ალავერდის ტაძარი აგებულია უფრო ძველი ეკლესიის ადგილას, რომლის აშენებამდეც აქ წარმართული სალოცავი არსებობდა. საუკუნეთა მანძილზე ალავერდი განსაკუთრებული სახელით სარგებლობდა. იგი საქართველოში ყველაზე პოპულარული წმინდანის — გიორგის — სახელობისაა. ყოველწლიურად 14 სექტემბერს აქ, ტაძრის გალავანში, იმართებოდა დიდი საეკლესიო დღესასწაული „ალავერდობა", რომელიც უამრავ მლოცველს იზიდავდა არა მარტო კახეთიდან.

ტაძრის გარშემო, გალავნის ფარგლებში, რამდენიმე შენობაა — აბანო, სატრაპეზო, საზეიმო დარბაზი, ჯარისკაცთა სადგომი. ეს შენობები სხვადასხვა ხანას მიეკუთვნება და კახეთის შფოთიანი ისტორიის სხვადასხვა ფურცლებს უკავშირდება.



XI საუკუნის მესამე ფუძემდებელი ძეგლი, რომელშიაც ეპოქის სტილმა აგრეთვე მკაფიო გამოხატულება ჰპოვა — მცხეთის საკათალიკოსო ტაძარი სვეტიცხოველია — ყველაზე დიდი საეკლესიო ნაგებობა საქართველოში დღემდე გადარჩენილთა შორის, და საუკუნეთა განმავლობაში ქრისტიანული საქართველოს სარწმუნოებრივი ცხოვრების ცენტრი.

ზემოთ ჩვენ გაკვრით უკვე ვახსენეთ სვეტიცხოვლის დაარსების ამბავი, ისიც აღვნიშნეთ, რომ ვახტანგ გორგასლის დროს აქვე აშენებული მეორე ეკლესიისაგან (V ს.) გადარჩა ნაწილები, რომლებიც ჩართულია ახლანდელ შენობაში. XI ს-ის დასაწყისში გორგასლისეული შენობა იმდენად დაზიანებული იყო, რომ ქართლის კათალიკოსმა მელქიზედეკმა განიზრახა ახალი ტაძრის აგება. ხუროთმოძღვრად მან არსუკისძე მოიწვია. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცნობთ ამ ოსტატის, ძველი საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი შემოქმედის, არც ერთ სხვა ნაწარმოებს, მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ სანამ სვეტიცხოვლის აგებას შეუდგებოდა, მან ხანგრძლივი გზა გაიარა, ბევრი სხვა შენობა ააგო და ამ დროისთვის უკვე სახელი მოიხვეჭა, როგორც გამოჩენილმა ხუროთმოძღვარმა;

ასე რომ არ ყოფილიყო, კათალიკოსი მას ვერ მიანდობდა თავისი ქვეყნის უმთავრესი ტაძრის აგებას. დარჩენილი საბუთები მოწმობს, რომ მშენებლობა 1010 წელს დაუწყიათ და 1029 წელს დაუმთავრებიათ, მაგრამ არსუკისძე, როგორც ჩანს, ვეღარ მოესწრო სვეტიცხოვლის მთლიანად დასრულებას — აღმოსავლეთი ფასადის დიდი სამშენებლო წარწერა, რომელშიაც ნათქვამია, „ადიდენ ღმერთმან ქრისტეს მიერ მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოზი, ამენ. აღეშენა ესე წმინდაჲ ეკლესიაჲ ჴელითა გლახაკისა მონისა მათისა არსუკისძისაჲთაო“, ასე მთავრდება — „ღმერთმან განუსუენე სულსა მისსაო“. მისი სახელი კიდევ ერთხელ არის მოხსენებული — ჩრდილოეთის ფასადის წარწერაში, ძალიან მაღლა, შუა დეკორაციული თაღის ქვეშ, ხელის რელიეფური გამოსახულების გვერდით: „ჴელი მონისა არსუკისძისაჲ. შეუნდვეთ“ (ხელს გონიო უჭირავს)*.

საუკუნეთა მანძილზე სვეტიცხოველს ბევრი რამ გადახდა თავს, ბევრჯერ დააზიანეს და დაანგრიეს, თითქოს საქართველოს ყველა ჭრილობა მის კედლებზედაც აღიბეჭდა. მაგრამ მას ყოველთვის კვლავ აშენებდნენ, იგი მკვდრეთით აღდგებოდა ხოლმე, როგორც ქვეყნის უკვდავების სიმბოლო. XIII ს-ის მიწურულში, თემურ-ლენგის ბარბაროსულ შემოსევათა დროს, დაინგრა გუმბათი, ჩამოცლილ იქნა პერანგის ნაწილი, შიგნით დაანგრიეს დასავლეთი მხარე, ბოძების ნაწილი, პატრონიკე. აღდგენას ხელი მოჰკიდა გაერთიანებული საქართველოს უკანასკნელმა მეფემ ალექსანდრე I-მა, რომელიც XV ს-ის პირველ ნახევარში ცხოვრობდა (მისი გარდაცვალების შემდეგ საქართველო ცალკეულ სამეფოებად დაიშალა) — მის დროს ხელმეორედ აშენდა ყველა დანგრეული ნაწილი გუმბათის ყელიანად (ამის განსახორციელებლად ალექსანდრე იძულებული გახდა დროებითი გადასახადიც კი დაეწესებინა, რადგანაც დამღუპველ შემოსევათა შემდეგ სახელმწიფო სალარო დაცარიელებული იყო); გუმბათის სფერო და სახურავი კიდევ ერთხელ აღადგინეს 1656 წელს, შიგნით ზოგი რამ შეაკეთეს და მოხატეს XVIII ს-ის დასასრულს, ხოლო XIX ს-ში ძველი მხატვრობის დიდი ნაწილი შელესილობით გადაფარეს, გარეთ კი ააფეთქეს ის სამლოცველოები და ექვტერები, რომლებიც დროთა განმავლობაში აშენდა ტაძრის გარშემო — რუსულმა საეკლესიო ხელისუფლებამ ამით „მოაწესრიგა“ და „გაასუფთავა“ ტაძარი. გალავანი, რომელიც გარს ერტყმის უზარმაზარ ეზოს, უმეტესად XVIII საუკუნისაა, ერეკლე II-ის დროინდელი, მაგრამ დასავლეთის მხარეს გადარჩა მელქიზედეკისავე თაოსნობით აშენებული (და ახლად რესტავრირებული) კარიბჭე და აგრეთვე ძველი სასახლის ფრაგმენტები. 1968-1971 წლებში დიდი მუშაობა ჩატარდა ტაძრის შიგნით ძველი ნაწილების გასაწმენდად და გამოსავლინებლად.



სვეტიცხოვლის გეგმა წარმოადგენს აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით ძლიერ წაგრძელებულ სწორკუთხედს. ჯვრის სახე აქაც სივრცეში იქმნება ოთხი მკლავით, რომლებიც გუმბათის ოთხსავ მხარესაა გაწვდილი. აფსიდი მხოლოდ ერთია — საკურთხევლისა, სხვა მკლავები სწორკუთხაა. ღრმა საკურთხეველი, რომლის სამხრეთითა და ჩრდილოეთით ორ სართულად განლაგებული სადგომებია, ისევე, როგორც დასავლეთის შუა ნავი, ცოტათი უფრო ვიწროა, ვიდრე გუმბათქვეშა კვადრატი. თავდაპირველად დასავლეთის შუა ნავს ორსავე მხარეს ქვემოთ სამ-სამი ერთნაირი თაღოვანი მალი ჰქონდა, პატრონიკეს დონეზე კი (პატრონიკე სამი მხრიდან ერტყმოდა მას) სამ-სამი ორმაგი თაღი. XV ს-ის გადაკეთებათა დროს ეს რიტმი დაირღვა, სამი თაღის ნაც-

---

* ამ გამოსახულებამ წარმოშვა თქმულება იმის შესახებ, რომ სვეტიცხოვლის მშენებელს, რომელმაც ხელოვნებით თავის მასწავლებელს გადააჭარბა, მარჯვენა მოჰკვეთეს: „ხეკორძულას წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამიგია, დამიჭირეს, ხელი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგიაო“.

ვლად გააკეთეს ორი, არათანაბარი სიდიდისა, ხოლო პატრონიკე მხოლოდ დასავლეთით დატოვეს. მაგრამ ამ ცვლილებათა მიუხედავად, მიუხედავად იმისა, ტაბ. 98 რომ ძველი ფრესკების დიდი ნაწილის დაღუპვამ და კედლების შეთეთრებამ ინტერიერს გამოაკლო მისი მხატვრული მთლიანობისთვის აუცილებელი ორგანული ელემენტი, მაინც ეს უზარმაზარი სივრცე, ზემოთკენ მისწრაფებული მძლავრი გუმბათქვეშა ბოძები, დასავლეთის ნავი, რომელიც აღმოსავლეთისკენ ფართოვდება, 16 სარკმლიანი გუმბათის ყელი, რომელიც თავდაპირველ პროპორციებს უნდა იმეორებდეს, ამაღელვებელ შთაბეჭდილებას ტოვებს.

სვეტიცხოვლის გარეგნობა მშვენიერი ნიმუშია ქართული ტაძრის კრის- ტაბ. 90-92 ტალურად ნათელი აღნაგობისა: ყოველი შემდეგი საფეხური აქ ბუნებრივადაა ამოზრდილი წინა საფეხურისაგან და ასევე ბუნებრივადაა დასრულებული კარვისებრ გადახურული გუმბათის ყელით, რომელიც აგვირგვინებს შენობას და თითქოს განსაზღვრავს მის ფორმებს.

საფასადო მორთულობის საფუძველს აქაც დეკორაციული თაღები შეადგენს. აღმოსავლეთ ფასადზე კვლავ იგივე ხუთთაღიანი კომპოზიციაა ორი (არათანაბარი სიგანის) ნიშით; გვერდის ფასადების შუა ნაწილებშიაც მთავარია მზარდი თაღების რიტმი, დასავლეთით კი — ერთი დიდი სარკმელი, რომლის ტაბ. 96 მდიდრულ მორთულობასაც კედლის თითქმის მთელი არე უჭირავს. ამ საერთო ტაბ. 92 თაღოვან რიტმშია ჩართული დასავლეთის ნავის გრძივი (სამხრეთი და ჩრდილოეთი) კედლების სამ-სამი თაღიც — მაგრამ ეს დეკორაციული თაღები კი არ არის, არამედ კონსტრუქციული: იმ მიზნით, რომ კედელი გათავისუფლდეს ზედმეტი მასისაგან, გაკეთებულია ღრმა თაღოვანი ნიშები, რომლებიც მთელ ნაგებობას განსაკუთრებულ პლასტიკურობას ანიჭებს.

ოსტატი არ ერიდება პოლიქრომიის ეფექტებსაც — კედელში აქა-იქ ჩართულია სხვადასხვა ფერის ქვები: ძირითადი ქვიშისფერი ყოფილა, საკურთხევლის სარკმლის მოჩუქურთმებული საპირე კი კაშკაშა წითელი ფერის ქვითაა აწყობილი, წითელი „ლაქები" მეორდება სხვაგანაც.

შეკეთებათა შედეგად (XV ს-ში შეკეთებული ნაწილების პერანგი მწვანე ქვისაა) ქვაზე ნაკვეთი მორთულობის მთლიანობა დარღვეულია: გვიანდელი ჩუქურთმები, კერძოდ, გუმბათის ყელის სარკმლებისა, ხარისხით დიდად ჩამოუვარდება თავდაპირველთ, მშრალი და დაქუცმაცებულია. რა თქმა უნდა, XI ს-ის მორთულობა გუმბათის ყელზე უფრო მძლავრი იყო, უფრო მკაფიოდ ჩანდა და მართლაც აგვირგვინებდა შენობის მთელ მდიდრულ მორთულობას, თუმცა, საერთო შთაბეჭდილება ამ გადაკეთებათა გამო მაინცადამაინც არ ფუჭდება, რაკი აღდგენილი გუმბათი კარგად ეგუება შენობის სხეულს, ხოლო მორთულობის სხვადასხვაგვარობა შესამჩნევი ხდება მხოლოდ საგანგებო დაკვირვების შემდეგ. მორთულობის ყველაზე საინტერესო ნაწილი დასავლეთის ფასადზეა, ხსენებული სარკმლის გარშემო: ჩუქურთმის სახეები რთული და ძლიერ ტაბ. 93-95 პლასტიკურია; განსაკუთრებით ამშვენებს ფასადს ვაზის გამოსახულება ორი დიდი სტილიზებული მცენარის სახით კედლის ერთსა და მეორე კიდეში.* მორთულობის ზოგ დეტალში შეიძლება აღმოვაჩინოთ მოტივები, უკვე ცნობილი სამხრეთ საქართველოს X საუკუნის ძეგლებიდან. ეს დამახასიათებელია

* შეიძლება ითქვას, რომ ქართული ჩუქურთმების უმდიდრეს რეპერტუარში ვაზი ერთადერთი მცენარეა, რომელიც, სტილიზაციის მიუხედავად, ინარჩუნებს თავის ინდივიდუალობას — ყოველთვის შეიძლება მისი ცნობა, თუნდაც მტევნების მიხედვით. ყველა სხვა მცენარეული მოტივი, სულ მცირე გამონაკლისით, იმდენად აბსტრაგირებულია, რომ მნახველი არც იფიქრებს რეალური პროტოტიპის ძიებას. ვაზს რომ ასეთი უპირატესობა ენიჭება, ცხადია, ვერ გაგვაკვირვებს, თუ გავიხსენებთ, რა ადგილი უჭირავს იმთავითვე ვაზს, ვენახს, მევენახეობას საქართველოში.

სახელმწიფოს გაერთიანების ხანისათვის, როდესაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა ხელოვნების მონაპოვარი საერთო ეროვნულ კუთვნილებად იქცევა.

სვეტიცხოვლის მახლობლად, იქვე, მცხეთაში, მდებარეობს XI საუკუნის I ნახევრის კიდევ ერთი ძეგლი, სამთავროს საეპისკოპოსო ტაძარი. სიდიდით იგი საგრძნობლად ჩამოუვარდება სვეტიცხოველს, პროპორციების დახვეწილობით შაინცდამაინც არ გამოირჩევა, მაგრამ ეს მაინც მრავალმხრივ ღირსშესანიშნავი ძეგლია. უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს მისი გეგმა. სწორედ აქ იჩენს თავს მიდრეკილება უფრო კომპაქტური სივრცის შექმნისა: გეგმა დამოკლებულია, დარჩა მხოლოდ ორი ბოძი, პატრონიკე აღარ არის. სხვა ყველაფერი — ნახევარწრიული აფსიდი, რომელიც გარედან სწორი კედლის სიბრტყეს ეფარება, სადიაკვნე და სამკვეთლო, აღმოსავლეთი ფასადის კომპოზიცია ხუთი თაღითა და ორი ნიშით, მორთულობის სიმდიდრე — იმგვარივეა, როგორც ახლახან განხილულ სხვა ძეგლებში. სამხრეთით მიშენებულია ვარსკვლავისებრი კამარებით გადახურული დიდი ექვტერი — კარიბჭე. ფასადთა დამუშავება და მდიდარი, ბრწყინვალედ შესრულებული, მორთულობა ხუროთმოძღვრის უტყუარ ოსტატობას მოწმობს. თუმცა იგი ტრადიციების საზღვრებს არ სცილდება, მაინც სრულ დამოუკიდებლობას იჩენს, როგორც შემოქმედი. ყველაფერი კონტრასტზეა დაფუძნებული: აღმოსავლეთისა და, განსაკუთრებით, დასავლეთის ფასადები დიდი ზომიერებითა და თავშეკავებითაა დამუშავებული, აქ მთავარია ქვის კედლების ფართო სიბრტყეები. სამაგიეროდ სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფასადების შუა ნაწილები, სადაც ორმაგი სარკმლებია, არაჩვეულებრივ ინტენსიურადაა მორთული. იმავე დროს, ოსტატი აშკარად განასხვავებს ამ ორ ფასადსაც: მზით გაშუქებულ სამხრეთ ფასადზე იგი რამდენსამე სიბრტყეს ქმნის — ზოგი წინაა, ზოგი შეღრმავებულია, ფასადს თავისებური სკულპტურულობა ენიჭება; ჩრდილოეთით საფუძვლად აღებულია დაძაბული ხაზოვანი დინამიკა (რთული საერთო ჩარჩო დახრილი ხაზებით, მახვილი კუთხეებით და სხვ.), ამას გარდა, გამოყენებულია სხვა ფერის ქვის ჩანართები ძალიან ფაქიზი, უნაზესი ჩუქურთმით მორთული მედალიონების სახით.



ტაბ. 101-104



ტაბ. 98-100

სამთავისის საეპისკოპოსო ტაძარი 1030 წლისა (თბილისის ჩრდილო-დასავლეთით, 65 კმ. მანძილზე) საყურადღებოა არა მარტო განსაკუთრებული მხატვრული ღირსებებით — პროპორციულ შეფარდებათა საკვირველი ჰარმონიულობით, ვირტუოზული ბრწყინვალებით შესრულებული მორთულობით — არამედ იმითაც, რომ აქ თავს იჩენს ზოგი თავისებურება, რომლებიც საფუძვლად დაედო შემდგომს განვითარებას. გეგმაში იგივე ტენდენცია ჩანს, რომელიც სამთავროში ვნახეთ: გამარტივება, დამოკლება; მართალია, აქ ჯერ კიდევ ოთხი გუმბათქვეშა ბოძია, მაგრამ აღმოსავლეთის ორი ბოძი ძალიან მიახლოებულია საკურთხეველთან. აღმოსავლეთის ფასადის დამუშავება, რომელსაც კვლავინდებურად ხუთთაღოვანი სისტემა უდევს საფუძვლად, რთულ დეკორაციულ კომპოზიციას ქმნის: საკურთხევლის მთავარი სარკმლის თავზე გაჩნდა უზარმაზარი მოჩუქურთმებული ჯვარი, სარკმლის ქვეშ — კუთხით დაყენებული და აგრეთვე ჩუქურთმით შევსებული ორი კვადრატი. ეს ელემენტები, რომლებიც ფასადის შუა ღერძზეა ასხმული, ერთმანეთს უკავშირდება მომჩარჩოებელი ლილვით — ზემოთ იგი მთავარ თაღებს ებმის, ქვემოთ კი კედლის ძირამდის ჩადის. კომპოზიცია, შუა თაღის ორ მხარეს დამატებულ თაღებსა და ლილვებთან ერთად, ქმნის პლასტიკურად პროფილირებულ ხაზების უწყვეტ, უაღრესად დინამიკურ დინებას. აქ გაცილებით მეტია, ვიდრე სვეტიცხოვლის ფასადზე, თავისთავადი დეკორაციული მნიშვნელობის მქონე ელემენტი. სამთავისის აღმოსავლეთი ფასადის გავლენა ხანგრძლივი იყო, მან განსაკუთრებით იჩინა

თავი XII ს-ის მეორე ნახევარში. ეკლესიების გეგმათა შემდგომი განვითარებაც სამთავროსა და სამთავისს უკავშირდება*.

ტაბ. 105-127

XI ს-ის I ნახევარი იმდენად მდიდარია ძეგლებით, რომ მათი მთლიანი განხილვა დიდად გადააჭარბებდა ამ წიგნის ფარგლებს. მაგრამ ზოგი მათგანის თუნდაც მოკლედ მოხსენიება აუცილებელია: მ ა ნ გ ლ ი ს ი ს ტაძარი, დაარსებული V ს-ში და საფუძვლიანად გადაკეთებულ-გაფართოებული XI ს-ის ოციან წლებში; ნ ი კ ო რ წ მ ი ნ დ ა (1010-1014); უკვე მოხსენებული ექვსაფსიდიანი კ ა ც ხ ი (X-XI სს. მიჯნა, XI ს-ის დამატებებით); ი შ ხ ნ ი ს ძველი ტაძარი, რამდენიმეჯერ გადაკეთებული IX-XI სს-ში — საბოლოო სახე მან XI ს-ის პირველ ნახევარში მიიღო (ხუროთმოძღვარი იყო ივანე მორჩაისძე), დასასრულ, ერთნავიანი ეკლესიები — ხ ც ი ს ი (1002 წ.) და ს ა ვ ა ნ ე (1046 წ.. ხუროთმოძღვარი ჰარაბაჲ). ყველა ეს ძეგლი თავისი დროის შესანიშნავი ნაწარმოებია. ყოველი მათგანი საინტერესოა როგორც ხუროთმოძღვრული ფორმებით, ისევე ფასადთა მორთულობის იშვიათი მრავალფეროვნების, სიმდიდრის, შესანიშნავი ტექნიკური შესრულების მხრივ. ნიკორწმინდის ფასადები და ექვტერები, ჩუქურთმათა გარდა, მორთულია ძალიან დამახასიათებელი და ისტორიულ-ევოლუციური თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანი რელიეფური ქანდაკებებით: აქ არის წმინდანთა გამოსახულებები, მრავალფიგურიანი სცენები (მაგ., „ფერისცვალება“, „მეორედ მოსვლა“, „ჯვრის ამაღლება“), რეალური და ფანტასტიკური ცხოველები. მაგრამ ეს ცალკეული დამოუკიდებელი სამკაულები კი არ არის, არამედ ერთი მთლიანი, წინასწარ გააზრებული, პროგრამის შემადგენელი ნაწილებია. შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ტაძართა სკულპტურული გაფორმება ნიკორწმინდაში მწვერვალს აღწევს; XII ს-დან ფიგურული გამოსახულებებისადმი ინტერესი აშკარად მცირდება.



ნიკორწმინდა



ნიკორწმინდა

იმისთვის, რომ სრულად წარმოვიდგინოთ შუა საუკუნეთა ქართული ტაძრის სურათი, კიდევ უნდა დავუმატოთ ზოგი მნიშვნელოვანი დეკორაციული ელემენტი: ხის მოხარატებული კარი (XI საუკუნემ დაგვიტოვა რამდენიმე მშვენიერი ნიმუში, მორთული არა მარტო წნულით, არამედ სკულპტურული ფიგურებითაც კი), განსაკუთრებით კი კანკელი, ე. ი. ტიხარი, რომელიც საკურთხეველს ნავისგან ჰყოფდა. საქართველოში არ არსებობდა რუსული ეკლესიების დამახასიათებელი, ფერწერული ხატებით შევსებული, მაღალი იკონოსტასები, რომლებიც, არსებითად, სრულიად თიშავს ეკლესიისაგან საკურთხევლის სივრცეს, ე. ი. წმიდათა წმიდას მლოცველთა სადგომისაგან. ქართული კანკელი — ქვისა ან თაბაშირისა — შედარებით მცირე სიმაღლის ბარიერია, რომელზედაც შედგმულია ერთმანეთთან თაღებით გადაბმული სვეტები. სვეტებსშორისი მანძილი ფარდით იყო შევსებული. კანკელებისადმი ინტერესს იწვევს მათი მორთულობა — ჩუქურთმები და რელიეფები. ჩუქურთმა ახლოდან დათვალიერების ვარაუდითაა შესრულებული, უფრო წვრილია, ვიდრე ფასადის ჩუქურთმები. XI ს-ის კანკელთა ზოგი რელიეფი — ს ა ფ ა რ ი ს ა, ხ ო ვ ლ ი ს ა — შუა საუკუნეების ქართული პლასტიკის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს მიეკუთვნება. შესანიშნავია აგრეთვე ს პ ე თ ი ს პატარა სასოფლო ეკლესიის კანკელიც, ურთულესი და უფაქიზესი ჩუქურთმებით. როცა ეს ეკლესია შენდებოდა, სპეთი ყრუ, გადაკარგული ადგილი იქნებოდა, მაგრამ კანკელი მაინც დიდი ოსტატობითაა შესრულებული.

ტაბ. 128-132

* საფიქრელია, რომ სამთავისის მშენებელი — არა მარტო კტიტორი, ე. ი. მშენებლობის მოთავე, არამედ ხუროთმოძღვარიც — იყო ილარიონ სამთავნელი (სამთავისის ეპისკოპოსი). გუმბათის ყელი და დასავლეთის კედელი აღდგენილია XV ს-ში.

უცნაურია, მაგრამ XI ს-ის მეორე ნახევრის ხუროთმოძღვრობას ჩვენ, ფა-
ქტიურად, არ ვიცნობთ. რა უნდა იყოს ამის მიზეზი? სელჯუკთა შემოსევა და
ქვეყნის მძიმე მდგომარეობა? არა მგონია. წერილობითი საბუთები მოწმობს,
რომ მშენებლობა მაშინაც წარმოებდა (მაგ., ატენის წარწერა XI ს-ის 70-იან
წლებისა, ატენში ქალაქისა და ქულბაქების აშენების შესახებ). მაგრამ ეს ცნო-
ბებიც რომ არ იყოს, წარმოუდგენელია, რომ ცხოვრება მაშინ სრულიად ჩამ-
კვდარიყო და არავის არაფერი აღარ ეშენებინა. შესაძლებელია, მომავალში
მოხერხდეს კიდეც ზოგი ზუსტად დაუთარიღებელი ძეგლის მიკუთვნება სწო-
რედ ამ დროისათვის.

XII საუკუნე შუა საუკუნეების საქართველოს „ოქროს ხანაა". დაახლოე-
ბით 120 წელი დავით აღმაშენებლიდან თამარ მეფემდე არა მარტო სრული
სტაბილიზაციის დროა, არამედ პოლიტიკური სიძლიერისა და ეკონომიური აყ-
ვავებისაც.

XII საუკუნე „იხსნება" გელათის სახელგანთქმული მონასტრით, რომე- ტაბ. 138-145
ლიც 1106 წელს დააარსა დავით აღმაშენებელმა ქუთაისის მახლობლად, მის-
გან დაახლოებით 12 კილომეტრის დაშორებით. მემატიანე აღტაცებით მოგვი-
თხრობს, რომ დავითმა „მოიგონა აღშენება მონასტრისა... ადგილსა ყოვლად
შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა" და ააშენა ტაძარი ყოვლად წმი-
დისა (ე.ი. ღვთისმშობლისა), „აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულთა".
იგი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ გელათი მხოლოდ მონასტერი კი არ იყო,
არამედ მეცნიერებისა და განათლებულობის ცენტრიც — „მეორე იერუსალე-
მი" და, იმავე დროს, მეორე ათენი (ათენი ყოველთვის მიჩნეული იყო სიბრძნი-
სა და მეცნიერების კერად). მართლაც, მონასტერთან დაარსებულ იქნა აკადე-
მია — ძველი საქართველოს ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურული ცენტრთა- ტაბ. 145
განი (აქ იღვწოდა გამოჩენილი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი). ხოლო ის ად-
გილი, სადაც მონასტერი მდებარეობს, სავსებით ამართლებს მემატიანის სიტ-
ყვებს: ეს ერთი უმშვენიერესი კუთხეთაგანია იმერეთისა, ამწვანებული მთის
კალთაზე, საიდანაც გრანდიოზული პანორამა იშლება — შორეული მთებით,
ხეობებით, უხვ მცენარეულობაში ჩაფლული სოფლებით.

მონასტრის გალავანში მთავარი ტაძრისა და აკადემიის გარდა, მოთავსე-
ბულია სამრეკლო და ორი მცირე ეკლესია—წმ. გ ი ო რ გ ი ს ა დიდი ტაძრის ტაბ. 142
აღმოსავლეთით, და წ მ. ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ა, ორსართულიანი, სულ მცირე სად-
გომებით—ტაძრის დასავლეთით. ეს შენობები უფრო გვიანდელია, XIII საუ-
კუნისა, მაგრამ მათი განლაგება მოწმობს, რომ ახალი მშენებლები ითვალისწი-
ნებდნენ შენობათა ურთიერთშეფარდებას — ამიტომ აქ შესაძლებელია ანსამ-
ბლზე ლაპარაკი.

მთავარ ტაძარს აღმოსავლეთით სამი შვერილი აფსიდი აქვს. ამ მხრივ იგი ტაბ. 140
შავი ზღვის სანაპიროს ზოგ ეკლესიას ემხრობა. ძალიან ფართო შიგა სივრცე,
უპირველეს ყოვლისა, ჰაერისა და შუქის სიუხვით გვიზიდავს — გუმბათის
ყელის სარკმელთა გარდა, ტაძარს საკურთხევლის, დასავლეთისა და გრძივი კე- ტაბ. 143
დლების უზარმაზარი სარკმლები ანათებს. აქ კვლავ გვხვდება პატრონიკე და-
სავლეთის მკლავის გარშემო, მაგრამ მისი სივრცობლივი მნიშვნელობა, წინან-
დელთან შედარებით, დიდად შემცირებულია — დასავლეთის მხარეს დარჩენი-
ლია მხოლოდ ვიწრო გადასასვლელი სამხრეთისა და ჩრდილოეთის პატრონი-
კეთა ურთიერთდასაკავშირებლად. სამ მხარეს ტაძარს ეკტერები აკრავს. ტაძ-
რისა და ამ მინაშენთა კედელ-კამარები ერთიანად მოხატულია, ხოლო საკურ-
თხევლის კონქში ღვთისმშობლისა და ორი მთავარანგელოზის მოზაიკური გამო- ტაბ. 144
სახულება. მოზაიკა XII საუკუნისაა, ფრესკები სულ სხვადასხვა დროისა

(XII-დან XVII საუკუნემდე), ასე რომ აქ ქართული მხატვრობის თავისებური მუზეუმია თითქოს.

ტაბ. 138-140

გელათის ფასადები დეკორაციული თაღების საკმაოდ რთული სისტემითაა გაფორმებული, მაგრამ ჩუქურთმა თითქმის სულ არ არის: დავითის სიცოცხლეში მისი გაკეთება ვერ მოასწრეს. კედლები მოპირკეთებულია, ჩვეულებისამებრ, მშვენივრად გათლილი ქვით — ზოგი მათგანი უჩვეულოდ დიდია და, თქმულების თანახმად, ეს უშველებელი ლოდები თვით დავითის ხელით უნდა იყოს დაწყობილი. შვერილი აფსიდები, ჯვრის მკლავები, ექვტერები, მათი დაქანებული სახურავები და ფრონტონები მთელ შენობას მოძრაობასა და დინამიზმს მატებენ. შენობა მთლიანად დიდად პლასტიკურია: გეგონება, თითქოს მის თიხისფერ კედლებს ჯერ კიდევ აჩნია მისი გამომძერწველი ხელის კვალი.

ანსამბლის ყველა სხვა ნაგებობა, არქიტექტურის საერთო ხასიათითაც, ქვის ფერითაც, დეტალების დამუშავებითაც, ერთგვარი ანარეკლია მთავარი ტაძრისა, რომელიც მთელი ანსამბლის ბირთვსა და დომინანტს წარმოადგენს. ეს დიდად უწყობს ხელს საერთო შთაბეჭდილების მთლიანობას.

საუკუნეთა მანძილზე გელათი ქართული ხელოვნების ნამდვილი საგანძური იყო: მხატვრობა ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ; მაგრამ აქ ინახებოდა ქართული ოქრომჭედლობისა და მოკაზმული ხელნაწერების მრავალი შესანიშნავი ნიმუშიც, მაგალითად, ხახულის ღვთისმშობლის ხატი, სხვადასხვა სახარებები და სხვა.

ტაბ. 140-147

დავით აღმაშენებლისავე სახელთანაა დაკავშირებული შიო-მღვიმის მონასტერში ზემო ეკლესიის აშენება. ეკლესია მას შემდეგ ძალიან გადააკეთეს. მისმა ქალიშვილმა თამარმა (თამარ მეფე არ გეგონოთ!) 1152 წელს ააგო ასკეტურად მკაცრი ეკლესია სოფ. თიღვაში (შიდა ქართლშია, ახლა—სამხრეთ ოსეთში); იმავე წელსაა აშენებული მშვენიერი ჩუქურთმებით შემკული ერთნავიანი ეკლესია საორბისში (ესეც ქართლში).



ბეთანია

XII საუკუნის ბოლო ათეულ წლებსა და XIII-ის პირველ ნახევარში, ე. ი. თამარისა და მის უშუალო მემკვიდრეთა მეფობის წლებში, შეიქმნა ქართული გუმბათოვან ტაძართა ერთი დიდი ჯგუფი. ამათგან დროის მიხედვით პირველი სოფელ იკორთის ეკლესიაა, 1172 წლისა (ერთადერთი, რომელიც თამარის გამეფებამდე აშენდა), მას მოსდევს შესანიშნავი ტაძრები XII-XIII საუკუნეთა მიჯნისა—ბეთანია და ქვათახევი, ფიტარეთი (1213—1222 წწ., გიორგი ლაშას ხანა)—ყველაზე ბრწყინვალე ნიმუში ამ ხანის ხუროთმოძღვრებისა, წუღრუღაშენი (ესეც 1213-1222 წლებს შუა აშენდა) და კიდევ რამდენიმე ძეგლი XIII ს-ის პირველი ნახევრისა და შუა წლებისა — კაბენი, ახტალა, სოფელ მეტეხის ეკლესია და სხვ.

ტაბ. 148-163

ამ შენობებში საბოლოოდ შემუშავდა ქართული გუმბათოვანი ეკლესიის კანონიკური სახე. ტაძრის გეგმა უკვე მტკიცედ იცავს იმ ტენდენციას, რომელიც XI ს-ის ცალკეულ ძეგლებში — სამთავროსა და სამთავისში — ჩაისახა გეგმა კიდევ უფრო დამოკლდა და კვადრატს მიუახლოვდა; ოთხი ცალკე მდგომი ბოძის ნაცვლად ორი-ღა დარჩა, აღმოსავლეთის ბოძების წყვილი საკურთხევლის კედლებთანაა შერწყმული; დასავლეთის მკლავში ბოძები აღარ არის, მას ერთსა და მეორე მხარეს მხოლოდ თითო თაღოვანი მალი აქვს (გამონაკლისია იკორთა, სადაც ზოგი ძველი გადმონაშთი ჯერ კიდევ არსებობს); აღარც პატრონიკეა. გეგმა და საერთო აღნაგობა თითქოს დაყვანილია ელემენტარულ ფორმულამდე, მათ ველარაფერს დააკლებ. პროპორციებიც შეიცვალა: შენობის კორპუსი რამდენადმე დადაბლდა, ხოლო გუმბათის ყელი კიდევ უფრო აიწოწა და კოშკივით წამოიმართა; ზოგ ტაძარში ქვემო კორპუსისა და გუმბათის ყელის სიმაღლე თითქმის თანაბარია. ეს უფრო დაძაბულ პროპორციულ შეფარდებას ქმნის. სტილისტიკური თვალსაზრისით ეს იგივე საფეხურია, მაგ-



ბეთანია

რამ ფასადთა დამუშავების კონკრეტული ხერხები შეიცვალა. იკორთაში თითქმის უცვლელადაა განმეორებული სამთავისის აღმოსავლეთ ფასადის კომპოზიცია (შეცვლილია მხოლოდ პროპორციები, ცალკეული დეტალები და ჩუქურთმის სახეები), მაგრამ შემდეგ დეკორაციული თაღები, რომლებიც მანამდე ფასადთა კომპოზიციის საფუძველს შეადგენდა, თანდათან ქრება; მთელი მხატვრული ეფექტი ამიერიდან ემყარება გლუვი კედლის დაპირისპირებას სარკმელთა გარშემო თავმოყრილ ჩუქურთმათა ინტენსიურ „ლაქებთან". ჩნდება ზოგი სპეციფიკური მოტივი, მაგალითად, მდიდრულად მოჩუქურთმებული საპირეებით მორთული შეწყვილებული სარკმლები, მათ შორის ჩასმული მოჩუქურთმებული ჯვრით. ასეთი სარკმლები თავსდება დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფასადებზე; იცვლება სარკმელთა საპირეებისა და მათი ჩარჩოების კომპოზიციაც. მორთულობის კულმინაციას შეადგენს გუმბათის ყელი, რომელზედაც სარკმლის საპირეები მთლიან მორთულ ზედაპირს ქმნის (ეს ზედაპირი მაინც მკაფიოდაა დანაწევრებული დეკორაციული თაღებითა და გრეხილებით, ასე რომ ხუროთმოძღვრული სტრუქტურა ნათლად იკითხება და უწყვეტი ხალიჩის შთაბეჭდილება არ იქმნება).





ფიტარეთი

ამდროინდელი ეკლესიები სიდიდით დიდად ჩამოუვარდება XI საუკუნის საეპისკოპოსო ტაძრებს. ეს შენობები უფრო ინტიმურია, უფრო დეკორაციული, თითქოს ზედმეტად რაფინირებულიც კი, თუმცა აქა-იქ უკვე თავს იჩენს ხელოსნური სიმშრალე და ერთგვარი მოდუნებაც. თითქმის უგამონაკლისოდ ამ ჯგუფის ყველა ეკლესია განმარტოებულ, სოფელ-ქალაქთაგან დაშორებულ ხეობებში მდებარეობს (და არა მონასტრებში ან დასახლებულ ცენტრებში, როგორც XI ს-ის ტაძრები); მათი უმეტესობა აშენებულია ხანდაზმულ ფეოდალთა მიერ, რომელნიც განშორდნენ ბობოქარ ცხოვრებას — ზოგი ბერადაც აღიკვეცა — და არჩიეს დარჩენილი დღენი „სულიერი" ცხოვრებისათვის მიეძღვნათ. უმეტესად ეს ეკლესიები საგვარეულო საძვალეებიც იყო — იმარხებოდნენ თუ თვით ეკლესიაში არა, საგანგებო ეჰვტერში მაინც. ამგვარად, ამ ტაძრებს აღარ შეიძლება ჰქონოდა საყოველთაო სახალხო ძეგლების მნიშვნელობა, საზოგადოებრივი ფუნქცია, რომელიც წინა დროის დიდ კათედრალებს ჰქონდა.

ეკლესიების გეგმებს, მათს სივრცობლივ აღნაგობას არც შემდეგ განუცდია არსებითი ცვლილება, მაგრამ მორთულობის სისტემამ კი ევოლუციის თვალსაჩინო საფეხურები განვლო.

იკორთის მორთულობა უკვე ვახსენეთ. შეიძლება დავუმატოთ, რომ გვერდის ფასადებზე აქ ჩნდება ნიშნები, რომლებიც თაღების შემუშავებული სისტემის რღვევას მოასწავებს: თაღებსა და ლილვებში ჩართულია საფეხურები, რომლებიც მთელი სისტემის თავისუფალი ინტერპრეტაციის მაჩვენებელია. ქვათახევში აღმოსავლეთი ფასადის შუა ღერძი აგრეთვე სამთავისის დიდი ჯვრის, სარკმლისა და კუთხით დასმული კვადრატების სისტემას იმეორებს, მაგრამ დეკორაციული თაღები აღარ არის; ქვათახევის სამხრეთ ფასადზე დეკორაციული თაღედი კიდევ უფრო შორდება თავდაპირველ ლოგიკას და სრულიად ნებისმიერ ტეხილ თაღებად იქცევა. ბეთანიის, ფიტარეთის, წუღრუღაშენისა და ახტალის ხუროთმოძღვრები სრულიად უკუაგდებენ თაღედს. აღმოსავლეთის ფასადის ნიშები შენარჩუნებულია, მაგრამ ფასადის მთლიანი კომპოზიცია მრავალ შემთხვევაში ამჟღავნებს უფრო ინდივიდუალურ, კანონიკური სქემისაგან თავისუფალ მიდგომას ამოცანისადმი. მაგალითად, ფიტარეთელი ოსტატი ნიშებს უახლოებს შუა სარკმელს, სარკმლის თავზე ათავსებს თაღოვან სათაურს, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს კვარცხლბეკს მოჩუქურთმებული ჯვრისთვის — ამ ჯვარს თავი ფრონტონის წვერზე აქვს მიბჯენილი. გამოდის შეკრული, სავსე კომპოზიცია, რომლის ყოველი ნაწილიც ერთ განუყო-

ტაბ. 148

ტაბ. 165

ტაბ. 150, 151, 156, 157, 159, 160, 162

ფელ მთელადაა შერწყმული. განსაცვიფრებლადაა შესრულებული ფიტარეთის
მორთულობა: ოსტატს სრულიად თავისუფლად გამოჰყავს ჩუქურთმის რთუ-
ლი ხლართი, ერთსადაიმავე საპირეში გაბედულად ათავსებს სხვადასხვა მო-
ტივებს, სტილიზებულ ნახატში აქსოვს ცხოველთა და ადამიანთა ფიგურებს.
ტაბ. 157, 158 კედლის წყობისათვის იგი სხვადასხვა ფერის ქვას იყენებს, რაც, რა თქმა უნ-
და, კიდევ უფრო აძლიერებს დახვეწილი დეკორაციულობის შთაბეჭდილებას.
ბეთანიასა და ფიტარეთში დარჩენილია იმდროინდელი ქართული ტაძრების
დამახასიათებელი კარიბჭე-ექვტერები სამხრეთის შესასვლელის წინ, ამა-
ღლებული შუა ნაწილებით, რომლებიც ფასადის მხრივ ფრონტონები-
თაა გამოყოფილი, შიგნით კი ვარსკვლავისებრი კამარებითაა გადახურული.
მცირეოდენი განსხვავებით ამ ჯგუფს ემხრობა თამარისდროინდელი ერთი
ძეგლი თბილისში, ე. წ. ლ უ რ ჯ ი  მ ო ნ ა ს ტ ე რ ი. მაგრამ იგი იმდენად გადაკე-
თებული და დამახინჯებულია, რომ რაიმე მხატვრულ შთაბეჭდილებაზე ლაპარა-
ტაბ. 159, 160 კიც არ შეიძლება. გეგმითა და მასების აღნაგობით კვლავ ამ ჯგუფის მონათესავეა
აგურის ორი ეკლესიაც—ყ ი ნ ც ვ ი ს ი (ქართლში), რომელიც განსაკუთრებით
ცნობილია თავისი შესანიშნავი ფრესკებით, და ტ ი მ ო თ ე ს უ ბ ა ნ ი (მესხეთში.
ზოგჯერ კიმოთესუბანსაც ამბობენ). ამ დროის ერთნავიანი ეკლესიების ნიმუშებია
ტაბ. 164, 165 მ ა ღ ა ლ ა ა ნ თ  ე კ ლ ე ს ი ა (ქართლშივე, კავთურის ხეობაში), რომელიც გვხიბ-
ლავს მსუბუქი, ელეგანტური პროპორციებით, მშვენივრად შესრულებული მდი-
დარი ჩუქურთმით, ფასადთა კომპოზიციების ორიგინალობით, ძალიან ლამაზი
ფერის პერანგით (გამოყენებულია მწვანე და ყვითელი ქვა. ორი ფერის შეფარ-
დება ნათლად დასახულ მხატვრულ ამოცანას ექვემდებარება); გ უ დ ა რ ე ხ ი
ტაბ. 166 (1222-1245 წლებს შუა) ქვემო ქართლში; ადრინდელ სამრეკლოთა ნიმუშად
ტაბ. 167 შეიძლება დავასახელოთ გ უ დ ა რ ე ხ ი ს  ს ა მ რ ე კ ლ ო 1278 წლისა — ორ-
სართულიანი, კუბური ქვემო სართულით, რომელშიაც გალავნის შესასვლელია
მოწყობილი, და მრავალწახნაგა გამჭოლი ფანჩატურით მეორე სართულზე —
აქ არის საკუთრივ სამრეკლო.

განსახილველი ხანა XIII-XIV საუკუნეთა მიჯნამდე გრძელდებოდა, ე. ი.
მას შემდეგაც, რაც საქართველოში მონღოლები შემოიჭრნენ და მის კეთილ-
დღეობას ძირი გამოუთხარეს. ქვეყანა მძიმე პოლიტიკურსა და ნივთიერ კრი-
ზისს განიცდის, რაც, რა თქმა უნდა, მშენებლობის მასშტაბზედაც ახდენს გავ-
ლენას. საქართველოს შუაგულ რაიონებში ახლა ბევრად უფრო ნაკლებს აშე-
ნებენ, მაგრამ მაინც აშენებენ, ეკლესიებსაც კი. მაშინდელი მშენებლობის ბევ-
რად მეტი ნიმუშია დარჩენილი სამცხე-საათაბაგოში, ე. ი. საქართველოს სამხ-
რეთ ნაწილში, რადგანაც შექმნილი ისტორიული ვითარების წყალობით, მონ-
ღოლთა უღელი იქ ნაკლებ საგრძნობი იყო, ცხოვრების პირობები კი უკეთესი.

მაგრამ XIII ს-ის მიწურულში თავს იჩენს ზოგი ხარისხობრივი ცვლილე-
ბაც. ეს არის: ა) რეაქცია XII საუკუნის დასასრულისა და XIII ს-ის პირველი
ნახევრის ხუროთმოძღვრების უკიდურესი რაფინირებისა და დეკორაციულო-
ბის წინააღმდეგ; ბ) ზოგი ადრინდელი (X-XI საუკუნეების) ხუროთმოძღვრუ-
ლი და დეკორაციული მოტივის რემინისცენციები; გ) წინანდელი ორგანული
მთლიანობის დაკარგვა, ეკლექტიზმის ნიშნების გაჩენა; დ) ქვაზე ნაკვეთი მორ-
თულობის მხატვრული ხარისხის დაქვეითება: შესრულება დუნეა, სახეები დაწ-
ვრილმანებული, მშრალი, ტექნიკური დონეც უფრო დაბალი. ყველა ეს ნიშანი
უფრო მკაფიოდ იჩენს თავს მომდევნო ხანაში, XIV ს-ის მეორე ნახევრიდან.

XIII-XIV სს-თა მიჯნაზე აგებული ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლებია:
წ მ. ს ა ბ ა ს ეკლესია ს ა ფ ა რ ი ს მონასტერში, ზ ა რ ზ მ ი ს მონასტრის მთავა-
რი ტაძარი და სამრეკლო (ორივე სამცხეშია), თბილისის მ ე ტ ე ხ ი ს ეკლესია
და ხ ო ბ ი ს მონასტრის ტაძარი (სამეგრელოში).

საფარის მონასტერი, დაარსებული, ყოველ შემთხვევაში, არა უგვიანეს X ს-ისა, მდებარეობს ხეობის სიღრმეში, მთებით გარშემორტყმულ ადგილას. ტაბ. 173, 174, 176 XIII ს-ში იგი ეკუთვნოდა სამცხის მფლობელთ — ჯაყელებს, რომელთაც საუკუნის მიწურულში ააშენეს წმ. საბას ტაძარი. ხუროთმოძღვარი იყო ფარეზასძე, რომლის სახელიც მოხსენებულია დასავლეთ კარიბჭის სარკმლის წარწერაში. შენობა ზედ შვეული კლდის პირას დგას. მის მოსათავსებლად არა მარტო იმ ადგილის მოშანდაკება დაჭირდათ, არამედ საგანგებო სუბსტრუქციის ამოყვანაც კლდის ქიმზე — სხვაგვარად აქ შენობა ვერ დაეტეოდა.

ფასადთა დამუშავება, ორნამენტთა შერჩევა და შესრულება ახლებურ ხერხებს გვიჩვენებს, მაგრამ წარსულთან კავშირიც ჯერ კიდევ საგრძნობია, მაღალია შესრულების პროფესიული დონეც. როგორი-ღაა ახლის ნიშნები? ჯერ ერთი, შეიცვალა პროპორციები: თუ ბეთანიისა და ფიტარეთის ჯგუფში პროპორციული შეფარდებები განსაკუთრებულ სიმახვილესა და დაძაბულობას აღწევს, აქ ეს სიმახვილე შენელებულია: გუმბათის ყელი დადაბლდა და გაფართოვდა, ამის შესაბამისად შენობის კორპუსი რამდენადმე უფრო მაღალი ჩანს; ჩნდება მისწრაფება, რომ ფასადთა ზედაპირები გათავისუფლდეს შეყურსული, ინტენსიური მორთულობისაგან, თავისუფალი გლუვი ზედაპირი ახლა უფრო მეტია. კერძო ხასიათის ნიშანია ის, რომ გუმბათის ყელზე ნამდვილი სარკმლები ენაცვლება ყრუ სარკმლებს (რომლებიც ისევეა გაფორმებული საპირეებით, როგორც ნამდვილი სარკმლები). საფარის შემდეგ ასეთი რამ მხოლოდ XIV-XV საუკუნეთა გუმბათებზე გვხვდება. შიგნით საინტერესოა პატრონიკეთა კვლავ გაჩენა — მაგრამ ისინი დასავლეთის მკლავის გარშემო მთლიან სალტეს აღარ ქმნიან — აქ ორი განცალკევებული სადგომია — ერთი სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, მეორე ჩრდილო-დასავლეთში. ამ ძველი მოტივის აღორძინება მაინც უნიადაგო აღმოჩნდა: სხვა იმდროინდელ ძეგლებში (ზარზმა, პული), პატრონიკე უიატაკოდაა და წმინდა დეკორაციული მნიშვნელობა-ღა აქვს. გეგმის მხრივ საფარის წმ. საბა წინა პერიოდის ძეგლებს ემხრობა, მაგრამ აღმოსავლეთი ფასადის ნიშები უკუგდებულია — ამიერიდან ეს მოტივი, რომელიც შვიდი საუკუნის მანძილზე იყო ფესვგადგმული, მხოლოდ სპორადულად ამოტივტივდებოდა ხოლმე.

მეტეხის ტაძარი, აგებული 1278-1289 წლებში, მონღოლთა ბატონობის ტაბ. 170-173. მძიმე ხანაში, მანამდე არსებული ეკლესიის ადგილზე, დიდ როლს თამაშობს ძველი თბილისის განუმეორებელი სილუეტის შექმნაში. ტაძარი აღმართულია მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ზედ ციცაბო კლდის პირას, მეორე ნაპირზე კი, მეტეხის პირდაპირ, მცირე გორაკზე — თბილისის ძველი დედაციხის ნანგრევებია. ეკლესიის გეგმა ადრინდელი ეკლესიის გავლენას ამჟღავნებს — აქ სამი შვერილი აფსიდი და ოთხი თავისუფლად მდგომი ბოძია, რაც, როგორც აღვნიშნეთ, ამდროინდელი გეგმებისთვის უცხოა. ეკლესიის ფასადები ახლებური დეკორაციული სისტემის ჩამოყალიბებას გვიჩვენებს: კედლები დანაწევრებულია ჰორიზონტალური სარტყლებით (ეს სისტემა ვერ გავრცელდა). მაგრამ იმავე დროს, საკურთხევლის შვერილ აფსიდზე განმეორებულია ძველი, სამთავისის დროიდან ცნობილი სისტემა დიდი ჯვრით და ორი მოჩუქურთმებული კვადრატით (სარკმლის ქვემოთ). მეტეხის ორნამენტაცია უკვე დაქვეითების ნიშნებს ატარებს — უძარღვოა, დაწვრილმანებული, წინანდებურ მეტყველებას მოკლებული.

ამ ხანის საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები გაფანტულია მთელ საქართველოში. დიდად საინტერესოა სხვადასხვა დანიშნულების შენობები საქართველოს მონასტრებში — სამწუხაროდ, ეს შენობები საკმარისად შესწავლი-

ლი არ არის. ოშკის მონასტერში დარჩენილია მოზრდილი ნაგებობის ნაშთები,
ტაბ. 70 ფიქრობენ, რომ ეს სემინარია-სატრაპეზო იყო. სწორკუთხა დარბაზი ბოძებით
სამ ნავადაა გაყოფილი ბაზილიკის მსგავსად. მის გვერდით სფერული გუმბა-
თით გადახურული კვადრატული ოთახია. გუმბათი ეყრდნობა ტრომპებს, რომ-
ლებიც ამ დროს იშვიათად გვხვდება და ისიც არა საეკლესიო შენობებში. გა-
ნათება ზემოდანაა, გუმბათის შუაში გაკეთებული სარკმლიდან. მიჩნეულია, რომ
აქ მოთავსებული იყო ბიბლიოთეკა-სკრიპტორიუმი, ე. ი. სახელოსნო. სადაც
წიგნების გადაწერა წარმოებდა. XI-XII სს. მიჯნაზეა აგებული აგარის
მონასტრის სატრაპეზო (ახალციხის რაიონი, ურავლის ხეობა) — გრძელი, სწო-
რკუთხა კამაროვანი დარბაზი, რომელსაც გვერდით დამატებითი დამხმარე სად-
გომი აქვს — ასევე ვიწრო გრძელი ოთახი. გარედან შენობა თლილი ქვითაა
მოპირკეთებული და ერთნავიან ეკლესიას მოგვაგონებს.
ტაბ. 160 სასახლეთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია გეგუთისა, ქუთაისის
მახლობლად. მისი ზოგი ნაწილი XII საუკუნისაა, ზოგი უფრო ადრინდე-
ლიც — მაშინ აქ მეფის სანადირო სახლი იყო, რომელიც ერთადერთი ბუხ-
რიანი ოთახისგან შედგება. აგურის დიდი დარბაზი მოთავსებული იყო თლი-
ლი ქვის სამმეტრიან ცოკოლზე. დარბაზის შუა ნაწილს გუმბათი ხურავდა,
ოთხ მხარეს კი, ჯვრის მკლავებივით მიემართებოდა კამარებით გადახურული
ღრმა უბეები. ამგვარად, იქმნებოდა დიდი ჯვრისებრი სივრცე, რომელიც —
თუ წარმოვიდგენთ აღარარსებულ გუმბათს, ინტერიერის მდიდრულ მორთუ-
ლობას — გრანდიოზული და საზეიმო უნდა ყოფილიყო.
მაგრამ თუ სანადირო ან „საagარაკო" სახლი ასეთი იყო, უმთავრესი სა-
მეფო სასახლეები (ჯერ ქუთაისში, შემდეგ თბილისში), რომლებშიაც, მრა-
ვალ სხვა სადგომთან ერთად, უნდა ყოფილიყო საზეიმო ცერემონიებისთ-
ვის განკუთვნილი დიდი დარბაზები, კიდევ უფრო მონუმენტური და შთამბეჭ-
დავი იქნებოდა. საუბედუროდ, დრომ და მტრებმა არ დაზოგეს ეს სასახ-
ლეები. წერილობითი ცნობები მოწმობს, რომ თბილისის სამეფო რეზიდენ-
ცია XII ს-ში მეტეხის ტაძრის გვერდით მდებარეობდა, მტკვრის კლდოვან
ნაპირზე, და რომ მისი დარბაზები მოხატული იყო ქვეყნის სამხედრო ის-
ტორიის სცენებით.
ტაბ. 145 გელათის აკადემია, არსებითად, წარმოადგენდა ერთადერთ დიდ
დარბაზს კარიბჭითა და ვესტიბიულით: საქალაქო სახლების (ალბათ, სა-
ცხოვრებლების) ნანგრევები აღმოჩენილია დმანისისა და სამშვილ-
დის ნაქალაქარებში, გუდარეხის მონასტრის ანსამბლში. მათი უმე-
ტაბ. 188 ტესობა დაზიანებულია.
სტილის მხრივ სამოქალაქო შენობები უახლოვდება საეკლესიოს. მათი
განსხვავება გამოწვეულია მხოლოდ ფუნქციური სხვაობით და — ამასთან
დაკავშირებით — სხვანაირი კონკრეტული გეგმითა და მასებით. გარეგნულ
მორთულობას სამოქალაქო შენობებში გაცილებით ნაკლები მნიშვნელობა
ჰქონდა, ვიდრე ეკლესიების ფასადებზე.

საქართველოს ძველი სიმაგრეები ჩვენი ქვეყნის ბუნების განუყო-
ფელ ნაწილს შეადგენს. დღეს ეს მხოლოდ რომანტიკული ნანგრევებია, რომ-
ლებიც გარემოს თავისებურ მეტყველებას ანიჭებს და სრულიად თავისე-
ბურ სილუეტებს ქმნის მდებარეობისდა მიხედვით. მაგრამ თავის დროზე მა-
თი არსებობა სასიცოცხლო საკითხი იყო: სიმაგრეთა გარეშე ვერ იარსებებ-
და ვერც ერთი ფეოდალური ქვეყანა, ვერ იარსებებდა ვერც საქართველო.
ციხესიმაგრე — ყველაზე მიუვალიც კი — დაუზიანებლად, ბუნებრივია,

დიდხანს ვერ გაძლებდა, რაკი ყოველი მათგანი ხშირი თავდასხმის საგანს წარმოადგენდა; ციხეებს ანგრევდნენ, აღადგენდნენ, კვლავ ანგრევდნენ და კვლავ აღადგენდნენ, ყოველთვის თავისი დროის მოთხოვნილებათა და შესაძლებლობათა შესაბამისად. ამიტომაა, რომ ციხეებზე ძნელად თუ ვიმსჯელებთ, როგორც ერთი რომელიმე გარკვეული ეპოქის მთლიან ძეგლებზე. ამდროინდელ — ე. ი. ცეცხლისმფრქვევი იარაღის წინადროინდელ — ციხეებს არ გააჩნია სათოფურების სისტემა, რაც დამახასიათებელია უფრო გვიანდელი სიმაგრეებისთვის, ისინი ყოველთვის მოთავსებულნი არიან ძნელად მისადგომ მაღლობებზე, თავს დაჰყურებენ და კონტროლს უწევენ ხეობას, ველს, გზას. გეგმები რთულია და არა გეომეტრიულად მოწესრიგებული, მოხაზულობა მისდევს გამოყოფილი ნაკვეთის მოხაზულობასა და რელიეფს*; კოშკები, ჩვეულებრივ, არ სცილდება ციხის გარე გალავნის ხაზის ფარგლებს, რაკი მაშინ ჯერ კიდევ არ ისმოდა ფლანკირების (ციხის კედლების მეციხოვნეთა ცეცხლით დაცვის) საკითხი. ყველა ციხესიმაგრე ქვისაა. ქვა, ჩვეულებრივ, საკმაოდ კარგადაა დამუშავებული, სწორკუთხაა, მაგრამ მაინც არ არის სუფთად გათლილი, როგორც ეკლესიების კედლებისთვის იხმარებოდა. ციხეები ისეა შეზრდილი მთასთან, კლდესთან, თითქოს მათგან იყოს აღმოცენებული; ზოგჯერ ძნელი გასარჩევიც კია ბუნებრივი კლდე და ნაშენი კედელი.

ხ ე რ თ ვ ი ს ი, ა წ ყ უ რ ი, ო ქ რ ო ს ც ი ხ ე (სამივე მესხეთშია) — მშვენიერი ნიმუშებია დიდი ციხეებისა, რომლებიც თავის დროზე დიდ როლს თამაშობდა ჩვენი ქვეყნის ისტორიულ ცხოვრებაში. ტაბ. 190-194

ახლა უნდა მოვიხსენიოთ კლდეში ნაკვეთი ნაგებობანი. ასეთი ნაგებობა საქართველოში ბევრია. ერთ-ერთი — უფლისციხე, დაარსებული ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე — უკვე მოვიხსენიეთ. შუა საუკუნეების კომპლექსთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ორი: დ ა ვ ი თ-გ ა რ ე ჯ ი ს მონასტრები, თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 70 კმ მანძილზე, და ვ ა რ ძ ი ა, მტკვრის ზედა წელზე, ისტორიული პროვინციების სამცხისა და ჯავახეთის საზღვარზე.

დ ა ვ ი თ-გ ა რ ე ჯ ი ს მონასტერი ჯერ კიდევ VI საუკუნეში დააარსა დავით გარეჯელმა, რომელიც საქართველოში ქრისტიანობის გასავრცელებლად ჩამოსული „ათცამეტი ასურელი მამის“ დასს ეკუთვნოდა. დროთა განმავლობაში მონასტერი დიდად გაიზარდა და მონასტრების მთელ კომპლექსად იქცა. შუა საუკუნეებში დავით-გარეჯამ რამდენიმეჯერ მიაღწია აყვავებას — აქ დიდი მშენებლობა წარმოებდა, ფრესკები იხატებოდა. ინტენსიური სამწიგნობრო მოღვაწეობა იყო გაშლილი. მონასტრების აქტიური ცხოვრება, სხვადასხვა ინტერვალებისა და კრიზისების მიუხედავად, XVIII ს-ის მიწურულამდე გრძელდებოდა. თავისი დღევანდელი სახით დავით გარეჯის მონასტრები შედგება მრავალი ასეული სენაკისა, სატრაპეზოებისა, სამლოცველოებისა და ეკლესიებისაგან, რომლებიც კლდეშია გამოკვეთილი. არის აშენებული ნაწილებიც — გალავნებისა და კოშკების სისტემა, ზოგი საცხოვრებელი კოშკი. უდიდესი აყვავების ხანა XI-XIII საუკუნეები იყო. ტაბ. 184-180

ვ ა რ ძ ი ა ერთი ყველაზე პოპულარული ძეგლთაგანია საქართველოში. მას ძალიან ბევრი მნახველი ჰყავს საქართველოდან და სხვა ქვეყნებიდან, თუმცა იგი დაშორებულია ცენტრებს. აქაც მონასტერი იყო. იგი გიორგი III ტაბ. 181-183

* ადრინდელი ფეოდალური ხანის ციხეების გეგმები უმეტესად რეგულარული ხასიათისაა.

დაარსა და დაამთავრა მისმა ასულმა თამარ მეფემ, ე. ი. ეს ძირითადად XII საუკუნის ძეგლია, თუმცა, რა თქმა უნდა, მშენებლობა არც შემდეგ შეწყვეტილა და აქ უფრო გვიანდელი ნაწილებიც არსებობს.

ვარძია მდებარეობს მტკვრის მარცხენა ნაპირზე და გამოკვეთილია ტუფის შვეულ კლდეში. სიგრძე 900 მეტრამდეა, სიმაღლეზე რამდენიმე სართულია (ზოგან შვიდი). გამოქვაბულთა რაოდენობა აქაც ასობით დაითვლება. სადგომები დაჯგუფებულია მცირე კომპლექსებად, რომლებიც რამდენიმე ოთახისაგან შედგება და ერთმანეთთან დაკავშირებულია საგანგებო გადასასვლელებით. ფასადის დიდი ნაწილი დროთა განმავლობაში მოირღვა, ასე რომ, დღეს ველარ ვიმსჯელებთ მთელი ანსამბლის თავდაპირველი სახის შესახებ. შიგნით ტექნიკური თვალსაზრისით ყველაფერი ოსტატურადაა შესრულებული, მაგრამ რაიმე საგანგებო მორთულობა — მაგალითად, კლდეში გამოკვეთილი ქანდაკებები, როგორც შორეული აღმოსავლეთის ზოგ გამოქვაბულ ანსამბლშია — აქ არ გვხვდება: ასეთი რამ უცხოც იქნებოდა ქართული ხუროთმოძღვრებისათვის. ერთადერთი სამკაულია სამლოცველოთა კედლის მხატვრობა. ამ მხრივ განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია დიდი ეკლესიის მოხატულობა, რომელიც, სასულიერო სიუჟეტებთან ერთად, შეიცავს გიორგი მესამისა და თამარ მეფის პორტრეტებს. ეკლესიის ადგილი გარედან ადვილი გამოსაცნობია, რადგან მის წინ, კლდის შეღრმავებაში, ჩაშენებულია თლილი ქვის ორი თაღი — ეს ეკლესიის ფასადია და, იმავე დროს, უმთავრესი ხუროთმოძღვრული მახვილი (დღეს მაინც) მთელი ვარძიისა. აქვეა, თაღების გვერდით, აშენებული სამრეკლოც.

რა თქმა უნდა, ფოტო სურათები შორეულ წარმოდგენასაც ვერ უქმნის მნახველს ვარძიის შესახებ, მით უფრო, რომ შთაბეჭდილებას ახდენს არა მარტო თვით ძეგლი, კლდეში ნაკვეთი ოთახებისა და აქეთ-იქით მიმავალი კიბის საფეხურების საკვირველი რიტმით, არამედ მთელი გარემო, ვარძიის მიდამოები: ჯერ ვარძიიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მდებარე ციხე-ქალაქის თმოგვის ნანგრევები — თმოგვი გრანდიოზულ კლდეზე მდებარეობს და თვალჩაუწვდენელ ხრამს გადაჰყურებს; შემდეგ, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, მეორე გამოქვაბული მონასტერი — ვანის ქვაბები, რომლის სენაკები მაღალი მთის ციცაბო კალთებზეა მიმოფანტული; დასასრულ, ორ მაღალ ზეგანს შორის მდინარის მიერ ჩაკვეთილი ეს ღრმა კანიონი, ეს უზარმაზარი შიშველი კლდეები. სრულიად თავისებური სამყაროა — მკაცრი, საზეიმო, დიდებული და რომანტიკული.

თავის დროზე ვარძია სიმდიდრით იყო ცნობილი. XVI ს-ში იგი სპარსელებმა გაძარცვეს, შემდეგ კი, თურქთა ბატონობის მძიმე საუკუნეებში, სრულიად დაცარიელდა და გაპარტახდა (დღეს დაცულია, როგორც კულტურის შესანიშნავი ძეგლი)*.

X-XIII საუკუნეებმა უამრავი ძეგლი დაგვიტოვა. მათი დიდი მხატვრული ღირსება, მკაფიო თავისებურება, განვითარების დამოუკიდებლობა ნებას გვაძლევს ქართული ხუროთმოძღვრება იმდროინდელი ევროპული და წინააზიური ხელოვნების ღირსშესანიშნავ მოვლენად ჩავთვალოთ. ბუნებრივია, იგი ენათესავება სხვა ქრისტიანული ქვეყნების ხუროთმოძღვრებას, რომლებთანაც მას იდეური და ფუნქციური ამოცანების იგივეობა აკავშირებს.

* ჯავახეთსა და სამცხეში სხვა გამოქვაბული და ნახევრადგამოქვაბული კომპლექსებიც არსებობს, მაგ. პ ა ტ ა რ ა  ს ა მ ს ა რ ი (ახალქალაქის რაიონში), ბ ა ი ე ბ ი (ახალციხის რაიონში) და სხვ.

მაგრამ ეს მის ორიგინალობაზე გავლენას ვერ ახდენს. ქართულ მწერლობასთან და სიმღერასთან ერთად, სწორედ ქართული ხუროთმოძღვრება გამოსახავს ყველაზე სრულად და ნათლად ქართული კულტურის ეროვნულ თავისებურებას.

კანონზომიერი იქნება ქართული ძეგლების შედარება მეზობელი ქვეყნების — სომხეთისა და ბიზანტიის, აგრეთვე მაშინდელ დასავლურ ძეგლებთან. სომხურ არქიტექტურასთან მათ აახლოებს ზოგი საეკლესიო გეგმის მსგავსება, ცალკეული ხუროთმოძღვრული ფორმები (დაქანებული სახურავები, კარვისებრი გადახურვა გუმბათისა, ფასადთა ნიშები), ზოგი დეკორაციული მოტივი და ხერხი (ფასადთა ლილვები და თაღები, ქვის ჩუქურთმის მნიშვნელობა მორთულობისათვის), საშენი მასალა (თლილი ქვა პერანგისათვის). მაგრამ ძალიან არსებითია განსხვავებაც: თუმცა არქიტექტურის თემატიკურ განვითარებაში პარალელებიც მოიძებნება, მაინც სომხეთშიაც და საქართველოშიც არსებობს მხოლოდ ყოველი მათგანისთვის დამახასიათებელი თემები, რომლებიც მეორე ქვეყანაში ან სულ უცნობია, ან ნაკლებადაა განვითარებული. განსხვავებულია პროპორციები, ფერის შეგრძნება, კერძოდ, ფასადთა ფერადოვანი „გაფორმება“ პერანგის ქვის შერჩევის შედეგად — ეს, რასაკვირველია, მიეწერება თვით ბუნებრივი ქვის ფერის განსხვავებასაც, მაგრამ, აგრეთვე, საუკუნეთა მანძილზე შემუშავებულ განსხვავებულ გემოვნებასაც (ქართული ძეგლების ფერი, ჩვეულებრივ, უფრო ღია და „აქვარელურია“; იმავე დროს, ფერთა შეხამება უფრო რბილია, ნაკლებ კონტრასტული და მკვეთრი — ეს განსხვავება თვალსაჩინოა ხელოვნების სხვა დარგებშიაც და არა მარტო განსახილველ ეპოქაში). სრულიად განსხვავებულია, მიუხედავად ცალკეულ მოტივთა ნათესაობისა, ქვაზე ნაკვეთი ჩუქურთმის ხასიათი, მორთულობის შეფარდება ხუროთმოძღვრულ არესთან. საქართველოში, სოციალური განვითარების რამდენადმე განსხვავებული ხასიათის გამო, სომხეთთან შედარებით ნაკლებ განვითარდა საქალაქო ხუროთმოძღვრება; ქართული ხუროთმოძღვრული მორთულობა იმ ეპოქაში არ განიცდიდა ისლამური ხელოვნების გავლენას, რომელიც მეტნაკლებად საგრძნობია სომხურ დეკორში; ცალკეულ თემათა გარდა, არსებობს ბევრი ხუროთმოძღვრული ფორმა, მოტივი, ობიექტი, რომლებიც მხოლოდ ერთ-ერთი ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი.

თავისი გარეგნული იერით ქართული ეკლესიები მკვეთრად განსხვავდება ბიზანტიური ეკლესიებისაგან. თუმცა გეგმების (და, ზოგჯერ, მასების განლაგების) მხრივ მათ შორის საერთოც ბევრია. საერთოა ცხოველხატულებისა და დეკორაციულობის ტენდენციებიც. ბიზანტიური ეკლესიების კედლები ნაწყობია ქვისა და აგურის რიგების მონაცვლეობით, რიგებს შორის კი დუღაბის სქელი ფენა ჩანს; მორთვის ძირითადი ხერხებია აგურის სახეებიანი (ხალიჩისებრი) წყობა, დეკორაციული ნიშები, მოჭიქული კერამიკული ჩანართები. კედლის საერთო ფაქტურა დიდად ცხოველხატულია. ქართული ხუროთმოძღვრება ქმნის თლილი ქვის პერანგით მოპირკეთებული მძლავრი კედლების მშვიდ ფართო სიბრტყეებს, ქმნის ფასადთა დეკორის მკაფიოდ ჩამოყალიბებულ სისტემას და ქვაზე ნაკვეთ სპეციფიკურ მდიდრულ ჩუქურთმას. საქართველოში უცნობია მრავალგუმბათიანი ეკლესიები — აქ დომინანტს, გვირგვინს შეადგენს საფეხურებად აგებული შენობიდან ამოზრდილი ერთადერთი გუმბათი, რომელიც მთელ შენობას „ჰკრავს“ და კომპაქტურობას ანიჭებს მას; უცნობია სფერული და კამარების ზურგს გაყოლებული სახურავები, თაღოვანი კარნიზები—ეს ყველაფერი შეუფერებელია ქართული ტაძრების ხაზოვანებისა და „კუბიზმისათვის“. მორთულობის სიმდიდრის მიუხედავად, ქართული ტაძრების გარე სტრუქტურა გეომეტრიუ-

ლად უფრო მკაფიოა, უფრო ნათელი, ვიდრე ბიზანტიური ტაძრისა, მისი რამდენიმე გუმბათით, მრავალი ექვტერით, შეერილი აფსიდებით, კედელთა ცხოველხატული ფაქტურით.

უფრო საგრძნობია ნათესაობა რომანულ არქიტექტურასთან, რომელმაც დასავლეთის შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრებაში პირველად გამოიყენა ბევრი კონსტრუქციული ელემენტი და ხერხი, რომლებიც უკვე კარგა ხანია ცნობილი იყო საქართველოსა და სომხეთში. ამ ნათესაობას ძალაუნებურად გრძნობ, როცა უყურებ რომანული ტაძრების მძლავრ მასიურ კედლებს. თლილი ქვის პერანგს, მასიურ ბოძებს და თაღებს ტაძრის შიგნით, კამარებით გადახურულ ვიწრო, აზიდულ სივრცეს, ფასადთა დეკორაციულ თაღებსა და ლილვებს, ქვის ჩუქურთმასა და რელიეფებს. ჩუქურთმის ზოგი მოტივის თანხვედრაც კი შეიძლება აღმოვაჩინოთ. მაგრამ განსხვავება აქაც ძალიან არსებითია: რომანულ ტაძართა დიდი უმრავლესობის გეგმები ძლიერ წაგრძელებულია და, თანაც აგებულია ერთისა და იმავე ელემენტის განმეორება-გამრავლებით; შიდა სივრცე აღიქმის თანდათანობით, რიტმულად განმეორებული ნაწილების მიხედვით; ქართულ ტაძრებში კი სივრცე, რომელშიაც — რომანულ ეკლესიათაგან განსხვავებით — გუმბათი ბატონობს, ერთბაშად აღიქმის, როგორც ერთიანი მთელი*, რომანულ არქიტექტურაში ძალიან ხშირია ანტიკური მოტივების რემინისცენციები, განსაკუთრებით დეტალთა პროფილებში; საქართველოში ასეთი რემინისცენციები უცნობია; როგორც გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, ქართული არქიტექტურა ამ დროს ცხოველხატული სტილის საფეხურზეა, რომანული კი კლასიკური, ხაზოვანპლასტიკური სტილია, ე. ი. ამ მხრივ შეესაბამება ჩვენი ხუროთმოძღვრების ადრინდელ (V-VII ს-თა) პერიოდს; დასასრულ, რომანული სკულპტურა, რომელიც ორგანულად უკავშირდება არქიტექტურას, უფრო ემოციური და მკვეთრად ექსპრესიულია, ქართული დეკორაციული ქანდაკება კი — თუმცა ექსპრესიულობა არც მას აკლია — უფრო თავშეკავებული.

უფრო დაწვრილებით X-XIII სს-თა ქართული ხუროთმოძღვრების სტილისტიკური ნიშნების შესახებ საუბარი უკვე გვქონდა ზემოთ, ამ ნაწილის დასაწყისში.

## გვიანა ფეოდალური ხანის ქართული კულტურა. XIV-XVIII საუკუნეთა ხუროთმოძღვრების ზოგადი დახასიათება

XIV-XVIII საუკუნეებში ქართული კულტურის განვითარების პირობები ისე ხელსაყრელი აღარ იყო, როგორც წინათ, ფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და უდიდესი აყვავების დროს. ხალხის თავისუფალ შემოქმედებას ხელს უშლიდა როგორც ქვეყნის შინაგანი სოციალურ-ეკონომიური ევოლუცია, ისე გარე ფაქტორები — მტრული სახელმწიფოების სალტის შექმნა საქართველოს გარშემო, ამ სახელმწიფოთა მუდმივი მისწრაფება, რომ არა მარტო დაემორჩილებინათ, არამედ, არსებითად, მოესპოთ კიდეც საქართველო. ძალიან მძიმე გავლენას ახდენდა ქვეყნის კეთილმდგომარეობაზე მისი დაქუცმაცება, მუდმივი ბრძოლა თავის გადასარჩენად, ეკონო-

* რომანული გუმბათოვანი ტაძრების ინტერიერიც სულ სხვაგვარია (მაგ., პერიგეს სენფრონის ეკლესია, ანგულემის კათედრალი, ფონტერვოს სააბატოს ეკლესია) — იქაც რამდენიმე გუმბათია, რომლებიც აგრეთვე რიტმულად აღიქმის. ამას გარდა, რომანული გუმბათები უმეტესად უყელოა, მაშინ, როცა ქართული გუმბათოვანი ტაძრის საერთო სახისათვის სწორედ ყელსა აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა.

მიკის დაქვეითება. ქვეყნის დასუსტება ზოგჯერ გზას უხსნიდა უცხოურ გავლენებსაც.

დიდად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო კონსტანტინეპოლის დაცემა და ბიზანტიის იმპერიის დაღუპვა. ამის შემდეგ საქართველო, ფაქტიურად, მოწყდა დასავლეთის ცივილიზაციას, რომელთანაც საუკუნეთა მანძილზე მჭიდროდ იყო დაკავშირებული. მეორე მხრივ — ორი მძლავრი მუსლიმანური სახელმწიფოს, ოტომანთა თურქეთისა და სეფიანთა ირანის მეზობლობა. საქართველო ხომ წინა აღმოსავლეთის ერთადერთი ქრისტიანული სახელმწიფო იყო, რომელმაც ამ მაჰმადიანურ ზღვაში კუნძულივით შეინარჩუნა თავისი სახელმწიფოებრიობა. თურქეთის რაიმე კულტურული ვავლენის შესახებ ლაპარაკიც ზედმეტია; მაგრამ ირანის პოლიტიკურმა გავლენამ, მით უფრო ქართლსა და კახეთში, კვალი დაამჩნია საზოგადოების ზედა ფენების ყოფა-ცხოვრებასაც და, გარკვეული თვალსაზრისით, კულტურასაც — პოეზიას, რომელმაც ნაწილობრივ „აღმოსავლური" იერი მიიღო, მინიატურების ხელოვნებას, სასახლეთა მშენებლობას და, რამდენადმე, საეკლესიო შენობათა მორთულობასაც. მაგრამ ამ გავლენას მაინც გადაჭარბებული მნიშვნელობა არ უნდა მივაკუთვნოთ: მწერლობაში ეს მიმართულება სრულიადაც არ არის ერთადერთი, დასავლეთ საქართველოს ხუროთმოძღვრებისა და ხალხურ მშენებლობაში ირანული მოტივები ან სულ არ გვხვდება, ან მხოლოდ ზედაპირზე რჩება; აღმოსავლეთ საქართველოს ბევრი შენობაც თავისუფალია ამ გავლენისაგან. იქაც, სადაც ამ გავლენას ადგილი აქვს, იგი, უმეტესად მაინც, შემოქმედებითადაა შეთვისებული საკუთარ მოთხოვნილებათა და ამოცანათა შესაბამისად, იგი არ ცვლის განვითარების ძირითად ტრადიციულ გეზს; უფრო გვიან — ნაწილობრივ უკვე XVIII ს-ში, უფრო კი XIX ს-ში, ეს გარედან შემოტანილი და ზემოდან „მოცხებული" ფენა სწრაფად იქნება უკუგდებული.

XVII-XVIII საუკუნეები ბევრი თვალსაჩინო ქართველი პოეტის მოღვაწეობის ხანაა. პოეზიის დარგში იღწოდნენ არა მარტო „უბრალო მოკვდავნი", არამედ მეფეებიც (თეიმურაზ I, არჩილი, თეიმურაზ II). „ცარიელი" XIV-XVI საუკუნეების შემდეგ, XVII საუკუნე შეიძლება მივიჩნიოთ პოეტური შემოქმედების თავისებური აღორძინების საუკუნედ. XVIII ს-ში გადაიდგა ნაბიჯები (თუმც კი უშედეგო) დასავლეთ ევროპასთან კონტაქტების დასამყარებლად (სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა საფრანგეთსა და იტალიაში და სხვ.), XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან კი რეალურ სახეს ღებულობს რუსეთის იმპერიასთან ურთიერთობა, რომელიც ბევრად უფრო ადრე წამოიწყეს საქართველოს მესვეურებმა.

XVIII საუკუნე განმანათლებელთა ხანაა საქართველოშიაც. მეფე ვახტანგ VI, კაცი დიდად განსწავლული, რომელიც 1723 წლამდე განაგებდა ქართლს, 1709 წელს თბილისში აარსებს პირველ ქართულ სტამბას, ბეჭდავს სასულიერო წიგნებთან ერთად ვეფხისტყაოსანს; მის დროს „სწავლულ კაცთა" საგანგებო კომისია მუშაობდა ქართულ მატიანეთა რედაქციასა და მოწესრიგებაზე; ვახტანგის ძე, სახელგანთქმული მეცნიერი ვახუშტი ბატონიშვილი, წერს საქართველოს სამეფოს აღწერას — ისტორიულ-გეოგრაფიულ ნაშრომს, რომელიც დღესაც, თითქმის ორ საუკუნენახევრის შემდეგ, ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, ადგენს საქართველოს რუკებს; დიდი მწერალი და მეცნიერი სულხან-საბა ორბელიანი ქმნის თავის უკვდავ „სიბრძნე-სიცრუისას" და ქართული ენის შესანიშნავ ლექსიკონს, რომელსაც დღესაც ვხმარობთ. XVIII ს-სვე მიეკუთვნება დიდი პოეტების დავით გურამიშვილისა და ბესიკის (ბესარიონ გაბაშვილის) მოღვაწეობა.

განსაკუთრებით აქტიურად იბრძოდა დამოუკიდებლობისა და ქვეყნის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ერეკლე II, რომლის ხელშიაც XVIII ს-ის მეორე ნახევარში გაერთიანდა ქართლი და კახეთი. იგი ცდილობდა ბუნებრივი რესურსების გამოყენებას, ვაჭრობისა და მრეწველობის საქმის მოწესრიგებას.

XIV-XVIII სს-ში განვითარებას განაგრძობს ქართული ხელოვნების ყველა უმთავრესი დარგი: XIV ს-ის მხატვრობა სტილისტიკურად ახლოა პალეოლოგთა ხანის ბიზანტიურ მხატვრობასთან; XVI-XVII სს. ფრესკებში განსაკუთრებით საინტერესოა ისტორიულ პირთა — მეფეთა და ფეოდალთა ოჯახების — ჯგუფური პორტრეტები: შესრულება ოსტატობითა და სიფაქიზით დიდად ჩამოუვარდება X-XIII სს. ფრესკებისას, მაგრამ გულუბრყვილო უშუალობა, თავისებური მეტყველება მათ განსაკუთრებულ მომხიბვლელობას ანიჭებს. ბევრი მაშინდელი ხელნაწერი წიგნი მინიატურებითაა შემკული; ყველაზე მეტად საინტერესოა საერო თხზულებათა და, უპირველეს ყოვლისა, ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციები. ვირტუოზული ოსტატობის დონეზეა კალიგრაფია — დაუსურათებელი ხელნაწერებიც ხელოვნების ნაწარმოებთა დონეზე დგას. ცალკეულ გამოჩენილ „მწერალთა“ (ასე უწოდებდნენ გადამწერს) გარდა, შეიძლება მოვიხსენიოთ კალიგრაფთა მთელი დინასტიები. წინანდებურად დიდი ადგილი უჭირავს ოქრომჭედლობას — სრულდება ვერცხლისა და ოქროს ხატები, ჯვრები, ჭურჭელი, ცნობილია ცალკეულ ოსტატთა სახელები, ცნობილია, რომ მეფეთა და დიდ ფეოდალთა კარზე საგანგებო საოქრომჭედლო სახელოსნოები არსებობდა. თუმცა მხატვრული დონე თანდათან ქვეითდება, ზოგ ნაწარმოებში მაინც ჩანს დახელოვნებული ოსტატის შემოქმედების კვალი. XV ს-დან ჩვენ ვიცნობთ ხელსაქმის — მხატვრული ნაქარგობის — კარგად შენახულ ნიმუშებს (გარდამოხსნებს, საეკლესიოსა და, უფრო გვიან, საერო სამოსელს), ფართოდაა გავრცელებული მხატვრული კერამიკა, ლითონის დამუშავება.

როგორი-ღაა თვით ხუროთმოძღვრების განვითარების სურათი? უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამ გვიანა ხანამ, გასაგები მიზეზების გამო, უფრო მეტი ძეგლი დაგვიტოვა, ვიდრე წინა ეპოქებმა, თუმცა მათი ქრონოლოგიური და გეოგრაფიული „განაწილება“ უთანაბროა: XIV ს-ში შედარებით ბევრი ძეგლია სამცხე-საათაბაგოშიც და სხვა კუთხეებშიაც; XV საუკუნე, ე. ი. გამანადგურებელ შემოსევათა მომდევნო ხანა, დანგრეულის აღდგენას მოუნდა; ახლის შესაქმნელად ქვეყანას ძალა აღარ შესწევდა; XVI ს-ში განსაკუთრებით ინტენსიური მშენებლობა წარმოებდა კახეთში, რომელიც უკვე გამოყოფილი იყო ცალკე სამეფოდ, XVII ს-ში — ქართლში, XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან — ქართლ-კახეთში.

ხუროთმოძღვრების ძირითადი თემატიკა, ძირითადი იდეები იგივეა, რაც წინათ იყო. სწორედ მაშინ, როდესაც დასავლეთ ევროპაში დგება რენესანსის ბრწყინვალე ეპოქა, საქართველოში, როგორც დავინახეთ, შექმნილი ისტორიული ვითარება აფერხებს ბუნებრივ განვითარებას. XV-XVIII საუკუნეები ჯერ კიდევ ფეოდალიზმის ხანაა, მისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშნითა და თავისებურებით. საეკლესიო არქიტექტურას კვლავინდებურად დიდი ადგილი უჭირავს. აშენებენ ისეთი გეგმის ჯვაროვან-გუმბათოვან ეკლესიებს, როგორიც XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე შემუშავდა, მაგრამ პროპორციები უმეტესად XIII საუკუნის დასასრულის ნორმებს უახლოვდება (თუმცა ზოგი განსხვავებაც არის); ბევრია უბრალო ერთნავიანი სასოფლო ეკლესია. ნიშანდობლივია, რომ აქა-იქ ამოტივტივდება დიდი ხნის წინათ დავიწყებული თემებიც, ე. ი., როგორც XIII-XIV საუკუნეებში, ახლაც ძველის რემინისცენციებს აქვს ადგილი. თუ სამნავიანი ბაზილიკა და სამეკლესიიანი

ბაზილიკა გამონაკლისის სახით გვხვდება, სამაგიეროდ რამდენიმე მაგალითი მოიძებნება ე. წ. „თავისუფალი ჯვრის“ (croix libre) თემისა, რომელშიაც ჯვარისებრი მოხაზულობა არა მარტო სივრცეში ჩანს, არამედ მიწის დონეზედაც ჩნდება; ე. წ. კუპელჰალეს სხვადასხვა ვარიანტებიც (წინათ ამ თემას ყველაზე მეტად უახლოვდებოდა ეაჩნაძიანის ყველაწმინდა VIII-IX საუკუნეებისა). მაგრამ სრულიად უცნობია ტრიკონქის ტიპი, ოდესღაც გავრცელებული საქართველოშიაც (XI ს-მდე ჩათვლით), ამ დროს კი — XIV და მომდევნო საუკუნეებში — სხვადასხვა ვარიანტებით ძალიან პოპულარული ბალკანეთსა და რუმინეთში (მაგ. XIV-XV სს. მიჯნის მორავული სკოლის ეკლესიები სერბიაში — რავანიცა, ლაზარიცა, მანასია, ლიუბოსტინია; XV ს-ის მეორე ნახევრის ეკლესიები მოლდოვაში — ვორონეცი, სუჩავა, ჰირლეუ, XVI-XVII საუკუნეებისა ვალახიაში — დიალუ, კურტია დე არჯეში, სნაგოვი, ბუქარესტის პატრიარქია, კოზია და მრავალი სხვ.).

ძალიან დიდია სათავდაცვო არქიტექტურის ხვედრითი წონა: არა მარტო მეფეებსა და მსხვილ ფეოდალებს, არამედ ყოველ აზნაურსაც კი თავისი ციხე თუ არა, კოშკი მაინც უნდა ჰქონოდა, თუ არა და, ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით, „არა იწოდებოდა აზნაურად“. თავისთავად ცხადია, რომ ციხე, კოშკი, ციხე-დარბაზი მართლაც აუცილებელი იყო ფეოდალთათვის, მათ ხომ არა მარტო უცხო მტრისაგან უხდებოდათ თავის დაცვა, არამედ საკუთარ მეზობლისგანაც. ყოველი მთავარი, თავადი თუ აზნაური მეორის პოტენციური მტერი იყო. მაგრამ ციხე-კოშკი სიმბოლოც იყო—ძალაუფლებისა და მაღალი შთამომავლობის მაჩვენებელი, ე. ი. სოციალური სიმბოლო.

XVI-XVIII საუკუნეებში საქართველოში, გარდა გამაგრებული ქალაქებისა, არსებობდა საფორტიფიკაციო ნაგებობათა შემდეგი სახეები: ციხე-სიმაგრეები, რომელთაც წმინდა სამხედრო-სათავდაცვო დანიშნულება ჰქონდათ; ციხე-დარბაზები, ე. ი. გამაგრებული სასახლეები; ეკლესია-მონასტრების გალავნები და სხვა დასაცავი საშუალებები, ცალკე მდგომი კოშკები (კოშკები, იმავე დროს, შედიოდა ყველა ჩამოთვლილი სახეობის შენობებში). XVIII ს-დან გაჩნდა ე. წ. გალავნები — ჩვეულებრივი კედლით გარშემორტყმული კვადრატული ეზოები სხვა ნაგებობათა გარეშე — რომელთა დანიშნულება იყო ამა თუ იმ სოფლის ან კუთხის მთელი მოსახლეობის შეხიზვნა საქონლიანად ლეკიანობის დროს (ლეკიანობა სპარსელებისა და თურქების შემოსევაზე ნაკლები უბედურება არ იყო). ტაბ. 218-225

თუ დასავლეთ ევროპაში აღორძინების დროიდან, რუსეთში კი პეტრე I დროიდან იწყება საცხოვრებლისა და სიმაგრის დიფერენციაცია (ვერსალი, ფონტენბლო, პეტერჰოფი, ცარსკოე სელო— სასახლეებია და არა ციხე-დარბაზები), საქართველოში, მისი ისტორიული და სოციალური ვითარების წყალობით, თვით XIX ს-მდე ფეოდალის სასახლე ვერ გამოეთიშებოდა სიმაგრეს, ვერ უგულებელყოფდა სათავდაცვო საშუალებებს.

ზოგი შენობა, მაგალითად, ბევრი კოშკი, შეიძლება საცხოვრებელთა კატეგორიასაც მივაკუთვნოთ და სათავდაცვო ნაგებობათა კატეგორიასაც. ასევე სამრეკლოებიც, მრავალ შემთხვევაში საცხოვრებელ ოთახებსაც შეიცავდა და სათავდაცვო ფუნქციაც ჰქონდათ.

ძირითადი ფაქტორი, რომელიც XIV-XV საუკუნეებიდან განსაზღვრავდა სათავდაცვო არქიტექტურის განვითარებას მთელ მსოფლიოში — ცეცხლსასროლი იარაღის გაჩენა იყო. საქართველო უკვე XV ს-ში გაეცნო მას, მაგრამ თვით ქართული ლაშქრის შეიარაღება თოფ-ზარბაზნებით მძიმედ მიიწევდა წინ, არსებითი გარდატეხა მხოლოდ XVIII ს-ის შუა წლებში მოხდა,

თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის დროს. წინა საუკუნეების სათავდაცვო არქიტექტურასთან შედარებით, ახლა საქართველოში ზოგი ცვლილებები შეინიშნება:

1) ცვლილებები დაგეგმარების მხრივ: ა) უპირატესობა ენიჭება წესიერ, შეძლებისდაგვარად სწორკუთხა მოხაზულობის გეგმას; ბ) განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კოშკის ჩართვას ციხის გარე კედლების ხაზში, გ) კოშკები შეძლებისდაგვარად თანაბარზომიერადაა განლაგებული, დ) კოშკები მთლიანად ან თითქმის მთლიანად „გატანილია" კედლების ხაზს გარეთ, რაც გამოწვეულია ფლანკირებისა და თავდაცვის გააქტიურების საჭიროებით; ე) კოშკები შეძლებისდაგვარად თავსდება ყველა მხარეს; ეს იმიტომ, რომ ცეცხლისმფრქვევი იარაღი შორს სწვდებოდა და შეეძლო ციხის დაზიანება იმ მხრიდანაც, საიდანაც იგი ბუნებრივად იყო დაცული.

2) ცვლილება ადგილის შერჩევის მხრივ: ციხესიმაგრეებსა და ციხე-დარბაზებს უპირატესად აშენებენ არა ძნელად მისადგომ მაღლობებზე, არამედ ვაკე ადგილას, დასახლებული ადგილების მახლობლად.

3) კედელ-კოშკების კონსტრუქციების შეცვლა: დიდად იზრდება ამბრაზურების (სათოფურ-საზარბაზნეების) რაოდენობა; XVIII ს-დან სწორკუთხა კოშკების ნაცვლად (აღმოსავლეთ საქართველოში მაინც, გარდა მთისა), თითქმის მხოლოდ მრგვალ კოშკებს აშენებენ, რადგანაც: ა) მრგვალი კოშკიდან ყველა მხარეს შეიძლება სროლა („მკვდარი კუთხეები", ე. ი. ციხის დამცველთა ცეცხლისთვის მიუწვდომელი ადგილები, არ არის): კედლის კონსტრუქცია, როცა წყობა რადიალური ნაკერებითაა, უკეთ უძლებს არტილერიის დარტყმას.

4) სხვა ცვლილებები: წინანდელი წესიერი წყობის ნაცვლად (ზოგჯერ რიგიანად გათლილი ქვისგან), რომელიც მძლავრი მონუმენტური კედლების შთაბეჭდილებას ქმნიდა, ახლა ხშირად იყენებენ რიყისა და ნატეხ ქვას; წყობას ურთავენ აგურსაც.

ხის ციხეები საქართველოში არ იყო, ან თუ იყო — ცოტა.

XIV-XVIII საუკუნეებმა დაგვიტოვა არა მარტო სხვადასხვა დანიშნულების ცალკეული შენობები — ეკლესიები, სამრეკლოები, სხვადასხვა ტიპის სათავდაცვო ნაგებობანი, სასახლეთა, ქარვასლათა და აბანოთა ნანგრევები, ხიდები და სხვ. — არამედ მთელი ფეოდალური ანსამბლებიც.

სტილის მხრივ, ის ნიშნები, რომელთაც თავი იჩინეს წინა ხანის ბოლოს — ეკლექტიზმის ელემენტები, ნაწარმოების ცალკეული შემადგენელი ნაწილების ორგანული მთლიანობის დაკარგვა, სიმშრალე, ხელოსნურობის ბეჭედი — ახლა უფრო მეტად იჩენს თავს, თუმცა კვლავ გვხვდება ბევრი შენობა, რომელსაც ნამდვილი მხატვრული ღირებულება აქვს და ცოცხალი შემოქმედების კვალს ატარებს. სამკაულის სიყვარული, დეკორაციულობა, ცხოველხატულება ახლაც დამახასიათებელია, თუმცა კონკრეტული საშუალებები ნაწილობრივ მაინც იცვლება.

ძალიან მდიდარსა და მრავალფეროვან სურათს წარმოგვიდგენს ქართული ხალხური არქიტექტურა: ამ მრავალფეროვნებას ხელს უწყობს, ერთი მხრივ, სხვადასხვა კუთხეთა გეოგრაფიული და კლიმატური პირობების განსხვავება, მეორე მხრივ, მათი არათანაბარი სოციალური და ეკონომიური განვითარება. გლეხური სახლების ზუსტი დათარიღება არ ხერხდება, მაგრამ მათ შორის ბევრი უნდა იყოს ნიმუში — მთა-საქართველოში მაინც — რომლებიც ამ ხანას შეიძლება მიეკუთვნოს (ზოგი — უფრო ადრინდელსაც)

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ XIV-XVIII სს-ში აღმოსავლეთ საქართველოში ფართო გავრცელებას პოულობს, როგორც საშენი მასალა, აგური — არა მარტო საერო, არამედ საეკლესიო არქიტექტურაშიც. დასავლეთ საქართველოში აგურის ხმარება უფრო შეზღუდული იყო.

აი ამ ხანის ხუროთმოძღვრების რამდენიმე ნიმუში:

გერგეტის სამება ხევში, ყაზბეგის მახლობლად, თერგის მარცხენა ნაპირზე. მარტო საქართველოში კი არა, მსოფლიოშიაც კი ბევრი არ მოიძებნება ხუროთმოძღვრული ძეგლი, რომ ასეთი საკვირველი სილამაზის მდებარეობა ჰქონდეს. იგი განმარტოებით დგას მაღალ მთაზე (მის გვერდით მხოლოდ სამრეკლოა), მის გარშემო უზარმაზარი ციცაბო კლდოვანი მთებია, უკან კი გიგანტური მყინვარწვერი. ხშირად მას ღრუბლები ფარავს. ეს ხევის ერთადერთი გუმბათიანი ეკლესიაა და ყველაზე სახელგანთქმული სალოცავი, რომელიც მუდამ დიდ როლს თამაშობდა ამ კუთხის მკვიდრთა ცხოვრებაში. ტაბ. 107-108

სამების გეგმა სავსებით ტრადიციულია — ეს ჯვაროვან-გუმბათიანი ეკლესიაა ორი თავისუფლად მდგომი გუმბათქვეშ ბოძით და ნახევარწრიული აფსიდით, რომელიც არ სცილდება გარეთა სწორკუთხედის ფარგლებს. წინა დროის ეკლესიებთან შედარებით პროპორციები „ფართო“ და „ჯმუხია“; კედელთა სიბრტყეები არაფრით არ არის დანაწევრებული (დეკორაციული თაღები არ არის), ჩუქურთმები სარკმლების გარშემოა თავმოყრილი. ტექნიკური შესრულების ხარისხიც (კედელ-კამარების წყობა) და საკმაოდ მდიდარი ორნამენტაციაც მოწმობს ოსტატობის დაქვეითებას. სტილისტიკური ნიშნებით ეკლესია XIV ს-ით თარიღდება.

XVI ს-ის უმნიშვნელოვანესი ძეგლია გრემის ნაქალაქარი. გრემი, რომელიც ალაზანს გაღმა მდებარეობს, მდ. ინწობის ნაპირზე, მაშინ კახეთის სამეფოს დედაქალაქი იყო. XVII ს-ის დასაწყისში იგი შაჰ აბასმა დაარბია. ამით დამთავრდა მისი, როგორც ქალაქის, არსებობა. ტაბ. 201

ქალაქის უმთავრესი ნაწილი დაბლობზე იყო, საკმაოდ მაღალი მთების ძირში. საცხოვრებელი სახლების გარდა (სამწუხაროდ, ეს სახლები არ გადარჩენილა), გარდა მრავალი ეკლესიისა, აბანოებისა, აქ არსებობდა მთელი სავაჭრო რიგიც, ქულბაქების სახელით ცნობილი: დუქნები განლაგებული იყო შიდა ეზოს თუ მოედნის ოთხ მხარეს. ყოველი დუქანი შედგებოდა ერთი ოთახისა და მის წინ მოთავსებულ წინიდან გახსნილი ტალანისგან — ოთახში საქონელი ინახებოდა და, შესაძლებელია, ცხოვრობდნენ კიდეც, ტალანში დახლი იდგა. მოედნის შესასვლელთან გამოყოფილი იყო საბაჟო. ყველა ნაგებობა კამაროვანია, ქვისა. ტაბ. 228

ქალაქის უმთავრესი ხუროთმოძღვრული დომინანტი იყო მთის ქედის ერთ-ერთ ტერასაზე აღმართული მთავარანგელოზთა ეკლესია (1565 წ.) და მეფის კოშკისებრი სასახლე მის გვერდით. გეგმის მხრივ ტრადიციული აგურის ეკლესია გამოირჩევა კახეთისათვის საერთოდ დამახასიათებელი (მით უფრო ამ ეპოქაში) ძლიერ აზიდული, მსუბუქი პროპორციებით. როგორც აგურის ყველა სხვა ეკლესია, გრემის ტაძარიც მოკლებულია ჩუქურთმებს, მისი ფასადები დამუშავებულია ისრული მოხაზულობის თაღოვანი ჩაღრმავებებით, რომლებიც იმ დროს გავრცელებული იყო აგურის ეკლესიათა ფასადებზე. ტაბ. 202, 203

მთავარანგელოზთა ეკლესიისა და სამეფო კოშკის მდებარეობა ქალაქის თავზე, ყველაზე თვალსაჩინო ადგილას, მარჯვედაა შერჩეული, ორივე შენობის სილუეტები დიდად ჰარმონიულია — ეჭვი არ შეიძლება შევეპაროს, რომ გრემის მშენებლებს მშვენივრად ესმოდათ და წინასწარვე ჰქონდათ გააზრებული ამ ხუროთმოძღვრული მახვილის ქალაქგეგმარებითი მნიშვნელობა.

თავის დროზე გრემი მდიდარი და ლამაზი ქალაქი იყო. XVII-XVIII საუკუნეთა მემატიანენი და პოეტები აღფრთოვანებით აგვიწერენ გრემის სასახლე-

ებსა და ბაღებს, მეფისა და დიდებულთა ბრწყინვალე ნადიმებსა და დღესასწაულებს. დღეს მიწის ზედაპირზე დარჩენილია მხოლოდ რამდენიმე ეკლესია, რომლებიც თავისი ვერტიკალებით შუა საუკუნეების ქართულ ქალაქთა დამახასიათებელ მრავალთავა სილუეტს ქმნიდნენ. თუმცა ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლა დაწყებულია და საინტერესო ნაშთებიცაა აღმოჩენილი, ქალაქის საერთო გეგმარების ხასიათი ჯერ კიდევ არ არის დადგენილი.

ტაბ. 201-207 XVI ს-ის სხვა კახურ ნაგებობათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია *ახალი შუამთის* მონასტრის ეკლესია და სამრეკლო, და *ნინოწმინდის* ტაძრის ოთხსართულიანი სამრეკლო. მისი პროპორციები და ხუროთმოძღვრულ-დეკორაციული დამუშავება მომწიფებული ოსტატის ხელს ამჟღავნებს და ნათლად დასმულ მხატვრულ ამოცანებზე მეტყველებს.

ტბა. 208-212 ჩვენ არ შევცდებით, თუ XVII ს-ის მშენებლობის ნიმუშად ავირჩევთ *ანანურის* ციხეს, რომელიც თბილისის ჩრდილოეთით 66 კმ. მანძილზე მდებარეობს არაგვის ხეობაში, მდინარის მარჯვენა ნაპირზე. იგი არაგვის ერისთავთა მძლავრ საგვარეულოს ეკუთვნოდა. მისი თავგადასავალი ბევრ სისხლიან ფურცელს შეიცავს — ეს დამახასიათებელია ფეოდალური აშლილობის ხანისათვის: მას თავს ესხმოდნენ მეზობელი ფეოდალები, წვავდნენ, აოხრებდნენ, მის მკვიდრთ კი აწიოკებდნენ და ჟლეტდნენ.

ანანური ფერდზე მდებარეობს და ტყიანი მთებითაა გარშემორტყმული. მძლავრი გალავნის შიგნით მოთავსებულია ორი გუმბათოვანი ეკლესია, სამრეკლო, წყალსაცავი და წყარო. თვით გალავანში რამდენიმე კოშკია ჩართული, მათ შორის მთავარია დასავლეთის კედლის შუაში, ე. ი. მთელი ანსამბლის უმაღლეს წერტილში მდებარე შვიდსართულიანი კოშკი, ე. წ. *შეუპოვარი*. მაგრამ მთავარი ნაგებობა მაინც დიდი ეკლესიაა, დათარიღებული 1689 წლის გრძელი წარწერით. სასახლე აქ არ არის და არც ყოფილა: ანანური ერისთავთა მუდმივი რეზიდენცია არ იყო. საცხოვრებელი ოთახები შეუპოვარში ჰქონდათ*.

ტაბ. 211 დიდი ეკლესია თლილი ქვითაა მოპირკეთებული და მდიდრული მორთულობა აქვს. სწორედ ამის წყალობით აქ უფრო ადვილია წინა ხანასთან შედარებით მომხდარი ცვლილებების შესახებ მსჯელობა. პირველადვე თვალში გვხვდება ტაძრის ქვედა კორპუსის სიმძიმე და მასიურობა, რაც მით უფრო საგრძნობია, რომ მასები ისე მკაფიოდ არაა დიფერენცირებული, როგორც საერთოდ არის ქართულ ტაძრებში: აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადების შუა ნაწილები, ე. ი. ჯვრის მკლავები, მცირედ გამოიყოფა კუთხის ნაწილებისაგან, თითქოს უშუალოდ აგრძელებს მათი სახურავების ფერდს. თუ X-XIII საუკუნეთა ძეგლებში დეკორაციული თაღედით ფასადთა დანაწევრება ყოველთვის შეთანხმებული იყო კედლების საერთო მოხაზულობასა და მასების რიტმთან, ახლა დანაწევრება აღარ შეესაბამება მასების აღნაგობას: საკმარისია შევხედოთ აღმოსავლეთ ფასადს, მის შუა თაღოვან არესა და ორ სწორკუთხა არეს მარცხნივ და მარჯვნივ, და შევადაროთ ისინი ფასადის საერთო მოხაზულობას: მათ შორის თანხმობა არ არის. ყოველი ფასადის შუაში თავმოყრილი ჩუქურთმები და ფიგურული რელიეფები ტექნიკურად კარგადაა შესრულებული (ზოგი — ოსტატურადაც), მაგრამ უმასშტაბოა, ყოველთვის ვერ არის ერომანეთთან დაკავშირებული და, თან, მოკლებულია შესრულების არტისტიზმს, უნაკლო გემოვნებას, რომელიც წინანდელ ხუროთმოძღვრულ დეკორს ახასიათებდა.

მაგრამ ანანურში კიდევ ერთი თავისებურებაა დამახასიათებელი: ფასადებზე — ისე როგორც დიდი ხნის წინათ იყო, XI ს-ის ნახევრამდე — კვლავ მომრავლდა რელიეფური ფიგურები — ადამიანთა და ცხოველთა გამოსახულებები. ყველა სიმბოლურ-სარწმუნოებრივი შინაარსისაა. სამხრეთის ფასადის შუა

* სათავდაცვო არქიტექტურის სხვა ნიმუშების შესახებ. იხ. ანოტაციებში.

სარკმლების გარშემო დახვავებული რელიეფები — ვაზის ხე, ირმები და სხვა ცხოველები მის გვერდით, მტრედები, ჯვრით დათრგუნვილი გველეშაპები, ჯაჭვით დაბმული ლომები (ორი უკანასკნელი მოტივი განსაკუთრებით პოპულარულია იმ ხანებში) — მოწმობს, რომ აქ მარტო ქრისტიანული სიმბოლიკა კი არ არის, არამედ უფრო ადრინდელი თემებიც, რომელთა ძირები ძველი აღმოსავლეთის წინაქრისტიანულ რწმენასა და გადმოცემებშია. ამ თემებმა, რომლებსაც საუკუნეთა მანძილზე ქართული ხალხური ხელოვნება ინახავდა, ახლა მონუმენტურ ხელოვნებაში შეაღწია და ხალხური შემოქმედების, ფოლკლორის ბეჭედი დაასვა მას არა მარტო შინაარსის მხრივ, არამედ შესრულების თავისებურებითაც. ეს ამ გვიანა ხანის ხელოვნების ერთი საინტერესო ფაქტთაგანია.

რა თქმა უნდა, ანანურისა და სხვა იმდროინდელი ტაძრების მრავალრიცხოვანი რელიეფები არ არის შეკრული ერთ მთლიან საღვთისმეტყველო პროგრამად, როგორც ეს XI ს-ის ნიკორწმინდაშია. უფრო მეტიც — შესაძლებელია ცალკეულ სიმბოლოთა აზრი ოსტატებსა და მორწმუნეთ აღარც კი ესმოდათ, მაგრამ საკმარისი იყო იმის რწმენა, რომ მათ ტრადიციის თანახმად, რაღაც სარწმუნოებრივ-ჯადოსნური მნიშვნელობა და ძალა ჰქონდათ.

საეკლესიო ხუროთმოძღვრების სხვა მნიშვნელოვანი ძეგლებია: სოფ. მჭადიჯვრის ეკლესია 1668 წლისა (დუშეთის რაიონში, დუშეთსა და მუხრანს შორის); რაჭის ერისთავთა ეკლესია სოფ. წესთან, ე. წ. ბარაკონის ღვთისმშობელი 1753 წლისა; ანჩისხატის სამრეკლო თბილისში, 1675 წელს აშენებული დომენტი კათალიკოსის მიერ, და სხვ. არაგვის ერისთავებზე უფრო წვრილი ფეოდალის საცხოვრებლის ნიმუშია ძაღინის კოშკიანი სასახლე, რომელიც ფალავანდიშვილებს ეკუთვნოდა (სამხრეთ ოსეთშია). ტაბ. 205, 206, 208

თბილისისა და ქუთაისის იმდროინდელი სამეფო სასახლეებისა, მცირე ნაწილთა გარდა, აღარაფერი არ დარჩენილა, ამიტომ მათი სახის წარმოდგენა მხოლოდ წერილობითი ცნობებითა და მწირი გრაფიკული მასალით გვიხდება. არჩილ მეფის სასახლე თელავში (1667-1675 წწ.) გადააკეთეს ჯერ XVIII, შემდეგ კი XIX საუკუნეებში, მაგრამ მისი გეგმა ასე თუ ისე მაინც შეგვიძლია აღვადგინოთ (იხ. ანოტაცია). კარგადაა შენახული ერეკლე II მიერ აგებული გალავანი ამ სასახლისა. მთელი ეს რეზიდენცია ბატონის ციხის სახელითაა ცნობილი. ტაბ. 218



ანჩისხატის სამრეკლო

იმისთვის, რომ შევძლოთ ქართული ხალხური საცხოვრებლის მრავალფეროვნების გათვალისწინება, უნდა გავეცნოთ თუნდაც საშტიპურ ნიმუშს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან.

ყველაზე ხანგრძლივი ისტორია აქვს (ყოველ შემთხვევაში, წყაროებით დადასტურებული ისტორია მაინც) ე. წ. დარბაზს, საცხოვრებლის ტიპს, რომელიც გავრცელებული იყო ქვეყნის აღმოსავლეთ და სამხრეთ რაიონებში. ეს არის ერთსართულიანი შენობა, ჩვეულებრივ მოთავსებული მთის თუ ბორცვის კალთაზე, ისე რომ მისი ზურგი მიწაშია შეჭრილი; ფასადი მხოლოდ ერთი აქვს — სვეტებიანი ღია ტალანი. მთავარია დარბაზის ინტერიერი. ყველაზე არსებითი, განმსაზღვრელი ნაწილია მისი გადახურვა, ე. წ. გვირგვინი, რომელიც ადგია სახლის უმთავრეს ოთახს, ან ამ ოთახის მთავარ ნაწილს. გვირგვინი წარმოადგენს პირამიდულ კონსტრუქციას, აწყობილს ჰორიზონტალურად დალაგებული ხის კოჭებისაგან. ყოველი ზემო რიგი კოჭებისა თითო საფეხურითაა წინ გადმოწეული, ასე რომ სივრცე ზემოთკენ თანდათან ვიწროვდება. გვირგვინის წვერში დატოვებულია ხვრელი, საიდანაც გადის კვამლი და შემოდის შუქი. გვირგვინი შეიძლება იყოს მარტივი, როცა მისი ყოველი რიგი შედგება ოთხოთხი კოჭისაგან და, ამიტომ, ინარჩუნებს კვადრატულ ფორმას; ან რთული, რვაწახნაგოვანი — მაშინ ყოველი ზემო რიგი ქვემოსთან შედარებით შემობ- ტაბ. 230

რენებულია, თითქოს კოჭების რიგები შვეული ღერძის გარშემო ბრუნავდეს.

გვირგვინოვანი გადახურვა, რა თქმა უნდა, გულისხმობს კერას, შუაცეცხლის არსებობას, იგი გენეტიკურადაც კერასთანაა დაკავშირებული. მაგრამ გვხვდება ისეთი დარბაზებიც, რომლებშიაც კერის ნაცვლად კედლის ბუხარია — ეს უფრო განვითარებული ტიპი უნდა იყოს.

დარბაზის ინტერიერი ხალხური შემოქმედების მშვენიერი ნიმუშია. აქ ყოველი წვრილმანიც კი გააზრებულია ფუნქციური და ესთეტიკური თვალსაზრისით. ეს დამახასიათებელია: გლეხს სურდა და უნარიც შესწევდა, რომ თავის გარშემო სილამაზისა და მყუდროების ატმოსფერო შეექმნა. კედლები, ჩვეულებრივ, თაროებითა და განჯინებითაა აღჭურვილი; არსებითი ელემენტია დ ე დ ა ბ ო ძ ი, მთლიანი ხისგან გამოთლილი, ზემოთკენ გაფართოებული ბოძი (როგორც კრეტისა და მიკენის სასახლეთა სვეტები იყო), რომელსაც გვირგვინი ეყრდნობა და რომელიც დარბაზის შუა, გვირგვინით გადახურულ, ნაწილს ფარგლავს. ასეთი ბოძი შეიძლება ყოფილიყო ორი, სამი ან ოთხი. დედაბოძებიც, განჯინების კარებიც და გვირგვინის ქვედა კოჭებიც ნაკვეთი ჩუქურთმებით იყო მორთული.

დარბაზს ბევრი „ნათესავი" ჰყავს აზიის ქვეყნებში. მისი ძირები შორეულ წარსულშია. უკვე აღვნიშნეთ, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის მიჯნაზე რომაელმა ავტორმა ვიტრუვიმ აღწერა კოლხური სახლი, რომელიც აგების პრინციპით დარბაზს უახლოვდება. ამ წიგნის დასაწყისში იმაზედაც გვქონდა საუბარი, რომ ბოლო ხანების არქეოლოგიური გათხრების წყალობით აღმოჩენილი იქნა ძალიან ადრინდელი საცხოვრებლების ნაშთები, რომლებიც საფუძველს გვაძლევს, რომ ტიპის ჩასახვა ან მისი წინაპრები მაინც რამდენიმე ათასი წლით უფრო ადრე ვივარაუდოთ.

ახლა დარბაზის ნიმუში თითო-ოროლა-ღა გადარჩა. შეიცვალა ყოფა-ცხოვრების პირობები, ბუნებრივია, რომ აღარავის არ სურს ამ ძველთაძველი ტიპის შენობებში ცხოვრება: კედლებში სარკმლებს ჭრიან, გვირგვინებს ხსნიან, უმატებენ ახალ ოთახებს. მაგრამ საუკეთესო დარბაზები დაცულია, როგორც კულტურის ძეგლები.*



სულ სხვანაირი სახის საცხოვრებელი შემუშავდა დასავლეთ საქართველოს — ძველი კოლხეთის — დაბლობ რაიონებში, სადაც ჰაერი ტენიანია და ნალექიც ბევრი. ეს მიწათმოქმედების რაიონებია. სახლები ხისაა, ჩვეულებრივ შედგმულია ქვის მცირე სიმაღლის ბოძებზე ან პარაპეტზე. წინიდან მთელი ფასადის გასწვრივ გადახურული აივანია — ხის ბოძებითა და მოხარატებული ან რიკულებიანი მოაჯირით. შიგნით, უმეტესად, სამი ოთახია — ერთი დიდი და ორი პატარა. ზოგჯერ აკეთებდნენ გასახსნელ ტიხრებს, ისე რომ საჭიროებისამებრ მეზობელი ოთახების გაერთიანება შეძლებოდათ. ზოგ სახლში ძალიან საინტერესოა ბუხრის ქვების მოჩუქურთმება, კედლის კარადებისა და მთელი კედლების დამუშავება — აქაც მშენებლებს მარტო პრაქტიკული მხარე არ აკმაყოფილებდათ.

ტაბ. 231, 232

დამახასიათებელია, რომ სამეურნეო სადგომები ცალკეა და არა საცხოვრებელ სახლში: სამზარეულო, სასიმინდე (ნალია) დამოუკიდებელი შენობებია (აგრეთვე ხისა), რომლებიც ეზოშია განლაგებული გარკვეული ინტერვალებით. რა თქმა უნდა, სახლები განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან სიდიდითაც და მორთულობითაც, მათი პატრონების შეძლების მიხედვით.

დასასრულ, მთა-საქართველო: სვანეთი, მთა-რაჭა, ხევი, მთიულეთი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი. დაბლობი რაიონებისაგან განსხვავებით, აქ:

* დარბაზული საცხოვრებელი გავრცელებული იყო ქალაქადაც. თბილისში გვიანა ფეოდალურ ხანაში ეს საცხოვრებლის ძირითადი სახეც კი იყო. ბევრი საინტერესო, დიდი მხატვრული ღირებულების მქონე, დარბაზი არსებობდა ბოლო დრომდე ახალციხეში.

ა) შენობები ქვისაა (კედლები. ინტერიერის დასამუშავებლად იყენებენ ხესაც). იხმარება დაუმუშავებელი ქვა, ხშირად — შიფერი.
ტაბ. 238-241

ბ) საცხოვრებელი სახლი სათავდაცვო ფუნქციასაც ასრულებს. ხშირია ციხე-სახლები. გვხვდება სოფლები (შატილი ხევსურეთში და სხვ.), რომლებიც ერთიან გამაგრებულ კომპლექსადაა გადაქცეული.
ტაბ. 236, 237

გ) საცხოვრებელ სახლშივეა სამეურნეო დანიშნულების სადგომები — საქონლის სადგომი, საკვების შესანახი და სხვ.

დ) განსხვავებული ტიპების მიუხედავად, ყველა საცხოვრებელი ერთზე მეტ სართულს შეიცავს, ზოგან სახლები რელიეფთანაა შეფარდებული და სართულები ტერასებადაა განლაგებული.

ტაბ. 233-235
სვანეთის ზოგ ნაწილში კოშკი ყოველ სახლს ჰქონდა. თვით სახლი ორსართულიანი იყო, კოშკები 4-5-6 სართულიანი, სიმაღლით 25 მეტრამდე. სოფელში შეიძლება რამდენიმე ათეული კოშკი ყოფილიყო, რაც სრულიად განსაკუთრებულ, განუმეორებელ სურათს ქმნიდა, მით უფრო კავკასიონის გრანდიოზული მუდმივთოვლიანი მწვერვალების ფონზე. სვანეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის კოშკები და ციხე-სახლები ზოგი ლოკალური თავისებურებით განსხვავდება. მაგრამ ყველა ეს შენობა მძიმე ისტორიული ვითარების თავისებური ამსახველია. მტრის შიში და მკაცრი ბუნებრივი პირობები განსაზღვრავდა მათს სახეს. რა თქმა უნდა, საცხოვრებელი პირობები, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საცხოვრებელ კოშკებში, მძიმე იყო. და მაინც ამ სახლების მხატვრული ღირებულება უეჭველია: ესთეტიკური ზემოქმედების დიდი ძალა აქვს მთის სოფლების ანსამბლებსაც, ცალკეულ შენობებსაც, ზოგან (განსაკუთრებით სვანეთში) ინტერიერებსაც, რომლებიც, „დარბაზების“ მსგავსად, ხალხური შემოქმედების საინტერესო ნიმუშებს წარმოადგენს.

ძველი ქართული ხუროთმოძღვრების უკანასკნელი ფურცლები უკვე XIX ს-ის პირველ ათეულ წლებში იშლება, მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოექცა და რუსეთისავე მეშვეობით დაუბრუნდა ევროპული კულტურის წიაღს.

ძველი ხუროთმოძღვრების ძირითადი თემები ან სულ ისპობა (ციხესიმაგრეები, კოშკები, ციხე-დარბაზები), ან მეორე პლანზე გადადის (ეკლესიები). ამიერიდან მთავარია საქალაქო მშენებლობა, რომელშიაც წინანდელი სტიქიურობა პირველად უთმობს ადგილს გეგმიან საწყისებს. თბილისსა და სხვა ქალაქებში ახალი კვარტალები წინასწარ შედგენილი გეგმით შენდება, თუმცა მთელი ქალაქის მთლიანი დაგეგმარების და გენერალური პროექტის დონემდე მაშინ არ მიუღწევიათ. ოფიციალური შენობების სტილი საქართველოშიაც იგივე იყო, რაც რუსეთში — კლასიციზმი. ეკლესიებიც კარგავს ეროვნულ სახეს (მხოლოდ სოფლად, სადაც ქართველი ოსტატები აშენებდნენ, ინარჩუნებდნენ ტრადიციასთან კავშირს). სამაგიეროდ, ბევრი საინტერესო რამ ჩნდება საქალაქო საცხოვრებელი სახლის არქიტექტურაში. ეს სახლებიც მთავრობის მიერ დამტკიცებული „სანიმუშო ფასადების“ მიხედვით შენდებოდა; მაგრამ საქართველოს ბუნებრივი პირობების სპეციფიკა, ეროვნული არქიტექტურის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები, ყოფა-ცხოვრების თავისებურებანი მაინც ღრმა კვალს ამჩნევენ მათ. აქ ორგანულადაა შერწყმული სახეშეცვლილი კლასიკური დეტალები (სვეტები, პროფილები) და სრულიად თავისებური გეგმარება — ღია კიბეები და გადასასვლელები, ხის დიდი აივნები (ფასადის მხარეს — დაკიდული აივნები) ,რომელთა ფართობი ზოგჯერ სჭარბობს ოთახებისას. შემინული ვერანდები. განსაკუთრებულ როლს თამაშობს ხის მოაჯირების მშვენიერი ნახატი, რიკულებიანი აივნები, რომლებიც სანიმუშო პროექტებით გათვალისწინებული არ ყოფილა და თბილისელი ოსტატების ხელით იქმნებო-
ტაბ. 242-248

და. სხვა ქალაქებში — ქუთაისში, თელავში, სიღნაღში, გორში, დუშეთში, საჩხერეში — კლასიკური და ტრადიციული ფორმების შეხამება აგრეთვე ძალიან საინტერესოსა და ყოველ მათგანში სრულიად თავისებურ შედეგებს იძლევა. ამგვარი სახლებით განაშენიანებული ძველი უბნები საქართველოს ქალაქებს განსაკუთრებულ მომხიბვლელობასა და ემოციური ზემოქმედების ძალას ანიჭებს. მათი წყალობაცაა, რომ ქალაქები მკაფიოდ გამოსახულ მხატვრულ-ხუროთმოძღვრულ ინდივიდუალობას ინარჩუნებს.

ჩვენ განვიხილეთ ძველი ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების უმთავრესი საფეხურები, რომლებიც დროის უზარმაზარ მონაკვეთს წვდება. ამ გრძელ გზაზე ქართული ხუროთმოძღვრება არასოდეს არ წყვეტდა კავშირს ხალხური შემოქმედების ცხოველმყოფელ წყაროებთან; იგი რთულ სამშენებლო-ხუროთმოძღვრულ ამოცანებს ისახავდა და ხსნიდა და მუდამ მაღალ პროფესიულ დონეზე იდგა. მას არაერთხელ მიუღწევია მხატვრული შემოქმედების მწვერვალებისათვის.

ქართულმა არქიტექტურამ, რომელსაც მუდმივი კავშირი ჰქონდა შუა საუკუნეთა დასავლეთისა და წინა აღმოსავლეთის სხვა ხალხთა არქიტექტურასთან, მკაფიო ეროვნული თავისებურება შეიმუშავა. მას მუდამ ახასიათებდა — სტილთა ბუნებრივი ცვლის მიუხედავად — მონუმენტურობა და, იმავე დროს, მასშტაბის ადამიანურობა; სიმკაცრე და ზომიერება „ემოციათა“ გამოსახვისას, იმავე დროს, მაჟორული, ხალისიანი განწყობილება; ეგზალტაცია და მისტიკა მისთვის უცხოა; თვით საეკლესიო შენობებშიც კი საერო, „ამქვეყნიური“ განწყობილებაა; ქართული ხელოვნების ნაწარმოების აგებულება მუდამ ტექტონიკურია, კლასიკურად ნათელი და მკაფიო; იგი მუდამ რაციონალურია, მაგრამ, იმავე დროს, პოეტურიც.

თავისი აყვავების ეპოქებში ქართული ხუროთმოძღვრება მოწინავე იდეების მატარებელი იყო. მან ბევრი მშვენიერი ნაწარმოები შექმნა და თვალსაჩინო წვლილი შეიტანა მსოფლიო ხელოვნების საგანძურში.



# ანოტაციები

## შულავერის გორა, იმირის გორა.

### ძველი წელთაღრიცხვის V და IV ათასწლეული

ტაბ. 1 — 4

ორივე მდებარეობს მდ. ხრამის მარჯვენა ნაპირზე. აწინდელ მარნეულის რაიონში, რკინიგზის სადგურ შულავერიდან 4 კმ. დაშორებით, ჩრდილო-დასავლეთით. ორივე შედის ქვემო შულავერის უძველეს ნასოფლართა ჯგუფში. ახლა ეს ხელოვნური ბორცვებია, რომლებიც დროთა განმავლობაში წარმოიშვა, როცა სამოსახლოს ერთ ფენას მეორე ცვლიდა. მათ შორის მანძილი დაახლ ორი კილომეტრია.

ამ ნასოფლარებს აკუთვნებენ უძველეს მიწათმოქმედ მოსახლეობას საქართველოს ტერიტორიაზე და უკავშირებენ იმ დროს — ახალ ქვის ხანას (ნეოლითს) — როცა ადამიანი შეგროვებითი მეურნეობის საფეხურიდან (ნადირობა, ნაყოფთა მოგროვება) წარმოებით მეურნეობაზე. ე. ი. მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე გადავიდა. ამ საფეხურთან იყო დაკავშირებული მუდმივი სამოსახლოს გაჩენა, ხელოვნური სახლების შენება. შულავრის გორის ნამოსახლარს ძვ. წ. V ათასწლეულით ათარიღებენ, იმირის გორისას — IV ათასწლეულით. შულავრის გორის გათხრა 1964 წელს დაიწყო. იმირის გორისა 1966-ში. კვლევა-ძიებას აწარმოებდა საქართველოს სახ. მუზეუმისა და თბილისის სახ. უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიცია.

შულავრის გორის გათხრისას, ორი არქეოლოგიური კამპანიის დროს, აღმოჩნდა ორმოცზე მეტი ალიზის შენობა. აქედან საცხოვრებელი 24 იყო. მაგრამ ეს შენობები სხვადასხვა სამშენებლო ფენას მიეკუთვნება და ერთმანეთზეა დაშენებული (ზოგან 5 ფენაა ერთიმეორის ზემოთ).

გათხრის ხელმძღვანელთა სიტყვით, „ადრეული ხანის ძირითად საცხოვრებელ ერთეულს შეადგენდა რამდენიმე ნაგებობის ჯგუფი: საკუთრივ საცხოვრებელი — შედარებით მოზრდილი, ალიზის, წრიული გეგმის გუმბათური შენობა, რომლის აუცილებელი ატრიბუტია თიხისაგან ნაძერწი კვერცხისებრი კერა, განკუთვნილი უქრობი ცეცხლისათვის; სამეურნეო დანიშნულების მომცრო წრიულივე შენობა, მიწაში სანახევროდ ჩასმული: სამეურნეო ღუმელი, გამართული ეზოში, საცხოვრებლის კედელთან; თიხალესილი ორმოები სანოვაგისა და წყლის მარაგისათვის. საცხოვრებელი ნაგებობანი სხვადასხვა სიდიდისაა: ზოგიერთის ფართობი 4 კვ. მ-ს ძლივს აღწევს, ზოგისა კი — 12,5 და 16,6 კვადრატული მეტრია... შენობის კედელი ძირიდანვე თანდათანობით გადადის გადახურვაში და მისი სიმრუდის მიხედვით საკმაო სიზუსტით შეიძლება გამოითვალოს სიმაღლეც: უმრავლეს შემთხვევაში საცხოვრებელი შენობის სიმაღლე 2,5 მ-ზე ნაკლები არ გამოდის (არც ერთი შენობის გუმბათი მთლიანად არ გადარჩენილა). ნაგებობას ერთი ვიწრო შესასვლელი ჰქონდა და, უეჭველია, სარკმლებიც ექნებოდა. ვარაუდობენ, რომ გუმბათშიაც უნდა ყოფილიყო დატანებული წრიული სარკმელი.

სამეურნეო დანიშნულების შენობები ასეთივე მოყვანილობისა იყო, მხოლოდ უფრო მცირე ზომისა (დიამეტრი 1,5 მ. არ აღემატება). ფიქრობენ, რომ მათ კარი კი არ ჰქონდათ, არამედ გუმბათის ნაცვლად ასახდელი ხუფი უკეთდებოდათ.

საშენი მასალა მოყვითალო-ნაცრისფერი თიხაა. მისგან ამზადებენ სხვადასხვა ზომისა და ფორმის ალიზს კედლის ასაწყობად. იატაკი და კედლების ორივე პირი შელესილი იყო კარგად მოზელილი პლასტიკური თიხისაგან, რომელიც უზრუნველყოფდა კედლის სიმტკიცეს. შულავრის გორის ნასოფლარის საერთო გეგმა ჯერ მთლიანად დადგენილი არ არის, ჯერ კიდევ არ ჩანს გარკვეული კანონზომიერება სოფლის გენერალურ გეგმაში

სურ. 1. შულავრის გორა. ძველი წელთაღრიცხვის V ათასწლეული. გათხრილი ნამოსახლარის გეგმა. ალ. ჯავახიშვილის მიხედვით.



სურ. 2. იმირის გორა, № 9 — 10 შენობა. ძველი წელთაღრიცხვის IV ათასწლეული. ალ. ჯავახიშვილის რეკონსტრუქცია.





სურ. 3. იმირის გორა. ძველი წელთაღრიცხვის IV ათასწლეული. აღმოსავლეთის სექტორის გენერალური გეგმა. ალ. ჯავახიშვილის მიხედვით.

(კვლევა ჯერ არ დამთავრებულა), მაგრამ მკვლევარნი ფიქრობენ, რომ აქაური პატარა საცხოვრებელი სახლები, თავისი დამხმარე სამეურნეო სადგომებით, შეადგენს მრავალოთახიანი სახლ-ბლოკის ნაწილს. ასეთი სახლები კი საზოგადოების ადრინდელი განვითარების გარკვეულ საფეხურს — გვარიდან მრავალოჯახიანი თემის გამოყოფის პერიოდს — უკავშირდება.

შემდგომი განვითარება საცხოვრებელი ფართობის გაზრდას მოითხოვდა. თუ მაშინდელ ტექნიკურ შესაძლებლობას გავითვალისწინებთ, გასაგები იქნება, რომ გეგმის სიმრგვალე და „გუმბათოვანი" გადახურვა ამ ამოცანას საკმაოდ ართულებდა.

ამოცანის ამოხსნის საყურადღებო და დამახასიათებელ ცდებს გვიჩვენებს იმირის გორის ზოგი ნაგებობა (აქაურ შენობათა უმეტესობა შულავრის გორისას უახლოვდება თავისი სახით):

შენობა № 8: ოვალურ გეგმიანი გუმბათოვანი ნაგებობა, რომელსაც მიდგმული აქვს მასთან კარით დაკავშირებული მცირე დერეფანი წრის 3/4 მოხაზულობისა. ოთახის ზომაა 4,25×3,60 მ., დერეფნის დიამეტრია 2,25 მ. აქ ყურადღებას იპყრობს ოთახის შიგნით, კარის ორ მხარეს ამოყვანილი კედლები — კონტრფორსები — მათი გაკეთება საჭირო გახდა, რაკი ამ მხარეს გუმბათს დერეფნის მასა აწვებოდა. კარგად ჩანს, რომ ასეთი ფორმის ორი სადგომის ორგანული შერწყმა შეუძლებელი იყო.

შენობა № 9-10: „შედგება ორგანულად გადაბმული ორი ხათავსისაგან: მთავარი, გეგმით ოვალური (დაახლოებით 4,5×3,8 მ.) და მასზე... მიბმული, მომცრო წრიული ოთახისაგან (დიამ. 3,2 მ.). ინტერიერში ისინი არაფრით არაა გამოყოფილი და ქმნიან ერთიან, საკმაოდ თავისუფალ (დაახლოებით 28 კვ. მ.) სივრცეს". რელიეფის შესაბამისად, მთავარი ოთახის იატაკი უფრო დაბლაა. ამ ოთახში კერა იყო.

აქ განსაკუთრებით საინტერესოა გადახურვა: შუა ოთახში იდგა ხის ბოძი, მას ეყრდნობოდა ორი კოჭისაგან შედგენილი თავხე, თვით სახურავი თიხატკეპნილი იყო, ბანივით, და შუაში სარკმელი ჰქონდა. ასევე უნდა ყოფილიყო გადახურული მცირე ოთახიც. ამგვარად, აქ ვხვდებით ქართული დარბაზის შორეულ წინაპრებს. ასეთი გადახურვა სამხრეთ კავკასიისა და წინა აზიის სხვა რაიონებშიაც გავრცელებული იყო, ხოლო შულავრისა და იმირის გორების დასახლებათა მსგავსი ნამოსახლარები აღმოჩენილია ახლანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზედაც, საქართველოს მეზობელ რაიონებში. როგორც ჩანს, აქაც და იქაც ერთნაირი კულტურის მქონე ტომები ცხოვრობდნენ.

1. ო. ჯაფარიძე, ა. ჯავახიშვილი. უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე. თბ., 1971 (აქედანაა ტექსტში მოტანილი ამონაწერები).

2. ალექსანდრე ჯავახიშვილი. უძველესი საცხოვრებელი შენობები საქართველოს ტერიტორიაზე: „ძეგლის მეგობარი", კრებული მეთოთხმეტე, თბ., 1968, გვ. 20-30.

## ქვაცხელები

### ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეული

ქვაცხელების (ანუ ტელეპია-ქოხის) ნამოსახლარი, რომელიც ქარელის რაიონში მდებარეობს (სოფ. ურბნისიდან 3 კმ. დაშორებით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე),



სურ. 4. ქვაცხელები, № 5 შენობა. ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეული. ალ. ჯავახიშვილის რეკონსტრუქციით.

გამოკვლეული იქნა საქართველოს სახ. მუზეუმის ურბნისის ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1954—1961 წლებში. ექსპედიციის მიზანი იყო ურბნისის უძველესი ნაქალაქარისა და მის მიდამოებში მდებარე ნამოსახლართა კომპლექსური შესწავლა. ქვაცხელებში აღმოჩნდა შვიდი სამშენებლო ფენა, რომლებიც სამ ძირითად კულტურულ დონეს წარმოგვიდგენს. ზედა დონე, რომელსაც არქეოლოგებმა A დონე უწოდეს, გვიანანტიკური — ადრეფეოდალური ხანისაა, ორი ქვედა — B და C — ადრეულ ბრინჯაოს ხანას მიეკუთვნება: B დონეს III ათასწლეულის შუა ხანას მიაკუთვნებენ, C დონეს III ათასწლეულის დასაწყისს. ყველაზე მეტი და მნიშვნელოვანი მასალა მოპოვებულია C დონეზე — აქ აღმოჩნდა ათზე მეტი საცხოვრებელი სახლი და დიდძალი კერამიკა.

ქვაცხელების საცხოვრებელი სახლი (აღწერა იხ. ზემოთ, წიგნის ძირითად ტექსტში), შულავერისა და იმირის გორების სახლებთან შედარებით, უფრო განვითარებულ საფეხურზეა. იმავე დროს, მიუხედავად მათ შორის არსებული დიდი ქრონოლოგიური მანძილისა, მაინც თვალსაჩინოა გარკვეული ევოლუციური კავშირიც, როგორც მშენებლობის ტექნიკის, ისე შენობის საერთო სახის მხრივ. განსაკუთრებით ნიშანდობლივია აქაური სახლების ბანური სარკმლიანი სახურავი, რომელიც იმირის გორიდან ცნობილი თემის განვითარებას წარმოადგენს.

ქვაცხელების კერამიკა ბევრ ანალოგიას პოულობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში აღმოჩენილ ამავე ხანის კერამიკასთან. მთლიანად ქვაცხელები (განსაკუთრებით C დონე), მის მკვლევართა აზრით, ექცევა ე. წ. მტკვარ-არაქსის (ენეოლითური ხანის) კულტურის წრეში, თუმცა მას ზოგი რამ სპეციფიკური და განმასხვავებელიც აქვს.


1. ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი. ურბნისი. ნაკვეთი პირველი. ქვაცხელების (ტელეპია-ქოხის) ნამოსახლარზე 1954—1961 წწ. ჩატარებული გათხრები. თბ., 1962.

2. ალექსანდრე ჯავახიშვილი. უძველესი საცხოვრებელი შენობები საქართველოს ტერიტორიაზე: „ძეგლის მეგობარი", კრებული მეთოთხმეტე, თბ., 1968, გვ. 20-30.


## უფლისციხე

### ტაბ. 0

მდებარეობს მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ქალაქ გორის მახლობლად. შედგება კლდეში ნაკვეთი სხვადასხვა ზომისა და ხასიათის სადგომთაგან. ძეგლის დასათარიღებლად პირდაპირი რაიმე მითითება არ გაგვაჩნია. ნაკვეთი დარბაზების ნაწილი ძველი წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნეებს უნდა ეკუთვნოდეს. ყველაზე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს დარბაზების კომპლექსს — შორიდან ჩანს ფრონტონისებრი მოხაზულობა ფართო თაღოვანი შესასვლელის თავზე; შიგნით კი ერთ-ერთი დარბაზის კამარა შემკულია რომაული ტიპის კესონებით.

საყურადღებოა ერთ, ორ და რამდენიმე ოთახიანი კომპლექსები, რომლებიც დაახლოებით ერთი სქემით არის აგებული: ეზო, წინიდან ღია სადგომი პორტალიით, სიღრმეში კი ოთახები, დაჯგუფებული სიგრძივი (თუ ერთი ან ორი ოთახია) ან სიგრძივი და განივი ღერძების მიხედვით (თუ ოთახთა რაოდენობა მეტია). ეს კომპლექსები, თავისი სტრუქტურით, ვანის სამეფოში გავრცელებულ გამოქვაბულებს ენათესავება.

უფლისციხეში არის ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისის დროინდელი და შუა საუკუნეებში გამოკვეთილი ოთახებიც. ზოგი სადგომის გადახურვის მორთულობა ქართული ხალხური არქიტექტურიდან ცნობილ კონსტრუქციებს უნდა ასახავდეს.

ქართულ მატიანეებში უფლისციხე იხსენიება როგორც საქართველოს ერთი უძველესი გამაგრებული ადგილთაგანი. IX ს-ში, როცა თბილისი ჯერ კიდევ არაბების ხელში იყო, უფლისციხე მნიშვნელოვან ქალაქად იქცა, XI ს-შიაც იგი თვალსაჩინო როლს თამაშობდა.



სურ. 5. უფლისციხე. გამოქვაბულთა მთავარი კომპლექსის გეგმა და განაკვეთი. შ. ამირანაშვილის მიხედვით.

1. Нико Чубинашвили, Уплис Цихе, Тб., 1961.
2. გ. ლეჟავა. ქვაბ-ქალაქ უფლისციხის არქიტექტურა: „ძეგლის მეგობარი", 1971, № 27-28, გვ. 21-28.

## ბაგინეთი-არმაზციხე

ტაბ. 0

ამჟამად ბაგინეთად წოდებულ ადგილას, მცხეთის მახლობლად, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, კლდოვანი ქედის კეხზე და ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდზე აღმოჩენილია გრანდიოზული აკროპოლისის ნაშთები. ახლა აღიარებულია, რომ ეს არის საქართველოს ძველი დედაქალაქის აკროპოლისი არმაზციხე. ბაგინეთი მკვლევართა ყურადღებას იპყრობდა უკვე გასული საუკუნის 80-იან წლებში, ხოლო სისტემურ არქეოლოგიურ გათხრებს აქ აწარმოებდა 1943-1948 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი. აღმოჩენილი იქნა ციტადელის კედლები, სამარხები, დარბაზის ნანგრევი სიმაგრის კედლები იმ ადგილის რთულ რელიეფს მიჰყვება აღმა-დაღმა. სამშენებლო ხელოვნების თვალსაზრისით დამახასიათებელია, რომ მათი საძირკვლები თლილი ქვისაა, მათზე დამყარებული კედლები კი ალიზისა. საძირკვლის ქვები კლდეში ამოკვეთილ ფოსოებშია ჩასმული, ხოლო ერთმანეთთან საგანგებო სამაგრებითაა დაკავშირებული. ალიზის წყობას გარდი-გარდმო დატანებული მუხის ძელები ამაგრებდა. კედლების კონტრფორსები და კოშკები, ოთხკუთხა მოხაზულობისა, კრამიტით უნდა ყოფილიყო გადახურული. არმაზციხის სხვადასხვა შენობებში, ქრონოლოგიური ფენების მიხედვით, კედლის წყობა ზოგან მშრალია, ზოგან თიხის ხსნარითაა.

არმაზციხის შენობათაგან ერთი მნიშვნელოვანთაგანია ქვედა ტერასაზე აღმოჩენილი სვეტებიანი დარბაზი. ეს წაგრძელებული სწორკუთხა ნაგებობაა, შესასვლელის მიმართ სიგანეზე გაშლილი, შიგნით კი ექვსი სვეტით ორ გრძელ ნაწილად გაყოფილი. მთავარ კედელს, რომელშიაც ერთადერთი შესასვლელია, ფასადის მხარეს, ორსავე ნაპირას ანტები აქვს (დარბაზის ზომებია 20,82 მ.×8,87 მ.). კედლების ქვემო ნაწილი (ზურგის მხარე 3,30 მ. სიმაღლეზე, სხვა კედლები 1,75 მ. სიმაღლეზე) თლილი ქვისაა, სქელი (1,45-1,70 მ), მშრალად ნაწყობი, ზემო ნაწილები ალიზისა ყოფილა. სვეტები ხისა იყო, ქვის ბაზისებითა და სვეტისთავებით, რომლებიც ძალიან მარტივადაა პროფილირებული. დარბაზის შიდა მორთულობის წარმოსადგენად ხელმოსაჭიდი მასალა არ არსებობს. ვარაუდობენ, რომ სახურავი ორფერდა იყო, კრამიტისა.

დარბაზის წინ აღმოჩნდა მცირე კონსტრუქცია, რომელიც ცეცხლის დასანთებად იყო განკუთვნილი — ალბათ სამსხვერპლო, მუდმივი ცეცხლის ადგილი იყო. ამის გამო წარმოიშვა აზრი, შესაძლებელია ამ დარბაზს რაიმე საკულტო დანიშნულებაც ჰქონდა.

არმაზციხეში მიკვლეულია კომუნალური კეთილმოწყობის ნაშთებიც — წყალსადენი, აბანო და სხვ.

არმაზციხეს ძველი წელთაღრიცხვის უკანასკნელ საუკუნეებსა და ჩვენი წელთაღრიცხვის მიჯნას მიაკუთვნებენ.



სურ. 6. არმაზციხე. სვეტებიანი დარბაზი. გეგმა. ა. აფაქიძის მიხედვით.

1. ა. ა ფ ა ქ ი ძ ე. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. I, თბ., 1963.

## მცხეთის აკლდამა

**ჩვ. წელთაღრიცხვის I ს.**

**ტაბ. 7, 8**

შემთხვევით აღმოჩნდა და გაითხარა 1951 წელს. ასეთი ზომისა და ასე კარგად დაცული სხვა აკლდამა საქართველოში აღმოჩენილი არ არის. მდებარეობს დაახლ. 300 მეტრზე რკინიგზის სადგურის აღმოსავლეთით, მთის ფერდზე. აკლდამა მთლიანად დგას კედელ-კამარიანად და სახურავიანად (აღმოჩენამდე ერთიანად მიწით იყო დაფარული), მაგრამ გაძარცვას მაინც ვერ გადარჩენია — ამას მოწმობს კამარაში გარღვეული ხვრელი. მიუხედავად ამისა, აკლდამაში ბევრი საინტერესო ნივთი აღმოჩნდა: ხის სარეცელის ან სარკოფაგის ნაშთი, ბრინჯაოს მცირე ქანდაკება შიშველი ჰაბუკის გამოსახულებით, კერამიკული ჭურჭელი, ვერცხლის ჭურჭლის ფრაგმენტები, სამკაულები, ვერცხლისა და ოქროს ფული. ინვენტარის მიხედვით მკვლევარნი ასკვნიან, რომ აქ მდიდარი მანდილოსანი უნდა ყოფილიყო დაკრძალული. სამარხი კამერის ზომაა 2,23-2,37 მ.×1,75-1,60 მ., მაქსიმალური სიმაღლე 1,90 მ.

1. გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ირ. ც ი ც ი შ ვ ი ლ ი. ახლად აღმოჩენილი აკლდამა მცხეთაში: სსსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XII, № 10, თბ., 1951, გვ. 641 და შემდ.
2. ა. ა ფ ა ქ ი ძ ე. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება საქართველოში. თბ., 1963, გვ. 105-108.
3. გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე. მცხეთის აკლდამა. ბუკლეტი.

სურ. 7. მცხეთის აკლდამა. ჩვენი წელთაღრიცხვის I ს. განაკვეთი და ფასადი. ა. აფაქიძის მიხედვით.






სურ. 8. მცხეთის აკლდამა. გეგმა. ა. აფაქიძის მიხედვით.

სურ. 9. არმაზისხევის აბანო. ჩვენი წელთაღრიცხვის II—III სს. გეგმები.



## არმაზისხევის აბანო

**ჩვ. წელთაღრიცხვის II-III სს**

აბანოს ნანგრევი აღმოჩნდა და გაითხარა 1937-1938 წლებში. თავის დროზე აბანო, როგორც ჩანს, შედიოდა პიტიახშთა საცხოვრებელ ანსამბლში. ეს იყო ორიარუსიანი შენობა: ქვემო ნაწილი რიყის ქვისაა, ზემო — ნატეხი ქვისა, კირის ხსნარით. შედგებოდა გასახდელი ოთახისა, საცეცხლე განყოფილებისა, ცხელი, თბილი და ცივი აბანოებისაგან — ხუთივე სადგომი ერთი მეორის მიყოლებითაა, მიჯრით. კერამიკული მილების საშუალებით აბანო წყალს ღებულობდა არმაზისხევიდან, ასეთივე მილებით ნახმარი წყალი მტკვარში იღვრებოდა. ცხელი და თბილი აბანოს ქვეშ (ქვემო იარუსში) მოწყობილი იყო გათბობის სისტემა — კოლორიფერი, მრგვალი და კვადრატული აგურით ნაშენი სვეტებით — ჰიპოკაუსტებით, რომლებიც საკმაოდ მჭიდროდ იყო განლაგებული: ყოველ სადგომში 45-მდე ჰიპოკაუსტი უნდა ყოფილიყო. ეს სადგომები, რომლებშიაც საცეცხლე განყოფილებიდან ცხელი ჰაერი შედიოდა, ზემოდან ჰერმეტულად იყო დახურული სვეტებზე დაყრდნობილი ფილებით. აბანოს ცალკეულ ნაწილებში შიდა კედლის ზედაპირები შელესილია ჰიდრავლიკური ცეცხლგამძლე ხსნარით (კირისა და დანაყილი აგურის ნაზავით).

მსგავსი აბანოები ცნობილი იყო წინა აზიაში. ჰიპოკაუსტების სისტემა ფართოდ იყო გავრცელებული რომაულ აბანოთმშენებლობაში.


1. ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე. მცხეთა. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. I. თბ., 1955, გვ 147-160


## ნეკრესი

**ტაბ. 10, 17**

ნეკრესის ცნობილი მონასტერი კახეთშია, ყვარლის რაიონში, სოფ. შილდიდან რამდენიმე კილომეტრის მანძილზე. ეს მთის ფერდია, უხვი მცენარეულობით დაფარული. აქედან ალაზნის ველის ულამაზესი ხედი იშლება.

მონასტერში ბევრი სხვადასხვა დროინდელი შენობა და ნანგრევია დარჩენილი:

1. IV ს-ის მინიატურული ბაზილიკა, ერთი ყველაზე ძველი ეკლესიათაგანი საქართველოში დღემდე გადარჩენილთა შორის.
2. დიდი სამეკლესიიანი ბაზილიკა VII საუკუნისა.
3. საეპისკოპოსო სასახლე (ნანგრევები) გარდამავალი ხანისა და მასთან დაკავშირებული ნაგებობანი, მათ შორის კოშკი, ალბათ XVI ს-სა (იხ. ქვემოთ ანოტაცია — ვანთა, ვაჩნაძიანი, ნეკრესი — სასახლეები)
4. საცხოვრებელი და სამეურნეო შენობების ნაშთები.
5. მცირე სამლოცველოები.
6. გუმბათიანი ეკლესია VIII-IX საუკუნეებისა, თავისებური გეგმით: შუა კვადრატულ გუმბათოვან დარბაზს, რომელსაც მხოლოდ შვერილი აფსიდი ემატება, სამმხრივი გარშემოსავლელი აქვს; დასავლეთით და სამხრეთით ორ-თაღიანი შესასვლელებია. გუმბათის ყელი მაღალია, შორიდანვე იპყრობს ყურადღებას. გ. ჩუბინაშვილის სიტყვით, ეს შენობა, ვაჩნაძიანის ყველაწმიდის მსგავსად, სამეკლესიიანი ბაზილიკის გუმბათოვანი ვარიაციაა. მის პროპორციებსა და ძუნწი მორთულობის ელემენტებშიაც გარდამავალი ხანის ნიშნები იჩენს თავს — ადრინდელი ხანის პრინციპების დათმობა და ახლის ძიება.

მცირე ბაზილიკის გადარჩენილი ზომები გარედან: 4,6×3,8; შუა ნავის შიდა ზომები: 3,6×1,70-1,80.



სურ. 10. ნეკრესის მონასტერი, ძველი ბაზილიკა. IV ს. ნ. სევეროვის რეკონსტრუქცია.


1. გ. ჩუბინაშვილი. ქ. ხ. ი., 1, გვ. 25-27, 191.
2. Г. Н. Чубинашвили. Арх. Kax., გვ. 37—45, 173—176, 321—325, 531 — 532.



სურ. 11. ნეკრესის მონასტერი. ძველი ბაზილიკა. IV ს. გეგმა.



სურ. 12. ნეკრესის მონასტერი, ეპისკოპოსის სასახლე (VIII—IX სს.) და კოშკი (XVI ს.) ანაზომი ვლ. წილოსანისა.

## ბოლნისის სიონი

**478—493 წლები**

**ტაბ. 11-13**

სიონის სახელწოდება, რომელიც ჩვენში პალესტინიდან შემოვიდა, საქართველოში კიდევ რამდენიმე ადგილას გვხვდება: სიონი ეწოდება თბილისის, ატენის, სამშვილდის ტაძრებს, სოფელს ხევში, საქართველოს სამხედრო გზაზე, და სხვა. სიონის ტაძრები ყოველთვის ღვთისმშობლის სახელობისაა.

ბოლნისის სიონი ისტორიულ ქვემო ქართლში მდებარეობს, ახლანდელ სოფელ ბოლნის-ხაჩინში, მდ. ფოლადაურის მარცხენა ნაპირზე. რაიონის ცენტრიდან აქამდე 8 კმ-მდეა, თბილისიდან დაახლ. 70 კმ., სამხრეთით. ეს ერთი უდიდესი ბაზილიკათაგანია საქართველოში. მისი შესწავლა ჯერ კიდევ 1916 წ. დაიწყო გ. ჩუბინაშვილმა. 1936—1937 წლებში კი, რუსთაველის პირველი იუბილეს (1937) მომზადებასთან დაკავშირებით, ბოლნისის გასაწმენდად და გამოსაკვლევად დიდი მუშაობა ჩაატარა საგანგებო ექსპედიციამ ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით. ამ მუშაობის მოთავე აკად. ივ. ჯავახიშვილი იყო. მუშაობამ უაღრესად მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო: ძეგლის გარშემო ტერიტორია გაითხარა, გამოჩნდა შენობის დაფარული ნაწილები და მანამდე უცნობი ფრაგმენტები, მათ შორის სამშენებლო წარწერა, რომლის მიხედვითაც მოხერხდა სიონის ზუსტად დათარიღება. წარწერაში, სხვათა შორის, ნათქვამია: „შეწევნითა წმიდისა სამებისაჲთა ოც წლისა პეროზ მეფისა ზე ხოქმნა დაწყებაჲ ამის ეკლესიაისაჲ და ათხოჳთმეტ წლისა შემდგომად განხეშორაო", ე. ი. ტაძრის შენება დაიწყო პეროზის მეფობის მეოცე წელს და 15 წელიწადში დამთავრდაო (წარწერიანი ქვა თავდაპირველად ჩრდილოეთის მარცხენა შესასვლელის თავზე იყო. ახლა იგი თბილისშია გადმოტანილი, საქართველოს სახ. მუზეუმში, მის ნაცვლად კი პირია ჩასმული). ამ წარწერამ დაადასტურა გ. ჩუბინაშვილის მიერ ადრევე გამოთქმული მოსაზრება სიონის აშენების ხანის შესახებ V-VI სს-თა მიჯნაზე. მეორე წარწერა, აღმოსავლეთ ფასადისა, საკურთხევლის სარკმლის ზემოთ, იხსენიებს ტაძრის მაშენებელს დავით ეპისკოპოსს, მესამე — ჩრდილოეთის მარჯვენა შესასვლელის თავზე, კიდევ ორ უცნობ პირს. სამივე წარწერა ძალიან ლამაზი, ნათელი, მკაფიო მოხაზულობის რელიეფური (და არა ამოკვეთილი) ასოებითაა შესრულებული. ბუნებრივია, რომ ტექსტები ხანმეტია (მთავარი წარწერა გაშიფრა აკად. ა. შანიძემ).

ბოლნისის სიონი აშენდა საქართველოს პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის ხანაში, მას შემდეგ, რაც ვახტანგ გორგასლის მოღვაწეობისა და ბრძოლის შედეგად, ქართულმა ეკლესიამ მსოფლიო პატრიარქთაგან დამოკიდებულებას თავი დააღწია. თვით ბოლნისის საე-





სურ. 13 და 14. ბოლნისის სიონი. 478—493 წწ. გეგმა და განივი განაკვეთი. ანაზომი. ც. გაბაშვილისა.

პისკოპოსიც, რამდენიმე სხვა საეპისკოპოსოსთან ერთად, ვახტანგმა დააარსა. მით უფრო საკვირველია, რომ მაშენებელთა წარწერაში ვახტანგი კი არ არის მოხსენებული, არამედ ირანის მეფე პეროზი. გ. ჩუბინაშვილის აზრით, ალბათ, ირანის მძლავრობა მაინც იმდენად საგრძნობი იყო 484 წლის აჯანყებისა და ირანთან ვახტანგის ომის შემდეგაც კი, რომ ამ ამბიდან 10 წელიც რომ გავიდა, ბოლნისის სიონის დამთავრებისას, მისმა მაშენებელმა დავით ეპისკოპოსმა არც საქართველოსა და ირანის ცოცხალი მეფეები ახსენა, არც პიტიახში, არამედ მხოლოდ უკვე გარდაცვლილი სპარსთა მეფე პეროზი, რომლის დროსაც შენება დაიწყეს.

მცირე სამლოცველო, რომელიც ტაძარზე აღმოსავლეთიდან არის მიშენებული (საკურთხევლის გვერდით), VIII საუკუნისაა. დროთა განმავლობაში ძეგლი დაზიანდა — დაინგრა ჩრდილოეთის თაღებიანი სტოა-გალერია; 1634 წელს, სპარსელების შემოსევის დროს, ძლიერ დაზიანდა კამარები და ნაწილობრივ დასავლეთი კედელი. ძიელი ზემო ნაწილი კამარებითურთ და სხვა დაზიანებული ნაწილები უმეტესად აგურით აღადგინეს XVII ს-ის პირველ ნახევარშივე, მარიამ დედოფლისა და როსტომ მეფის ბრძანებით. მაშინ გაჰრეს დასავლეთის კარიც, რომელიც თავისი აგურის მოჩარჩოებით და ისრული თაღით მკვეთრად გამოიყოფა კედლის ერცელ ზედაპირზე.

XVII ს-ის ბოლო ათეულ წლებში ბოლნელმა ეპისკოპოსმა ნიკოლოზმა ეკლესია კვლავ შეაკეთა, მოახატვინა და, ამას გარდა, გვერდით სამრეკლოც ააშენა გიორგი XI-ის ბრძანებით. ბოლნისის საეპისკოპოსო გაუქმდა, ფაქტიურად, XVIII ს-ის პირველსავე წლებში, რადგანაც მოსახლეობა — იმ კუთხის მძიმე ისტორიული ხვედრის წყალობით, გაუთავებელი რბევა-აოხრების შედეგად — შეიცვალა და ქართული ელემენტი შემცირდა. 1702 წელს თბილელი ეპისკოპოსი უკვე თბილელ-ბოლნელად იწოდება. XVIII ს-ის მანძილზე ბოლნისი არაერთხელ დაურბევიათ ლეკებს. მემატიანეები მოგვითხრობენ სისხლისმღვრელი ბრძოლის ამბავს.

ბოლნისის სიონის მეცნიერული შესწავლა, როგორც ითქვა, განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში. ძეგლი რამდენიმეჯერ შეკეთდა. უკანასკნელი სარესტავრაციო-საკონსერვაციო მუშაობა 1970—1971 წლებში ჩატარდა არქ. რ. გვერდწითელის ხელმძღვანელობით.

ტაძრის გარეთა ზომები: სიგრძე — 27,9 მ., სიგანე — 24,5 მ., სიმაღლე შიგნით 11 მ.

1. Г. Чубинашвили. Болниси: ენიმკის მოამბე, ტ. IX, თბ., 1940 (ეს არის ფუძემდებელი გამოკვლევა, რომელშიაც მოცემულია ძეგლის ისტორიული და მხატვრული ანალიზი, ნაჩვენებია მისი ადგილი და მნიშვნელობა ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში, გაშუქებულია საერთოდ ქართული ბაზილიკების საკითხი).

2. ლ. მუსხელიშვილი. ბოლნისი: ენიმკის მოამბე, ტ. III, თბ., 1938, გვ. 311-382 (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა, რომელშიაც წარმოდგენილია 1936-1937 წლების კვლევა-ძიების შედეგებიც).




სურ. 15 და 16. ბოლნისის სიონი. 478—493 წწ. სიგრძივი განაკვეთი და აქსონომეტრიული განაკვეთი. ანაზომი ც. გაბაშვილისა.



ურბნისი (ქარელის რაიონში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე) საქართველოს ერთი უძველესი ქალაქთაგანია, რომელიც ხშირად იხსენიება მატიანეებში. საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გამოავლინა ნაქალაქარის ნაშთები — საფორტიფიკაციო და სხვა საქალაქო ნაგებობანი: გალავნები, კოშკები, აბანო, არხები, საცხოვრებელ ნაგებობათა ნარჩენები და სხვ... ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ურბნისი ქალაქად იყო მურვან-ყრუს შემოსევამდე, ე. ი. VIII ს-მდე. ეს ვაკე ადგილია ერთი შემაღლებით, რომელსაც ხიზანაანთ გორას უწოდებენ.

გათხრებმა ხიზანაანთ გორაზე გამოავლინა რამდენიმე ქრონოლოგიური ფენა — ადრებრინჯაოს ხანიდან ადრეულ ფეოდალურ ხანამდე.

ადრეფეოდალური ხანის გალავანი, რომელსაც VI ს-ით ათარიღებენ, სიგრძით, 2 კმ-მდეა. გალავანი ალიზისა იყო, კოშკებით* გამაგრებული (მდინარის მხარეს, სადაც ციცაბო 25 მეტრიანი ნაპირია, კოშკები არ იყო). კოშკები შიგნიდან კედლის ხაზში ზის, გარედან კი ნახევარწრიულ შვერილებს ქმნის (მათ შორის მანძილი საშუალოდ 65 მ. აღწევს). ყველაზე მნიშვნელოვანი იყო სამხრეთ-დასავლეთის კუთხის კოშკი, რომლის გეგმაშიაც ექვსი ოთახი გაირჩევა. მათი განლაგება გარკვევით გააზრებულია: შუა ღერძზე მცირე ტალანი და გრძელი დარბაზია, სხვა ოთახები — ორ-ორი მარჯვნივ და მარცხნივ — დაახლ. სიმეტრიულადაა განთავსებული. ურბნისის მკვლევართ მიაჩნიათ, რომ ოთახების გადახურვა ბრტყელი უნდა ყოფილიყო: კოჭები, ხის ფენილი, თიხა. ბანს საბრძოლო ფუნქცია ჰქონდა. აქ კედელში ჩართული კიბით ადიოდნენ. კოშკის კედლებში სათვალთვალო სარკმლები იყო დატანებული.

ქალაქის გალავნის ჭიშკრები აღარაა დარჩენილი და მათი ადგილი შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ. გალავანი და ქალაქი ხანძრისაგან დაიღუპა, ალბათ სწორედ მურვან-ყრუს შემოსევის დროს. ამის შემდეგ გალავანი აღარ აღუდგენიათ, მაგრამ ქალაქის დასაცავად გაუკეთებიათ მიწაყრილი და თხრილი.

აბანო ძლიერ დაზიანებულია, მაგრამ ჩანს, რომ აქაც ორი სართული იყო და ქვემო სართულში, თბილი და ცხელი აბანოების ქვეშ, კალორიფერი ჰქონდათ მოწყობილი. ქალაქის წყლით მომარაგებისათვის გაყვანილი იყო კერამიკული წყალსადენი. სასმელი წყაროებიდან მოედინებოდა, სარწყავი და სხვა სამეურნეო საჭიროებისათვის — ლიახვიდან.

ადრეული ფეოდალური ხანის ძეგლთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია VI ს-ის დიდი ბაზილიკა. სიგრძით იგი ბოლნისის სიონსაც სჭარბობს, სიგანით კი, სამხრეთისა და ჩრდილოეთის სტოების გარეშე, ორივე დაახლ. ერთი ზომისაა. ბაზილიკა სამნავიანია, ჯვარისებ-

* ნამდვილად ეს კოშკები არც არის, რადგანაც მხოლოდ ერთი სართულისა და ბანისგან შედგება.

სურ. 17 და 18. ურბნისი. წმ. სტეფანეს ბაზილიკა. VI ს. გეგმა და განივი განაკვეთი. ანაზომი პ. ზაქარაიასი და ფ. ქუფარაშვილისა.









სურ. 19 და 20. ურბნისი, წმ. სტეფანეს ბაზილიკა. VI ს. სიგრძივი განაკვეთი და აღმოსავლეთის ფასადი. ანაზომი პ. ზაქარაიასი და ფ. ქუფარაშვილისა.

რი გეგმის სვეტების ოთხი წყვილით. საკურთხეველი უკვე სამნაწილედია — აფსიდის გვერდით უაფსიდო სადიაკვნე და სამკვეთლოა. საკურთხევლის აფსიდი გარე კედლის სწორ ხაზს არ არღვევს, მაგრამ აქ ჯერ კიდევ არ არის ფასადის ნიშები, რომლებიც ჯვარისა და განსაკუთრებით წრომის ტაძრებში ყალიბდება. ურბნისის სიონი ბოლნისისას სიგრძით იმიტომ აღემატება, რომ აქ ბოძებს შორის მანძილი საგრძნობლად მეტია (ბოლნისში, როგორც ცნობილია, ბოძების ხუთი წყვილია და არა ოთხი). დასავლეთის კარი აქ თავიდანვე არსებობდა, რაც აგრეთვე უწყობდა ხელს ინტერიერში შესვლისას სიგრძივობის აღქმას. გათხრებმა აღმოაჩინა, რომ ეკლესიას სამ მხარეს — სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით — მთელ სიგრძეზე მინაშენები ჰქონია, მაგრამ მათი თავდაპირველი სახის დადგენა ვერ მოხერხდა.

შენობა საუკუნეთა მანძილზე არა ერთხელ დაუზიანებიათ და აღუდგენიათ. კედლებზე შერჩენილი წარწერები საამისოდ საინტერესო ცნობებს შეიცავს. ერთ-ერთი მათგანი, რომელიც უფრო გვიან კარის ლუნეტში ჩოხვედრილა, მოგვითხრობს, რომ „ესე სიონი დაძველებულ ეფროის ზომასა“ აღუდგენია თეოდორე ეპისკოპოსს. წარწერას, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, IX ს. დასასრულს ან X ს-ეს მიაკუთვნებენ. საქართველოს გაერთიანების ხანაში, დავით აღმაშენებლის დროს, ურბნისის საეპისკოპოსოს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს საქართველოს საეპისკოპო კათედრათა შორის (დავით აღმაშენებელმა 1103 წელს საეკლესიო კრება რუისსა და ურბნისში მოიწვია). მაგრამ XVI ს-ში, როგორც წერილობითი საბუთები (მაგ., სვიმონ I-ის 1566 წლის სიგელი) მოწმობს, ურბნისი „მოშლილია ჟამთა ვითარებისაგან.“ 1668 წელს, ტაძრის წარწერისავე თანახმად, „ძირითურთ აღმოფხრული ტაძარი“ აღუდგენია მარიამ დედოფალს. 1706 წ. ვახტანგ VI-მ ააშენა სამრეკლო და „გალავან-პალატი“. 1739 წ. ურბნელი ნიკოლოზ ხერხეულიძე აშენებს კვლავ გალავანსა და კოშკებს. ამ შენობათაგან დღემდე მხოლოდ სამრეკლომ მოაღწია.

თვით ეკლესიას დიდად ეტყობა შეკეთებათა კვალი. შეკეთებულ-აღდგენილი ნაწილები უმეტესად აგურისაა — ესაა კედლების ზემო ნაწილები და კამარები, პილასტრების ნაწილი და სხვ. რაც თავდაპირველია, მშვენივრად გათლილი და ნაწყობი კვადრებითაა ნაშენი. თაღებს ადრინდელი ხანისთვის დამახასიათებელი ნალისებრი მოხაზულობა აქვს. ფასადები, როგორც ჩანს, თავდაპირველად ასკეტურად მკაცრი ყოფილა, მორთულობის გარეშე. ახლანდელი ფასადები უმეტესად გვიანა აღდგენის ნაყოფია — ზედა ნაწილები სულ აგურისაა. ამჟამად ურბნისის ტაძარს გარედან მკაფიოდ გამოსახული ბაზილიკური პროფილი აქვს (შუა ნავი დიდად სჭარბობს სიმაღლით გვერდის ნავებს. გ. ჩუბინაშვილს მიაჩნდა, რომ თავდაპირველად, ბოლნისის მსგავსად, აქაც სამივე ნავი საერთო ორფერდა სახურავით უნდა ყოფილიყო გადახურული).

ეკლესიის ზომები გარედან (მინაშენთა გარეშე), დაახლ. 32×15 მ. სიმაღლე შიგნით — თითქმის 15 მ-მდე.

1. ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი, შედგენილი პროფ. ექვ. თაყაიშვილის მიერ. ტფ., 1924, ტაბ. 50, 51, 52, 53 (ორი გეგმა, ორი განაკვეთი, დასავლეთის ფასადი, ანაზომი არქ. ნ. სევეროვისა).

2. გ. ჩუბინაშვილი. ქ. ხ. ი., გვ. 49-50.

3. პ. ზაქარაია. ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება. თბ., 1965, გვ. 87-127 (ძეგლის ისტორია, წარწერები, ანალიზი. ახალი განაზომები, გათხრა-გაწმენდის შედეგების გათვალისწინებით).

## ანჩისხატი

VI ს

ტაბ. 15

ანჩისხატის ეკლესია თბილისის ძველ უბანში (კალაში) მდებარეობს, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. ეკლესია ღვთისმშობლის სახელობისაა. აშენებულია VI ს-ის დასაწყისში, ვახტანგ გორგასლის ძისა და მემკვიდრის დაჩი უჯარმელის დროს. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანე მოგვითხრობს, რომ იმ დროს „ტფილისს კაცნი დასხდებოდეს და მარიამ წმიდაჲ ეკლესიაჲ აღაშენეს“. ანჩისხატი ეკლესიას XVII ს-ში ეწოდა, როცა აქ დაასვენეს სამხრეთ საქართველოში თურქების დამკვიდრების დროს ანჩის მონასტრიდან წამოღებული ძველი „ხელთუქმნელი ხატი“, მოჭედილი ბექა ოპიზარის მიერ XII ს-ის ბოლოს.

გვიანა ფეოდალურ ხანაში ანჩისხატის ეკლესია მნიშვნელოვანი კულტურული კერა იყო. XVII ს-ში სამცხიდან ანჩისხატს ჩამოჰყოლია მღვდელი პეტრე მესხი ოჯახითურთ. დომენტი კათალიკოსმა მას ანჩისხატის კანდელაკობა უბოძა. პეტრეს ერთი შვილი გრიგოლი მხატვარი იყო, ხოლო მეორემ, ალექსიმ, საფუძველი ჩაუყარა შესანიშნავ კალიგრაფთა — მესხიშვილთა — მთელ დინასტიას (ალექსის პატივსაცემად, ისინი ალექსი-მესხიშვილებად იწოდებოდნენ). ალექსიც და მისი ძე სოლომონიც, რომელთაც უამრავი წიგნი გადაწერეს, ანჩისხატის დეკანოზები იყვნენ.

საუკუნეთა მანძილზე ძველი ეკლესია ბევრჯერ შეაკეთეს და გადააკეთეს: ჯერ XVII ს-ში, როცა აღადგინეს მთელი ზემო ნაწილი, მერე XIX ს-ში: ეკლესიას ზემოდან ულაზათო გუმბათი შეასკუპეს (შიგნიდან არც ჩანდა), დასავლეთიდან ზედ მიადგეს უშნო და ტლანქი სამრეკლო, შიგნით მოხატეს და გადააკეთეს, კედლებში ახალი სარკმლები გაჭრეს. აგურის სამრეკლო, გვიანა ფეოდალური ხანის ქართული ხუროთმოძღვრების საინტერესო ნიმუში, რომელიც დღესაც დგას ეკლესიის დასავლეთით, შაქთელის ქუჩის პირს, 1675 წელს ააშენებინა დომენტი კათალიკოსმა.




სურ. 21. თბილისი. ანჩისხატის ბაზილიკა. VI ს. გეგმა. რ. გვერდწითელის ანაზომის მიხედვით.

1958 წლიდან, თბილისის 1500 წლის იუბილესთან დაკავშირებით, დაიწყო ძეგლის რესტავრაცია. მას ჩამოაშორეს XIX ს-ის დანამატები, იატაკი თავდაპირველ დონემდე დაადაბლეს, XIX ს-ის კარ-სარკმლები მოსპეს, კედლებს შეძლებისდაგვარად დაუბრუნეს ძველებური სახე. ახლა შენობა, თუმც კი სხვადასხვა ქრონოლოგიურ ფენებს შეიცავს, მაინც უფრო მთლიანია, ვიდრე რესტავრაციამდე იყო. და ბევრი ძველი დეტალიც, XIX ს-ში დაფარული, ახლა კვლავ ჩანს (რესტავრაციის ხელმძღვანელობდა არქ. რ. გვერდწითელი).


1. პ. კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი. ძველი ანჩისხატის ტაძარი ქ. ტფილისში. ისტორიული მიმოხილვა. ტფ., 1902.

2. გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი. ქ. ხ. ი., გვ. 50.

3. რ. გ ვ ე რ დ წ ი თ ე ლ ი. ანჩისხატის რესტავრაცია: „ძეგლის მეგობარი“, კრებული მეშვიდე, 1966, გვ. 37-42.


## ქვემო ბოლნისი, ვანათი.

V-VI საუკუნეები

ქვემო ბოლნისის (ახლანდელი ბოლნის-ქაფანაქჩის) ეკლესია მდებარეობს ბოლნისის რაიონული ცენტრიდან შვიდიოდე კმ-ის მანძილზე, ბოლნისის სიონის მახლობლად. ძეგლი დაზიანებულია, სამხრეთის ფრთა სულ დანგრეულია, ჩრდილოეთის ფრთისაც ბევრი აღარაფერია დარჩენილი, აღარც კამარა არსებობს. კედლები მოპირკეთებულია კარგად გათლილი, ლამაზი ფერის მწვანე კვადრებით.

შუა ეკლესიის ორივე შესასვლელის თავზე (სამხრებიდან) საგანგებო დიდ ლოდებზე ამოკვეთილი იყო ძალიან საინტერესო რელიეფური კომპოზიციები — მარჯვენა კარის ზემოთ ქრისტეს ამაღლება ანგელოზთა მიერ, მარცხენას ზემოთ — ალბათ ღვთისმშობლის ამაღლება. ახლა პირველი ამათგანი (უმთავრესი) აღარ არსებობს.

სტილისტიკური ნიშნებით ძეგლი, რომელიც სამეკლესიიანი ბაზილიკის მარტივ ვარიანტს წარმოადგენს (არ




სურ. 22 და 23. ქვემო ბოლნისი, სამეკლესიიანი ბაზილიკა. V—VI სს. გეგმა და სიგრძივი განაკვეთი. ც. გაბაშვილის ანაზომის მიხედვით.




სურ. 24. ვანათი, სამეკლესიიანი ბაზილიკა. V-VI სს. გეგმა. რ. მეფისაშვილის ანაზომის მიხედვით.

არის დასავლეთის შემაერთებელი ნაწილი განაპირა ეკლესიებს შორის, არ არის შესასვლელი დასავლეთის მხრიდან), V-VI საუკუნეებს მიეკუთვნება.

მეორე ამისი მსგავსი და იმავე დროინდელი ნიმუშია ვანათის ეკლესია — ქვემო ბოლნისსა და სოფ. ხატისსოფელს შუა (ვანათი ძველი სახელია. ახლა ეკლესია ველზეა, სოფლებს გარეთ). ეს ძეგლიც ძლიერ დაზიანებულია — მისი ნანგრევი-ღა დგას.

ქვემო ბოლნისის ეკლესიის სიგრძე-სიგანე გარედან: !3×11 მ.

ვანათის ეკლესიისა: 13,5×12,7 მ.

1. Г. Чубинашвили. Церковь близ селения Квемо-Болниси: Вопросы, გვ. 104—107.
2. Г. Чубинашвили. Одна из древнейших трехцерковных базилик Квемо Картли: იქვე, გვ. 108—115.




სურ. 25. დმანისი, სამეკლესიიანი ბაზილიკა. VI ს. გეგმა.

ნაქალაქარი დმანისი ითხრებოდა 1936—1937 წწ. რუსთაველის პირველი იუბილეს მზადების დროს. შემდეგ არქეოლოგიური გათხრები, რომელთაც აწარმოებს საქართველოს სახ. მუზეუმი, განახლდა 1960 წლიდან.

ნაქალაქარი მდებარეობს თბილისიდან 100 კმ. მანძილზე სამხრეთ-დასავლეთით, კლდოვან კონცხზე, მდინარეების მაშავერასა და ფინეზაურის შეერთების ადგილას. როგორც ქალაქი, დმანისი წარმოიშვა არა უადრეს IX ს-ისა, თუმცა დასახლებული ადგილი ბევრად უფრო ადრე არსებობდა. ქალაქის აყვავების ხანა XII-XIII საუკუნეები იყო. შემდეგ ბევრჯერ გამხდარა უცხოელთა თავდასხმის საგნად და საბოლოოდ დაცარიელდა XVIII ს-ში.

ქალაქი ორი ნაწილისაგან შედგებოდა: საკუთრივ ქალაქისაგან (კონცხზე), რომელსაც 13 ჰექტარი ეჭირა, და გარეუბნისაგან მის სამხრეთით, ფინეზაურის ორსავ ნაპირზე. საგანგებოდ იყო გამოყოფილი ციტადელი. გათხრების დროს აღმოჩნდა ზოგი ქუჩის ტრასა, ბასტიონები, ხელოვნური მიწისქვეშა გასასვლელები, აბანოები, სამეურნეო ნაგებობათა ნაშთები.

საეკლესიო ნაგებობათაგან მთავარია VI ს-ის სიონი — სამეკლესიიანი ბაზილიკის ერთი უძველესი ნიმუშთაგანი. მისი გვერდის ნაწილები გადაკეთებულია. 1213—1222 წლებს შუა, გიორგი ლაშას დროს, დასავლეთით ეკლესიას მიაშენეს მდიდრულად მოჩუქურთმებული კარიბჭე. მორთულობას უკვე ეტყობა ერთგვარი სიმშრალე და დაწვრილმანება, ე. ი. თვისებები, რომლებიც შემდეგ უფრო მკვეთრად იჩენს თავს. კარიბჭეზე საინტერესო წარწერებია. ერთ-ერთ მათგანში მოხსენებულია მეფე ლაშა-გიორგი. ეკლესიის გვერდით სამრეკლო და უფრო გვიანდელი მცირე ეკლესია დგას.

ეკლესიის გარე ზომები: სიგრძე (დასავლ. კარიბჭის გარეშე) — 23 მ-მდე, სიგანე — 20,5 მ., მარტო შუა ეკლესიისა — 11,5მ.

1. ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. დმანისი. ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა: კრებული „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბ., 1938, გვ. 317-448.

2. გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი. ქ. ხ. ი., გვ. 192.

## ზეგანის „ყველაწმინდა"

VI-VII სს. მიჯნა





სურ. 26 და 27. ზეგანი. სამეკლესიიანი ბაზილიკა „ყველაწმინდა". VI—VII სს. გეგმა და დასავლეთის ფასადი. ანაზომი ლ. რჩეულიშვილისა და ე. ცინცაძისა.

ზეგანის დიდი მონასტერი კახეთშია, გურჯაანის რაიონში, სოფელ ზეგანის მახლობლად, ხშირ ტყეში. მთავარი შენობა, ყველაწმინდის (ე. ი. ღვთისმშობლის) ტაძარი, სამეკლესიიანი ბაზილიკის ტიპისაა. სხვ. შენობებია — მცირე სამლოცველოები, მარანი და სხვ... მონასტერს გალავანი არტყია.

ყველაწმიდის ეკლესია ტიპის განვითარებულ საფეხურს წარმოგვიდგენს: შუა ეკლესიას სამმხრივი შემოსაკლელი აქვს. ანუ გვერდის ეკლესიები და მათი შემაერთებელი დასავლეთის გასასვლელი. საკურთხევლის ორ მხარეს გამოყოფილია უაფსიდო სადიაკვნე და სამკვეთლო, ხოლო შუა ეკლესიის დასავლეთ ნაწილში — პატრონიკე. კედლები მსხვილი რიყის ქვისაა, კუთხეები, სარკმლების მოჩარჩოება და შიგნით საბჯენი თაღები — შირიმის ფილებისა, კამარა სხმულია. ფასადები მარტივია, სამკაულის გარეშე, კედლების ვრცელი ზედაპირები მცირედ დანაწევრებულია. სახურავის კალთები ოდნავ არის დაქანებული. დამახასიათებელია წვრილი თაღეზის მწკრივით გამოყვანილი კარნიზები. სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით, უპირველესად ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ორ-ორ თაღიანი და სამთაღიანი (სამხრეთით) შესასვლელები. თაღები მკაფიოდ გამოხატული ნალისებრი მოხაზულობისაა და მსხვილ მასიურ სვეტებს ეყრდნობა. შენობის გარეგნობისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს შუა ეკლესიისა და გარშემოსავლელის მასების შეფარდებას: დასავლეთის მხარეს გვერდის ეკლესიების შემაერთებელ სტოას მეორე სართულიც აქვს, რის გამოც ამ მხარეს დამატებითი მოცულობითი მახვილი იქმნება.

შენობის სიგრძე 19,5 მ., სიგანე — 14 მ., სიმაღლე შიგნით — 11 მ.

1. Г. Н. Чубинашвили. Арх. Ках., გვ. 164-173.

## აკაურთა, აკვანება

ტაბ. 10

ეს ადრინდელი ფეოდალური ხანის ერთნავიანი ეკლესიების ნიმუშებია. ორივე ბოლნისის რაიონში მდებარეობს.

სოფ. აკაურთა ბოლნისის დასავლეთითაა, შვიდიოდე კმ. მანძილზე, მდ. მაშავერას მარცხენა ნაპირზე. ეს არის მშვენივრად გათლილი ქვის დიდი კვადრებით მოპირკეთებული შენობა, რომელიც ერთადერთი ფართო სწორკუთხა ნავისა და შეერილი აფსიდისაგან შედგება. აფსიდი გარედან წახნაგოვანია. უჩვეულოა ნავის ასეთი სიგანე და აფსიდის სივიწროვე მასთან შედარებით (ორჯერ უფრო ვიწროა). დამახასიათებელია თაღების ნალისებრი ფორმა, რაც მხოლოდ ადრეულ ხანაში გვხვდება. ორნამენტული მორთულობა, ძალიან მაღალი ხარისხისა (სამხრეთის კარის ანჯოლები და არქიტრავი, სამხრეთისავე სარკმლის




სურ. 28. აკვანების (VI ს.) და აკაურთის (V—VI სს. მიჯნა) ეკლესიების გეგმები.
ლ. რჩეულიშვილის ანაზომის მიხედვით.

თაღი, ჩრდილოეთის ფასადის მოჩუქურთმებული ქვები, შიგნით აფსიდის იმპოსტები), თავისი ხასიათით ბოლნისის სიონისას ენათესავება. ძეგლი V-VI საუკუნეთა მიჯნას მიეკუთვნება. მისი ზომებია გარედან: სიგრძე — 15,5 მ., სიგანე — 10 მ., სიმაღლე შიგნით — 8 მ-მდე.

აკვანება აკაურთას სულ სამიოდე კმ-ით შორავს — ბოლნის-დმანისის გზის პირას დგას დაახლ. მეხუთე კილომეტრთან. იგი აკაურთაზე ბევრად მცირე ზომისაა, შიგნიდანაც და გარედანაც თლილი ქვის წყობითაა მოპირკეთებული. ქვა მუქი ყვითელია. კედელი სქელია— 110 სმ.

ეს ერთნავიანი ეკლესიის მეორე ვარიანტია: ა) მისი აფსიდი შეერილი არ არის — საერთო სწორკუთხედშია მოქცეული; ბ) სამხრეთით მას ორნაწილედი ექვტერი აკრავს. მისი დასავლეთი უაფსიდო ნაწილი უფრო გრძელია, საკურთხევლის გვერდით მდებარე და მასთან გასასვლელით დაკავშირებული აღმოსავლეთი ნაწილი წარმოადგენს კვადრატულ სივრცეს აღმოსავლეთის აფსიდით. კვადრატი ჯვაროვანი კამარით იყო გადახურული.

ეკლესიას შიგნითაც და გარეთაც ჩუქურთმიანი მორთულობა აქვს: გარეთ — აღმოსავლეთი სარკმლის სათაური, შიგნით — აფსიდის იმპოსტები და ეკლესიიდან აფსიდიან ექვტერში გასასვლელის თავზე მოთავსებული საკმაოდ რთული კომპოზიცია: მედალიონში ჩასმული თანაბარმკლავებიანი ჯვარი, სტილიზებული ფოთლები და მტევნები. მორთულობის სისტემაც და ხასიათიც აკვანებას VI საუკუნის ძეგლებთან აკავშირებს და მისი აგების თარიღადაც ეს საუკუნეა მიჩნეული. შენების ხარისხი, განსაკუთრებით პერანგის ბრწყინვალედ შესრულებული წყობა, დიდად საინტერესო მორთულობა მოწმობს, რომ ის ხანის მაღალი მხატვრული დონე არა მარტო უმთავრეს ძეგლებში, არამედ ასეთ მინიატურებშიაც პოულობს ასახვას. შენობის ზომები გარედან: სიგრძე — 9 მ., სიგანე — 8,5 მ., სავარაუდო სიმაღლე შიგნით — 6 მეტრამდე.

1. ლ. რჩეულიშვილი. ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ძეგლი: „ქართული ხელოვნება", ტ. 2, ტფ., 1948, გვ. 27-38.




სურ. 29. კუშჩი, ძველი ოლთისი. VI—VII სს. მიჯნა გეგმა.

## კუშხი, ძველი ოლთისი

**VI-VII სს.**

სოფელი კუშხი, ძველი ოლთისი, ახლა წალკის რაიონშია. მისი მინიატურული ეკლესია კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიმუშია ადრინდელი ხანის ერთნავიანი სამლოცველოებისა. საკუთრივ ნავს სამხრეთით მთელ სიგრძეზე ეკვრის სტოა, რომელიც ორი ღია თაღით უკავშირდება გარე სივრცეს. თაღებს, რომლებიც მრგვალ მასიურ ბოძს ეყრდნობა, მკაფიოდ გამოკვეთილი ნალისებრი მოხაზულობა აქვს. დამახასიათებელია წვრილი თაღების მწკრივით შედგენილი კარნიზი და ორნამენტული დეტალები, რომელთა პარალელები VI-VII სს. ძეგლებში მოიპოვება. კედლები ტლანქად დამუშავებული ქვისაა, მხოლოდ კუთხეებისა, თაღებისა და სარკმლებისათვის ნახმარია კარგად გათლილი კვადრები.

ეკლესიის გარეთა ზომებია: სიგრძე — 7,7 მ., სიგანე — 6,5 მ.

1. Ник. Чубинашвили и Ренэ Шмерлинг. Храмы в древних селениях Триалети — Олтиси и Тетри-Цкаро: «ქართული ხელოვნება», 2, თბ., 1946, გვ. 47-54.

## კაცხის სვეტი

**V და VI სს.**

**ტაბ. 20**



კლდოვანი სვეტი კაცხურის ხეობაშია, ჭიათურის რაიონში. მისი სიმაღლე 40 მეტრს აღწევს, ზედა ბაქნის ფართობია 10×17 მ., აქ ორი ერთნავიანი მცირე ზომის ეკლესიაა. ერთი მათგანი იქვე მოპოვებული და უხეშად დამუშავებული ქვითაა ნაშენი მშრალად, ხოლო აფსიდი კლდეში აქვს გამოკვეთილი. მეორე სამლოცველოს კრიპტა აქვს (ქვემო სართული-სამარხი), იგი ქვემოდან აზიდული კარგად გათლილი ტუფის კვადრებითაა აგებული. პირველ ეკლესიას V ს-ეს აკუთვნებენ, მეორეს — VI საუკუნეს.

სვეტის შენობები შეისწავლა 1944 წლის ივლისში საქართველოს მინისტრთა საბჭოს არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს ექსპედიციამ, რომელსაც ცნობილი ალპინისტი ალ. ჯაფარიძე ხელმძღვანელობდა. შენობები აზომა არქ. ვ. ცინცაძემ.

სურ. 30. კაცხის სვეტი. ზედა ბაქნის გენერალური გეგმა. ეკლესიები V და VI სს. ანაზომი ვ. ცინცაძისა.

1. ვახტანგ ცინცაძე. კაცხის სვეტი: სსრ მეც. აკად. მოამბე, ტ. VII, № 8, თბ., 1946, გვ. 557-564.

## შიომღვიმე

**ტაბ. 21, 22**

შიომღვიმის მონასტერი (მცხეთის რაიონში) განმარტოებით დგას, შვეული კლდეების ძირს, მთის ნაოჭში. ეს მტკვრის მარცხენა ნაპირია. მდინარის გადაღმა, მონასტრის პირდაპირ, სადგური ძეგვია. ახლა მონასტერში მისასვლელად მცხეთიდან სამანქანო გზაა გაყვანილი.

მონასტრის ხანგრძლივი არსებობის მანძილზე აქ შენობათა კომპლექსი შეიქმნა: 1) გუმბათიანი ეკლესია VI ს-ისა, ქართული გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების პირველი ეტაპების ერთი დამახასიათებელი ნიმუშთაგანი — მის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ზემოთ, ძირითად







სურ. 31. შიომღვიმე, გუმბათიანი ეკლესია. VI ს. გეგმა. ანაზომი ნ. სევეროვისა.

სურ. 32. შიომღვიმე, გუმბათიანი ეკლესია. VI ს. განაკვეთი. ანაზომი ნ. სევეროვისა.

სურ. 33. შიომღვიმე, გუმბათიანი ეკლესია. VI ს. ინტერიერი. ნახატი ნ. სევეროვისა.

ტექსტში. დასავლეთიდან მას XI და XVIII სს-ში დიდი ნაწილი მიაშენეს, XVIII ს-საა აგურის სამრეკლოც; 2) ზემო ეკლესია XI-XII სს. მიჯნაზეა აშენებული დავით აღმაშენებლის დროს. ამის შესახებ თვით დავითი წერს თავის ანდერძში. ეკლესია თავდაპირველად გუმბათოვანი იყო, ხოლო 1678 წელს ბაზილიკის სახით აღადგინეს „იოთამ ამილახორის შვილმან თვით ამილახორმან გივმან“ და მისმა „თანამეცხედრემ“ (ე. ი. მეუღლემ), „ქართველთ მეფის შაჰნავაზის ასულმან ბატონიშვილმან თამარ“ (შაჰნავაზს ვახტანგ V-ს უწოდებდნენ) — ასეა ნათქვამი წარწერაში ეკლესიის დასავლეთ შესასვლელის თავზე; 3) სატრაპეზო, რომლის ძველი ნაწილები XII ს-ისაა; გადაკეთებულია XVII ს-ში; 4) XII ს-ის მცირე მოხატული სამლოცველო მთაზე, მონასტრის მახლობლად.

მონასტერი მოქმედი იყო XIX ს-ში და XX ს-ის დასაწყისშიაც, რევოლუციამდე. ამ დროს მიეკუთვნება სამონასტრო შენობათა ნაწილი, ამ დროსვე მოხატეს და „შეამკეს“, არსებითად კი დაამახინჯეს, შიოს ძველი ეკლესია.

ძველი ეკლესიის მაქსიმალური ზომები შიგნით: სიგრძე -- 13,5 მ., სიგანე — 7,8 მ., სიმაღლე — 13,6 მ.

1. Г. Чубинашвили. Шиомгвимская лавра: Вопросы, გვ. 51-80.
2. ბ. ლომინაძე. შიომღვიმე, თბ., 1953.

## ერელაანთ საყდარი

**V-VI სს.**

კახეთშია, ახმეტის რაიონში, ახმეტიდან თიანეთისკენ მიმავალ გზასთან, მეოთხე კილომეტრზე. ნაშენია საკმაოდ ტლანქად რიყის ქვით, ფასადისათვის, გუმბათისა და კედლების შიგა პირისთვის ზოგან კირქვის ფილებია გამოყენებული. შიგნით კედლები მოხატული იყო. აღმოსავლეთის სარკმლისა და შესასვლელის თავზე მცირედ შეერილი თაღოვანი სათაურებია, ჰორიზონტალურად გადაკვეცილი ბოლოებით. აღმოსავლეთისავე ფასადზე ფრონტონის წვერში უხეშად გამოყვანილი ჯვარია. შენობა ძლიერ დაზიანებულია. გუმბათის ყელისა მხოლოდ მცირე ნაწილი-ღაა დარჩენილი, მაგრამ გუმბათქვეშა კონსტრუქცია ტრომპებითურთ კარგად ჩანს. ეკლესიის მაქსიმალური ზომები გარედან: სიგრძე — 7,0 მ., სიგანე — 6,6 მ., სავარაუდო სიმაღლე შიგნით — 5,4 მ..

ეკლესიის აღწერა იხ. ზემოთ, ძირითად ტექსტში.

1. Г. Чубинашвили. Крестовокупольная церковь Эрелаант-сакдари близ Ахмета: Вопросы, გვ. 44-50.

სურ. 34. ერელაანთ საყდარი. V—VI სს. გეგმა და განაკვეთი. ანაზომი ლ. რჩეულიშვილისა და ნ. ჩუბინაშვილისა.



## იდლეთის „ნათლისმცემელი"

**VI ს.**

**ტაბ. 28**

სოფ. იდლეთი ქართლის შუაგულშია, კასპის რაიონში, მდ. კავთურის ნაპირას. პატარა ეკლესია სოფლის განაპირას დგას. ესეც ერთი ადრინდელი ნიმუშთაგანია ქართული გუმბათოვანი არქიტექტურისა. გეგმით „თავისუფალი ჯვრის" ტიპს მიეკუთვნება. საკურთხევლის აფსიდი და სამი უაფსიდო მკლავი უშუალოდ უკავშირდება გუმბათქვეშა სივრცეს. გუმბათი ტრომპებს ეყრდნობა, შიგნიდან რვაწახნაგაა, გარედან კი წარმოადგენს მასიურ კუბს ჩამოთლილი კუთხეებით — ეს შეადგენს ძეგლის უმთავრეს თავისებურებას. მკლავები მოკლეა, გარეთკენ რამდენადმე დავიწროებული, გუმბათის ყელი ფართოდ და მძიმედ აზის შენობას. ადრინდელი ხანისთვის დამახასიათებელია მკლავებისა და გუმბათის დამრეცი სახურავები, დაბალი ფრონტონები. კედლები სხვადასხვა ზომის ტლანქად დამუშავებული ქვითაა ნაშენი, წვრილი ქვის გვერდით გვხვდება დიდი ლოდებიც. ერთადერთი სამკაულია გუმბათის ყელზე მოთავსებული სამი სადა ჯვარი. დასავლეთით, საიდანაც ეკლესიას ერთადერთი შესასვლელი აქვს, მიშენებულია (უფრო გვიან) „საქალებო".

ტაძრის სახე ჯერ კიდევ მხატვრულად შეუმუშავებელია და არქაულობის აშკარა ხასიათს ატარებს. მისი მაქსიმალური ზომები დაახლ. შემდეგია: სიგრძე — 7,2 მ., სიგანე — 7 მ., შიგნითა სიმაღლე — 7,2 მ.




1. ვ ა ხ ტ ა ნ გ  ც ი ნ ც ა ძ ე. იდლეთის ნათლისმცემლის გუმბათოვანი ეკლესია: „ქართული ხელოვნება", ტ. 3, თბ., 1950, გვ. 1-10.

სურ. 35 და 36. იდლეთის „ნათლისმცემელი", VI ს. განაკვეთი და გეგმები. ვ. ცინცაძის ანაზომის მიხედვით.






## ძველი გავაზი

**VI ს.**

ძველ გავაზს ახლა ახალსოფელი ეწოდება. იგი ალაზნის გაღმაა, ყვარლის რაიონში. ეკლესია ღვთისმშობლის სახელობისაა. XIX და XX სს. რემონტის წყალობით დიდად დამახინჯებულია. გარშემოსავლელი და გუმბათის ყელი თავდაპირველი არ არის. ადრინდელი ხანისათვის დამახასიათებელი ნალისებრი მოხაზულობა მკაფიოდ ჩანს არა მარტო გეგმაში (ოთხივე აფსიდი), არამედ შესასვლელთა (დასავლეთითა და სამხრეთით) თაღებშიც. ზოგი ადრინდელი ეკლესიისათვის დამახასიათებელია და აქაც გვხვდება ვიწრო შესასვლელები აღმოსავლეთიდან: აქ თითო-თითოა სამხრეთისა და ჩრდილოეთის აფსიდებში. საფიქრებელია, რომ ეს ეკლესიის მსახურთათვის განკუთვნილი შესასვლელები იყო. მაგრამ, შესაძლებელია, მათ მღვდელთმსახურებასთანაც ჰქონდათ რაიმე კავშირი.

ეკლესია რიყის ქვითაა ნაშენი. მისი გარეთა ზომებია (გარშემოსავლელის გარეშე) დაახლ. 13×13 მ.

1. გ. ჩუბინაშვილი. ქ. ხ. ი., გვ. 57-58.
2. Г. Чубинашвили. Арх. Kax., გვ. 216-224.

სურ. 37. ძველი გავაზის ეკლესია. VI ს. გეგმა და განაკვეთი. ნ. სევეროვის ანაზომის მიხედვით.

## ნინოწმინდა

**VI ს.**

ტაბ. 24

სოფელი გარეკახეთშია, რაიონულ ცენტრს საგარეჯოს 2-3 კილომეტრითაა დაშორებული. გალავანში, დიდი ტაძრის გარდა, დარჩენილია XVI ს-ის სამრეკლო, მიტროპოლიტის საბა ტუსისშვილის სახლი XVIII ს-ისა (იხ. ქვემოთ) და სხვადასხვა დანიშნულების შენობათა ნანგრევები.

ეკლესია ძლიერ დაზიანებულია: დანგრეულია მთელი დასავლეთი მხარე, ჩამოქცეულია გუმბათი. ტაძრის კედლები მომწვანო ქვის, არც მაინცდამაინც სუფთად გათლილი, დიდი კვადრებითაა ნაშენი, კედლის შუაგულში კი ჩასხმულია ქვის ნატეხებიანი დუღაბი; თაღები და კამარები კახეთში გავრცელებული ნასერეტოვანი შირიმისაა. ამავე მასალითაა მოპირკეთებული გარედან კედლების ზემო ნაწილი. მაგრამ ეს გვიანდელი შეკეთების შედეგია. შეკეთება-აღდგენანი ძეგლმა რამდენიმეჯერ განიცადა: ერთი — XI-XII სს., როცა თავდაპირველი შეკრული კამარა შეცვალეს მრგვალი გუმბათის ყელით; მეორე — უფრო გვიან, როცა შიგნით კედლები კონტრფორსებით გაამაგრეს; მესამე — XVI ს-ში, როცა „მეფემან პატრონმან ლეონ... მეორედ აღაშენა და შეამკო ყოვლითურთ... მოშლილი და დაქცეული“ ტაძარი. ამ დროს აშენდა სამრეკლო, შეიმკო და მოიხატა თვით ეკლესია. დასავლეთის კარიბჭე XVII ს-ისაა, 1671 წელსაა აგებული ნინოწმინდელი ეპისკოპოსის ნიკოლოზ ენდრონიკაშვილის მიერ (წარწერა კარიბჭის შიგნით, ეკლესიის დასავლეთ შესასვლელის თავზე). XVIII ს-ის მეორე ნახევარში ტაძარი საფუძვლიანად შეაკეთა ნინოწმინდელმა მიტროპოლიტმა საბა ტუსისშვილმა — ეს ამბავი მას მოთხრობილი აქვს საინტერესო საბუთში, რომელიც გამოქვეყნებულია სათანადო კომენტარებით. ეკლესია საბოლოოდ დაინგრა 1824 წლის მიწისძვრის დროს და, შემდეგ, 1848 წელს.

ეკლესიის გარეთა ზომებია დაახლ.: 21,0×21,0 მ.

1. გ. ჩუბინაშვილი. ქ. ხ. ი., გვ. 69-74.
2. Г. Чубинашвили. Арх. Kax., გვ. 232-246.
3. სარა ბარნაველი. საბა ტუსისშვილის „ანდერძისებრნი დუწანი“: „ქართული ხელოვნება“, ტ. 3, თბ., 1950, გვ. 211-225 (გამოკვლევა), 225-235 (საბუთის ტექსტი).





სურ. 38 და 39. ნინოწმინდის ტაძარი. VI ს. გეგმა და ინტერიერის რეკონსტრუქცია. ანაზომი და ნახატი ნ. სევეროვის მიხედვით.

## მცხეთის ჯვარი

**586/87-604/605**

**ტაბ. 26-31**

მცხეთის ჯვრის ტაძრის ადგილას მირიან მეფის მიერ ხის დიდი ჯვრის აღმართვის შესახებ არსებობს წერილობითი ცნობები ქართული და სომხური მატიანეებისა („ქართლის მოქცევა“, მოსე ხორენელის სომხეთის ისტორია და სხვ.). თუმცა ეს ტექსტები გადამუშავებული გამოძახილია რომის იმპერატორის კონსტანტინეს მიერ ჯვრების აღმართვისა, თვით ფაქტი უტყუარია — ჯვრის კვარცხლბეკი ეკლესიის შიგნით დღემდეა დარჩენილი. VI ს-ის მეორე ნახევარში ამ ჯვრის არსებობას ადასტურებს „ევსტათი მცხეთელის ცხოვრებაც“.

მცხეთის ჯვრის მცირე და დიდი ტაძრების აგების დრო ზოგადად თვით ძეგლთა ანალიზის საფუძველზეა დადგენილი გ. ჩუბინაშვილის მიერ. უფრო ზუსტი თარიღის დადგენა შესაძლებელი გახდა კვლავ წერილობითი და სხვა ისტორიული წყაროების (მაგ., მონეტების წარწერათა) შეჯერებით. დამტკიცდა, რომ მატიანეთა ცნობა, ქართლის ერისთავმა გუარამმა „დადვა საფუძველი ჯუარისა ეკლესიასა, რომელი არს მცხეთასო“, ეხება მცირე ტაძარს, ხოლო ცნობა, რომ „შემდგომად ამის გუარამისასა ერისთაობდა ძე მისი სტეფანოზ და ძმა დემეტრესი, და აშენებდეს ეკლესიასა ჯუარის მცხეთას“ — დიდ ტაძარს. გ. ჩუბინაშვილმა მცირე ტაძრის აშენება 545-სა და 586 წლებს შორის მოაქცია (ესაა გუარამის ერისმთავრობის წლები), ხოლო დიდისა 586/87-604/605 წლებს შუა (სტეფანოზის ერისმთავრობის წლები).

საუკუნეთა მანძილზე მცირე ტაძარი ძლიერ დაზიანდა (აღარ შერჩა გადახურვა), დიდმა კი კარგად მოაღწია დღემდის. თუმცა იგი ხანძრის კვალს ატარებს და ერთ-ერთ კუთხის ოთახში ჩაშენებული კამარაც არის, ძეგლის მთლიანობა სრულებით არ დარღვეულა და მას არც ერთი არსებითი ნაწილი არ აკლია (მხოლოდ სამხრეთი კარიბჭეა დანგრეული). საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჯვარი საგანგებო მოვლის საგნად იქცა, სათანადო ორგანოები მუდმივ ზრუნავენ მის დაცვა-შეკეთებისათვის. ძეგლის განხილვა მხატვრული თვალსაზრისით იხ. ზემოთ, ძირითად ტექსტში.

მცხეთის ჯვრის დიდი ტაძარი, ბოლნისის სიონის შემდეგ, ხუროთმოძღვრების სკულპტურული მორთვის ახალ საფეხურს წარმოგვიდგენს. ფიგურული რელიეფების განლაგება ღრმად გააზრებულ სისტემას ექვემდებარება. აღმოსავლეთის ფასადის შუა შვერილზე სამი რელიეფური გამოსახულებაა იმ პირებისა, რომელთა თაოსნობითა და ხარჯით აშენდა ეკლესია: შუაში ქრისტეს წინაშე მუხლმოდრეკილი სტეფანოზ ერისთავმთავარია, ე. ი. მთავარი მაშენებელი, მარცხნივ — მისი ძმა დემეტრე მფარველი ანგელოზით, მარჯვნივ — სტეფანოზის მემკვიდრე ადრნერსე — ამის ზემოთაც ფრთებგაშლილი ანგელოზია, რომელსაც მარჯვენა ხელი წინ აქვს გაწვდილი, ხოლო მის წინ — მუხლმოდრეკილი ბავშვი, მისი ძე.




სურ. 40. მცხეთის ჯვარი. 586/87 — 604 წწ. გეგმა. ანაზომი ნ. სევეროვისა.

სამივე რელიეფი აღჭურვილია ასომთავრული წარწერებით, რომლებშიაც მაშენებელთა სახელები და ტიტულებია მოხსენიებული (მაგ., შუა რელიეფს აწერია: „ჯუარო მაცხოვრისაო, სტეფანოს ქართლისა პატრიკიოსი შეიწყალე“, მარცხენას: „წმინდაო მიქელ მთავარანგელოზო, დემეტრეს ჰპატოსსა მეოხ ხეყავ“, მარჯვენას: „წმიდაო გაბრიელ მთავარანგელოზო, ადრნერსეს ჰპატოსსა მეოხ ხეყავ“. პატრიკიოსი და ჰიპატოსი ბიზანტიური საკარისკაცო წოდებებია. წარწერების ტექსტი, ისევე როგორც ბოლნისში, ხანმეტურია). სტილისტიკური თვალსაზრისით რელიეფებში ერთგვარი გაორებაა: ფიგურები, რომლებიც ცნობილი ნიმუშების მიხედვითაა გამოკვეთილი (ქრისტე, ანგელოზები), საკმაოდ თავისუფლადაა გამოძერწილი და აგებული; სხვები (ერისმთავრები), რომელთა შესრულება ოსტატს საესებით დამოუკიდებლად მოუხდა, უფრო შებოჭილია და ანატომიურადაც უსწორო. საერთო მიდგომას დეკორაციულობა და სტილიზაცია ახასიათებს. სამხრეთის ფასადის რელიეფები ისე გაერთიანებული და შეკრული არ არის, როგორც აღმოსავლეთისა. შუა სარკმლის ზემოთ გამოსახულია წმ. სტეფანეს წინაშე მუხლმოდრეკილი ვინმე ქობულ-სტეფანოზი, ალბათ ერისმთავართა ოჯახის წევრი, გუმბათის ყელის სამხრეთ წახნაგზე უცნობი მუხლმოდრეკილი კაცი, შესაძლებელია, ხუროთმოძღვარი, რომლის სახელსაც სამწუხაროდ, არ ვიცნობთ.

ყველაზე მნიშვნელოვანია სამხრეთ შესასვლელის ტიმპანის რელიეფი, რომელიც ანგელოზთა მიერ ჯვრის ამაღლებას გამოსახავს. უფრო მცირე ზომით იგივე თემაა გამეორებული სამხრეთ-დასავლეთი ოთახის შესასვლელის თავზედაც (თვით ტაძარი ხომ ჯვრისადმი იყო მიძღვნილი). ეს თემა მაშინ მთელ ქრისტიანულ ხელოვნებაში იყო გავრცელებული. მცხეთის ჯვრის რელიეფები, განსაკუთრებით სამხრეთის მთავარი შესასვლელისა, კომპოზიციური აღნაგობისა და პლასტიკური დამუშავების მხრივ, დიდი ოსტატობითაა შესრულებული.

სამხრეთის ფასადის სხვა რელიეფები, მოთავსებული ნიშებში, ძლიერ დაზიანებულია. ორივეში სამფიგურიანი კომპოზიციებია: განაპირას მდგომი მუხლმოდრეკილი გამოსახულებები მიმართულია ცენტრში მდგომ ფიგურებისადმი. ძნელი სათქმელია, ვის უნდა გამოხატავდეს ეს რელიეფები.

ტაძრის გარშემო არსებული საფორტიფიკაციო ნაგებობანი (ამჟამად დანგრეული კოშკი და გალავანი) გვიანდელია.

დიდი ტაძრის გარეთა ზომებია დაახლოებით: სიგრძე — 22,3 მ., სიგანე — 19 მ-მდე, სიმაღლე შიგნით — 22 მ-მდე.

1. გ. ჩუბინაშვილი. ქ. ხ. ი., გვ. 83-114.
2. Г. Чубинашвили. Памятники типа Джвари. Тб., 1948.



სურ. 41 და 42. მცხეთის ჯვარი. 586/87—604 წლები. განაკვეთი და აღმოსავლეთის ფასადი. ანაზომი ნ. სევეროვისა.










სურ. 43 — 46. ატენის სიონი. VII ს. გეგმა, ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის ფასადები, განაკვეთი ხედით სამხრეთისაკენ. ანაზომი მ. კალაშნიკოვისა.



## ატენის სიონი

**VII ს.**

**ტაბ. 82—84, ნახ. 37**

გორის რაიონშია, რაიონის ცენტრიდან დაახლ. 12 კმ. მანძილზე, მდ. ტანას მარცხენა ნაპირას, სოფლიდან საკმაოდ მოშორებით. ამ ტიპის ძეგლთაგან მცხეთის ჯვართან ყველაზე ახლო ეს ძეგლია — მისმა მშენებელმა, სომეხმა თოდოსაკმა, მორჩილად გაიმეორა ჯვარის გეგმა, ისე რომ არც უფიქრია იგი ფუნქციურად მოერგო თავისი ნაკვეთისათვის. ხოლო ნაკვეთის პირობები ჯვართან შედარებით სულ სხვაა. ამიტომ ზოგი რამ შეუსაბამო გამოვიდა: მაგ., აქ ეკლესიის გზა დასავლეთიდან ადგება; ბუნებრივი იყო ტაძრის შესასვლელის აქედან გაკეთება, მაგრამ არ გაუკეთებიათ, რაკი იგი დასავლეთით არა აქვს ჯვარს (და არც შეიძლება ჰქონდეს, რაკი იმ მხარეს ხრამია); ამ მხარეს — კვლავ ჯვარის წამხედურობით — ნიშებიც არ არის. აქ აღმოსავლეთის მხარეს ფასადის წინ სულ ორიოდე ნაბიჯია (მერე ციცაბო კალთა იწყება), ასე რომ ფასადის სიბრტყეს მხოლოდ ძლიერი რაკურსით ვხედავთ; მიუხედავად ამისა, რელიეფების დიდი ნაწილი ამ მხარესაა თავმოყრილი, რაკი ასეა ჯვარში (იქ სწორედ აღმოსავლეთი ფასადია ყველაზე უფრო დასამხარი). ატენში ბევრია რელიეფი, მაგრამ მათი განლაგება ფასადებზე არ ექვემდებარება რაიმე გააზრებულ სისტემას (რელიეფები დიდად განსხვავებულია: არის ცალკეული ფიგურებისა და ქტიტორების ჯგუფების გამოსახულება, უმეტესად ძალიან ტლანქი; არის მთელი სცენებიც, მაგ., ორი ირემი, რომელიც აუზიდან წყალს სვამს — ჩრდილოეთის ტიმპანში; ნადირობის სცენა; სამსონი და ლომი; წინასწარმეტყველი აბაკუმი და სხვ... განსხვავებულია შესრულების ხარისხიც და სტილისტიკური ნიშნებიც. შესაძლებელია, მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ოსტატებს სრულიად განსხვავებული ნიმუშები ჰქონდათ ხელთ; შესაძლებელია, ცალკეულ რელიეფებს შორის ქრონოლოგიური სხვაობაც იყოს).

არქიტექტურის მხრივ ატენს ჯვარისაგან განასხვავებს პროპორციები (უფრო განიერი გუმბათის ყელი, რაც მეტი მასიურობისა და სიმძიმის შთაბეჭდილებას ქმნის); ამას გარდა, აქ არ არის შენობის შემადგენელი მასების ის მკაფიო დიფერენციაცია, ძირითადი ფორმებისა და ხაზების მკაფიობა, რომელიც ჯვარს ახასიათებს. ატენის სიონი მაინც უეჭველად ტოვებს მხატვრულ შთაბეჭდილებას, რაც იმით აიხსნება, რომ თვით ტიპი შენობისა ზედმიწევნით შემუშავებული და ჰარმონიულია. განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილებაა შიგნით — ამას ხელს უწყობს აგრეთვე XI ს-ის მშვენიერი ფრესკები, შუა საუკუნეთა ქართული მონუმენტური მხატვრობის ერთი საუკეთესო ძეგლთაგანი.

დიდად საინტერესოა ატენის სიონის მრავალრიცხოვანი წარწერები — ქვაზე ნაკვეთი და საღებავებით შესრულებული. ბევრი მათგანი მნიშვნელოვან ისტორიულ ცნობას შეიცავს (მაგ., ბუღა თურქის შემოსევის შესახებ, XI ს-ის მეორე ნახევარში, ბაგრატ IV-ის დროს, ატენში ქალაქისა და ქულბაქთა აშენების შესახებ და სხვ.).

ტაძრის ზომები გარედან: სიგრძე — 24 მ., სიგანე — 19 მ., სიმაღლე შიგნით — 22 მ.

1. გ. ჩუბინაშვილი. ქ. ხ. ი., გვ. 128-136.
2 Г. Чубинашвили. Памятники типа Джвари. Тб., 1948.
3. თ. ბარნაველი. ატენის სიონის წარწერები. თბ., 1957.

## მარტვილის ტაძარი

**VII ს. დასაწყისი**

**ტაბ. 85, 86**

მდებარეობს რაიონის ცენტრ გეგეჭკორში (ყოფ. მარტვილში). გეგმის მხრივ ძალიან ახლოა „ჯვართან", მაგრამ მარტვილელი ოსტატი მაინც თემის თავისუფალ ინტერპრეტაციას გვაძლევს. შეცვლილია ცალკეულ ნაწილთა შეფარდება: გუმბათის დიამეტრი აქ უფრო მცირეა, კუთხის ნიშები უფრო დიდი. სხვანაირია გუმბათქვეშა ტრომპები, რომელთაც საფეხურისებრი სახე აქვთ, სხვაგვარია ფასადთა რელიეფებიც: ნაცვლად ცალკეული დამოუკიდებელი კომპოზიციებისა, რომლებიც საერთო სისტემაშია შეპირისპირებული და დაკავშირებული, აქ უწყვეტი მთლიანი ფრიზებია, რელიეფების შესრულება კი გაცილებით დეკორაციული: ფიგურები და მცენარეული ორნამენტები ერთიან ნახატშია ჩართული და გარკვეულ რიტმულ დანაწევრებას ექვემდებარება. ფრიზებში ბიბლიისა და სახარების სიუჟეტებია (მაგ. დანიელი ლომთა ხაროში, სამსონი და ლომი, ქრისტეს ამაღლება და სხვ.).

X ს-ში, აფხაზთა მეფის გიორგი II დროს, ეკლესია საფუძვლიანად გადააკეთეს: დაუმატეს გარეთა კედლები, ააშენეს ახალი გუმბათის ყელი. ამიტომაა, რომ დღეს მარტვილის ტაძარი გარედან სულ არ მოგვაგონებს ჯვარის ტიპის ძეგლებს. დასავლეთის ეკვტერი X საუკუნისაა. შიგნით სხვადასხვადროინდელი მხატვრობაა (XVI-XVII საუკუნეებისა), ტაძრის გვერდით დგას მცირე ორსართულიანი ეკლესია, ალბათ X ს-ისა.

ტაძრის ზომები გარედან (თავდაპირველი შენობისა): სიგრძე 21 მ-მდე, სიგანე — 17,5 მ., სიმაღლე შიგნით — 23 მ. (თავდაპირველად ნაკლები იქნებოდა).

1. გ. ჩუბინაშვილი. ქ. ხ. ი., გვ. 115-128.
2. Г. Н. Чубинашвили. Памятники типа Джвари. Тб., 1948.






სურ. 47 და 48. მარტვილის ტაძარი. VII ს. გეგმა და სქემატური რეკონსტრუქცია. ანაზომი და ნახატი ნ. სევეროვისა.

## ძველი შუამთა

### V და VII საუკუნეები

**ტაბ. 10, 30**

ძველი შუამთა თელავიდან შვიდიოდე კმ-ითაა დაშორებული. თელავ-თბილისის გზიდან გადასახვევი მარცხნივაა. ხუროთმოძღვრული ანსაბლი ტყეშია, განმარტოებულ ადგილას. აქ სამი ეკლესიაა:

1. V საუკუნის ბაზილიკა, ერთი საყურადღებო ნიმუშთაგანი „ქრისტიანული“ არქიტექტურის ადრეული საფეხურებისა საქართველოში.

2. VII ს-ის ეკლესია მცხეთის ჯვრის ტიპისა, საკმაოდ კარგად შენახული. საგრძნობლად უფრო პატარაა, ვიდრე ამავე ტიპის სხვა ძეგლები. „ჯვართან“ შედარებით აფსიდებისა და ბემების სიღრმე შემცირებულია, ამიტომ მთელი შენობის ფართობისა და მასების მიმართ გუმბათის ყელის მნიშვნელობა გაზრდილია. კუთხის ოთახებს მარტივი ოთხკუთხედების მოხაზულობა აქვს, და არა ჯვრისებრი. ტრომპების კონსტრუქცია ნათლადაა გამოვლენილი.

3. მცირე გუმბათოვანი ეკლესია, აგრეთვე VII ს-ისა. ეს მინიატურული ნაგებობაა. გეგმის საფუძველი ისეთივეა, როგორიც ჯვარისა და მისი ტიპის ძეგლებისა, ე. ი. შუა კვადრატს ოთხსავ მხარეს აფსიდები აკრავს, არას



სურ. 49. ძველი შუამთა, ბაზილიკა. V ს. გეგმა. ანაზომი ნ. სევეროვისა.

კუთხის ნიშებიც, მაგრამ აღარ არის კუთხის ოთახები, რომელთა არსებობითაც იყო გამართლებული ამ ნიშების არსებობა. აშკარაა, რომ ეკლესიის მშენებელი ვერ ჩაწვდომია თავისი ნიმუშის (თუნდაც მეზობლად მდგომი დიდი ეკლესიის) გეგმის არსს, ამოცანის ფუნქციური ამოხსნის ნაცვლად, აქ დეკორაციული ამოხსნა გვაქვს. ამას გარდა, ორივე ღერძი თითქმის თანაბარია, რაკი არც ერთი აფსიდის წინ ბემები არ არის.

როგორც საერთოდ კახეთში, არც ძველი შუამთის ეკლესიებს არ გააჩნია რაიმე სამკაული, არ არის არც წარწერები. სამივე ეკლესია რიყის ქვითაა ნაშენი. შირიმის ფილები გამოყენებულია მხოლოდ კუთხეებისათვის.

ბაზილიკის ზომები გარედან, მინაშენთა გარეშე: სიგრძე — 10,8 მ., სიგანე — 8,9 მ., სიმაღლე დაახლ.—5,7 მ.

დიდი ეკლესიის სიგრძე — 11,5 მ., სიგანე — 9,2 მ., სიმაღლე შიგნით — დაახლ. 12 მ.

მცირე გუმბათოვანი ეკლესია — 7,5×7,0, სიმაღლე შიგნით — დაახლ. — 7,5 მ.




სურ. 50. ძველი შუამთა, დიდი გუმბათოვანი ეკლესია. VII ს. გეგმა. ნ. სევეროვის მიხედვით

1. Г. Н. Чубинашвили. Памятники типа Джвари, Тб., 1948.
2. Г. Н. Чубинашвили. Арх.Ках., გვ. 45-48, 246-255.

სურ. 51. ძველი შუამთა, დიდი გუმბათოვანი ეკლესია. VII ს. განაკვეთი ნ. სევეროვის მიხედვით.
სურ. 52 ძველი შუამთა, მცირე გუმბათოვანი ეკლესია. VII ს., გეგმა და განაკვეთი ნ. სევეროვის მიხედვით.









სურ. 53. ბანას ტაძარი. VII ს. გეგმა.

## ბ ა ნ ა

**VII ს-ის შუა წლები**

**ტაბ. 40—44**

ბანას ტაძარი ისტორიულ პროვინცია ტაოში მდებარეობს, სოფ. ფანაქის (ფენიაკის) მახლობლად, მდ. ოლთისის შენაკადის, ფენიაკის წყლის მარჯვენა ნაპირზე. ვახუშტის სიტყვით, ეს არის „ეკლესია გუმბათიანი, დიდი, შვენიერად ნაგები, კეთილ-შვენიერს ადგილს“. მიჩნეული იყო, რომ ბანა X ს-ის ძეგლია, მაგრამ გ. ჩუბინაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, დაყრდნობილი შენობის არქიტექტურის ანალიზზე, რომ ტაძარი აგებულია VII ს-ის ნახევარში (ეს მტკიცდება ბანას კომპოზიციისა და მისი ხუროთმოძღვრული მორთულობის დიდი სიახლოვით იშხნისა და სომხურ ზუართნოცის ეკლესიებთან, რომლებიც VII ს-ეს მიეკუთვნება; მტკიცება იმითაც, რომ ბანას არქიტექტურა და მორთულობა კანონზომიერად უკავშირდება ჩვენი ხუროთმოძღვრების განვითარების ამ საფეხურს და ვერ ეგუება X ს-ეს). ხოლო ისტორიკოს სუმბატ დავითის ძის ქრონიკის ცნობა, რომ ადარნასემ „აღაშენა ბანა ჴელითა კჳრიკე ბანელისათ რომელი იგი იქმნა პირველი ეპისკოპოზ ბანელ“ — ტაძრის „მეორედ აღშენებას“, რესტავრაციასა და ეპისკოპოზის დანიშვნას უნდა გულისხმობდეს. ეს 881—923 წლებს შორის მოხდა.

ბანას შესახებ ცნობები XIX ს-ის პირველი ნახევრის მკვლევარ-მოგზაურთა ნაწერებშიაც გვხვდება, მაგრამ მისი პირველი მეცნიერული გამოკვლევა ეკუთვნის ექვთიმე თაყაიშვილს, რომელიც 1902 და 1907 წლებში იყო აქ. მისი ექსპედიციების წყალობით არსებობს ბანას ტაძრის ანაზომები არქ. ს. კლდიაშვილისა (1902) და არქ. ა. კალგინისა (1907).

იშხნის, ლეკითის (ახლა აზერბაიჯანის ფარგლებშია) ტაძრებთან და ორ სომხურ ძეგლთან (ზვართნოცის ტაძარსა და გვიანდელ გაგიკის ტაძართან) ერთად, ბანას ტაძარი სალტისებრი გარშემოსავლელის მქონე მრგვალი ტაძრების ჯგუფს მიეკუთვნება. ესეც ტეტრაკონქის ტიპის ერთ-ერთი ვარიანტია (ძეგლის განხილვა იხ. ზემოთ. ძირითად ტექსტში). შენობის დიამეტრი დაახლ. 38 მ-მდეა, სავარაუდო სიმაღლე — 32 მ-მდე.

1. Е. Такайшвили. МАК, XII, М., 1909.
2. გ. ჩუბინაშვილი. ქ. ხ. ი., გვ. 168-179.

## წრომი

**626—634 წწ.**

**ტაბ. 40—51**

სოფ. წრომი შუაგულ ქართლშია, ხაშურის რაიონში, რკინიგზის სადგურ გომის მახლობლად. ეს დაბლობი ადგილია მტკვრის მარჯვენა ნაპირზე. ძეგლის განხილვა იხ. ზემოთ, ძირითად ტექსტში.

მის ადგილს VII ს-ის პირველი ნახევრის ძეგლთა შორის მიგვითითებს თვით შენობის არქიტექტურა, მისი მკაფიოდ გამოვლენილი, სავსებით შემუშავებული სტილი. უფრო ზუსტი დათარიღება ეყრდნობა სამხრეთი კედლის მთავარ სარკმელთან მდებარე წარწერას: „წმიდაო ეკლესიაო სტეფანოზ ჰბატოსი შეიწყალე" (წარწერა, ცხადია, ასომთავრულია). მიჩნეულია, რომ ეს არის ქართლის ერისმთავარი სტეფანოზ II, რომელიც აქ მოხსენიებულია მას შემდეგ, რაც მან ბიზანტიის იმპერატორ ირაკლისაგან, მის მიერ 626 წელს თბილისის აღების ხა-




სურ. 54. წრომის ტაძარი, 626—634 წ.წ. გეგმა. ანაზომი ნ. სევეროვისა.



სურ. 55 და 56. წრომის ტაძარი. 626 — 634 წწ. განივი განაკვეთი და დასავლეთის ფასადი.
ანაზომი ნ. სევეროვისა.

ნებში, ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული მიიღო, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ერისმთავრად დაჯდებოდა — ე. ი. 634—635 წლებამდე. ამ ორ თარიღს შუა უნდა ექცეოდეს წრომის ტაძრის აგება.

ისედაც ძლიერ დაზიანებული ძეგლი 1940 წლის მიწისძვრამაც დააზიანა მას შემდეგ იგი საგანგებოდ გაამაგრეს. მისი კონქის მოზაიკის ფრაგმენტები გადმოტანილია თბილისს, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში.

შენობის გარეთა ზომები: სიგრძე — 26 მ-მდე, სიგანე — დასავლეთის ფასადისა — 21 მ., შუაში, გუმბათთან — 15 მ-მდე.

1. გ. ჩუბინაშვილი. ქ. ხ. ი., გვ. 145-168.
2. Г. Н. Чубинашвили. Цроми. Из истории грузинской архитектуры первой трети VII века. М., 1969. (ეს ნაშრომი პირველად 1934 წელს გამოქვეყნდა გერმანულად. იქვე დართული იყო ი. სმირნოვის გამოკვლევა წრომის მოზაიკის შესახებ, რომელიც შემდეგ, 1935 წელს, ცალკე გამოვიდა რუსულად).

## სამწევრისი

### VII ს.

ტაბ. 52—64

პატარა სოფელი სამწევრისი მტკვრის მარჯვენა ნაპირზეა, შუაგულ ქართლში, რაიონის ცენტრ ქარელიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით, დასავლეთისაკენ.

ეკლესია 1940 წელს მიწისძვრამ სანახევროდ დაანგრია, მაგრამ მთლიანად აღდგენილი იქნა ძველებური სახით 1952—1953 წწ. არქ. ლ. ხიმშიაშვილის პროექტით და ხელმძღვანელობით.

VII ს-ის ძეგლის გვერდით, სამხრეთით დგას XVI ს-ის პატარა ერთნავიანი მავზოლეუმი, ქართული აგურით ნაშენი და ორნამენტული და სიუჟეტური შორენკეცებით მორთული, ხოლო ცოტა მოშორებით, უფრო ქვემოთ, ციციშვილების დიდი ციხის ნანგრევია.

ეკლესიის ზომები გარედან: სიგრძე — 9,6 მ., სიგანე — 8,8 მ., სიმაღლე შიგნით — 10,6 მ.



სურ. 57. სამწევრისის ეკლესია. VII ს. კონქის კონსტრუქციის დეტალი.

1. გ. ჩუბინაშვილი. ქ. ხ. ი., გვ. 179-183.
2. Г. Н. Чубинашвили. Самцеврисская церковь в Грузии; Материалы к изучению Самцеврисского храма: Вопросы, стр. 116-139.

ზ. ვ. ბერიძე






სურ. 58 და 59. სამწევრისის ეკლესია. VII ს. გეგმა და განაკვეთი. ანაზომი ნ. სევეროვისა.



სურ. 60. უჯარმა. ციხის რეკონსტრუქცია. ი. ციციშვილის მიხედვით.

## უჯარმა

ტაბ. 55

უჯარმა, როგორც მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი, ხშირად იხსენიება. ლეონტი მროველის ცნობით, აქ ცხოვრობდნენ მირიან მეფის ძე რევ და ცოლი მისი სალომე. მეორე მემატიანე ჯუანშერი მოგვითხრობს, რომ „თვთ ვახტანგ (გორგასალი) დაჯდა უჯარმოს, და აღაშენა იგი ნაშენებითა უზომოთა“. უჯარმაშივე დატოვა გასაზრდელად მან თავისი ძე დაჩი, რომლის დროსაც აქ კვლავ მშენებლობა წარმოებდა. ვახტანგი, რომელიც V ს-ის მეორე ნახევარში მეფობდა, განსაკუთრებით ზრუნავდა უჯარმის გასამაგრებლად, ხშირად ცხოვრობდა აქ, დაჭრილმაც მას შეაფარა თავი და იქვე გარდაიცვალა. X ს-ში უჯარმის ციხე არაბებმა დაანგრიეს. XII ს-ში გიორგი მესამემ იგი ნაწილობრივ აღადგინა და საგანძური მოაწყო იქ („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“: გიორგი მეფემ „განამრავლნა საჭურჭლენიცა, და დადვა თჳთ მისით მონაგები და მისთა ტყუეთაგან მონაგები ციხესა შინა უჯარმოისასა, რომელი აგებულ იყო ვახტანგ გორგასლისაგან, რომელსა შინა თჳთ აღესრულა ლომი იგი ლომთა და გოლიათი გოლიათთა“.)

ის, რაც 1950—1952 წლებში იქნა შესწავლილი და გათხრილი, უჯარმის ციხე იყო და არა თვით ქალაქი, რომელიც ცოტა მოშორებით მდგარა. გარდა უძველესი ფენისა, რომელიც სწორედ გორგასალის ხანას უკავშირდება, უჯარმაში გამოირჩევა კიდევ ორი ფენა: XII ს-ისა — ზღუდეებისა და კოშკების აღდგენა, მრგვალი და კონუსური მოყვანილობის ბურჯები; გვიანი შუა საუკუნეებისა — აგურით ნაშენი სამეურნეო ნაგებობანი.

არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა ამ სამი ხანის ნივთები — თიხის ჭურჭელი, მინის სამკაული და ჭურჭელი, ლითონის ფული, ქვევრები, თონეები, სამურღულე ქვები და სხვ.



სურ. 61. უჯარმა, კოშკი. ნახატი ა. ვარაზისა.


1. გ. ლომთათიძე. უჯარმა. ბუკლეტი.

2. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. უჯარმა. თბ., 1960.

3. Г. А. Ломтатидзе. Культура и быт Грузии в IV—VII вв. Очерки истории СССР, III—IX вв., გვ. 270—272.


## სამშვილდე

ერთი უძველესი ქალაქთაგანი საქართველოში. ჩაისახა ძველი წელთაღრიცხვის I ათასწლეულის შუა საუკუნეებში და იარსება XVIII ს-მდე. ხშირად იხსენიება ქართულ მატიანეებში.

იგი დღევანდელი თეთრიწყაროს რაიონშია, ე. ი. ისტორიულ ქვემო ქართლში. მისთვის საგანგებოდაა შერჩეული ბუნებით დაცული კონცხი: ორ მხარეს კლდოვანი ვიწრო ხრამებია, რომელთა სიღრმეში მდინარეები ჭივჭავა და ხრამი (ქცია) მიედინება—ეს ორი მდინარე სწორედ აქ ერთვის ერთმანეთს. მესამე მხარე გალავნით იყო შეკრული (ვახუშტის სიტყვით: ქალაქი „არს ფრიად მაგარი. სამჴრით უდის ქცია, ჩრდილოთ უდის ჭივჭავი; საშორისსა ზედა არს გარდაველებული ჴრამით ჴრამამდე ზღუდე განიერი და მაღალი. კვალად გარე მის ქალაქისა ზღუდე გარდაველებული, ეგრეთვე დიდროვანითა ლოდითა“).

ქალაქის ტერიტორია პლატოზეა. სიგრძით იგი 2,5 კილომეტრია. ქალაქი საუკუნეთა მანძილზე იზრდებოდა და ვითარდებოდა, მაგრამ ჩამოყალიბებული სახე ალბათ შუა საუკუნეებში მიიღო. აქ მრავალი საფორტიფიკაციო, საეკლესიო და სხვა დანიშნულების შენობათა ნანგრევი ჩანს, მაგრამ დღესდღეობით ქალაქი არქეოლოგიურად გამოკვლეული არ არის. წყაროებიდან ცნობილია, რომ სამშვილდეს ძალიან შფოთიანი თავგადასავალი ჰქონდა. უცხოელთა (სომეხთა, თურქთა) ხელშიაც ყოფილა და უკანასკნელად იგი დავით აღმაშენებელმა წაართვა.

სამშვილდეში დარჩენილ ისტორიულ ნაშთთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია, მაინც, ტაძარი, „სიონად“ წოდებული. მის შესახებ იხ. ზემოთ, ძირითად ტექსტში.

სიონის გარეთა ზომებია: 24×24 მ., სიმაღლე (შიგნით), ნ. ჩუბინაშვილის სავარაუდო რესტავრაციის მიხედვით, დაახლ. 20 მ. უნდა ყოფილიყო.


1. ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი: ენიმკის მოამბე, ტ. XIII, თბ., 1943, გვ. 85-106.

2, Н и к о Ч у б и н а ш в и л и. Самшвилдский Сион. Тб., 1969.



სურ. 62 და 63. სამშიელდის სიონი. 750—777 წწ. განივი განაკვეთი და გეგმა.
ანაზომი ნ. ჩუბინაშვილისა.





სურ. 64. სამშვილდის სიონი. 759—777 წწ. რეკონსტრუქცია ნ. ჩუბინაშვილისა.

სურ. 65. წირქოლის ეკლესია. VIII ს. გეგმა. ანაზომი ვლ. წილოსანისა.




სურ. 66. არმაზის ეკლესია. 864 წ. გეგმა. ანაზომი ვლ. წილოსანისა.







სურ. 67 და 68. არმაზის ეკლესია. 864 წ. სიგრძივი განაკვეთი ხედით სამხრეთისკენ; განივი განაკვეთი ხედით აღმოსავლეთისკენ. ანაზომი ელ. წილოსანისა.

## წირქოლი და არმაზი

### VIII და IX სს.

ტაბ. 50

გარდამავალი ხანის ორი უაღრესად დამახასიათებელი ძეგლი ქსნის ხეობაში (მათი განხილვა იხ. ზემოთ, ძირითად ტექსტში).

წირქოლი, თვით არქიტექტურის ანალიზის საფუძველზე, VIII ს-ეს მიეკუთვნება. მის შესახებ რაიმე წერილობითი საბუთები არ გაგვაჩნია, ხოლო ციხე მოხსენიებულია „მატიანე ქართლისაში“ X ს-ის ფეოდალური აშლილობის ამბებთან დაკავშირებით.

არმაზის დამათარიღებელი წარწერა სამხრეთის ფასადზეა, თითქმის კარნიზთან. იგი ორ საგანგებოდ შერჩეულ დიდ ქვაზეა რელიეფური ასოებით შესრულებული (მთავრულით): „ქ. სახელითა ღმრთისათა მე გ(იორგი) (არმაზისა?) მამასახლისმან დ(ავდევ ეს)ე წმიდაი ეკლესიაჲ ქრონიკონსა პდ კელმწიფობასა...“ (პდ—84 = 864 წელს).

წირქოლის ეკლესიის გარეთა ზომებია: სიგრძე 11,4 მ., სიგანე — 6,3 მ., სიმაღლე შიგნით — 7,7 მ.

არმაზის ეკლესიისა: სიგრძე —12,7 მ., სიგანე — 11 მ., სიმაღლე შიგნით (ვარაუდით) — 9 მ.

სურ. 69. წირქოლის ეკლესია. VIII ს. სიგრძივი განაკვეთი ხედით სამხრეთისაკენ. ანაზომი ელ. წილოსანისა.



1. Г. Н. Чубинашвили. Архитектурные памятники VIII и IX вв. в Ксанском ущелье: Вопросы, გვ. 141—172 (პირველად გამოქვეყნდა „ქართული ხელოვნების“ I ტომში, თბ., 1942, გვ. 1—30.)



სურ. 70, 71 და 72. გურჯაანის „ყველაწმინდა". VIII ს. სამხრეთის ფასადი და გეგმები ორ დონეზე. ანაზომი ვლ. წილოსანისა.










სურ. 73, 74 და 75. ვაჩნაძიანის „ყველაწმინდა". VIII—IX სს. გეგმა, სიგრძივი განაკვეთი ხედით სამხრეთისკენ და აღმოსავლეთის ფასადი. ანაზომი მ. კალაშნიკოვისა.

## გურჯაანისა და ვაჩნაძიანის „ყველაწმინდის" ტაძრები

**VIII-IX საუკუნეები**

**ტაბ. 50—58**

ორივე ძეგლი კახეთშია. პირველი მათგანი, ღვთისმშობლის მიძინების სახელობისა, რაიონის ცენტრ გურჯაანიდან 1,5—2 კილომეტრის მანძილზეა, კახთუბნის ანუ გურჯაანის ხეობაში. იგი განმარტოებით დგას, მთის კალთაზე. ეკლესია შედარებით კარგადაა შენახული, მნიშვნელოვან დაზიანებათა და გადაკეთებათა გარეშე. საშენ მასალად ნახმარია რიყის ქვა (გარეთა კედლები, აფსიდი, გვერდის ნავები, პატრონიკენი), შირიმი (კედლების კუთხეები), აგური (მთელი შუა ნავი, კედელ-კამარა-გუმბათებიანად). კვადრატული აგურის (26/27×26/27×7/8 სმ.) გარდა, არის საგანგებო ფორმის აგურიც სვეტისთავებისთვის და სხვ.

გურჯაანის ეკლესია, რომელიც გუმბათიან ბაზილიკად შეიძლება მივიჩნიოთ, თავისი ორგუმბათიანობით გამოირჩევა ქართულ ეკლესიათაგან, მაგრამ მთელი თავისი აღნაგობით, მასში გამოვლენილი შემოქმედებითი ძიების ხასიათით, ორგანულად თავსდება ქართული ხუროთმოძღვრების ევოლუციის პროცესში. იგი VIII ს-ით თარიღდება.

ეკლესიის ზომები გარედან: 24,5×10 მ., სიმაღლე შიგნით უგუმბათოდ — 10,5 მ., გუმბათის წვერამდე — დაახლ. — 13,5 მ. (დასავლ. გუმბათი ოდნავ უფრო მაღალია აღმოსავლეთისაზე).

ვაჩნაძიანის ყველაწმინდა, სოფ. შრომიდან და კალაურიდან 7-8 კმ-ის მანძილზეა, ტყეში. აქ მონასტერი იყო. ყველაწმინდის გარდა, დარჩენილია სამეკლესიიანი ბაზილიკის და სამონასტრო შენობების ნანგრევები.

საშენი მასალა ძირითადად აქაც ორგვარია: რიყის ქვა (კედლები, კამარების ნაწილი, კონქები და სხვ.) და აგური (ზოგი თაღი და კამარა, ტრომპები, სარკმლების თაღები, გუმბათის ყელი და გუმბათი).

ვაჩნაძიანის ტაძარი გარდამავალი ხანის ყველაზე მნიშვნელოვან და მაღალმხატვრულ ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება. სტილისტიკური ანალიზის საფუძველზე მას VIII-IX სს. მიჯნას მიაკუთვნებენ.

ეკლესიის ზომები გარედან: 27,5×17,5 მ. (აღმოსავლეთ ნაწილში სიგანე 19,5 მ-მდეა), სიმაღლე შიგნით — 21 მ-მდე.

1. Г. Н. Чубинашвили. Арх. Kax., გვ. 273—320.



## ექვსაფსიდიანი ეკლესიები

**X ს.**

**ტაბ. 60, 61, 120—123**

ექვსაფსიდიანი ეკლესიების ნიმუშებიდან აქ ნაჩვენებია:

1. გ ო გ ი უ ბ ა. თურქეთის ტერიტორიაზეა, ისტორიულ ერუშეთში. როდესაც ამ საუკუნის დასაწყისში ძეგლი ე. თაყაიშვილმა ინახულა, იგი უკვე სრულიად პერანგშემოძარცული იყო. თავიდან კი ეკლესია მშვენივრად გათლილი ქვის კვადრებით ყოფილა მოპირკეთებული გარედანაც და შიგნიდანაც. გუმბათის ყელი ექვსწახნაგაა, ისევე, როგორც გუმბათქვეშა სივრცე. მაგრამ საფუძვლად წრიული სალტე აქვს, ამ სალტეზე გადასასვლელად კი აფსიდების თაღებს შუა ბრტყელი ტრომპებია ჩასმული. გარედან ეკლესიის ქვედა კორპუსს თორმეტი წახნაგი ჰქონდა. წახნაგები მონაცვლეობითაა აღჭურვილი სამკუთხა ნიშებით (რომლებიც ისეთსავე კონსტრუქციულ როლს ასრულებს — კედლის მასივს ამსუბუქებს — როგორსაც სწორკუთხა მოხაზულობის გუმბათოვანი ეკლესიების აღმოსავლეთ ფასადებზე) და სარკმლებით. შენობის გარეთა დიამეტრი დაახლ. 12 მეტრია, სიმაღლე შიგნით დაახლ. 19 მ.

2. ბ ო ჭ ო რ მ ა. გარე-კახეთშია, საგარეჯოს რაიონში. მოთავსებულია მთაზე აშენებული ციხის ფარგლებში. აქვე სასახლისა და სხვა ნაგებობათა ნანგრევებია. ეკლესია შირიმის კვადრებითაა მოპირკეთებული. გოგიუბასაგან განსხვავებით, საკურთხევლის აფსიდს სხვებზე უფრო ღრმა ბემა აქვს და გარედან შვერილს ქმნის. აფსიდებს შორის გარედან ღრმა სამკუთხა ნიშებია ჩაკვეთილი. შესასვლელი ორია, სამხრეთ-დასავლეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან (და არა ერთი — დასავლეთისა — როგორც გოგიუბაში). ქვედა კორპუსის ყოველ წახნაგს თავისი ფრონტონი აქვს. დარჩენილია ძველი კედლის მხატვრობის კვალი.

შენობის გარეთა დიამეტრი — დაახლ. 12,5 მ.



სურ. 76. ბოჭორმის ეკლესია. X ს. გეგმა, ანაზომი ვლ. წილოსანისა.



სურ. 77. ბოჭორმის ეკლესია. ნახატი ელ. სიდამონ-ერისთვისა.

სურ. 78. კაცხის ეკლესია. X—XI სს. მიჯნა. გეგმა. ანაზომი მ. კალაშნიკოვისა.








სურ. 79 და 80. ტაოსკარის ეკლესია. X. ს. განაკვეთი და გეგმა ა. კალგინის ანაზომის მიხედვით.

3. კაცხი. იმერეთში, ჭიათურის მახლობლად. ამ ტიპის ყველაზე გვიანა ნიმუში, აგებული X-XI საუკუნეთა მიჯნაზე. საკურთხევლის აფსიდი აქაც მცირედ შვერილია, მაგრამ სხვა აფსიდები — ბოჭორმისაგან განსხვავებით — უშუალოდ, უბემოდ უკავშირდება გუმბათქვეშა სივრცეს. გარდა ძირითადი სივრცისა, ეკლესიას აქვს სამმხრივი გარშემოსავლელი, რომელიც სამიოდე ათეული წლით გვიანაა მიშენებული. გარშემოსავლელი, ტაძრის კორპუსი და გუმბათის ყელი გარედან ქმნიან სამ კონცენტრულ, წახნაგებიან, საფეხურს. ყოველ წახნაგს ცალკე ფრონტონი აქვს, ასე რომ კარნიზები ჰორიზონტალური კი არ არის, არამედ ხერხულა, გუმბათის სახურავი კი ნახევრადგაშლილ ქოლგას ჰგავს. ეს დიდად ზრდის საერთო ცხოველხატულებისა და დეკორაციულობის ეფექტს. შენობას მდიდრული ჩუქურთმიანი სამკაული ჰქონდა — ახლა, XIX ს-ის რესტავრაციის შემდეგ, გარედან ორი ზემო საფეხურის მორთულობა აღარ არსებობს, გადარჩა მხოლოდ გარშემოსავლელის მდიდარი საპირეები და კარნიზი, აგრეთვე საკუთრივ ტაძრის კორპუსის შესასვლელთა მორთულობა (გარშემოსავლელის შიგნით). გარშემოსავლელის ჩუქურთმები, თვით ტაძრის ჩუქურთმასთან შედარებით, უფრო განვითარებულ საფეხურზეა, უფრო ღრმად არის ნაკვეთი. განსაკუთრებით საინტერესოა დიდი რელიეფური ქანდაკება გარშემოსავლელის აღმოსავლეთ სადგომში, რომელიც ცალკე სამლოცველოდაა გამოყოფილი. დიდ, ფართო არშიაშემოვლებულ მრგვალ არეში გამოსახულია ოთხი ანგელოზის მიერ ჯვრის ამაღლების სიმბოლური სცენა. ეს XI ს-ის ქართული პლასტიკის ერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოებთაგანია.

თავდაპირველად გარშემოსავლელის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს გარედან ღია თაღები ჰქონდა. თავისი მორთულობით კაცხის ტაძარი გარდამავალ ხანას კი არ ეკუთვნის, არამედ განვითარებულ შუა საუკუნეებს.

კაცხი თავიდანვე ბაღუაშთა ძლიერ ფეოდალურ საგვარეულოს სამფლობელო იყო. ტაძარი რატი ერისთავთერისთავის აშენებულია. სამხრეთ-დასავლეთ შესასვლელის ტიმპანის წარწერის თანახმად, იგი 1010-1014 წლებს შუა უნდა დაემთავრებინათ (აქ მოხსენიებულია მეფე ბაგრატ III). XVII-XVIII სს. კაცხი თავად აბაშიძეებს ეკუთვნოდა, 1804 წლიდან კი იმერეთში გადახვეწილ სოლომონ ლიონიძეს, ერეკლე II-ის ცნობილ მინისტრს.

შენობის გარეთა ზომები (გარშემოსავლელის გარეშე): სიგრძე — 13,5 მ., სიგანე — 12 მ., სიმაღლე შიგნით — დაახლ. 17,5 მ.(საყურადღებოა, რომ ამ ტიპის ყველა ეკლესიას თითქმის თანაბარი დიამეტრები აქვს).

1. Е. Такаишвили. МАК, XII, М., 1909, გვ. 73 — 75.
2. ვახტანგ ბერიძე. კაცხის ტაძარი: „ქართული ხელოვნება“, ტ. 3, თბ., 1950, გვ. 53-94 (აქვე ბოჭორმის შესახებაც).

## ტაოსკარი

X ს.

ახლა თურქეთშია, წინანდელი ტაოს ფარგლებში. გამოიკვლია და გაზომა ე. თაყაიშვილის ექსპედიციამ 1907 წელს. თავისი გეგმით ეკლესია მრავალაფსიდიანი ეკლესიების ტიპს ენათესავება, რადგანაც აგრეთვე რადიალურად განლაგებული სხივებია გუმბათქვეშა სივრცის გარშემო. მაგრამ აქ რვა სხივია ექვსის ნაცვლად, და აფსიდიანი საკურთხევლის გარდა, ყველა სწორკუთხაა, ნახევარცილინდრული კამარით გადახურული და იმდენად ღრმა, თითქოს ცალ-ცალკე კაპელები იყოს. ამის გამო შიდა სივრცე საკმაოდ რთული და მოძრავი გამოდის. შესასვლელი სამია — დასავლეთით, სამხრეთითა და ჩრდილოეთით. არც ერთი ღერძი არ არის გამოყოფილი. ისევე, როგორც გოგიუბაში, საკურთხეველი აქაც მრავალწახნაგას ფარგლებში რჩება, შვერილის გარეშე. მის ორსავე მხარეს, სხივების გამყოფ ბურჯების მასიეში ამოღებული თითო უბეა, რომლებიც სადიაკვნისა და სამკვეთლოს დანიშნულებას ასრულებს. ინტერიერში ყურადღებას იპყრობს გუმბათქვეშა რვაკუთხედის ზემოთ, ე. ი. რვა ძირითადი თაღის ზემოთ, ორ რეგისტრად ჩამწკრივებული მცირე დაკიდებული თაღები, რომელნიც თითქოს ტრომპების ფუნქციას ასრულებენ — ოქტოგონს წრეხაზთან აკავშირებენ (გუმბათის ყელი შიგნიდან მრგვალია). ქვემო რიგის თაღები მონაცვლეობით სხვადასხვა სიმაღლისაა, ზემო რიგისა — უფრო წვრილი და ერთი ზომისა. ქვემო რვა დიდ თაღთან ერთად, ისინი მოძრავ მრავალფეროვან რიტმს ქმნიან. გარედან, ბანას მსგავსად (მაგრამ მასების სულ სხვა შეფარდებით), აქაც ორი საფეხურია — ფართო 16-წახნაგა მასიური ქვემო კორპუსისა და უფრო ვიწრო — გუმბათისყელისა, ამდენივე წახნაგით. დანაწევრება სარკმლებისა და სამკუთხად ჩაკვეთილი ნიშების მონაცვლეობას ემყარება. შენობა მასიურია, „დამჯდარი“.

თაყაიშვილის თანახმად, ეკლესია „შიგნით და გარეთ შემკერწილია ლამაზად ნათალი არა დიდრონი ქვებით, რომელნიც ახლა (ე. ი. 1907 წ., ვ. ბ.) მოძარცულია. გუმბათის ყელიდან აღმოსავლეთის ნაწილია დარჩენილი, ერთი ფანჯრითურთ... კორპუსი ეკლესიისა ახლა სანახევროდ მიწაშია ჩასმული“.

ეკლესიის დიამეტრი გარედან 17 მეტრზე ცოტა მეტია, სიმაღლე (შიგნით) უნდა ყოფილიყო დაახლ. 15,5 მ

1. ე. თაყაიშვილი. ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი, ტფ., 1924, ტაბ. 12, 13, 14.
2. ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს. პარიზი. 1938, გვ. 67-70.



სურ. 81 და 82. ოთხთა ეკლესია. X ს. გეგმა და სამხრეთის ფასადი. ანაზომი ან. კალგინისა.



## ოთხთა ეკლესია

X ს.

ოთხთა ეკლესია ახლა თურქეთის ფარგლებშია. მდებარეობს ჭოროხის ხეობაში, მდინარის მარცხენა ნაპირზე. პარხალის ეკლესიასთან ერთად, ყველაზე მნიშვნელოვანი ნიმუშია გვიანა ქართული ბაზილიკებისა. ამ ძეგლთა არქიტექტურა, პროპორციები, აშკარად გამოვლენილი დეკორაციული ტენდენციები მოწმობს, რომ მათი აშენების თარიღი დიდად დაშორებულია უძველესი ქართული ბაზილიკების — ბოლნისის, ურბნისისა და სხვათა — ხანას. პარხლისათვის საკმაოდ ზუსტი თარიღი გვაქვს — დაახლ. 973 წელი. უეჭველად ამ წლის ახლო ხანებში, ე. ი. X ს-ის შუა წლებში ან მეორე ნახევარში უნდა იყოს აშენებული ოთხთა ეკლესიაც (იხ. ზემოთ, ძირითადი ტექსტი). ორივე ძეგლი შეისწავლა 1917 წლის ექსპედიციამ ექვთიმე თაყაიშვილის მეთაურობით.

ოთხთა ეკლესიის გარეთა ზომები: სიგრძე (დასავლეთის კარიბჭის გარეშე) — დაახლ. 28,5 მ., სიგანე — დაახლ. — 18 მ., სიმაღლე შიგნით — 19 მ-ზე ცოტა ნაკლები.



სურ. 83. ოთხთა ეკლესია. X ს. აღმოსავლეთის ფასადი. ანაზომი ან. კალგინისა.

1. ე. თაყაიშვილი. 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში. თბ., 1960, გვ. 74-81 (ოთხთა ეკლესია), 83-95 (პარხალი).

## ოპიზა

VIII ს.

ტაბ. 62

ოპიზის ცნობილი მონასტერი (კლარჯეთში) ახლა თურქეთის ფარგლებშია. ისევე, როგორც ხანძთა, შატბერდი, ხახული, იშხანი, ოშკი, ესეც მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრი იყო სამხრეთ საქართველოში, ერთი იმ კერათაგანი, სადაც ინტენსიური შემოქმედებითი ცხოვრება იყო გაჩაღებული. ოპიზიდან იყვნენ XII ს-ის ცნობილი ოქრომჭედლები ბეშქენ და ბექა ოპიზარნი. ეს ერთი უძველეს მონასტერთაგანია, აღდგენილი ჯერ კიდევ VIII ს-ში. თვით მთავარი ეკლესია არაჩვეულებრივად დაგრძელებულია აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით. გუმბათი კედლებს ეყრდნობა, საკურთხევლის ორ მხარეს უაფსიდო სადიაკვნე და სამკვეთლოა, დასავლეთის მკლავი მთლიან დაუნაწევრებელ გრძელ დარბაზს წარმოადგენს. შიგნით კედლები და გუმბათი თლილი ქვის კვადრებითაა მოპირკეთებული. გუმბათი პანდანტივებს ეყრდნობა, მაგრამ პანდანტივების ფარგლებში ტრომპებიც არის ჩასმული. ეს თავისებური გარდამავალი, ჰიბრიდული კონსტრუქციაა. დასავლეთის მკლავის გრძივი კედლები საკმაოდ პლასტიკურადაა დანაწევრებული სამსაფეხურიანი კედლის სვეტებითა და თაღებით.

ფასადთა დამუშავებაში (ფასადებიც თლილი ქვითაა მოპირკეთებული), გარდა X ს-ში აღდგენილი გუმბათის ყელის ტეხილი კარნიზისა (იხ. ზემოთ, ძირითადი ტექსტი), დეკორაციულობისადმი მისწრაფების გაჩენას მოწმობს გუმბათისავე ყელის დეკორაციული თაღები, დაყრდნობილი შეწყვილებულ ლილვებზე.

ეკლესიის გარდა, ოპიზაში მნიშვნელოვანი სამონასტრო შენობების ნაშთებიც არის დარჩენილი. 1888 წელს, როდესაც იქაურობა არქიტექტურის აკად. ა. პავლინოვმა ინახულა, ეკლესიაცა და სხვა შენობებიც მიტოვებული და დაზიანებული იყო.

ეკლესიის ზომები გარედან, მინაშენთა გარეშე: სიგრძე — დაახლ. 30 მ-მდე, სიგანე გუმბათთან დაახლ. 13 მ., სიმაღლე შიგნით გუმბათის წვერამდე — დაახლ 14 მ.

1. А. М. Павлинов. Экспедиция на Кавказ 1888 года. МАК, III, М., 1893, გვ. 63—65 ტაბ. XXVIII—XXXIII.
2. Н. Марр. Дневник поездки в Шавшию и Кларджию, СПб., 1911.




სურ. 84. ოშკის მონასტრის ეკლესია. VIII ს., აღდგენილია X ს. გეგმა. ანაზომი ა. პავლინოვისა

## დოლისყანა

X ს.

ტაბ. 63

ახლა თურქეთის ფარგლებშია, წინანდელი შავშეთის მიწაზე. გუმბათიანი ეკლესიაა ჯვრისებრი გეგმით, ერთი ნახევარწრიული აფსიდით (საკურთხეველში), დამატებითი კუთხის ოთახებით ჯვრის მკლავებს შორის. კედლები უხეშად დამუშავებული ქვისაა, სარკმლები და მთელი გუმბათის ყელი — თლილი ქვისა. შენობის გარეგნობა ჯერ კიდევ ვერ ტოვებს მხატვრულად სავსებით შემუშავებულის შთაბეჭდილებას; მაგრამ დამახასიათებელია, რომ გუმბათის ყელი შემკულია დეკორაციული თაღებით, რომლებიც X ს-დან ფართოდ ვრცელდება, ხოლო ქვემო სარკმლების თაღები გამოყვანილია სოლებად დალაგებული მუქი და ღია ფერის ქვებით. სამხრეთი სარკმლის სათაური ჩუქურთმითაცაა შემკული. ე. ი. უკვე აშკარაა დეკორაციულობისადმი მისწრაფება, თუმცა მორთულობა ჯერ კიდევ ძუნწია. გუმბათის ყელზე კტიტორის (მშენებლობის მოთავის) რელიეფია ხელში ეკლესიის მოდელით, მის ქვეშ კი მთავრული წარწერაა — „ქრისტე ადიდენ მეფე ჩუენი სუმბატ“; სამხრეთის სარკმლის თავზე იკითხება: „ქრისტე ადიდე მეფჱ ჩუენი სუმბატ მზეგრძელობით“. ეს სუმბატი, როგორც ჩანს, ბაგრატ რეგუენის მამაა, 958 წელს გარდაცვლილი, ძე ადარნასე ქართუელთა მეფისა. სამხრეთის სარკმელთანვეა მაქელ და გაბრიელ მთავარანგელოზების რელიეფი და ძედალიონი მამაკაცის ბიუსტით — ამის ქვეშ კი წარწერა „შეიქმნეს ჴელითა გაბრიელ დიაკვნისაითა“. ეს გაბრიელი შესაძლებელია მხოლოდ ქანდაკების ავტორია, მაგრამ შესაძლებელია შენობის ხუროთმოძღვარიც იყოს.

დოლისყანა მოხსენიებულია გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიაც.

ეკლესიის ზომები პავლინოვის მიხედვით: სიგანე — დაახლ. 13 მ., სიმაღლე შიგნით დაახლ. 24 მ. (პავლინოვს გამოქვეყნებული აქვს მხოლოდ აღმოსავლეთი ფასადისა და განივი განაკვეთის ნახაზები).

1. А. М. Павлинов. Экспедиция на Кавказ 1888 года: МАК, III, М., 1893, გვ. 68, ტაბ. XXXVIII.
2. Н. Я. Марр. Дневник поездки в Шавшию и Кларджию. СПб, 1911, გვ. 184-189, ტაბ. 59, 60, 61, 62, 63.

ტაბ. 84, 85

ტაძარი მდებარეობს ძველი ნაქალაქარის ტერიტორიაზე, შავი ზღვის ნაპირას, ბიჭვინტის ყურეში (გაგრის რაიონში). ბიჭვინტას, როგორც ქალაქსა და სარწმუნოებრივ ცენტრს, ხანგრძლივი და მდიდარი ისტორია აქვს.

ძველი ბერძნები მას პიტიუნტს უწოდებდნენ. პირველი ცნობები ქალაქის შესახებ მოეპოვება რომაელ ავტორს პლინიუსს (ჩვ. წელთაღრ. I ს.), შემდგომში იგი ხშირად იხსენიება წერილობით წყაროებსა და საბუთებში. XVI-XVIII საუკუნეებში, საქართველოს დანაწევრების შემდეგ, აქ იჯდა დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი.

აქ არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტი. ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით აღმოჩნდა ძველი ქალაქის შენობათა — აბანოს, სახლების, ტაძრების — ნაშთები. ერთ-ერთი ეკლესიის იატაკი მოფენილი იყო დიდად საინტერესო მოზაიკით, რომელიც ადრექრისტიანულ სიმბოლურ-ალეგორიულ გამოსახულებებსა და ორნამენტულ მოტივებს შეიცავდა (IV-V სს.). საკუთრივ ტაძრის განხილვა იხ. ზემოთ, ძირითად ტექსტში. იგი ქვითა და აგურითაა ნაშენი — ამ ორი მასალის რიგები ენაცვლება ერთმანეთს. XIX ს-ის რემონტმა სახე უცვალა შენობას, მხატვრობა ერთიანად დაფარეს შელესილობით. მხოლოდ ნართექსში გადარჩა XVI ს-ის ფრესკები.

შენობის ზომები გარედან: სიგრძე — 42,35 მ., სიგანე — 22, მ., სიმაღლე გარედან — დაახლ. 31 მ.

## ვანთა, ვაჩნაძიანი, ნეკრესი — სასახლეები

IX ს.

ტაბ. 86, 88

სამივე კახეთშია. პირველი ამათგანი თელავის რაიონში მდებარეობს, სოფ. ვანთას მახლობლად. დანგრეულია: აღარც სახურავი აქვს, არც სართულშუა გადახურვა (ხისა). კედლები რიყის ქვისაა და თითქმის მთელ სიგრძეზეა გადარჩენილი, მაგრამ შიგნით მთელი შელესილობა ჩამოცლილია. ქვის წყობა წესიერია, ჰორიზონტალური თანაბარი რიგებით. მეორე სართულზე ასასვლელი კიბე, როგორც ჩანს, გარედან იყო, ჩრდილოეთის კუთხეში, ხოლო წინა (განივი) ფასადის თაღები შესასვლელს წარმოადგენდა. ადრინდელი ხანისთვის დამახასიათებელი ნალისებრი მოხაზულობა აქაც შენარჩუნებულია.

შენობის ზომებია: 27,5×11 მ.

მეორე ანალოგიური ნაგებობის ნანგრევი სოფ. შრომის (ვაჩნაძიანის) მახლობლადაა გურჯაანის რაიონში.

შენობის ზომებია (შუა ღერძებზე): 29×11,5 მ.

მესამე ნეკრესის მონასტერშია, ყვარლის რაიონში (იხ. ხემოთ ანოტაცია ნეკრესის შესახებ). ესეც ორსართულიანი სასახლეა, რომელიც ზედ ციცაბო კალთის პირასაა და ალაზნის ველს გადაჰყურებს. პირველ სართულში დარჩენილია რვაწახნაგა ბოძი, რომელსაც სართულშუა გადახურვის კოჭები ეყრდნობა. მეორე სართული ერთადერთი დიდი დარბაზისაგან შედგებოდა. სახურავი ორკალთიანი იყო. აღმოსავლეთიდან სასახლეს ეკვრის მარანი (მიწაში ჩაფლული დიდი ქვევრებით) და ბერების სატრაპეზო. ამის უკან, როგორც ჩანს, ბერების სენაკები იყო. სასახლის ანსამბლშია ჩართული XVI ს-ში აგებული მაღალი კოშკიც.

1. Г. Н. Чубинашвили. Арх.Ках., გვ. 546-557.

2. გ. ჩუბინაშვილი. ქართული საერო ხუროთმოძღვრების რამდენიმე ნიმუში: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, ტფ., 1923, გვ. 107-127.

სურ. 85. ვაჩნაძიანის პალატი. IX ს. განაკვეთი. ანაზომი ვლ. წილოსანისა.






სურ. 86. ვაჩნაძიანის პალატი. IX ს. გეგმა. ანაზომი ელ. წილოსანისა.

## იყალთოს აკადემია

ტაბ. 07.

იყალთოში (კახეთშია, თელავიდან 7-8 კმ. დაშორებით) შუა საუკუნეების სამონასტრო ანსამბლია: VI ს. პატარა გუმბათოვანი ეკლესია, მეორე გუმბათოვანი ეკლესია IX ს-ისა; ერთნავიანი სამლოცველო XII-XIII სს-სა და თავის დროზე სახელგანთქმული აკადემიის ნანგრევები. აკადემიის აყვავება XI-XII სს. მიჯნის ცნობილი ქრთველი ფილოსოფოსის არსენ იყალთოელის სახელთანაა დაკავშირებული, მაგრამ თვით შენობა VIII-IX საუკუნეთა ფეოდალურ სასახლეებს ენათესავება და აგებულიც დაახლოებით მაშინ უნდა იყოს. ეს ძლიერ წაგრძელებული სწორკუთხა ნაგებობაა, რიყის ქვით ნაშენი (მას დასავლეთით სხვა შენობებიც ებმის). პირველი სართული ორ ოთახადაა გაყოფილი, ზემოთ კი ერთი მთლიანი, ფრიად ვრცელი დარბაზია (24,5×9 მ. შიგნით, ე. ი. 220 კვ. მ-მდეა), ალბათ ეს იყო სამეცნიერო შეკრებათა ადგილი. ყველაზე საინტერესო ხუროთმოძღვრული ელემენტი აღმოსავლეთი კედლის ორი (შეწყვილებული) თაღოვანი მალია, მათ შუა მოქცეული რვაწახნაგა ბოძით. შენობა ძლიერ დაზიანებულია — აღარც სართულშუა გადახურვებია, აღარც მონასტრის ეზოსკენ მიმართული ჩრდილოეთის კედელი.

Г. Н. Чубинашвили. Арх. Kax., გვ. 563-569.

## კუმურდო

964 წ.

ტაბ. 69—74

კუმურდოს საეპისკოპოსო ტაძარი ჯავახეთშია, ე. ი. ახლანდელ ახალქალაქის რაიონში, რაიონის ცენტრიდან 12 კმ-ის დაშორებით. ეს მაღალი პლატო — აქედან სულ რამდენიმე კილომეტრია მტკვრის ღრმა კანიონამდე, სადაც ვარძიის გამოქვაბული ანსამბლი მდებარეობს.

ტაძრის განხილვა იხ. ზემოთ, ძირითად ტექსტში.

მთავარი სამშენებლო წარწერა, მოთავსებული სამხრეთის შესასვლელის თავზე და შესრულებული რელიეფური მთავრული ასოებით, შემდეგია: „შეწევნითა ღმრთისაჲთა იოვანე ეპისკოპოსმან დადვა საძირკველი ამის ეკლესიისაჲ ხელითა ჩემ ცოდვილისა საკოცრისაჲთა, ლეონ მეფისა ზჱ, ადიდენ ღმერთმან, ქრონიკონსა რპდ, თუესა მაისსა, დღესა შაბათსა მთოარისსა, ერისთვობასა ზჳასსა, ესე ბალავარი მან დადვა, ქრისტე შეეწიე მონასა შენსა, ამინ“.

აქ მოხსენიებული ლეონი აფხაზთა მეფე იყო, ერთხანს კი ქართლის ერისმთავრად იჯდა.

აქ ბევრი სხვა წარწერაც არის — ზოგი მშენებლობის მონაწილეებს ახსენებს („წმიდაო ეკლესიაო შენნი მუშაკნი და ყოველნი მაშენებელნი შენნი... დაიფარენ და შეიწყალე“; „გლახაკი გიორგი ლოცვასა მომიხსენეთ“), ზოგი „აღაპის დადებას“ გვაცნობებს, ზოგი ხატების შემკობის ამბავს. ამ წარწერათა შორის საყურადღებოა ის, რომელიც სამხრეთის სტოის (შტოის) აშენების შესახებ მოგვითხრობს (ამ სტოის თაღებს ზემოთაა ამოკვეთილი): „ადიდე ღმერთმან მეფეთა მეფე ბაგრატ და დედაჲ მათი მარიამ დედოფალი. აღეშენა შტოჲ ესე მეფობასა მათსა მღდელთ მთავრობასა ზოსიმე კუმურდოელისსა“. ეს ბაგრატი — ბაგრატ მეოთხეა (1027-1072 წწ.). დასავლეთის მხარეს, შესასვლელის თავზე, არის კიდევ ერთი წარწერა, რომელიც მოწმობს, რომ ეკლესია XVI ს-შიც შეუკეთებიათ და გადაუკეთებიათ კიდეც.




სურ. 87 და 88. კუმურდოს ტაძარი. 964 წ. აღმოსავლეთის ფასადი და გეგმა.
ანაზომი ნ. სევეროვისა.



1964 წელს ზეიმით აღინიშნა კუმურდოს ტაძრის აშენების 1000 წლისთავი.

ეკლესიის ზომები გარედან შუა ღერძებზე, კარიბჭესტოების გარეშე (სევეროვის გრაფიკული რესტავრაციის მიხედვით): სიგრძე — 29 მ., სიგანე — 20 მ., გუმბათის დიამეტრი — 9 მ-მდე, სიმაღლე გუმბათის ყელის ძირამდე (შიგნით) დაახლ. — 15,3 მ.

1. Г. Н. Чубинашвили. Кумурдо и Никорцминда, как пример разных этапов развития бароккального стиля в грузинском искусстве: Вопросы, გვ. 236-261.
2. Е. Такаишвили. МАК, XII, 1909, გვ. 35-44.
3. ვახტ. ბერიძე. კუმურდოს ტაძარს 1000 წელი შეუსრულდა: „ძეგლის მეგობარი", კრებული მეორე, თბ., 1964, გვ. 26-27.

## ოშკი

**X ს. 50-60-იანი წლები**

(მშენებლობის დაწყება).

ტაბ. 75—80

შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლთაგანი, ისტორიულ ტაოში, თორთუმის ტბის მახლობლად, ახლა თურქეთის ფარგლებშია ეს მნიშვნელოვანი სამონასტრო ცენტრი იყო. მთავარი ტაძრის გარდა, დარჩენილია სემინარია-სატრაპეზო და მცირე ეკლესიები. ოშკშია შესრულებული ბევრი შესანიშნავი ქართული ხელნაწერი წიგნი, მაგ. 978 წელს გადაწერილი დაბადება (ბიბლია); X ს-ის მეორე ნახევარში ოშკიდან და ტაო-კლარჯეთის ზოგი სხვა მონასტრიდან ქართველი ბერები ათონის მონასტერში გადასახლდნენ და იქ განაგრძობდნენ კულტურულ საქმიანობას.

ოშკის ტაძრის შესახებ XIXს-ში პირველად სომეხმა სასულიერო პირმა ნერსეს სარგისიანმა მოაგროვა ცნობები და გადმოიღო წარწერები, რომლებიც აკად. მარი ბროსემ გამოსცა კომენტარებითურთ. უფრო საფუძვლიანად კი ოშკი შეისწავლა ექვთ. თაყაიშვილის ექსპედიციამ 1917 წელს (აზომვას ხელმძღვანელობდა არქ. კალგინი).

ტაძრის სამხრეთი შესასვლელის ტიმპანში სადებავით შესრულებულ წარწერაში, მაღალფარდოვანი შესავლის შემდეგ, ნათქვამია:

„...იწყეს ღმრთივ გჳირგჳინოსანთა მეფეთა ჩუენთა შენებად ამის წმიდისა საყდრისა... ამათ დიდებულთა მე-

სურ. 89. ოშკის ტაძარი. X ს. 50—60-იანი წლები. გეგმა. მ. კერნის ნახაზი ან. კალგინის ანაზომის მიხედვით.



ფეთა ჩუენთა უშურველ ყნენ საფასენი წარმავალნი წარუვალისა მისთჳს, რაჲთა იგი ყოველნი წმიდანი შემწედ მოიგნენ. და ღმერთმან შეეწიენ ორთავე ცხორებათა ძეთა ღმრთივ კურთხეულისა ადარნასე კუროპალატისათა, ბაგრატ ერისთავთა ერისთავსა, დავით მაგისტროსსა... და მე, გრიგოლ, ღირს მყო ღმერთმან მსახურებასა ამას მათსა ღმრთისა მიმართ, და მე ვიყავ საქმესა ზედამდგომი...“

საინტერესო ცნობებია თვით მშენებლობისათვის გაწეული შრომისა და ხარჯის შესახებ: „ესე იყო გალატოზთა და მოქმედთა მიზდი და აზავერთა მექუიშეთაჲ, რომელ წელიწადსა წაეგების, დრამაჲ კ (20) ათასი, ღუინოჲ ფისოსი ჴ (5000), რკინაჲ ლიტრაჲ ნ (50); ხუარბალი გრივი სმი (250); გალატოზი და ხუროი და მჭედელი, რომელ მარადის შურებოდა ჲი (70), კარი, რომელ ქვასა კრებდა ლ (30), ჯორი და სხუაჲ აზავერი, რომელ გრიგოლწმიდით სპონდიკსა კრებდა ლ (30), სხუაჲ აზავერი, რომელ... კრებდა ჲ (60)... და ყოველი ერი და მოქმედი პ (80)...“[1]

ცნობათა სიუხვით ეს უნიკალური სამშენებლო წარწერაა საქართველოში (დრაჰა=აბაზს, 20000 დრამა=4000 ვერცხლის მანეთს; გრივი, ფისოსი, ლიტრა — წონისა და სითხის საწყაოებია. აქ მოხსენიებული ადარნასე კუროპალატი — ადარნასე მესამეა, იგი 961 წ. გარდაიცვალა, დავით მაგისტროსი, იგივე დავით III კუროპალატია, 1001 წ. გარდაცვლილი).

ტაძრის გარეთა ზომებია (მთავარ ღერძებზე): სიგრძე — 44 მეტრამდე, სიგანე დაახლ. 30 მ., სიმაღლე შიგნით გუმბათის წვერამდე — 33 მ-დე.

1. ე. თაყაიშვილი. 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში. თბ., 1960, გვ. 32-58.

## ხახული

X ს.

ტაბ. 81



სურ. 90. ხახულის მონასტერი. X ს. გენერალური გეგმა. პ. რიაბოვის ნახაზი ან. კალგინის ანაზომის მიხედვით.

ესეც თორთუმის ხეობაშია, ძველ ტაოში. ესეც დიდად მნიშვნელოვანი მონასტერი და კულტურული ცენტრი იყო. დიდი გუმბათოვანი ეკლესია, მატიანის ცნობით, აშენებულია დავით კუროპალატის მიერ, ე. ი. X ს. მეორე ნახევარში (მატიანე ქართლისა: დავითმა „აღაშენა მონასტერი და საყდარი ღმრთისა, წმიდა ეკლესია ხახულისა“.). ეს წაგრძელებული, ჯვარისებრი გეგმის მქონე ნაგებობაა. გუმბათი ეყრდნობა აფსიდის კუთხეებს და ორ თავისუფალ მდგომ ბოძს. ამათ გარდა, კიდევ არის ბოძების ორი წყვილი, რომლებიც დასავლეთის მკლავს სიგრძეზე სამად (სამ „ნავად“) ჰყოფს. შიგ ტაძარში დარჩენილია ფერწერის ფრაგმენტები. ხახულის ფასადთა მდიდარ მორთულობაში (გუმბათის ყელის გარეხილი შეწყვილებული ლილვები ან მათზე დაყრდნობილი თაღები, სარკმელთა სათაურები, მუქი და ღია ფერის ქვით გამოყვანილი „სხივები“ სარკმლების თავზე, სარკმელთა თაღოვანი სათაურები და სხვ.) განსაკუთრებით გამოირჩევა სამხრეთის შეწყვილებული სარკმლის შესანიშნავი კომპოზიცია, რომელშიაც ჩართულია არწივის ჰორელიეფური გამოსახულება. იგი წყვილსარკმლის თაღების შუაში ზის, ორი ფერის ქვით გამოყვანილი რადიალურად გაშლილი „სხივების“ ფონზე. მთელ კომპოზიციას აგვირგვინებს ფართოდ გაშლილი დეკორაციული თაღი ჰორიზონტალური გადანაკეცებით და მოჩუქურთმებული ზედაპირით. შიგნით, დასავლეთის მკლავში, მშვენივრად შესრულებული წნულიანი სვეტისთავებია, ხოლო სამხრეთის შეწყვილებული სარკმელი თავისი სიმსუბუქით და ელეგანტურობით თითქოს ბაგრატის ტაძრის გვერდის მკლავების სარკმელთა წინამორბედია.

დიდი ტაძრის გარშემო, გალავნის ფარგლებში, რამდენიმე მცირე სამლოცველოა, მათ შორის ერთი — X ს-ის დასასრულისა.

ტაძრის ზომები გარედან დაახლ.: სიგრძე უკარიბჭეოდ — 26,2 მ., კარიბჭიანად — 35 მ., სიგანე გუმბათთან — 18,5 მ., დასავლ. ნაწილში, სტოებიანად—23,7 მ.

1. ე. თაყაიშვილი. 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში. თბ., 1960, გვ. 59-67.



სურ. 91. ქუთაისი, ბაგრატის ტაძარი. X—XI სს. მიჯნა. გეგმის რეკონსტრუქცია ვ. ცინცაძის მიხედვით

## ქუთაისი, ბაგრატის ტაძარი

**X-XI სს. მიჯნა**

**ტაბ. 82—86**

სახელწოდება დაკავშირებულია ტაძრის მაშენებელ მეფე ბაგრატ მესამესთან. ბაგრატი პირველი მეფე იყო გაერთიანებული (თუმცა ჯერ კიდევ არა მთლიანად — კახეთისა და თბილისის საამიროს ტერიტორიის გამოკლებით) საქართველოსი. „მატიანე ქართლისა“ საგანგებოდ აღნიშნავს მის სამშენებლო მოღვაწეობას („ამანვე დიდმა მეფემან აღაშენა საყდარი ბედიისა“), ხოლო ქუთაისის ტაძრის შესახებ ნათქვამი აქვს: „ამანვე აკურთხა ეკლესია ქუთათისა განგებითა დიდითა და მიუწდომელითა. რამეთუ შემოკრიბნა მახლობელნი ყოველნი ჴელმწიფენი და კათალიკოსნი, მღვდელთმოძღუარნი და ყოველთა მონასტერთა წინამძღუარნი, და ყოველნი დიდებულნი ზემონი და ქუემონი, მამულისა და სამეფოსა მისისა მყოფნი, და სხუათა ყოველთა საქელმწიფოთაგანი“. იატაკის დაგების თარიღი — 1003 წელი, რომელსაც ჩრდილოეთის სარკმლის წარწერა გვაუწყებს — გულისხმობს, რომ მშენებლობა X ს-ის ბოლოს მაინც უკვე უნდა ყოფილიყო დაწყებული. XVII ს-ის 90-იან წლებამდე ტაძარი უვნებლად იდვა. შიგნით მისი კედლები მოზაიკით იყო შემკული. 1691 წელს იგი ააფეთქეს შემოსეულმა თურქებმა.

შენობა ზიანდებოდა XIX ს-ის მანძილზედაც — მის ქვებს ეზიდებოდნენ საშენ მასალად. XIX ს-ის ოცდაათიანი წლების ჩანახატებისა და სურათის მიხედვით (მხატვარი ჩარნეცოვი), დასავლეთის კარიბჭე ჯერ კიდევ ფეხზე იდგა, შემდეგ კი ისიც ნანგრევებად იქცა. ტაძრის განხილვა იხ. ზემოთ, ძირითად ტექსტში.

1950-იანი წლების დასაწყისიდან წარმოებს ძეგლის რესტავრაცია (ეახტ. ცინცაძის პროექტითა და ხელმძღვანელობით).

შენობის გარეთა ზომები მთავარ ღერძებზე, კარიბჭეების გარეშე: სიგრძე — 43 მ., სიგანე — 35 მ.

1. გ. ჩუბინაშვილი. ქართული ხუროთმოძღვრება საშუალო საუკუნეებში და მისი სამი მთავარი კათედრალი: „არილი“, ტფ. 1925, გვ. 107-126 (იგივე, რუსულად: Вопросы, გვ., 262—276).

2. ვ. ცინცაძე. ბაგრატის ტაძარი. თბ., 1964.



სურ. 92 და 98. ალავერდის ტაძარი. XI ს. გეგმის რეკონსტრუქცია და განივი განაკვეთი. ანაზომი ნ. სევეროვისა.





სურ. 94 და 95. ალავერდის ტაძარი. XI ს. სიგრძივი განაკვეთი და აღმოსავლე-
თის ფასადი. ანაზომი ნ. სევეროვისა.



სურ. 96. ალავერდის ტაძარი. XI ს. ინტერიერი. ნახატი ნ. სევეროვისა.

## ალავერდი

### XI ს. პირველი მეოთხედი

ტაბ. 80—88

წმ. გიორგის ტაძარი აგებულია XI ს-ის პირველ მეოთხედში, მაგრამ აქ მანამდეც არსებობდა ეკლესია, დაარსებული VI ს-ში იოსებ ალავერდელის მიერ — იოსები 13 ასურელი (სირიელი) მისიონერის ჯგუფს ეკუთვნოდა. მაშინ ეს ტყეებით დაფარული უდაბური ადგილი იყო. საფიქრებელია, რომ აქ ძველთაგანვე იყო წარმართული სამლოცველო და ახალმა ქრისტიანულმა ეკლესიამ საგანგებოდ აირჩია ეს ადგილი თავისი ტაძრისთვის, რომ მლოცველთათვის შეჩვეულ ადგილს დაპატრონებოდა და თან დაემტკიცებინა თავისი უპირატესობა ძველ სარწმუნოებასთან შედარებით. ახალი დიდი საეპისკოპოსო ტაძრის აშენება კი მოხერხდა მხოლოდ კახეთის სახელმწიფოს აყვავებისა და ძლიერების ხანაში.

ძირითადი ნაწილები რიყის ქვითაა ნაშენი, მაგრამ თავდაპირველად კედლები გარედანაც და შიგნიდანაც მოპირკეთებული იყო შირიმის თლილი ფილებით. 1476 და 1495 წლებს შუა ძლიერ დაზიანდა და აღდგენილ იქნა (კედლის დანგრეული ნაწილი და გუმბათი ყელითურთ). შემდეგ კიდევ რამდენიმეჯერ ჩამოინგრა, განსაკუთრებით საგრძნობლად 1742 წლის მიწისძვრის დროს, და კვლავ ააღდგინეს. აღდგენილი ნაწილები აგურისაა. XIX ს-ის ორმოციან წლებში რუსულმა საეკლესიო ხელისუფლებამ ჩრდილოეთისა და სამხრეთის მხარეს არსებული სტოები მოსპო. შიგნით კედლები შეათეთრეს და ძველი ფრესკები დაფარეს (ფრესკები კვლავ გაიხსნა 1967 წელს), აღმართეს უზარმაზარი იკონოსტასი, რომელიც საკურთხეველს ძირითადი სივრცისგან თიშავდა (ახლა იკონოსტასიც მოხსნილია).

ალავერდის გალავნის ფარგლებში კიდევ მოთავსებულია:

1. ფეიქარ-ხანის სასახლე (ფეიქარ-ხანი ირანის შაჰის აბასის ნაცვალი იყო კახეთში 1616—1623 წწ.): აგურის რვაკუთხა კიოსკი, მასზე მიშენებული დაბალი ოთხკუთხა შენობა და ყაზარმა.

2. სატრაპეზო, მარანი, ესეც სპარსთა ბატონობის დროინდელი.

გალავნის გარეთ აბანოს შენობაა, ესეც გვიანდელი. თვით გალავანი უსწორო მოხაზულობისაა, ადგილმდებარეობასთან და არსებულ შენობებთან შეფარდებული და მრგვალი კოშკებით გამაგრებული.

1. გ. ჩუბინაშვილი. ქართული ხუროთმოძღვრება საშუალო საუკუნეებში და მისი სამი მთავარი კათედრალი: „არილი", ტფ. 1925, გვ. 107-126 (იგივე, რუსულად: Вопросы, გვ. 262 – 278).

2. Г. Н. Чубинашвили. Арх. Ках., გვ. 367-401.

# სვეტიცხოველი

**1010-1029 წლები**

**ტაბ. 80—97**

მცხეთის საპატრიარქო ტაძარი, რომლის სახელწოდებაც იმ ძველ, სანახევროდ ისტორიულსა და სანახევროდ ლეგენდურ გადმოცემებთანაა დაკავშირებული, რომლებიც ქართლის მოქცევისა და მცხეთის პირველი ქრისტიანული ეკლესიის აგების ამბავს მოგვითხრობს. წინაისტორია ასეთია: მცხეთელი ებრაელი ელიოზი დაესწრო ქრისტეს ჯვარცმას იერუსალიმში (გოლგოთაზე) და რომაელ ჯარისკაცთაგან შეძენილი ქრისტეს პერანგით („უფლის კვართით") დაბრუნდა მცხეთას. ქალაქის კარიბჭესთან მას ელოდებოდა და, სახელად სიდონია, რომელიც უკვე ქრისტეს მიმდევარი იყო. მან გამოსტაცა ელიოზს კვართი და მეტისმეტი მღელვარებისაგან მაშინვე განუტევა სული. ელიოზმა დაკრძალა თავისი და, რომელსაც „ჴელთა აქუნდა სამოსელი იგი". მის საფლავზე თუ მის მახლობლად ამოვიდა ლიბანის ნაძვი. ქართლის მოქცევის ამბავი ამ წინაისტორიას იმ დროს უკავშირდება, როცა უკვე გაქრისტიანებულმა მირიან მეფემ წმ. ნინოს სთხოვა მიეთითებინა ადგილი პირველი ეკლესიის ასაშენებლად. ნინომ სიდონიას საფლავი მიუთითა, მაშინ „მოჰკუეთეს ნაძჳ იგი და შემზადეს სუეტად და ძირთა მისთა ზედა დადვეს საფუძველი ეკლესიისაჲ". ეს სვეტი სასწაულთმოქმედი გამოდგა, ჯერ იყო და ხუროებმა მას ძერა ვერ უყვეს და „უქმ იქმნა ყოველი სიბრძნჱ და ღონისძიებაჲ კაცთაჲ". მერე, როცა წმ. ნინომ მთელი ღამე ლოცვაში გაატარა, სვეტი თვითონვე „ცეცხლის სახედ" ჩამოვიდა და დაემყარა თავის „ხარისხს" (ბაზისს). მას მირონი სდიოდა, მირონი კურნავდა სნეულთ, სვეტი სიცოცხლის მომნიჭებელი იყო, ეს იყო „სვეტი ცხოველი".

უძველესი დღემდის მოღწეულ ქართულ წყაროთაგან, რომლებშიაც ეს გადმოცემები შენახულა — „ქართლის მოქცევის" მატიანე და „წმ. ნინოს ცხოვრებაა", ხოლო საკუთრივ სვეტის სასწაულის ამბებს უფრო ადრეც ვხედებით ბერძენ და რომაელ ავტორებთან (გელასი კესარიელი, გელასი კვიზიკელი, სოკრატი, თეოდორიტე კვრელი, ერმიას სოზომენე, რუფინოზი). ქართველ მწერლებსაც ბევრჯერ აქვთ განმეორებული ეს გადმოცემები (ლეონტი მროველს, ეფრემ მცირეს, არსენი ბერს, ნიკოლოზ გულაბერისძეს). XII ს-ში ლეგენდა უკვე სავსებით ჩამოყალიბებულია.

წმ. ნინოს დროინდელ ეკლესიას დღემდე არ მოუღწევია, მაგრამ 1970—1971 წლების სარემონტო-სარესტავრაციო სამუშაოთა ჩატარების დროს (ხელმძღვანელი არქ. ვახტ. ცინცაძე იყო) მიკვლეულ იქნა მისი საძირკვლების კვალი. ასევე, მთლიანად შემოიხაზა იმ ბაზილიკის გეგმა, რომელიც აქვე ააგო, წმ. ნინოს ეკლესიის დანგრევის შემდეგ, ვახტანგ გორგასალმა V ს-ის მეორე ნახევარში. ეს იყო დიდი, შვერილაფსიდიანი ნაგებობა ბოძების რამდენიმე წყვილით. თავისი სიდიდით იგი მაინცდამაინც არც კი ჩამოუვარდებოდა დღევანდელ სვეტიცხოველს. ამ უკანასკნელის განხილვა იხ. ზემოთ, ძირითად ტექსტში. მისი მშენებლობის ამბებისა, ავტორისა და თარიღის შესახებ მთავარი წყაროებია თვით ტაძრის ორი წარწერა — აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ფასადებისა, და განსაკუთრებით ქართლის კათალიკოსის მელქისედეკის „ანდერძი", რომელშიაც აღნუსხულია მისი ღვაწლი ტაძრის აგებისა და შემკობისათვის.

ძეგლის შემდგომი თავგადასავალი დადასტურებულია წერილობითი საბუთებით; სამწუხაროდ, აღარ გადარჩა ძველი კედლის მხატვრობა (შესაძლებელია საკურთხევლის უზარმაზარი ქრისტე და მთავარანგელოზები თავდაპირველი მხატვრობის ნაწილებია, მაგრამ XIX



სურ. 97. მცხეთის სვეტიცხოველი. 1010 — 1029 წწ. გეგმა. ნ. სევეროვის ნახაზი ლ. რჩეულიშვილისა და ნ. ჩუბინაშვილის ანაზომის მიხედვით.




სურ. 98. მცხეთის სვეტიცხოველი. 1010—1029 წწ. განივი განაკვეთი. ლ. რჩეულიშვილისა და ნ. ჩუბინაშვილის ანაზომის მიხედვით.




სურ. 99. მცხეთის სვეტიცხოველი. 1010 — 1029 წწ. აღმოსავლეთის ფასადი. ნ. სევეროვის ნახაზი ლ. რჩეულიშვილისა და ნ. ჩუბინაშვილის ანაზომის მიხედვით.




სურ. 100. მცხეთის სვეტიცხოველი. 1010 — 1029 წწ. დასავლეთის ფასადი. ნ. სევეროვის ნახაზი ლ. რჩეულიშვილისა და ნ.ჩუბინაშვილის ანაზომის მიხედვით.

ს-ში ეს მხატვრობაც ერთიანად განახლებულ იქნა. რაც ახლა არის — XVI, XVII და, შესაძლებელია, XVIII ს-ისაც იყოს. უფრო საინტერესოა საკუთრივ „სვეტიცხოველზე“ მოთავსებული მხატვრობა XVII ს-ის მაწურულისა, რომელშიაც ქართლის მოქცევის ეპიზოდებია გადმოცემული („სვეტიცხოველი“ კოშკისებრი ნაგებობაა გუმბათქვეშა კვადრატის დასავლეთით, დიდი თაღის ქვეშ, ეს სასწაულთმოქმედი სვეტის, ე. ი. ტაძრის მთავარი წმიდა რელიკვიის, საცავი იყო. ახლანდელი სვეტი შედარებით გვიანდელია). წარწერის თანახმად მოხატვის ხელმძღვანელი ყოფილა „მოქალაქე გულჯავარასშვილი გრიგოლ“, ხოლო მოთავე — ნიკოლოზ კათალიკოსი, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ტაძრის მორთვა-აღჭურვისათვის.

ტაძრის გარედან დათვალიერების დროსაც უნდა გვახსოვდეს, რომ ბევრი რამ აქაც შეცვლილია: გუმბათის ყელი და ფასადთა პერანგის ნაწილი (რაც მწვანე ქვით არის მოპირკეთებული) XV ს-ის პირველ ნახევარს მიეკუთვნება (ალექსანდრე მეფის რესტავრაცია). ზოგი რელიეფური გამოსახულება (მაგ. აღმოსავლეთი ფასადის ანგელოზები, ლომი და არწივი, სამხრეთის ფასადის ზოგი რელიეფი და სხვ.) გადაადგილებულია. არის XVII ს-ის ჩანართებიც (ზოგი ტლანქი რელიეფური გამოსახულება და წარწერა აღმოსავლეთ ფასადისა და სხვ.). საბედნიეროდ, ამ რესტავრაციებს არ დაურღვევია შენობის ძირითადი ფორმები და პროპორციები.

სვეტიცხოვლის გალავანი, ძირითადად, XVIII ს-ეს, ერეკლე მეორის ხანას, მიეკუთვნება. მაგრამ არის დარჩენილი ძველი ნასასახლარის ნაშთი ეზოს სამხრეთ-დასავლეთით, ძველია თვით გალავნის ნაწილი ამ მხარეს.

ტაძრის თანამედროვეა იმავე მელქისედეკ კათალიკოსის მიერ აგებული მშვენიერი კარიბჭე, მაშინდელი ქართული საერო არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუში. მისი რესტავრაცია 1964-1965 წლებში ჩატარდა (არქ. ვ. ცინცაძე).


1. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი. მცხეთის საბუთი XI საუკუნისა: საქართვ. მუზეუმის მოამბე, VI, ტფ., 1931 (ძირითადი გამოკვლევა მელქისედეკ კათალიკოსის ანდერძის შესახებ).

2. ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის უძველესი წარწერები და მათი დამოკიდებულება მელქისედეკ კათალიკოსის ანდერძთან: „ქართული ხელოვნება“, 1, თბ., 1942, გვ. 133-142 (აქ არის საბოლოოდ დაზუსტებული ძეგლის თარიღი).

3. გ ი ო რ გ ი ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი. ქართული ხუროთმოძღვრება საშუალო საუკუნეებში და მისი სამი მთავარი კათედრალი: „არილი“ ტფ., 1925, გვ. 107-126 (იგივე რუსულად: Вопросы, გვ., 262 — 278).

4. Г. Н. Ч у б и н а ш в и л и. К вопросу о первоначальных формах Мцхетского кафедрала Свети-Цховели: „ქართული ხელოვნება“, 5, თბ., 1959, გვ. 123-131.

5. Н. П. С е в е р о в и Г. Н. Ч у б и н а ш в и л и. Мцхета (სერია: Сокровища зодчества народов СССР). М., 1946.

6. Р. Г в е р д ц и т е л и. Мцхета. Тб., 1962.

7. ვ ა ხ ტ ა ნ გ ბ ე რ ი ძ ე. მცხეთის კათედრალის „სვეტი-ცხოველი“ და ქართლის მოქცევის სიუჟეტები მის ფრესკებში: საქართვ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XV—B, თბ., 1948, გვ. 135-164.

8. А. Н а т р о е в. Мцхета и его собор Свети-Цховели. Т., 1900.


## მცხეთა, „სამთავრო“

**XI ს. პირველი ნახევარი**

**ტაბ. 101—104**

ტაძარი მდებარეობს საქართველოს სამხედრო გზასთან. საყურადღებოა როგორც ქვაზე ნაკვეთი მდიდრული ორნამენტაციით, ისე ახლებური გეგმით (ორი თავისუფლად მდგომი გუმბათქვეშა ბოძი, ნაცვლად ოთხისა, გეგმის დამოკლება), რომელიც შემდეგში კანონიკურად იქცევა. გუმბათის ყელი XIII-XIV საუკუნეებშია მთლიანად აღდგენილი. მისი საპირეების ტლანქი ჩუქურთმა მკვეთრად განსხვავდება ფასადების ბრწყინვალედ შესრულებული ორნამენტებისაგან.

გალავანში დგას მინიატიურული გუმბათოვანი ეკლესია (ძლიერ შეკეთებული), როგორც ჩანს ძალიან ადრინდელი ხანისა (IV ს.?). ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან აღმართულია სამსართულიანი ლამაზი სამრეკლო, აგებული არა უადრეს XIII ს-ისა.

ეკლესიის ზომები: სიგრძე — 27,3 მ., სიგანე ეკვტერების გარეშე — დაახლ. 17,2 მ., ეკვტერებიანად — 27,5 მ., სიმაღლე შიგნით — 27,5 მ.


1. Р е н э Ш м е р л и н г. Самтавро—памятник XI века: „ქართული ხელოვნება“, I, თბ., 1942, გვ. 49-78.




სურ. 101. მცხეთა, სამთავროს ტაძარი. XI ს. გეგმა. ანაზომი ვლ. წილოსანისა.

## სამთავისი

**1030 წ.**

**ტაბ. 98—100**

სოფ. სამთავისი ქართლშია, კასპის რაიონში. მისი სახელგანთქმული საეპისკოპოსო ტაძარი, XI ს-ის ქართული ხუროთმოძღვრების ერთი ყველაზე შესანიშნავი ძეგლთაგანი, გარკვეული თვალსაზრისით ახალი ისტორიული



სურ. 102. სამთავისის ტაძარი. 1030 წ. გეგმა.

ეტაპის დამწყებია (გეგმა, აღმოსავლეთი ფასადის მორთულობის სისტემა. იხ. ზემოთ, ძირითადი ტექსტი).

ტაძრის მაშენებელი იყო ილარიონ, ძე ვაჩე ყანჩაელისა, სამთავნელი ეპისკოპოსი, რომელიც მოხსენებულია აღმოსავლეთ ფასადის წარწერაში (წარწერა ულამაზესი მთავრული ასოებითაა შესრულებული). თარიღი — 1030 წ. — მითითებული იყო ერთ წარწერაში, რომელიც გამოაქვეყნა თ. ჟორდანიამ (წარწერიანი ქვა მას ეზოში უპოვნია. ახლა დაკარგულია). საფიქრებელია, რომ ილარიონი არა მარტო მშენებლობის მოთავე იყო, არამედ ხუროთმოძღვარიც (აშურიანის ეკლესიის 1032 წლის წარწერაში ნათქვამია, რომ ის ილარიონის ხ ე ლ ი თ ა ა ნაშენი).

სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში ძეგლი ძლიერ დაზიანდა. ხელუხლებლად გადარჩა, არსებითად, მხოლოდ აღმოსავლეთის ფასადი. ჩრდილოეთისა და სამხრეთის ფასადებს კარიბჭეები აკლია, დასავლეთის ფასადი მთლიანად თავიდანაა აწყობილი XV ს-ში, მას შემდეგ, რაც გუმბათის ყელი ჩამოიქცა და შენობის დასავლეთი მხარე გადაანგრია. ახლანდელი გუმბათის ყელიც იმდროინდელია. შენობას, კერძოდ, დასავლეთის ფასადსაც, ატყვია XIX ს-ის შეკეთებათა კვალიც. შიგნით გეიანდელი მხატვრობის ფრაგმენტები გადარჩენილია მხოლოდ საკურთხეველში.

გალავნის ფარგლებში ეპისკოპოსის სასახლის ნანგრევებია. სამრეკლო, როგორც ჩანს, XVII ს-შია აგებული.

შენობის გეგმა, რომელიც აქვეა დართული, გრაფიკულ რესტავრაციას წარმოადგენს: ამჟამად, ერთ-ერთი შეკეთების წყალობით, ჩრდილო-დასავლეთის გუმბათქვეშა ბურჯს ფორმა შეცვლილი აქვს.

ეკლესიის გარეთა ზომები: სიგრძე — 25 მ., სიგანე — 17 მ., სიმაღლე შიგნით — 29,1 მ.


1. გივი სოხაშვილი. სამთავისის ტაძარი (მასალები ტაძრის ისტორიისათვის). თბილისი, 1973

2. სარა ბარნაველი. სამთავისის მეორედ მაშენებელის ვინაობა: სსსრ მეცნ. აკად. მოამბე, XII, № 9, თბ., 1951. გვ. 571-578.


## იშხანი

ტაბ. 45, 105—107

სამხრეთ საქართველოში, ტაოში, მდინარე ოლთისსა და ტაოსკარს შუა (ახლა თურქეთის ფარგლებშია მოქცეული). შუა საუკუნეთა საქართველოს ერთი დიდი სამონასტრო ცენტრთაგანი, სადაც ინტენსიური კულტურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობა წარმოებდა. თავდაპირველი ეკლესია ააგო VII ს-ის ორმოციან წლებში ეპისკოპოსმა ნერსესმა, ალმაშენებლად წოდებულმა. იგი ეროვნებით სომეხი იყო, მაგრამ მართლმადიდებლობის მიმდევარი. თავდაპირველი ეკლესია წრიულ გარშემოსავლელში მოქცეული ტეტრაკონქი იყო (იხ. ბანა). არაბების შემოსევის დროს დანგრეული და მიტოვებული ეკლესია IX ს-ის პირველ ათეულ წლებში განაახლა გრიგოლ ხანძთელის მოწაფემ საბანმა (ეს ამბავი გრიგოლის ცხოვრებაშია მოთხრობილი). ამის შემდეგ იშხანი ქართველ საეპისკოპოსო ტაძრად იქცა. ძნელი სათქმელია, რა სახე მიიღო საბანის დროს ტაძარმა, მაგრამ აშკარაა, რომ ახლანდელ შენობაში საბანის დროინდელი ნაწილები უნდა იყოს: ჩრდილოეთის ექვტრის შიდა კედელზე დარჩენილია საღებავებით შესრულებული წარწერა, რომელიც მოხსენიებულ ისტორიულ პირთა მიხედვით 954-955 წლებს უნდა ეკუთვნოდეს. XI ს-ში ეკლესია კვლავ საფუძვლიანად შეაკეთეს: სამხრეთის შესასვლელის ტიმპანის წარწერის თანახმად, ეს შესასვლელი 1014-1027 წლებს შორის (გიორგი I-ს მეფობა) გაუკეთებიათ, მაგრამ უმეტესი ნაწილი ფასადთა უმდიდრესი, დიდი ოსტატობით შესრულებული ორნამენტაციისა მიეკუთვნება ბაგრატ მეოთხის ხანას, 1032 წელს (წარწერა სამხრეთის მეორე სარკმლის თავზე). ამ დროს, ეტყობა, ტაძარს კვლავ სა-



სურ. 103. იშხნის ტაძარი. VII ს. გადაკეთებულია IX და XI ს-ში. გეგმა. ნ. სევეროვის ნახაზი ან. კალგინის ანაზომის მიხედვით.

ფუძელიანი რესტავრაცია განუცდია. წარწერაში ნათქვამია: „...მე, ანტონი მთავარეპისკოპოსმან განვაახლე და განვასრულე წმიდაჲ ესე ტაძარი ღმრთისაჲ... და ვაშენე ჴელითა იოვანე (ივანე?) მორჩაჲს ძისაჲთა“. ამგვარად, ჩვენ იქ კიდევ ერთი დიდი ქართველი ხუროთმოძღვრის სახელი გვაქვს — ივანე მორჩაისძე. იქვეა აღნიშნული თარიღიც.

იშხნის თავდაპირველი, ნერსესისეული ტაძრისგან გადარჩა მხოლოდ საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდი, სვეტებზე დაყრდნობილი თაღების მწკრივით. ისევე, როგორც ბანაში, აქაც სვეტისთავები ვოლუტებითაა მორთული, კვლავ ბერძნულ-რომაული მოტივების გამოძახილია. ძველი აფსიდი გარედან მთლიანად დაფარულია ახალი კედლებით. ახლანდელი ტაძარი — თვალსაჩინოდ წაგრძელებული ჯვაროვან-გუმბათოვანი შენობაა, რომლის ჯვრისებრი მოხაზულობა თითქმის მთლიანად იხატება გარედანაც, მიწის დონეზე. დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავები სწორკუთხაა. სადიაკვნე და სამკვეთლო წვრილი და გრძელი სადგომებია, აფსიდებით. დასავლეთის მკლავი, ისევე, როგორც ოშკში, მთლიან, დაუნაწევრებელ, სწორკუთხა დარბაზს წარმოადგენს, რომლის გრძივი კედლებიც პლასტიკურადაა დანაწევრებული კედლის სვეტებით. ჩრდილოეთიდან მას გრძელი სწორკუთხა უაფსიდო სადგომი ეკვრის. ე. თაყაიშვილის აზრით, მას სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა. გუმბათი ეყრდნობა ოთხ თავისუფლად მდგომ მძლავრ ბოძს, რომლებსაც ძლიერ პროფილირებული და ჩუქურთმებით შემკული ბაზისები და სვეტისთავები აქვს. მრგვალი გუმბათის ყელი შიგნიდანაც და გარედანაც წვრილ ლილვებზე (შიგნით) და გრეხილებზე (გარეთ) დაყრდნობილი თაღებითაა შემკული. თაღი თექვსმეტ-თექვსმეტია, სარკმლები — 8 დიდი და 8 მცირე, წრიული.

ფასადების დამუშავება დეკორაციული თაღების, შესასვლელთა და სარკმლების სათაურთა კარნიზების ჩუქურთმებისაგან შედგება, არის მოჩუქურთმებული მცირე ჯვრებიც. იშხანი ორნამენტის მრავალფეროვნებით, სიმდიდრითა და ხარისხით თავისი დროის ერთი პირველი ძეგლთაგანია. ტაძრის შიგნით ძველი მხატვრობის ფრაგმენტებია, როგორც ფიქრობენ, XI ს-ის პირველი ნახევრისა. დიდი ეკლესიის გვერდით 1006 წელს აგებული პატარა სამლოცველოა, მშვენიერი ჩუქურთმებით მორთული (კარნიზი, სარკმლის საპირე და სათაური).

დიდი ტაძრის ზომები გარედან: სიგრძე — დაახლ. 37 მ., სიგანე — 22,5 მ. სიმაღლე შიგნით — 29 მ.

1. ე. თაყაიშვილი. 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში. თბ., 1960, გვ. 7-31.
2. გ. ჩუბინაშვილი. ქ. ხ. ი., გვ. 169-179.



სურ. 104. იშხნის ტაძარი. 1010—1014 წწ. გეგმა. ანაზომი ნ. სევეროვისა.

## ნიკორწმინდა

**1010-1014 წწ.**

**ტაბ. 108—117**

დიდი სოფელი ნიკორწმინდა რაჭაში, ამბროლაურის რაიონში, რაიონის ცენტრიდან ქუთაისისაკენ მიმავალ გზაზე, ნაქერალას უღელტეხილის მახლობლად. ეკლესია მცირე შემაღლებაზეა და თავს დაჰყურებს მთელ სოფელს. გეგმისა და ფასადთა მორთულობის შესახებ იხ. ზემოთ, ძირითად ტექსტში. შენობის გარეგნობა რამდენადმე მძიმეა, ელეგანტურობას მოკლებული. განსაკუთრებით გუმბათის ყელის მასიურობის გამო, მაგრამ ორნამენტაციის სიუხვე, უშრეტი მრავალფეროვნება, შესრულების ძალიან მაღალი ხარისხი (უმეტესი ნაწილისა), დიდად საინტერესო სკულპტურული დეკორი ძლიერ შთაბეჭდილებას ტოვებს. რელიეფებს შორის, ქრისტიანული ლეგენდის ცნობილი სიუჟეტების გვერდით, ბევრია ისეთი მოტივიც [რეალური და ფანტასტიკური ცხოველები, რომელთაც სათანადო განმარტებითი წარწერებიც აქვთ, მაგ., ლომები, ფასკუნჯი („ფასქუჯი"), „სირაქლემი", „ქათამ-ევშაპი", ხარი ზებუ და სხვ.] რომლებიც, უეჭველია, ხალხურ წინაქრისტიანულ რწმენასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ეკლესიის თარიღის დაზუსტების საშუალებას გვაძლევს ჩრდილოეთი შესასვლელის წარწერა, რომელშიაც მოხსენიებულია სრულიად საქართველოს მეფე ბაგრატ III (ქუთაისის ბაგრატის ტაძრის მაშენებელი). სამხრეთისა და დასავლეთის კარიბჭეები ეკლესიაზე ცოტა გვიანდელი უნდა იყოს, მაგრამ აგრეთვე XI ს-ის პირველი ნახევრისა. დაკვირვება მოწმობს, რომ ტაძრის ორნამენტზე რამდენიმე ოსტატს უმუშავნია: მათი ხელი თვალსაჩინოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან: განსხვავდება მოტივების შერჩევაც და შესრულების ხასიათიც.

1634 წელს შენობა განუახლებია იმერეთის მეფეს ბაგრატ მესამეს.

ტაძრის შიგნით დარჩენილია XVII ს-ის ფრესკები, გვიანა ხანის ქართული კედლის მხატვრობის დამახასიათებელი ნიმუში.

სამრეკლო XIX ს-ის მეორე ნახევრისაა.

შენობის ზომები გარედან, კარიბჭეების გარეშე: სიგრძე — 17,3 მ., სიგანე — 13,3 მ., სიმაღლე შიგნით — 22 მ.


1. Г. Н. Чубинашвили. Кумурдо и Никорцминда, как пример разных этапов бароккального стиля в грузинском искусстве: Вопросы, გვ. 236—261 (შემოკლებული ტექსტით უფრო ადრე გამოიცა ალბომის სახით: Н. П. Северов и Г. Н. Чубинашвили. Кумурдо и Никорцминда. სერია Памятники грузинской архитектуры. М., 1947).

2. გ. ბოჭორიძე. რაჭის ისტორიული ძეგლები: საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. V, ტფ. 1930, გვ. 192 და შემდ.

3. ლ. მაცულევიჩი. ნიკორწმინდა და მისი ადგილი საქართველოს კულტურაში: ენიმკის მოამბე, III, ტფ., 1938, გვ. 25-54.

4. ნ. ალადაშვილი. ნიკორწმინდის რელიეფები. თბ., 1957.


## მანგლისი

**ტაბ. 118, 119**

მანგლისი თბილისიდან 60-ოდე კილომეტრზეა, სამხრეთ-დასავლეთით (ადმინისტრაციულად სოფელი თეთრი წყაროს რაიონში შედის). ეს ერთი უძველესი „ქრისტიანული" ადგილთაგანია საქართველოში — აქ უკვე IV ს. ოცდაათიან წლებში აუშენებიათ ქვის ეკლესია, ხოლო VI ს-ში მანგლისი ქართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი იყო. ახალი ეკლესია, ნაცვლად თავდაპირველისა, ააგეს V ს-ის მეორე ნახევარში, როდესაც ვახტანგ გორგასალმა მანგლისის საეპისკოპოსო დააარსა. XI ს-ის პირველ მეოთხედში, გიორგი I დროს (1014-1027), ტაძარი საფუძვლიანად გადააკეთეს და გააფართოვეს. თავდაპირველად იგი წარმოადგენდა გარედან რვაკუთხედში მოქცეულ მარტივ ტეტრაკონქს. ახლა მას წაუმატეს აღმოსავლეთი მხარე, მიაშენეს სამხრეთისა და დასავლეთის კარიბჭეები. მთელი შენობა ახალ პერანგში ჩასვეს და ახლებურად — XI ს-ის მოთხოვნილების შესაბამისად — მოაჩუქურთმეს. გარდა ფასადთა ჩუქურთმებისა (სარკმელთა საპირეები, კარნიზები), მდიდარი და საინტერესოა კარიბჭეთა მორთულობა, კერძოდ, სამხრეთი კარიბჭის ვარსკვლავისებრი კამარა. შიგნით დარჩენილია XI ს. პირველი მეოთხედის კედლის მხატვრობის ფრაგმენტები. XIX ს-ის რემონტის დროს ეკლესიას ზოგი უცხო ხასიათის დეტალი შეემატა.

თავდაპირველი ტეტრაკონქის ზომები გარედან: სიგრძე — 16,5 მ., სიგანე — 16 მ., ახლანდელი ძეგლის გარე ზომები კარიბჭეების გარეშე: სიგრძე — 22,5 მ., სიგანე — 16 მ., სიმაღლე — 23,5 მ.


2. მალაქია დვალი. მანგლისის ხუროთმოძღვრული ძეგლი. თბ., 1974.

3. თეიმურაზ ბარნაველი. მანგლისის ტაძრის წარწერები. თბ., 1961.

## ხციხი

**1002 წ.**

**ტაბ. 124**

სოფ. ხცისი ქართლშია, ხაშურის რაიონში, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, რაიონის ცენტრიდან სულ რამდენიმე კილომეტრის დაშორებით. იოანე წინასწარმეტყველის ეკლესია მდებარეობს მთის კალთაზე (ეს თრიალეთის კალთებია), სოფლიდან დაახლ. 1.5 კმ-ის მანძილზე. აღმოსავლეთის ფასადის წარწერაში, რომელშიაც ზუსტი თარიღია მითითებული, ნათქვამია „მე გლახაკმან ან...ნა ვიწყე შენებად წმიდასა ამას ეკლესიასა“ ქართველთა მეფის ბაგრატის დროსა; „ქორონიკონი იყო სკბ“, ე. ი. 222, რაც „ქრისტეს აქეთ“ 1002 წელს უდრის. მშენებლის სახელი სავსებით ზუსტად არ ირკვევა (ანანა?). ბაგრატი კი — ბაგრატ მესამეა, რომლის ხანასაც ბევრი შესანიშნავი ტაძრის აგება მიეკუთვნება.

ეს ერთნავიანი ეკლესიების ერთი საუკეთესო ნიმუშთაგანია, განსაკუთრებით საინტერესოა ძალიან მდიდარი, ნამდვილი არტისტული ბრწყინვალებით შესრულებული, ორნამენტაცია (სარკმელთა საპირეები და სათაურები, შესასვლელის ტიმპანის სათაური), ბარელიეფები ცხოველთა ფიგურებით და სხვ.

საკურთხევლის ჩრდილოეთით სამკვეთლოს სწორკუთხა სადგომია, სამხრეთით კი, ფასადის მთელ სიგრძეზე,



სურ. 105. ხცისის ეკლესია. 1002 წ. ფასადის რელიეფი. ნახატი რ. შმერლინგისა.

შენობას ეკვტერი მისდევს. დროთა განმავლობაში ძეგლი ძლიერ დაზიანდა: კამარები და კედლების ზემო ნაწილები ჩამოქცეულია.

ეკლესიის ზომები გარედან: სიგრძე — 12,5 მ., სიგანე (მინაშენთა გარეშე) — დაახლ. — 8 მ., მინაშენებიანად — დაახლ. 15,5 მ.

1. Ренэ Шмерлинг. Древний Цвимоетский храм близ сел. Хциси: „ქართული ხელოვნება“, ტ. 4, თბ., 1955, გვ. 139—169.

## საპანე

**1010 წ.**

**ტაბ. 125—127**

სოფ. საპანე (საჩხერის რაიონი) ყვირილის ხეობაშია, იმერეთში. წმ. გიორგის ერთნავიანი ეკლესია კიდევ ერთი მშვენიერი ნიმუშია XI ს-ის პირველი ნახევრის ხუროთმოძღვრებისა და, განსაკუთრებით, ხუროთმოძღვრული მორთულობისა: ჩუქურთმებით შემკულია კარნიზები, სარკმლებისა და ორი პორტალის საპირეები. სამხრეთის პორტალი უფრო დიდი და მდიდრულია. თავისი ხასიათით ეს დეკორი ენათესავება კაცხის გარშემოსავლელისა და ნიკორწმინდისას. სამხრეთის დიდი სტოა-კარიბჭე, რომელსაც მთელი ფასადის სიგრძე უჭირავს, აგრეთვე XI ს-ისაა, თუმცა სხვა ოსტატის ხელითაა ნაშენი. შენობის გარეგნობა მარტივია, მაგრამ ხიბლავს მნახველს პროპორციების ჰარმონიულობითა და დახვეწილობით, მორთულობისა და არქიტექტურის ორგანული შეხამებით, ძალიან მაღალია შესრულების ხარისხიც. ტაძრის კედლებზე რამდენიმე საყურადღებო წარწერაა: დასავლეთის შესასვლელის ტიმპანში იკითხება: „სახელითა ღმრთისაჲთა... დამაყენა მე, სულთა საწყალობელი პარაბაჲ აღსაშენებლად წმიდისა ამის საყდრისა, ადიდენ ღმერთმან გიორგი ქრისთაჲთ ერისთავი, სალოცველად სულისა მათისათჳს...“ და სხვ... მეორე წარწერაში, სამხრეთის შესასვლელის ტიმპანში, აგების ზუსტი თარიღი — 1046 წელიც — იხსენიება, მესამეში (აღმოსავლეთის ფასადზე) ნათქვამია, რომ მშენებლობაში სოფელიც იღებდა ნივთიერ მონაწილეობას.

საპანეში XI საუკუნისავე მდიდრულად მოჩუქურთმებული თაბაშირის კანკელია დარჩენილი, მაგრამ იგი ძლიერ დამახინჯებულია XIX ს-ის რემონტების დროს (მაშინ შელესეს და შეღებეს ეკლესიის შიგნითა კედლები). სამრეკლო XIX ს-ის მეორე ნახევრისაა.

ეკლესიის გარეთა ზომები: სიგრძე — 15,9 მ., სიგანე უკარიბჭეოდ — 8,35 მ., კარიბჭიანად — 14,5 მ., სიმაღლე შიგნით — 10,3 მ..

1. ვახტანგ ბერიძე. საპანე, XI საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი: „ქართული ხელოვნება“, ტ. 1, თბ., 1942, გვ. 77—132.

## კანკელები

**ტაბ. 128—132**

კანკელი, ე. ი. ის კონსტრუქცია (ტიხარი), რომელიც საკურთხევლის წინ აღიმართება და ამ უკანასკნელს გამოჰყოფს საკუთრივ ნავისაგან, საქართველოში ძველთაგანვე არსებობდა, ისევე, როგორც სხვა მართლმადიდებელ ქვეყნებში (ბიზანტია, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, რუსეთი და სხვ... დასავლეთ ევროპაში კანკელი და იკონოსტასი არ განვითარებულა). უძველესი გადარჩენილი ნიმუშები VIII-IX საუკუნეებს მიეკუთვნება. თანდათან შემუშავდა სპეციკურად ქართული სახე კანკელისა — შედარებით დაბალი ბარიერი, ზედ შესმული სვეტები და სვეტების შემაკავშირებელი თაღები. სულ ზემო ხაზი (თაღების თავზე) აუცილებლად ჰორიზონტალურია, მაგრამ ეთაღო (არქიტრავიანი) კანკელები ჩვენში არ არსებობდა (იყო ბიზანტიაში); დამახასიათებელია აგრეთვე ერთადერთი შესასვლელი (აღსავლის კარი). მხოლოდ ძალიან გვიან, XVI საუკუნეში, რუსეთთან ურთიერთობის გაცხოველების შემდეგ, ეს ტრადიცია ზოგჯერ ირღვევა. კანკელი, ჩვეულებრივ, დაბალია, ისე რომ მთლიანად არ ფარავს მლოცველების თვალთაგან საკურთხეველს, მით უფრო კონქს; მის შესასვლელში რაიმე დაკიდული კარი არ კეთდებოდა.

უმთავრეს ინტერესს იწვევს კანკელთა ორნამენტული და რელიეფური მორთულობა. რელიეფები გვხვდება მხოლოდ ქვის კანკელებზე (ქვემო ბარიერზე), ყოველთვის ფართო ორნამენტული არშიის შიგნით. თაბაშირის კანკელები მარტო ჩუქურთმებითაა მორთული. ჩუქურთმა ამკობს როგორც ქვემო ბარიერს, ისე სვეტებსა და თაღებსაც. თაღები ზოგჯერ — დეკორაციულობის გასაძლიერებლად — კბილანებიანი კეთდებოდა. იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება წარწერებიანი კანკელებიც, ხოლო გვიანა ხანაში — მოხატულიც.

ყველაზე მნიშვნელოვანია XI ს-ის ნიმუშები. ზოგიერთი მათგანს ამკობდა რელიეფური სცენები, რომლებიც შუა საუკუნეების ქართული პლასტიკის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება. აქ ტაბულებზე ნაჩვენებია სპეთისა და პატარა ონის კანკელები, სპეთის კანკელის დეტალი, საფარის მიძინების ეკლესიისა და ატენიდან ჩამოტანილი კანკელის ფრაგმენტები.

1. Ренэ Шмерлинг. Малые формы в архитектуре средневековой Грузии. Тб., 1962.

## XI საუკუნის ხის მოხარატებული კარები

**ტაბ. 135**

შუა საუკუნეების ხეზე კვეთის ნიმუშების სიმდიდრით საქართველოს ერთი პირველი ადგილთაგანი უჭირავს მსოფლიოში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ძეგლები, რომლებიც მიეკუთვნება X-XI საუკუნეებს, ე. ი. ქართული პლასტიკის უმაღლესი განვითარების ხანას. ჩუკულის, ჯახუნდერის (ორივე სვანეთში), ლაშეს-ვანის, მღვიმევის (იმერეთში) ეკლესიებისა და სხვათა კარები შემკულია ბრწყინვალედ შესრულებული ჩუქურთმითა და, იმავე დროს, სკულპტურული ფიგურებითაც. მათი სტილი სავსებით ემთხვევა XI ს-ის ქვის რელიეფებისა და ჭედური ნივთების (ხატების, ჯვრებისა და სხვ.) სტილს. ხის კარებისთვის მასალად უმეტესად კაკალს იყენებდნენ.

გარდა საკუთრივ კარებისა, დარჩენილია მათი ჩარჩოები და აგრეთვე კანკელთა ხის კოჭები (მაგ. მელისიდან, ქართლში), აგრეთვე შემკული ნაკვეთი ჩუქურთმებით. ეს ხელობა ქართული ხალხური ხელოვნების ერთი ყველაზე განვითარებული და თავისებური დარგთაგანია. რასაც თვალნათლივ მოწმობს გლეხური საცხოვრებელი სახლის ინტერიერთა დამუშავება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (ქართლური და მესხური დარბაზი, იმერულ-გურულ-მეგრული ოდები, სვანური სახლის მაჩვიბი და სხვ.), მოწმობს აგრეთვე ხალხური ავეჯიც.

1. Нико Чубинашвили. Грузинская художественная резьба по дереву. Тб. 1958.

## გელათი

**დაარსებულია 1106 წ.**

**ტაბ. 138—146**

ტყიბულის რაიონშია, ქუთაისიდან 12 კმ.-ის დაშორებით. (მონასტრის დაარსებისა და მთავარი ტაძრის არქიტექტურის შესახებ იხ. ზემოთ, ძირითად ტექსტში). მონასტერი გალავანშემორტყმულია. გალავნის შიგნით დღემდე მოაღწია რამდენიმე შენობამ. ესენია: ა) მთავარი ტაძარი; ბ) წმ. გიორგის ეკლესია მის აღმოსავლეთით; გ) წმ. ნიკოლოზის ეკლესია მის დასავლეთით; დ) სამრეკლო წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გვერდით; ე) აკადემიის შენობა წმ. ნიკოლოზის ეკლესიის დასავლეთით, ციცაბო კალთის პირას; ვ) ძველი კარიბჭე, სადაც დავით აღ-





სურ. 106 და 107. გელათის მონასტრის მთავარი ტაძარი. დაარსებულია 1106 წ.
გეგმა და სიგრძივი განაკვეთი. ანაზომი რ. მეფისაშვილისა და ვ. ცინცაძისა.





სურ. 108 და 109. გელათის მონასტრის მთავარი ტაძარი. სამხრეთისა და დასავლეთის ფასადები. ანაზომი რ. მეფისაშვილისა და ვ. ცინცაძისა.



სურ. 110. გელათის მონასტრის მთავარი ტაძარი. დაარსებულია 1106 წ. აღმოსავლეთის ფასადი. ანაზომი რ. მეფისაშვილისა და ვ. ცინცაძისა

მაშენებელია დაკრძალული, და ძველი შენობების ნანგრევები. არის XIX ს-ში აშენებული ან განახლებული სახლებიც. შენობები გაფანტულია მონასტრის გარშემო — ე. წ. სოხასტერი, წმ. ელიას ეკლესია და სხვ.

მთავარი ტაძარი, დღევანდელი სახით, მთლიანად ერთდროული არ არის: კარიბჭე-ეკვტერები, რომლებიც მას დასავლეთით, სამხრეთითა და ჩრდილოეთით აკრავს, თანდათან შენდებოდა XII და XIII საუკუნეთა მანძილზე.

წმ. გიორგის ეკლესია, XIII საუკუნისა, თითქოს შემცირებული ზომით იმეორებს მთავარ ტაძარს: სამი შვერილი აფსიდი, ორი გუმბათქვეშა ბოძი, სტოა დასავლეთის მხარეს (პატრონიკე არ არის).

წმ. ნიკოლოზის ეკლესია, აგრეთვე XIII ს-ისა, შესმულია გაჭრილი თაღებით გახსნილ სწორკუთხა კონსტრუქციაზე. კიბე გარედანაა მოწყობილი. ეკლესია მინიატურულია — ჯვარისებრი, გუმბათით გადახურული, სივრცე ერთი აფსიდით. (შიდა ზომებია: 6,5×5 მ.)

სამრეკლო — ადრინდელი სამრეკლოების ტიპისაა: ქვემოთ მასიური კუბია, ზემოთ — რვაბოძიანი გამჭოლი ფანჩატური. მაგრამ კუბი ორ იარუსს შეიცავს — ღია თაღოვან გასასვლელს და დაბალ კამაროვან ოთახს მის თავზე. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სულ ქვემო ნაწილი, სადაც წყაროა, XII ს-ში არსებობდა, ხოლო ზემო ნაწილი XIII ს-ში დააშენესო.

მთავარი ეკლესიის გარეთა ზომები: უკარიბჭეებოდ: 30 მ.×21 მ. (დაახლოებით), კარიბჭეებიანად — სიგრძე — 35,5 მ., სიგანე — 35 მ. (დაახლ.); სიმაღლე შიგნით — 33,5 მ.


1. Р. Меписашвили. Архитектурный ансамбль Гелати. Тб., 1966.

2. რ. მეფისაშვილი. გელათი. თბ. 1966 (ტექსტი ქართულად, რუსულად და ინგლისურად).

3. სიმ. ყაუხჩიშვილი. გელათის აკადემია. თბ., 1948.

4. ბ. ლომინაძე. გელათი. თბ., 1955.

5. Ш. Я. Амиранашвили. История грузинской монументальной живописи: I. Тб., 1957 (გელათის მოზაიკის შესახებ).

6. Т. Б. Вирсаладзе. Фрагмент древной фресковой росписи главного Гелатского храма: „ქართული ხელოვნება“, 5, თბ., 1959, გვ. 163—204.

## ႱႠႭႰႡႨႱႨ

**1152 წ.**

**ტაბ. 146**

საორბისის პატარა ერთნავიანი ეკლესია (თეძმის ხეობა. კასპის რაიონი) ყურადღებას იპყრობს ოსტატურად შესრულებული ჩუქურთმებით, რომლებიც სარკმლების ფართო საპირეებს ამკობს; აგრეთვე იმითაც, რომ წარწერით ზუსტადაა დათარიღებული. XII ს-ის პირველი ნახევრისა და შუა წლების დათარიღებული ძეგლები კი ჩვენ ძალიან ცოტა გვაქვს. წარწერაში ისიც არის აღნიშნული, რომ ეკლესიის მშენებლობაში სოფლის მოსახლეობა მონაწილეობდა.

ეკლესიის ზომები გარედან 8,5×6,5 მ.

I. Г. Чубинашвили. Саорбисская церковь: Вопросы, გვ. 279—286
(პირველად დაიბეჭდა: „Христианский Восток", 1915, IV, вып. II, გვ. 180—190).

## ႧႨႶႥႠ

**1152 წ.**

**ტაბ. 147**

სოფ. თიღვაში (შიდა ქართლი, ფრონეს ხეობა, ზნაურის რაიონი) დარჩენილია თავისებური გუმბათოვანი ტაძარი, მთავარი ნაგებობა სამონასტრო კომპლექსისა, რომელიც დავით აღმაშენებლის ასულმა შარვანის დედოფალმა თამარმა ააშენა მას შემდეგ, რაც იგი მონაზვნად აღიკვეცა. ტაძრის გეგმა ერთიან სწორკუთხედს შეადგენს. აფსიდი მხოლოდ საკურთხეველს, მის გვერდით მდებარე სადიაკვნესა და სამკვეთლოს აქვს. ჯვაროვანი სივრცის სხვა მკლავები სწორკუთხაა. გუმბათი საკურთხევლის კუთხეებს და ორ თავისუფლად მდგომ ბოძს ეყრდნობა. ძეგლის თავისებურებას შეადგენს დასავლეთის მხარეს პირველ სართულში მოთავსებული ნართექსი და პატრონიკე, რომელიც ისევე, როგორც ოდესღაც წრომში იყო (VII ს.), სამ მხრივ ეკვრის დასავლეთის მკლავს. წრომიდან მომდინარე თემა ახლა, სხვა ეპოქაში, განსხვავებულ სივრცობლივ ინტერპრეტაციას პოულობს: კლასიკური ეპოქის მკაფიო, მშვიდი, გაწონასწორებული სივრცე — აქ უფრო ცხოველხატულ, დინამიკურ სახეს ღებულობს. თავისი დროის ძეგლთაგან თიღვის ეკლესია მკვეთრად გამოირჩევა ფასადთა მორთულობის განსაკუთრებული სიძუნწით. შიშველი კედლების ასკეტურ სიმკაცრეს მხოლოდ ერთი შესასვლელის, კარიბჭის თაღისა და ერთი სარკმლის ჩუქურთმიანი სამკაულები არღვევს. თვით გუმბათის ყელის სარკმლებიც კი სრულიად შეუმკობია. ეს, როგორც მკვლევარნი ფიქრობენ, მონასტრის დამფუძნებლის ასკეტური მიდრეკილებებით შეიძლება აიხსნას. მაგრამ არსებული მცირერიცხოვანი მოჩუქურთმებული საპირეები XII ს-ის ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს შეიძლება მიეკუთვნოს. ძეგლის თარიღი საბუთების შეჯერებით დადგინდა (თვით ეკლესიის წარწერაში ნახსენებია თამარი, მაგრამ თარიღი მითითებული არ არის).

შენობის გარეთა ზომები: სიგრძე —24 მ., სიგანე — 14,5 მ., სიმაღლე შიგნით — 22 მ.

1. ლ. რჩეულიშვილი. თიღვა. შარვანის დედოფლის თამარის აღმშენებლობა. თბ., 1960.

## ႨႩႭႰႧႠ

**1152 წ.**

**ტაბ. 148, 149**

პატარა სოფელი იკორთა მთებშია, ცხინვალის რაიონში. ეს არის პირველი, უადრესი ნიმუში ქართლის ეკლესიების ჯგუფისა, რომელიც XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე შეიქმნა. გეგმა კვადრატს უახლოვდება, გუმბათი ემყარება საკურთხევლის კუთხეებსა და ორ ბოძს. მომდევნო ნიმუშთაგან განსხვავებით, აქ ჯერ კიდევ არის ბოძების წყვილი დასავლეთის მკლავში, აგრეთვე პატრონიკეც. აღმოსავლეთი ფასადი იმეორებს, გარკვეული ვარიაციებით, სამთავისში შემუშავებულ სისტემას, მაგრამ გვერდის ფასადებზე უკვე ჩანს დეკორაციული თაღების სისტემის რღვევის ნიშნები. ეკლესიის თარიღი აღნიშნული იყო დასავლეთის ფასადის დიდ წარწერაში, რომელიც მ. ბროსემ და თ. ჟორდანიამ წაიკითხეს (დღეს წარწერა აღარ არსებობს). XVII ს-ში შენობა შეაკეთა იესე ქსნის ერისთავმა (აქ არიან დაკრძალულნი ეროვნული გმირები — ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავნი და ბიძინა ჩოლოყაშვილი, რომელნიც XVII ს-ში დაიღუპნენ სპარსთა ხელით).

შენობის მახლობლად ძველი ციხე-დარბაზის ნანგრევია.

ეკლესიის გარე ზომებია დაახლ.: სიგრძე — 19 მ., სიგანე — 14 მ-მდე. სიმაღლე შიგნით — 20 მ-მდე.

1. თ. ჟორდანია. ქრონიკები, I, თბ., 1892, გვ. 259; II თბ., 1897, გვ. 13, 488.

2. Brosset. Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie III, SPb., 1851, 6$^{e}$ rapp., გვ. 67—70.

3. ე თაყაიშვილი. ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი. თბ., 1924 ტაბ. 54 და 55.



სურ. 111 და 112. ბეთანიის ტაძარი. XII—XIII სს. მიჯნა. დასავლეთისა და სამხრეთის ფასადები. ანაზომი მ. კალაშნიკოვისა.



## ბეთანია

**XII-XIII საუკუნეთა მიჯნა**

**ტაბ. 160, 161**

ტაძარი დასახლებულ ადგილთან მოშორებითაა, მდ. ვერეს ღრმა ხეობაში, თბილისიდან 18 კმ.-ის მანძილზე. ეს ერთი საუკეთესო ძეგლთაგანია თავისი დროისა, რომელშიაც ახალი ტიპი ეკლესიისა სავსებით ჩამოყალიბებულია (იხ .ზემოთ, ძირითად ტექსტში). ფასადთა მორთულობაც უკვე შორდება მანამდე შემუშავებულ სისტემას (დეკორაციული თაღებით დანაწევრებას): აქ ცალკეული, ინტენსიური ორნამენტული მახვილები კედლის გლუვ ზედაპირს უპირისპირდება. დამახასიათებელი მოტივია დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის ფასადთა შეწყვილებული სარკმლები დამატებითი მრგვალი სარკმლით მათ ზემოთ, ან გრძელი მოჩუქურთმებული ჯვრით მათ შუა.

ტაძრის შიგნით საინტერესო კედლის მხატვრობაა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისტორიული პორტრეტები — გიორგი III, თამარ მეფისა და გიორგი ლაშას გამოსახულებანი ჩრდილოეთ კედელზე.

დიდი ეკლესიის დასავლეთით, იქვე, დგას ერთნავიანი სამლოცველო, აგებული 1196 წელს.

ბეთანია დიდი ხნის მიტოვებული და დავიწყებული იყო, როცა XIX ს-ის შუა წლებში კვლავ აღმოაჩინეს. აღდგენილ იქნა XIX ს-ის ბოლოს.

ეკლესიის გარეთა ზომები: სიგრძე — 20,5 მ., სიგანე — 14,5 მ., სიმაღლე შიგნით—22,5მ.




სურ. 113. ბეთანიის ტაძარი. XII-XIII სს. მიჯნა. განივი განაკვეთი. ანაზომი მ. კალაშნიკოვისა.

1. Р. Шмерлинг, В. Долидзе, Т. Барнавели. Окрестности Тбилиси. Тб., 1960, გვ. 83—86.

## ქვათახევი

**XII-XIII საუკუნეთა მიჯნა**

**ტაბ. 162—165**

მონასტერი კავთურის ხეობის სიღრმეშია, სოფელთაგან დაშორებით (ქართლი, კასპის რაიონი), მთავარი ეკლესია — ერთი ყველაზე ტიპური ნაგებობათაგანია ამ ეპოქისა. არქიტექტურითაც და მდიდარი მორთულობითაც ახლო დგას ბეთანიის ტაძართან და ესეც XII-XIII საუკუნეთა მიჯნით თარიღდება. თავდაპირველად დედათა მონასტერი ყოფილა. XIV ს-ის ბოლოს, თემურ-ლენგის შემოსევათა დროს, გაძარცვეს და დააზიანეს. ქართლის ცხოვრების ერთ-ერთ გაგრძელებაში მოთხრობილია, როგორ აწამეს და დახოცეს მონაზვნები შემოსეულმა ბარბაროსებმა. დაზიანებათა მიუხედავად, კედლების პერანგის დიდი ნაწილი და გუმბათის ყელი ხელუხლებლად იყო გადარჩენილი. სამხრეთი ეკვტერი ეკლესიის თანამედროვეა, დასავლეთის კარიბჭე — XVII ს-ისაა, არის XVII-XVIII სს. შენობების ნაშთები (მათ შორის, კოშკიც), XIX ს-ის შენობებიც. 1854 წელს საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილიშვილმა იოანე თარხან-მოურავმა ტაძარი კაპიტალურად შეაკეთებინა. 1854-1874 წლებში ქვათახევის არქიმანდრიტად იყო ქართული კულტურის თვალსაჩინო მუშაკი, მთარგმნელი, მწერალი და კალიგრაფი — ტარასი ალექსი-მესხიშვილი, უკანასკნელი წარმომადგენელი კალიგრაფთა ცნობილი დინასტიისა. ეზოში მდებარე სამრეკლო 1872 წელსაა აგებული. ეკლესიაში ფრესკების კვალი არაა დარჩენილი.

შენობის ზომებია: 20,4 მ.×13,8 მ., სიმაღლე — 25,7 მ.



სურ. 114. ქვათახევის მონასტერი. XII—XIII სს. მიჯნა. გენერალური გეგმა. ნ. სევეროვის ნახაზი რ. მეფისაშვილისა და ვ. ცინცაძის ანაზომის მიხედვით.

## ფიტარეთი

**1213-1222 წწ.**

**ტაბ. 150—158**

თეთრიწყაროს რაიონშია, ესეც დასახლებულ ადგილთაგან მოშორებით. ბეთანია-ქვათახევის ჯგუფის ეკლესიათა ყველაზე ბრწყინვალე ნიმუში, რომელშიაც ორნამენტაციის მრავალფეროვნება და შესრულების არტისტიზმი ფრიად მაღალ დონეს აღწევს. გეგმა თითქმის კვადრატულია. შესასვლელი ერთია, სამხრეთით, ტიპური ფორმის მდიდრულად მორთული კარიბჭიდან. ეკლესია დიდი ხანია მიტოვებულია, მაგრამ მაინც შენარჩუნებული აქვს თავდაპირველი სახე.

კარიბჭის შიგნით დიდი სამშენებლო წარწერაა, რომელიც მოგვითხრობს, რომ ეს ტაძარი ააშენა მეფეთა მეფის გიორგის ამირეჯიბმა ქავთარ ქაჯიფაის ძემ. ეს გიორგი — თამარის ძე გიორგი ლაშაა (1213-1222), და არა გიორგი ბრწყინვალე, როგორც წინათ მიაჩნდათ: თვით შენობის არქიტექტურა სავსებით უეჭველს ხდის, რომ ეს XIII ს-ის დასაწყისის ძეგლია, და არა XIV ს-ისა.

შენობის ზომებია: სიგრძე — დაახლ. 15 მ., სიგანე— 13 მ-მდე.

1. ე. თაყაიშვილი. ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი. თბ., 1924, ტაბ. 47 (გეგმა).

2. ე. თაყაიშვილი. სომხით-საორბელოს ძეგლების წარწერები. პარიზი. 1929. გე. 86 — 93.



სურ. 115. ფიტარეთის ტაძარი. 1213—1222 წწ. გეგმა. ა. კალგინის ანაზომის მიხედვით.

## ახტალა

**XIII ს-ის I ნახევარი**

**ტაბ. 102, 103**

ამჟამად სომხეთის ტერიტორიაზეა, წინანდელ სომხითში. დიდი გუმბათოვანი ტაძარია. თავისი გეგმით ბეთანია-ფიტარეთის ჯგუფს მიეკუთვნება: სწორკუთხედი შვერილთა გარეშე, ერთი აფსიდი, ორი გუმბათქვეშა ბოძი. ფასადთა მორთულობა ორგანულად უკავშირდება იმავე ხანების ქართული ხუროთმოძღვრების ევოლუციას: აღმოსავლეთ ფასადზე ტრადიციული ორი ნიშაა, შუა ღერძზე კი, სარკმელთან ერთად, დიდი ჯვარი და ორი, კუთხით დაყენებული, მოჩუქურთმებული კვადრატი. დეკორაციული თაღების სისტემა უკუგდებულია. ცალკეულ კომპოზიციურ-დეკორაციულ მოტივებში შემოჭრილია ისლამური მოტივები, რომლებიც სხვა ქართულ ძეგლებში უფრო გვიან ჩნდება. ეს აიხსნება ძეგლის მდებარეობით საქართველო-სომხეთის სასაზღვრო რაიონში და ისლამურ სამყაროსთან მეტი სიახლოვით. დამახასიათებელია აგრეთვე კედლის დიდი, თავისუფალი სიბრტყეების დაუნაწევრებლად დატოვება ფასადებზე. ორნამენტის შესრულებას უკვე ერთგვარი სიმშრალე და სიხისტე ეპარება, თუმცა შესრულების ტექნიკური დონე მაღალია. შიგნით კედლის მხატვრობის მნიშვნელოვანი ნაწილებია დარჩენილი. წერილობითი საბუთების შეჯერებამ მკვლევარნი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ახტალის ტაძარი XIII ს-ის პირველი ორი ათეული წლის განმავლობაშია აგებული. მშენებელი იყო მხარგრძელთა გვარის ცნობილი წარმომადგენელი, — ივანე ათაბაგი. ძეგლის კორპუსი მთლიანად გადარჩენილია, მაგრამ გუმბათის ყელი აღარ არსებობს. ტაძარს კარიბჭეები და კაპელები აქვს მიშენებული, გარშემოც რამდენიმე სამლოცველო და დიდი სამსართულიანი კოშკია.

## წუღრუღაშენი

**1213-1222 წწ.**

**ტაბ. 159, 160**

ბოლნისის რაიონშია, თვით ბოლნისის სიონიდან ორიოდე კილომეტრის დაშორებით, მდ. ფოლადაურის მარჯვენა ნაპირას, მთის ფერდზე. აგრეთვე ბეთანია-ქვათახევ-ფიტარეთის ჯგუფს მიეკუთვნება, მაგრამ უფრო პატარაა და გუმბათის ყელის ძლიერ აზიდული პროპორციით გამოირჩევა. მდიდრული ორნამენტაციის შესრულების ხარისხი თანაბარი არ არის: ზოგი რამ (განსაკუთრებით გუმბათის ყელის საპირეები და კარნიზი) დიდად ოსტატური ნახელავია, ზოგ რასმე უკვე ხელოსნური სიმშრალის ბეჭედი აზის.

წარწერაში მოხსენიებულია გიორგი მეფე და ეკლესიის მშენებელი ვინმე ჰასან არსენისძე, იქაური მამულის მფლობელი.

ეკლესიის ზომები გარედან: სიგრძე — 12,5 მ., სიგანე — 9 მ., სიმაღლე შიგნით — დაახლ. 17 მ.

1. პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა. წუღრუღაშენი. თბ., 1952.

## ტიმოთესუბანი და ყინცვისი

**XIII ს-ის დასაწყისი**

**ტაბ. 168, 169**

ტ ი მ ო თ ე ს უ ბ ნ ი ს ეკლესია ბორჯომის რაიონშია, წაღვერს ზემოთ. ეს აგურით ნაშენი გუმბათოვანი ტაძარია. გეგმით, სივრცით, გარეგნული მასით იგი ახლო დგას ბეთანია-ქვათახევ-ფიტარეთის ჯგუფთან, მაგრამ, პენებრივია, მოკლებულია მათთვის დამახასიათებელ ორნამენტულ მორთულობას. დიდად საყურადღებო ძველი, ალბათ ძეგლის თანამედროვე. კედლის მხატვრობა გაიწმინდა 1971—73 წწ. გუმბათის ყელი კერამიკული ფერადი ჩანართებითაა შემკული.

ზომები უკარიბჭეოდ: სიგრძე — 20 მ., სიგანე — 13,8 მ., სიმაღლე შიგნით — 21,5 მ.

ყ ი ნ ც ვ ი ს ი ქარელის რაიონშია. საერთო იერით უახლოვდება ტიმოთესუბანს — ესეც აგურით ნაშენი გუმბათოვანი ეკლესიაა. გეგმაში არის ზოგი კერძო თავისებურება, რომლებიც შენობას რამდენადმე ანათესავებს საქართველოში ნაკლებად გავრცელებულ კუპელპალეს ტიპთან. ყინცვისის ტაძარი განსაკუთრებით ცნობილია თავისი შესანიშნავი ფრესკებით. ეს შუა საუკუნეთა ქართული კედლის მხატვრობის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლთაგანია. ისევე, როგორც ბეთანიაში, ჩრდილოეთის კედელზე აქაც გამოსახულნი არიან გიორგი III, თამარ მეფე და გიორგი ლაშა.

ზომები; სიგრძე დასავლ. მინაშენის გარეშე — 19,7 მ., მინაშენიანად — 24,5 მ., სიგანე მინაშენთა გარეშე — 14 მ., სიმაღლე შიგნით 24,3 მ.

1. პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა. შუა საუკუნეების ქართული გუმბათოვანი არქიტექტურის ზოგიერთი საკითხისათვის (ყინცვისი და ტიმოთესუბანი): საქართვ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXII—B, თბ., 1961, გვ. 71-102.

## მაღალაანთ ეკლესია

**XII ს-ის დასასრული**

**ტაბ. 104, 105**

ქართლშია, კასპის რაიონში, სოფ. წინარეხს ზემოთ, მდ. კავთურის მარცხენა ნაპირზე. აქ მთელი ფეოდალური ანსამბლის ნარჩენებია. იქაურობა, XV ს-დან მაინც, ძლიერ აზნაურებს მაღალაძეებს ეკუთვნოდა — აქედანაა სახელწოდებაც. ეკლესია ერთნავიანია, გრძელი ეკვტერით ფასადის მთელ სიგრძეზე. ეს ამ ტიპის შენობათა ერთი საუკეთესო ნიმუშთაგანია საქართველოში. პროპორციები მსუბუქი და ჰარმონიულია, ფასადთა დამუშავება (სამთაღედის სისტემა აღმოსავლეთსა და დასავლეთ ფასადებზე) ავტორის შემოქმედებით დამოუკიდებლობას მოწმობს; რეპერტუარისა და შესრულების მხრივ საინტერესო და ძალიან ოსტატურია ორნამენტაცია, საერთო დეკორაციული ეფექტისთვის ხუროთმოძღვარი ორი ფერის ქვის შეხამებასაც მიმართავს — ძირითად ყვითელ-ქვიშისფერთან ერთად, ლამაზი მწვანე ქვაც არის ნახმარი ორნამენტული ფრიზებისთვის.

სამრეკლოები და კოშკი ეკლესიის გარშემო — XVII-XVIII საუკუნეებისაა (იხ. ქვემოთ).

ეკლესიის ზომებია: სიგრძე — 12,5 მ., სიგანე უკარიბჭოდ — 7,5 მ., კარიბჭიანად — 11 მ-მდე, სიმაღლე შიგნით — 10,5 მ-მდე.

1. ვ ა ხ ტ ა ნ გ ბ ე რ ი ძ ე. მაღალაანთ ეკლესია: „ქართული ხელოვნება“, ტ. 5, თბ., 1959, გვ. 205-220.





სურ. 116 და 117. მაღალაანთ ეკლესია. XII ს. დასასრული. გეგმა და ორნამენტული დეტალები.
ანაზომი და ნახატი ე. ბერიძისა.



სურ. 118. მაღალაანთ ეკლესია. XII ს-ის დასასრული. აღმოსავლეთის ფასადი.
ანაზომი ე. ბერიძისა.

## გუდარეხი

**XIII ს.**

**ტაბ. 106, 107, 188**

გუდარეხის ძველი ნამონასტრალი ქვემო ქართლშია, თეთრიწყაროს რაიონში. სამონასტრო კომპლექსის შენობათა შორის მთავარია ხუროთმოძღვარ ჰიჰაფორისძის მიერ აშენებული დიდი ერთნავიანი ეკლესია, რომელიც რუსუდან დედოფლის მეფობის დროით, ე. ი. XIII ს-ის მეორე მეოთხედით, თარიღდება (სამხრეთის კედლის წარწერაში ნათქვამია: „...აეშენა წმინდა ესე ეკლესია ჴელითა ფრიად ცოდვილისა ჰიჰაფორისძისათა, სალოცველად და სადიდებელად დედოფალთ დედოფლისათჳს, რუსუდან დედოფლისა და შვილთა მისთა“. რუსუდანი 1222-1245 წლებში მეფობდა). ჩრდილოეთის მხრივ ეკლესიას მიშენებული აქვს (უფრო გვიან) აფსიდიანი ეკვტერი, რომლის კედლებშიაც ჩართულია რაღაც უფრო ადრინდელი (შესაძლებელია, X-XI სს.) შენობის ფრაგმენტები; სამხრეთის შესასვლელის წინ გვიანდელი კარიბჭის ნაშთია. დამახასიათებელია, რომ აღმოსავლეთის ფასადისთვის გამოყენებულია გუმბათოვანი ეკლესიებისთვის შემუშავებული სქემა: თითო სამკუთხა ნიშა საკურთხევლის სარკმლის მარცხნივ და მარჯვნივ, დიდი მოჩუქურთმებული ჯვარი სარკმლის თავზე, სარკმლის ქვეშ კი კუთხით დასმული ჩუქურთმიანი კვადრატების წყვილი (შუა ღერძის ასეთი კომპოზიციისათვის იხ. სამთავისი, იკორთა, ქვათახევი და სხვ.). მაგრამ ფასადების დეკორაციული თაღები აქ აღარ არის და კედლების სიბ-

რტყეები (გარდა აღმოსავლეთ კედლისა) მცირედაა დანაწევრებული. დიდი გლუვი ზედაპირების მნიშვნელობა ამ დროიდან თანდათან სულ უფრო და უფრო იზრდება. ჩუქურთმების შესრულება კარგ პროფესიულ დონეზეა. ეკლესიის შიგნით, გვიანდელ კანკელში აღმოჩნდა ძველი, XIII ს-ის, კანკელის ფრაგმენტები, რომლებიც გადმოტანილი იქნა თბილისს, ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. ეკლესიის წინ (აღმოსავლეთით), გალავანში ჩართული სამრეკლო დგას — ეს უძველესი დათარიღებული სამრეკლოა საქართველოში, აშენებული, წარწერის თანახმად, 1278 წელს. უადრესი ქართული სამრეკლოები სწორედ ამ ტიპისაა. სამონასტრო შენობებს შორის არის სასახლის, მარნისა და სენაკების ნანგრევები.

1938 და 1939 წლებში გუდარეხის ტაძრის გარშემო გათხრებს აწარმოებდა კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების ექსპედიცია შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმთან ერთად.

ეკლესიის ზომები გარედან მინაშენთა გარეშე: სიგრძე — 16,2 მ., სიგანე — 9,5 მ.

1. Е. Такайшвили. АЭРЗ, вып. II, Т., 1905, გვ. 26—35.
2. გუდარეხის პირველი და მეორე (1938 და 1939 წწ.) არქეოლოგიური კამპანიის ანგარიში. შეადგინეს ლ. მუსხელიშვილმა, შ. ხიდაშელმა და ვ. ჯაფარიძემ ლ. მუსხელიშვილის რედაქციით. თბ., 1954.

## საფარა

**XIII ს-ის დასასრული**

**ტაბ. 173, 174, 170**

საფარის მონასტერი, ოდესღაც სამცხის მფლობელ ჯაყელთა ერთ-ერთი რეზიდენცია, ახალციხიდან 10-12 კმ. მანძილზეა, სამხრეთ-აღმოსავლეთით, მთაში, საცხოვრებელი ადგილებისაგან მოშორებით. ყველაზე ადრინდელი შენობა დღემდის არსებულთა შორის უნდა იყოს X ს-ის ერთნავიანი ეკლესია მიძინების სახელობისა. აქ იყო ის ცნობილი კანკელი, რომლის ფრაგმენტებიც, მშვენიერი რელიეფური ქანდაკებებით, დღეს საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება. მთავარი ეკლესია — წმ. საბასი, — სამრეკლო და სასახლე (თლილი ქვით მოპირკეთებული სწორკუთხა შენობა, რომლისგანაც მხოლოდ ერთი სართული გადარჩა) აგებულია XIII ს-ის ბოლოს და XIV ს-ის დასაწყისში, როცა ჯაყელებმა საფარა თავის რეზიდენციად და საგვარეულო საძვალედ აქციეს. ამ დროს სამცხეს განაგებდა ენერგიული და შეუპოვარი ბექა მანდატურთუხუცესი, სარგისის ძე (სარგისი, ბექა და მისი ვაჟები სარგის II და ყუარყუარე დახატულნი არიან წმ. საბას ეკლესიის კედელზე). როგორც ტაძრის დასავლეთი კარიბჭის სარკმლის წარწერა გვამცნობს, „სრულ იქმნა საყდარი ესე საძირკველითვე ყოვლითა ფერითა ქელითა ფარეზას ძისათაო“, ასე რომ ჩვენ ვიცნობთ საფარის ხუროთმოძღვარსაც. წმ. საბას ტაძრის შესახებ იხ. ზემოთ, ძირითად ტექსტში. აქ შეიძლება დაემატოს, რომ დასავლეთის უჩვეულოდ მაღალი კარიბჭე, რომელსაც მთლიანი სივრცე, ღია თაღები, ვარსკვლავისებრი კამარები და უხვი ორნამენტაცია აქვს, განსაკუთრებით საზეიმო განწყობილებას ქმნის ტაძრის შესასვლელთან. შენობის კედლებზე სხვა წარწერებიც არის, რომლებიც გვამცნობს სხვადასხვა პირთა ნივთიერ მონაწილეობას მშენებლობაში.

სამრეკლო ადრინდელი ქართული სამრეკლოების ტიპისაა: ქვემო, კუბურ ნაწილში, ჯაყელთა მსახურთუხუცესის ლასურისძის საგვარეულო სამარხი იყო, ზემოთ — საკუთრივ სამრეკლო. შენობა მოკლებულია ორნამენტებს, მაგრამ I სართულში მხატვრობა იყო — ლასურისძეთა პორტრეტები.

საფარის მონასტრის ტერიტორიაზე გაფანტული სხვა სამლოცველოები XIV-XVI საუკუნეებშია აგებული. მონასტერს თავს დაჰყურებდა ციხე, გარშემო კი გალავანი ერტყა.

XVI ს-ის მიწურულში მიტოვებული მონასტერი XIX ს-ში რუსის ბერებმა განაახლეს. ზოგი რამ აქ მაშინ აშენდა, ზოგი ძველი ნაგებობა კი შეაკეთეს ან გადააკეთეს და დაამახინჯეს.

წმ. საბას ეკლესიის გარეთა ზომები: სიგრძე (უკარიბჭოდ) — 22,5 მ., სიგანე — 18 მ., სიმაღლე შიგნით — 23 მ., კარიბჭის შიდა ფართობია — 9×3 მ.

1. ვახტანგ ბერიძე. სამცხის ხუროთმოძღვრება. XIII-XVI საუკუნეები. თბ., 1955, გვ. 25-87.
2. ვახტანგ ბერიძე. სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები. თბ., 1970, გვ. 18-33.




სურ. 119. საფარა, წმ. საბას ტაძარი, XIII ს. დასასრული. დასავლეთის ფასადი. ე. ბერიძის ნახაზი, ე. ბერიძის, გ. ბერიძისა და ტ. გაბუნიას ანაზომის მიხედვით.



სურ. 120. საფარის მონასტერი. წმ. საბას ტაძარი (XIII ს-ის დასასრული) და მიძინების ეკლესია (X ს.) გეგმა. ვ. ბერიძის ნახაზი მ. შავიშვილის ანაზომის მიხედვით.

## ზარზმა

**XIV ს-ის დასაწყისი**

**ტაბ. 176, 177**

აგრეთვე ძველ მესხეთშია, ქვაბლიანის ხეობაში (რაიონის ცენტრ ადიგენიდან 6-7 კმ. დაშორებით). პირველი ეკლესია აქ ააშენა მონასტრის დამაარსებელმა ბერმა სერაპიონ ზარზმელმა, რომლის ცხოვრებაც (და მშენებლობის ამბებიც) მოთხრობილია ბასილი ზარზმელის ცნობილ თხზულებაში (სერაპიონის ცხოვრების დროის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. ყოველ შემთხვევაში, იგი ადრინდელი ფეოდალური ხანის მოღვაწეა).

ზარზმის უძველეს შენობებს ჩვენამდის არ მოუღწევია, ახლანდელ ზარზმაში ყველაზე ძველი ისტორიული ძეგლია წარწერა სამრეკლოს გვერდით მდებარე სამლოცველოს შესასვლელის თავზე (წინათ წარწერა სხვა შენობაში ყოფილა. ახლა მარჯვენა მხარე ჩამოჭრილი აქვს). წარწერა X ს-ის დასასრულისაა, იგი მოგვითხრობს დავით კურაპალატის დროინდელ ამბებს — ქართველთა ლაშქრობას ბიზანტიის იმპერატორთა დასახმარებლად, აჯანყებული ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ.

ზარზმის აწინდელი დიდი ტაძარი და სამრეკლო აგებულია XIV ს-ის პირველ წლებში, ბექა მანდატურთუხუცესის დროს (ჯაყელთა — სარგის I, ბექას, მისი შვილების ბექა II და ყუარყუარეს პორტრეტები, აქაც არის სამხრეთ კედელზე). ეკლესია თლილი ქვით მოპირკეთებული გუმბათიანი ნაგებობაა ორი თავისუფლად მდგომი გუმბათქვეშა ბოძით და ერთი აფსიდით, რომელიც სწორკუთხედის ფარგლებში რჩება. ფასადთა მდიდრული მორთულობა (კარ-სარკმელთა საპირეები, დიდი ჯვარი აღმოსავლეთ ფასადზე, როზეტები) XIII-XIV სს-თა მიჯნის ახალი ეტაპის დამახასიათებელია (იხ. ზემოთ, ძირითად ტექსტში).

ყურადღებას იპყრობს ლამაზი სტოა-კარიბჭე სამხრეთი ფასადის ვაყოლებით, განსაკუთრებით მისი სამი ღია თალი შესასვლელის წინ. შესაძლებელია, ეს კარიბჭე ადრე არსებული ეკლესიის გადმონაშთი იყოს.

ზარზმის ფრესკები ბევრ ისტორიულ პორტრეტს შეიცავს. XX ს-ის დასაწყისში ჩატარდა ზარზმის არქიტექტურისა და მხატვრობის რესტავრაცია. ამ რესტავრაციის დროს მხატვრობას, არსებითად, დაუკარგეს ორიგინალური სახე.

სამრეკლო ერთი უდიდესთაგანია საქართველოში — ესეც ორიარუსიანია: ქვემო კუბი გალავანში შესასვლელს წარმოადგენდა, ზემოთ საკუთრივ სამრეკლოა. 1577 წელს იქაურმა მფლობელებმა ხურციძეებმა სამრეკლოს I სართულის თაღები ამოაშენეს და აქ იოანე მახარებლის ეკლესია გამართეს.

ეკლესიის ზომები: სიგრძე — 20,5 მ., სიგანე (კარიბჭიანად) — 17,5 მ., სიმაღლე შიგნით — 24 მ.

1. ვ ა ხ ტ ა ნ ბ ე რ ი ძ ე. სამცხის ხუროთმოძღვრება. XIII-XVI საუკუნეები. თბ., 1955, გვ. 89-137.

2. ვ ა ხ ტ ა ნ გ ბ ე რ ი ძ ე. სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები. თბ., 1970, გვ. 63-73.



სურ. 121 და 122. თბილისის მეტეხის ტაძარი. 1278 — 1289. გეგმა და განივი განაკვეთი.



სურ. 123. თბილისის მეტეხის ტაძარი. 1273—1289 წწ. აღმოსავლეთის ფასადი.

## ႧႡႨႪႨႱႨႱ „ႫႤႲႤႾႨ"

**1278-1280 წწ.**

**ტაბ. 170—172**

ტრადიციის თანახმად, მეტეხის ტაძარი თბილისის ერთ-ერთი უძველესი ძეგლია, იგი თითქოს ვახტანგ გორგასალს აუგია V ს-ში. მიაჩნდათ, რომ შიგ დაკრძალულია ვარსქენ პიტიახშის წამებული მეუღლე შუშანიკი, რომლის ცხოვრებასაც მოგვითხრობს ქართული მწერლობის უძველესი გადარჩენილი ნაწარმოები. მაგრამ წერილობით წყაროებში არ არსებობს ცნობები ამ ადგილას სასახლის ან ეკლესიის არსებობისა და შუშანიკის დაკრძალვის შესახებ. ეს მაინც არ ნიშნავს, რომ აქ ადრევე არ იყო ეკლესია. პირიქით, მისი არსებობა უეჭველია.

სახელწოდება „მეტეხი" (უცნობი წარმოშობისა) პირველად XII ს-ის ამბებთან დაკავშირებით იხსენიება მატიანეებში. XII ს-ის ბოლოს, თამარის მეფობის დროს, ამ ადგილას სამეფო სასახლისა და ეკლესიის არსებობა დადასტურებულია თამარის „მეორე ისტორიკოსის" მიერ. 1235 წელს, მონგოლთა შემოსევის დროს, სასახლე და, როგორც ჩანს, ეკლესიაც გადაწვა თბილისის ციხისთავმა. სასახლე უკვე XIII ს-ის შუა წლებში აღადგინეს, ეკლესია კი დემეტრე თავდადებულმა აღადგინა 1278-1289 წლებს შუა. ჟამთააღმწერლის ცნობით, დემეტრემ „აღა-



სურ. 124. თბილისის მეტეხის ტაძარი. 1278—1289 წწ. ჩრდილოეთის ფასადი.

შენა პალატსა შინა მონასტერი ისანთა საყოფელად მეტეხთა ღთისმშობელისა და შეამკო განგებითა დიდითა და შესწირა სოფელნი და ზუარნი და განუჩინა მონაზონთა საზრდელი... და განაგო განგებითა კეთილითა".

ეკლესიის გეგმა (ოთხი თავისუფლად მდგომი ბოძი, სამი შვერილი აფსიდი) ამ დროისთვის სრულიად უჩვეულოა — უეჭველია, აქ მანამდე არსებული ძველი ეკლესიის გეგმაა განმეორებული. საუკუნეთა განმავლობაში შენობამ ბევრი ცვლილება განიცადა. XIII ს-ის ნაგებობისაგან მხოლოდ „გარსი" დარჩა — აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის კედლები კამარების დონემდე, დასავლეთი კედლის ქვემო ნაწილი, სამხრეთი (მტკერისაკენ მიმართული) კედლის აღმოსავლეთი ნაწილი. XVI-XVII საუკუნეებშია აგურით აღდგენილი ოთხივე ბოძი, დასაელეთის პატრონიკე, კამარები, გუმბათის ყელი. სამხრეთი კედლის დიდი ნაწილი XVIII ს-ში, ერეკლე II დროს უნდა იყოს აღდგენილი, არის XIX ს-ის ფენებიც.

XIX ს-ში, საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ, მეტეხის ძველი ციხე დაანგრიეს და მის მაგიერ საპყრობილე აღმართეს. ეკლესიაც დამახინჯდა. საპყრობილე გაუქმდა 1933 წელს. ამჟამად ეკლესია შეკეთებული და დაცულია, როგორც ისტორიული ძეგლი, XIX ს-ში აშენებული კორპუსები დანგრეულია და ეკლესიის გარემო კეთილმოწყობილია.

ეკლესიის ზომები გარედან: სიგრძე — დაახლ. 20,6 მ., სიგანე — 16 მ-მდე, სიმაღლე შიგნით — 24,5 მ.

1. ვახტანგ ბერიძე, რუსუდან მეფისაშვილი, ლევან რჩეულიშვილი, რენე შმერლინგი. თბილისის მეტეხის ტაძარი. თბ., 1969.

## სვანეთის ეკლესიები

**ტაბ. 178—180**

სვანეთი ძველი ქართული ხელოვნების ნამდვილი საგანძურია. საყოველთაოდ არის ცნობილი თაეისებური სვანური საცხოვრებელი სახლები. ცნობილია, რომ სვანეთში დაცული იყო შესანიშნავი ქართული ხელნაწერები და უამრავი ნიმუში ოქრომჭედლობისა — ბევრი რამ თვით სვანი ოსტატების გაკეთებული იყო. დიდი საეკლესიო შენობები სვანეთში არ უშენებიათ, მაგრამ ძალიან ბევრია ერთნავიანი მცირე ეკლესია VIII-IX—XIV საუკუნეებისა. ზოგ მათგანს გარშემოსავლელებიც აქვს. ეკლესიები ქვისაა (ნასვრეტოვანი ტუფის კვადრები, ნატეხი ქვა), ორნამენტაციის გარეშე, მაგრამ თითქმის ყოველთვის დეკორაციული თაღების მწკრივებით. შიგნით ეკლესიები მოხატული იყო — დღემდე დარჩენილია XI-XII საუკუნეების მნიშვნელოვანი ფრესკები, ცნობილია მხატვართა სახელებიც — მიქაელ მაღლაკელი, რომელმაც სოფ. მაცხვარიშის ეკლესია მოხატა XII ს-ში, ან თევდორე „მეფის მხატვარი“, რომლის სახელსაც უკავშირდება იფრარის, კვირიკესა და ივლიტეს, ნაკიფარისა და წვირმის ეკლესების მოხატვა (ზემო სვანეთში, XI ს-ის ბოლოს და XII ს-ის დასაწყისში). საინტერესოა ძველი (აგრეთვე მოხატული) კანკელები, ხის ჯვრები, რომლებიც ბევრ სვანურ ეკლესიაში იყო საკურთხევლის წინ აღმართული საგანგებო კვარცხლბეკებზე. გვხვდება მოხატულფასადებიანი ეკლესიებიც — მაგ. ლაშთხვერისა (მესტიის რაიონი, ზემო სვანეთი) და ჩაჟაშისა (ლენტეხის რაიონი, ქვემო სვანეთი), სადაც ფასადეზე ამირანდარეჯანიანის სცენებია დახატული.

აქ წარმოდგენილია კვირიკესა და ივლიტეს ეკლესია (სვანურად ლაგურკა), მოხატული თევდორეს მიერ 1112 წელს და აშენებული, ალბათ, ცოტა ხნით ამაზე ადრე.


1. Н. Аладашвили, Г. Алибегашвили, А. Вольская. Росписи художника Тевдоре в Верхней Сванетии. Тб., 1966.

2. Т. Вирсаладзе. Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхваришн; „ქართული ხელოვნება“, ტ 4, 1955, გვ. 169—231.

3. ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, 1910 წელს. პარიზი, 1957.


## გეგუთის სასახლე

**ტაბ. 180**

სადგ. რიონის მახლობლადაა, ქუთაისიდან სულ რამდენიმე კილომეტრის მანძილზე. დგას გაშლილ ველზე, რიონის მარცხენა ნაპირას. ე. წ. „ციხე-დარბაზი“ მეფის სანადირო ადგილებთან ახლოს იდგა. 1953-55 წლებში ძეგლის გასაწმენდად და გასამაგრებლად ჩატარებულმა მუშაობამ გამოარკვია, რომ სასახლე სამი ძირითადი ქრონოლოგიური ფენისაგან შედგება: ჯერ აქ ერთადერთი ბუხრიანი ოთახი ყოფილა — მცირე სამეფო „სანადირო სახლი“. XII ს-ში, გიორგი მესამის დროს, აგურისაგან ააშენეს დიდი დარბაზი, რომელიც მაღალ, თლილი ქვით ნაშენ, თითქმის სამმეტრიან ცოკოლზე დგას. XIII ან XIV სს მიეკუთვნება ორსართულიანი მინაშენი დასავლეთის მხრივ და სასახლის ეკლესია.

გეგუთის სასახლე დიდად დაზარალდა XIX ს-ში, როცა მის ქვებს საშენ მასალად ეზიდებოდნენ. 1953-სა და მომდევნო წლებში ჩატარდა მისი რესტავრაცია (არქ. ვ. ცინცაძე).



სურ. 125. გეგუთის სასახლე. ძირითადი ნაწილი XII ს-სა. გეგმა. ვ. ცინცაძის მიხედვით.


1. არქიტ. ვ. წილოსანი. გეგუთი, ციხე-დარბაზი: კრებული „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“. თბ., 1938, გვ. 449-467.



სურ. 126. გეგუთის სასახლე. განაკვეთი.

## აგარის მონასტრის „ტრაპეზი“

### XI-XII სს. მიჯნა

ეს დიდი, დღემდის სათანადოდ შეუსწავლელი, სამონასტრო კომპლექსი ახალციხის რაიონშია, მტკვრის ერთ-ერთი შენაკადის — ურაველის — ხეობაში, სოფ. ურაველიდან რამდენიმე კმ. დაშორებით, სრულიად განმარტოებულ ადგილას (ახლა თურქეთის საზღვართანაა). ყველაზე მნიშვნელოვანი აქაურ ძეგლთა შორის დიდი, მშვენივრად ნაშენი, ერთნავიანი ეკლესიაა, ალბათ X ან XI ს-ისა. არის ბევრი სხვა შენობაც — სამლოცველოები, სენაკები და სხვ... სატრაპეზო რომელიც დიდი ეკლესიის გვერდითაა, კარგადაა დაცული. მისი შესასვლელის თავზე ასომთავრული წარწერაა: „სახელითა ღმრთისაჲთა და მეოხებითა წმიდისა იოანე ნათლისმცემელისაჲთა, ერისთავთ ერისთავთა ბეშქენ და მურვანის მლოცველმან, მე ეფრემ ჳელვყავ შენებად ტრაპეზსა ამას და გამიკუეთეს ალაპი საუკუნოჲ საბობაჲ და ვინცა შემიცვალოს კრულმცა არს ღმრთისა პირითა“. საინტერესოა, რომ სატრაპეზოსათვის (ბერების სასადილოსთვის) ნახმარია ტერმინი „ტრაპეზი“. ბეშქენი და მურვანი იმ კუთხის მფლობელთა— ჯაყელთა — გვარს ეკუთვნოდნენ და XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე ცხოვრობდნენ.




სურ. 127 და 128. აგარის მონასტრის „ტრაპეზი“. XI-XII სს. მიჯნა. მთავარი ფასადი და სიგრძივი განაკვეთი. ანაზომი მ. კალაშნიკოვისა.

სატრაპეზოს ზომები გარედან: სიგრძე (შუა ღერძზეა) დაახლ. — 17,5 მ., სიგანე — 12 მ., მთავარი დარბაზის შიდა ზომები: დაახლ. 16,5×6 მ. (ე. ი. 100 კვ. მეტრამდე), სიმაღლე — დაახლ. 7 მ-მდე.

1. ვ ა ხ ტ ა ნ გ ბ ე რ ი ძ ე. აგარის მონასტრის ტრაპეზი: სსსრ მეცნ. აკად. მოამბე, VIII, № 1-2, თბ., 1947, გვ. 97-104.



## უბისი

**ეკლესია IX ს-ისა, კოშკი 1141 წლისა**

**ტაბ. 187**

სოფ. უბისი იმერეთშია, ორჯონიკიძის (ხარაგოულის) რაიონში, თბილის-ქუთაისის გზის მარცხნივ. აქ ძველ ნაგებობათა მთელი კომპლექსია: ერთნავიანი ეკლესია, რომლის აშენების ამბავი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება-'შია მოხსენებული, გვიანდელი, ალბათ XVI ს-ის, მინაშენები მის გარშემო (თავად აბაშიძეების მიერ გაკეთებული), რიყის ქვით აშენებული სამრეკლო და 1141 წლით დათარიღებული დიდად საინტერესო ნაგებობა — კვადრატული სამსართულიანი საცხოვრებელი კოშკი (დაყუდებული ბერისთვის?), აშენებული ნასვრეტოვანი ტუფის თლილი კვადრებით. ეს ერთი იშვიათი ნიმუშთაგანია იმდროინდელი საცხოვრებელი შენობისა, მით უფრო მნიშვნელოვანი, რომ ზუსტად არის დათარიღებული. 1967—69 წწ. ჩატარდა ძეგლის რესტავრაცია (არქ. ვ. ცინცაძე).

უბისი განსაკუთრებით ცნობილია ეკლესიის ფრესკებით, რომლებიც XIV ს-შია შესრულებული. ეს ქართული მონუმენტური მხატვრობის მნიშვნელოვანი ძეგლია, რომელიც ბიზანტიური მხატვრობის ე. წ. პალეოლოგურ სტილს უახლოვდება.

1. Е. Такайшвили. АЭРЗ, V, Т., 1915 გვ. 1—41.
2. ვახტანგ ცინცაძე. უბისის სვეტი: „ძეგლის მეგობარი“, კრებული მეთვრამეტე, თბ., 1969, გვ. 34-37.
3. რ. შმერლინგი. უბისის ტაძრის დათარიღების საკითხისათვის: სსსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XVI, № 2, თბ., 1955, გვ. 169-174.

## X-XII საუკუნეების ხიდები

**ტაბ. 105, 190**

ძველ საქართველოში უამრავი ხიდი არსებობდა, მაგრამ დღემდე ძველ ხიდთაგან ცოტა თუ გადარჩა. განვითარებული შუა საუკუნეების ეპოქაში ხიდები ქვისა შენდებოდა. უმეტესობა მაშინაც და უფრო გვიანაც ცალმალიანი (ერთთვლიანი) იყო, ისე რომ კონსტრუქცია ორსავე მხარეს უშუალოდ ნაპირის კლდეებს ებჯინებოდა. შუა მდინარეში ბურჯების ამოყვანას ერიდებოდნენ კონსტრუქციის სირთულის გამო, მაგრამ თუ მდინარის სიგანე მოითხოვდა, ასეთი ბურჯების აგებაც შეეძლოთ. მალები, რა თქმა უნდა, ყოველთვის თაღოვანია, დამახასიათებელია, აგრეთვე, ხიდების კუზიანობა. XI-XII ს-თა კარგი ნიმუშებია ბესლეთის ხიდი სოხუმთან, დონდალოს ხიდი აჭარაში (აჭარისწყალზე) და მდ. თეძამზე ქართლში, რკონის მახლობლად.

მდ. ბესლეთზე აშენებული ხიდი (სოხუმის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 8 კმ მანძილზე) ერთთაღიანია. მალის სიგრძეა 13,30 მ., ხიდის მთლიანი სიგრძე 35 მ., თაღის სიმაღლე წყლის დონიდან — 8 მ. (რის გამოც ხიდი არ იფარებოდა წყალდიდობის დროსაც), ხოლო სიგანე— სულ 4,70 მ., (ამგვარი სივიწროვე ძველი ქართული ხიდების დამახასიათებელია). ხიდი ქვისაა, კირის ხსნარზე ნაშენი. მოსაპირკეთებელი ბლოკები სიმაღლით 1 მეტრია, სიგანით 30-35 სმ., მათ შორის აგურშერეული დუღაბის ფართო ფენებია. ქვებზე შერჩენილია ძალიან ლამაზი ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი. ხიდის გაანგარიშებამ დაადასტურა, რომ მას დიდი დატვირთვის გაძლება შეეძლო.

1. ლ. რჩეულიშვილი და ნ. ჩუბინაშვილი. XI-XII სს. ხიდი მდინარე ბესლეთზედ: შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა. თბ., 1938, გვ. 265-280 (აქვეა დამატება: ინჟ. კონსტრ. ვ. მარსოვის „ხიდის გაანგარიშების განმარტებითი ბარათი“).

## აწყური, ხერთვისი, ოქროსციხე

**ტაბ. 100—104**

ეს სამი ციხე, რომლებიც ისტორიულ მესხეთში მდებარეობს (პირველი ორი მტკვრის ხეობაშია), დიდ როლს თამაშობდა საქართველოს ცხოვრებაში შუა საუკუნეთა მანძილზე.

აწყურის ციხე აღმართულია უზარმაზარ კლდოვან მასივზე და თავს დაჰყურებს ამავე სახელწოდების სოფელს (ახალციხიდან 22 კმ-ის მანძილზეა, ბორჯომ-ახალციხის გზაზე). წინათ აწყური ქალაქი იყო, უკვე VIII-IX სს-ში აქ საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა. აწყურის ტაძარი, რომლის ნანგრევები დღემდეა დარჩენილი, მესხეთის მთავარი სალოცავი იყო. XVI ს-ში, როცა ფეოდალური გათიშულობისა და დაქუცმაცების დროს, ეროვნული შეგნებაც შეირყა, მესხეთის მფლობელებმა თავისი ეკლესიის დამოუკიდებლობაც გამოაცხადეს და მეთაურად აწყურის ეპისკოპოსი (მაწყვერელი) დასვეს.

აწყურის ციხე საუკუნეთა მანძილზე რამდენიმეჯერ დაუნგრევიათ და აღუდგენიათ, ასე რომ იგი სხვადასხვა ქრონოლოგიური ფენებისაგან შედგება. შესასვლელი

მოწყობილია საკმაოდ დაბლა, თითქმის მტკვრის პირას— ეს არის კლდეში გამოკვეთილი ვიწრო და გრძელი გვირაბი. ციხის აღება ამ გვირაბში შეღწევის შემდეგაც ჭირდა, რადგანაც მისი შიდა შენობები განლაგებულია ძალიან ძნელად მისადგომ კლდეებზე. რელიეფი მარჯვედაა გამოყენებული, ბუნებრივი კლდეები და ნაშენი კედლები ორგანულად ერწყმის ერთმანეთს.

ოქროსციხე — ერთი ყველაზე დიდებულთაგანი საქართველოში — აგრეთვე მაღალ კლდეზეა და თავს დაჰყურებს ძალიან დიდ სივრცეს. იგი ახალციხე-ადიგენის გზის მახლობლადაა, მის მარჯვნივ (შედის ადიგენის რაიონში). შიდა ციხე ზედ კეხზე დგას, კედლები კი კალთებზე ეშვება. ისევე, როგორც აწყური, ესეც რთულ გეგმიანი და მრავალდონიანია. სქელი კედლები ტლანქად დამუშავებული დიდი ლოდებითაა ნაშენი, მათი სიმაღლე ზოგან 10 მ-მდე აღწევს.

ოქროსციხე სამცხის ათაბაგ ჯაყელთა ერთი უმთავრესი დასაყრდენთაგანი იყო. სლესის, წრიოხის, ოძრხის, ერემქალის, აწყურის, ასპინძის, ხერთვისისა და სხვა ციხეებთან ერთად, იგი ჰკრავდა სიმაგრეთა ჯაჭვს, რომელიც გარკვეული სისტემით იყო განლაგებული უმთავრეს გზებზე და უმთავრესი ცენტრების გარშემო. მისი როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო XV-XVI საუკუნეებში, როდესაც საქართველოს თურქები მოეძალნენ, ოქროსციხის ხსენება ხშირია ე. წ. მესხური დავითნის ქრონიკაში.

ხერთვისი აღმართულია კლდოვან კონცხზე იქ, სადაც ჯავახეთის მტკვარი არტაანის მტკვარს ერთვის, ვარძიიდან 14 კმ-ის, ხოლო რაიონის ცენტრ ასპინძიდან 16 კმ-ის მანძილზე. ისტორიულ წყაროებში იხსენიება, როგორც საქართველოს ერთი უძველესი ციხეთაგანი. X ს-ში იგი, უეჭველია, უკვე არსებობდა და ზოგი მისი ნაწილი შეიძლება სწორედ ამ ხანას მიეკუთვნოს. აწყურისა და ოქროსციხისაგან განსხვავებით, მას კლდის კეხის გაყოლებით წაგრძელებული და უფრო კომპაქტური გეგმა აქვს. მისი კოშკები უკეთესადაც არის დაცული (თუმც კი მაინც დაზიანებულია). მკაფიოდ გამოიყოფა მთავარი კოშკი — დონჟონი, კვადრატული გეგმის მქონე, ოდნავ მომრგვალებული კუთხეებით, მაღალი და მძლავრად აზიდული. მისი კედლები კარგად დამუშავებული და წესიერად დაწყობილი ქვითაა ნაშენი, ფორმები მკაფიოდ ჩამოყალიბებულია. დარჩენილია მძლავრი გარეთა კედლებიც. მშენებლობა გვიანაც წარმოებდა — აქ ნაპოვნი ერთი წარწერის თანახმად, რომელიღაც კოშკი 1354-1356 წლებშიაც აუშენებიათ. XIV ს-ში, თურქების შემოსევის დროს, ციხე რამდენიმეჯერ გადადიოდა ხელიდან ხელში. XVI ს-ის მიწურულიდან სამსავე ციხეს, ისევე, როგორც მთელ მესხეთს, თურქები დაეპატრონენ. აწყური, ოქროსციხე და ხერთვისი მათგან გათავისუფლებულ იქნა 1828 წელს, მას შემდეგ, რაც თურქეთი დამარცხდა რუსეთთან ომში.

დღესდღეობით ამ სამ ციხეთაგან არც ერთი არ არის სათანადოდ შესწავლილი და გაზომილიც კი.

1. Е. Такайшвили: МАК, XII. М., 1909, გვ. 22.
2. ვახტ. ბერიძე. სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები. თბ., 1970.

## ᲓᲐᲕᲘᲗ-ᲒᲐᲠᲔᲯᲐ

ტაბ. 184—190

გამოქვაბულ მონასტერთა გრანდიოზული კომპლექსი. ერთი უდიდესთაგანი მსოფლიოში. მდებარეობს თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთით 60-70 კმ. მანძილზე, საგარეჯოს რაიონში, იმ მთების კალთებზე, რომლებიც ივრისა და მტკვრის აუზებს ჰყოფს. გადაჭიმულია დაახლ. 25 კილომეტრის მანძილზე. უძველესი მონასტერი — დავითის ლავრა — დაარსებული VI ს-ში, ერთ-ერთი ასურელი მამის დავით გარეჯელის მიერ. მის დროსვე შეიქმნა ორი სხვა მონასტერიც (ფილიალები), რომლებიც საერთო კომპლექსში შედის — ე. წ. დოდოს-რქა და ნათლისმცემელი. სამი სხვა მონასტერი — უდაბნო, ჩიჩხიტური და ბერთუბანი უფრო გვიანაა დაარსებული.

შუა საუკუნეთა მანძილზე, თვით XVIII ს-ის მიწურულამდე, აქ არ შეწყვეტილა სამონასტრო ცხოვრება, სასულიერო და შემოქმედებითი მოღვაწეობა. განსაკუთრებული აყვავების ხანა XI-XIII საუკუნეები იყო, საქართველოს სამეფოს გაერთიანების დროს. დავით-გარეჯაში მრავალი ასეული გამოქვაბული სენაკი, ეკლესია, სამლოცველო და სატრაპეზოა. ბევრი მათგანის კედლებმა შემოგვინახა დიდად მნიშვნელოვანი ძველი ფრესკები (ისტორიული პირების — მათ შორის თამარ მეფისა და ლაშას — პორტრეტებით). აქტიური მშენებლობა იყო გვიანა ფეოდალურ ხანაშიც — XVI-XVIII საუკუნეებში: ამ ხანას მიეკუთვნება ზოგი საფორტიფიკაციო ნაგებობა, საცხოვრებელი კოშკები და გამოქვაბული ოთახებიც.

მთლიანად დავით-გარეჯის მონასტერს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს შუა საუკუნეთა ქართული კულტურის ისტორიაში.

1. Г. Чубинашвили. Пещерные монастыри Давид-Гареджи. Тб., 1948.
2. თეიმურაზ თოდუა. გარეჯა (მონასტერთა ლოკალიზაციისათვის): ძეგლის მეგობარი, კრებული 31—32, თბ., 1973, გვ. 16—30.

## ვარძია

**XII ს.**

**ტაბ. 181—183**

გამაგრებული მონასტერი ვარძია ძველ მესხეთშია, სამცხისა და ჯავახეთის მიჯნაზე, არტაანის მტკვრის მარცხენა ნაპირზე, რაიონის ცენტრ ასპინძიდან 30 კილომეტრის დაშორებით.

ვარძიის მშენებლობის ამბავი მატიანეებშია მოთხრობილი. იგი გიორგი მესამემ დაიწყო და თამარმა დაასრულა. თამარმა „ჰელ-ყო აღშენებად საყოფელსა გამმარჯუებელსა მისსა... ვარძიისა ღმრთის მშობელსა... რომელი კლდისაგან გამოჰკუეთა, თჳთ პატიოსანი ეკლესია და მონაზონთა საყოფი სენაკები, რომელი მტერთაგანცა შეუვალ და უბრძოლველყო. ესე ვარძია პირველ დაეწყო სანატრელსა მამასა მისსა გიორგის, გარნა ვერ სრულ ექმნა და დაეტევა, რომელ დიდმან ამან აღასრულა და შეამკო ყოვლითურთ, შესწირნა მრავალნი და დიდროანი სოფლები, და შეჰკაზმნა ტრაპეზისა შემოსავალნი დიდნი, რომელი ყოველისაგანცა მოთხრობა ძნელ არს" („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი"). მთავარი ეკლესია და მისი მხატვრობა 1184-1186 წწ. მიეკუთვნება. თამარის აქაური პორტრეტი უადრესია, თამარ მეფე ჯერ კიდევ გათხოვებამდეა დახატული, ამიტომ არ არის აქ გიორგი ლაშა, რომელსაც ბეთანიისა და ყინცვისის პორტრეტულ ჯგუფებში ვხვდებით.

ვარძიის მთელ ანსამბლში უკეთაა დაცული აღმოსავლეთი ნაწილი. აქ მთლიანად ან ნაწილობრივ გადარჩენილია 242 გამოქვაბული ოთახი. მათ შორის გვხვდება დარბაზი, რომლის ზომაა 5,6×18 მ., მისი კედლები განსაკუთრებული სიბეჯითითაა დამუშავებული. ამავე ნაწილშია მცირე ეკლესია „სადარბაზო", თამარის ოთახად ცნობილი გამოქვაბული, ე. წ. „სალხინო" (აქ მარანია) და სხვ... მონასტერს, რა თქმა უნდა, ჰქონდა სატრაპეზო და ბევრი სხვადასხვა სამლოცველო, იყო საგანგებო თავშესაფარი სამალავი ოთახებიც. მონასტერი მომარაგებული იყო წყლით. მთავარი ეკლესის მახლობლად, სიღრმეში, ბუნებრივი წყაროც არის.

1552 წელს ვარძია აიღო და გაძარცვა ირანის შაჰმა თამაზმა. შემდეგ, თურქობის დროს, ვარძია მიტოვებული იყო. იგი ასე თუ ისე გამოცოცხლდა XIX ს-ში, მაგრამ მისი ნამდვილი დაცვა და შესწავლა დაიწყო ჩვენს დროს, განსაკუთრებით 1938 წლის შემდეგ, როდესაც აქ მუზეუმ-ნაკრძალი დაარსდა.

1. ც. გაბაშვილი. ვარძია. გზამკვლევი. თბ., 1945.
2. კ. მელითაური. ვარძიის სამშენებლო-ხუროთმოძღვრული შესწავლის საკითხები. თბ., 1961.
3. К. Н. Мелитаури. Вардзия. Тб., 1963 (მოკლე ტექსტი რუსულად და ინგლისურად).
4. Гиви Гаприндашвили. Пещерный ансамбль Вардзия. Тб. 1960.
5. Вардзия. Vardzia. 1966 (გზისმკვლევი, ტექსტის ავტორი — ც. გაბაშვილი).

## გერგეტის სამება

**XIV ს.**

**ტაბ. 107, 108**

ეს ერთადერთი გუმბათოვანი და, იმავე დროს, ყველაზე დიდი ეკლესიაა ხევში — ხევის მთავარი სალოცავი (რაიონის ცენტრ ყაზბეგის მახლობლად, სოფ. გერგეტის ზემოთ, მთაზე). გეგმა იმ დროისთვის ტრადიციულია — მოკლე სწორკუთხედი, ორი გუმბათქვეშა თავისუფლად მდგომი ბოძი. გარედან ყურადღებას იპყრობს მასიური („კუბური"), პროპორციები, ფასადთა თავისუფალი სიბრტყეები, ორნამენტების კონცენტრაცია სარკმელთა და შესასვლელთა საპირეებში, ფასადთა ჯვრებში. კარნიზები (როგორც საერთოდ ამ დროს) მოურთავია. ძეგლი თარიღდება XIII-XIV სს-თა მიჯნის ძეგლებთან სტილისტიკური სიახლოვის საფუძველზე. სამრეკლო ეკლესიის თანამედროვეა და მასთან ერთად განუყოფელ ანსამბლს ქმნის.

ეკლესიის გარეთა ზომები: სიგრძე — 15,6 მ., სიგანე — 12 მ. სიმაღლე შიგნით — 18,25 მ.

1. თ. სანიკიძე. გერგეტის ტაძარი: სსრ მეცნ. აკად. საზოგ. მეცნ. განყ. მაცნე, თბ., 1967, № 1, გვ. 242-266.



სურ. 130. ღოუბანი, „ორმოცნი" XVI ს. გეგმა. ანაზომი ნ. სევეროვისა




სურ. 130. ღოუბანი, „ორმოცნი", XVI ს. გეგმა. ანაზომი ნ. სევეროვისა.



სურ. 131. ეკლესია „გულბანდიანი" საქარის მახლობლად. XVI ს. გეგმა, განაკვეთი, აღმოსავლეთის ფასადი, პერსპექტივა. ანაზომი გ. ლეჟავასი.

## თბილისის „ჯვარისმამა“ და ლოუბნის „ორმოცნი“

**XVI ს.**

**ტაბ. 100, 200**

ეს ორი, ერთმანეთის მონათესავე ეკლესიაა, გუმბათოვანი, აგურით ნაშენი, რომელთაც ჩვენ XVI ს-ეს ვაკუთვნებთ. „ჯვარისმამა“ თბილისშია, ლესელიძის ქუჩაზე (ჯვარის მამა იერუსალიმის ჯვარის მონასტრის წინამძღვარს ნიშნავს. ამ ეკლესიას ეს სახელი იმიტომ შეარქვეს, რომ იგი იერუსალიმის საპატრიარქოს ეკუთვნოდა და იქაური ქართველი ბერების მეტოქი — ფილიალი — იყო).

„ორმოცნი“, ანუ ორმოცი მოწამის ეკლესია ქოროღლის ციხის ძირში მდებარეობს — უახლოესი სოფელია თეთრიწყაროს რაიონის სოფელი ლოუბანი. ეს სწორკუთხედებია, შვერილებს გარეშე, აფსიდიანი საკურთხევლებით, უაფსიდო სადიაკვნითა და სამკვეთლოთი. გეგმის სპეციფიკას ის შეადგენს, რომ გუმბათი ეყრდნობა აფსიდის კუთხეებსა და გრძივი კედლებიდან პერპენდიკულარულად გამოწვდილ შვერილებს, და არა ცალკე მდგომ ბოძებს. ამით ეს გეგმები ე. წ. კუპელპალეს ტიპს უახლოვდება. გვიანა ფეოდალური ხანის დამახასიათებელია გუმბათოვანი ეკლესიის სხვადასხვა ვარიანტების ამოტივტივება. კუპელპალეს თავისებური ვარიანტი XVIII ს-შიაც შეგვხვდება (იხ. ქვემოთ, მანავი).

„ჯვარისმამის“ გარეთა ზომებია 13,15 მ.×9,25 მ., „ორმოცთა“ ზომები — 9,8 მ.×7,0 მ.

## გულგანდიანი

**XVI ს.**

თლილი ქვით მოპირკეთებული მცირე გუმბათიანი ეკლესია იმერეთში, სოფ. საქარის მახლობლად (ზესტაფონის რაიონში). გეგმა „თავისუფალი ჯვრის“ ტიპისაა, ე. ი. კვლავ ცოცხლდება ტიპი, რომელიც ჩვენში მხოლოდ X ს-მდე იყო გავრცელებული, შემდეგ კი თითო-ოროლა გამონაკლისის სახით ჩნდებოდა. ამის მონათესავე ნიმუშია ე. წ. გიორგისეული ეკლესია სოფ. სავანეში (საჩხერის რაიონი, ყვირილის ხეობა), „თავისუფალი ჯვრის“ გეგმა აქვს ტყვირისა და ქორეისუბნის ეკლესიებსაც (სამეგრელოში), რომლებიც, შესაძლებელია, XV ს-ისა იყოს (ნაშენია ქვითა და აგურით).

## ახალი შუამთა, გრემი

**XVI ს.**

**ტაბ. 201—204, 228**

XVI ს-ის მანძილზე კახეთის სამეფო საქართველოს სხვა ნაწილებზე უფრო მოსვენებული იყო უცხოელ მტერთაგან და ეკონომიური მდგომარეობაც უკეთესი ჰქონდა. ამ დროს ინტენსიური მშენებლობა წარმოებდა. XVI ს-ში ჩამოყალიბდა სამეფოს დედაქალაქად გრემი (იხ. ზემოთ, ძირითად ტექსტში), სადაც მდიდარი სასახლეები, მრავალრიცხოვანი ეკლესიები, ქულბაქები და აბანოები იყო, რომ აღარაფერი ვთქვათ საცხოვრებელ სახლებზე. გრემი XVII ს-ის დასაწყისში დაანგრია შაჰ-აბასმა და მას შემდეგ ფეხზე აღარ წამომდგარა.

XVI ს-სვე მიეკუთვნება კახეთის ეკლესიების მთელი ჯგუფი, რომელიც თავისებური თვისებებით გამოირჩევა: ეს აგურის გუმბათოვანი შენობებია, ძლიერ აზიდული პროპორციებით. გეგმა წინა საუკუნეებში შემუშავებულ ტრადიციას მისდევს: მოკლე სწორკუთხედი შვერილთა გარეშე, აფსიდიანი საკურთხეველი, სამი სწორკუთხა მკლავი. ფასადთა დამუშავება ისრული თაღებით (უფრო სწორად — ბრტყელი ისრულ-თაღოვანი ნიშების სისტემით), აგურის წყობით გამოყვანილი ჯვრები და სახეები ირანული გავლენის შემოღწევას მოწმობს, თუმცა ტაძრის ძირითადი სტრუქტურა სავსებით ქართულია.

ამ ჯგუფის ნიმუშთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ორი:

*ახალი შუამთის მონასტრის ეკლესია* (ახალი შუამთა თელავთანაა, ძველი შუამთიდან 2-3 კმ. მანძილზე), აგებული XVI ს-ის ორმოციან წლებში ლევან კახთა მეფის მეუღლის თინათინ დედოფლის თაოსნობით. განსაკუთრებით დამახასიათებელია თავისი „გოთური“ პროპორციების მხრივ (შედარებისათვის: XI ს-ის ალავერდში გუმბათქვეშა სივრცის სიგანისა და სიმაღლის შეფარდებაა 1:2,8, ხოლო ახალ შუამთაში დაახლ. 1:3,84). ეკლესიას ჰქონდა სამმხრივი გარშემოსავლელი, რომელიც ახლა აღარ არსებობს.

ეკლესიის გარეთა ზომებია: სიგრძე — 18 მ., სიგანე — 13 მ., სიმაღლე შიგნით — 24 მ.

ეკლესიის გვერდით დიდი მრავალსართულიანი სამრეკლოა, რომელშიც თინათინ დედოფლის საცხოვრებელი ოთახებიც იყო. გეგმა — 8,3× 8,8 მ., სიმაღლე გარედან — 25 მ-მდე.

*გრემის მთავარანგელოზთა ეკლესია* — ბორცვზე, რომელიც ქალაქს თავს დაჰყურებს. აგებულია XVI ს-ის სამოციან წლებში, თვით ლევან კახთა მე-





სურ. 132 და 133. ახალი შუამთის მონასტრის ეკლესია. XVI ს. ორმოციანი წლები. გეგმა და სიგრძივი განაკვეთი. ანაზომი ნ. სევეროვისა.



სურ. 134 და 135. ახალი შუამთის მონასტერი, სამრეკლო. XVI ს.. განაკვეთი და გეგმები. ანაზომი ნ. სევეროვისა.





სურ. 136. გრემი, მთავარანგელოზთა ეკლესია. XVI ს. განაკვეთი და გეგმა. ანაზომი ნ. სევეროვისა.

ფის ბრძანებით. მშენებლობა, როგორც ჩანს, დამთავრდა 1565 წელს.

საერთო იერით ახლო დგას ახალი შუამთის ეკლესიასთან, მაგრამ უკეთ აქვს შენარჩუნებული თავდაპირველი სახე, რაკი ფასადები გადარჩა შელესვა-შეთეთრებას.

ეკლესიის გარეთა ზომებია: სიგრძე—16 მ., სიგანე — 12,5 მ., სიმაღლე შიგნით — 20 მ.

ამ ჯგუფის სხვა ეკლესიებია შიხიანის „აღდგომა", ჰიკაანის ეკლესია და სხვ.

I. Г. Н. Чубинашвили. Арх. Ках. გვ. 440—454.

## მჳადიჯვარი

**1668 წ.**

**ტაბ. 205**

მჳადიჯვარი მუხრანსა და დუშეთს შორის მდებარეობს. ადმინისტრაციულად დუშეთის რაიონს ეკუთვნის. აქ დგას კარგად შენახული აგურის დიდი გუმბათოვანი ეკლესია, აგებული 1668 წელს კათალიკოს დომენტის მიერ, როგორც ამას გრძელი სამშენებლო წარწერები მოწმობს. ეს გვიანფეოდალური ხანის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საეკლესიო ნაგებობათაგანია. გეგმა ტრადიციული აქვს — სწორკუთხედი, აფსიდიანი საკურთხეველი, სამი სწორკუთხა მკლავი ჯვაროვანი სივრცისა, ორი თავისუფლად მდგომი გუმბათქვეშა ბოძი. სადიაკვნესა და სამკვეთლოს ზემოთ თითო ოთახია, რომლებიც შეწყვილებული ღია თაღებით უკავშირდება გუმბათქვეშა სივრცეს— მოტივი სვეტიცხოვლიდან უნდა იყოს ნასესხები. შენობის ფასადები მოკლებულია რაიმე სამკაულებს.

XVIII ს-ში, 1746 წ., მას შემდეგ, რაც სოფელი ლეკებმა დაარბიეს და გაძარცვეს, კონსტანტინე მუხრანბატონმა აქ გალავანი ააშენა. მისი ნაწილები დღემდეა გადარჩენილი.

ეკლესიის გარეთა ზომებია: სიგრძე — 20,4 მ., სიგანე — 17 მ., სიმაღლე შიგნით — 23 მ-მდე.

[1] ვახტანგ ბერიძე. მჳადისჯერის ეკლესია 1668 წლისა: საიუბილეო კრებული. ალ. ბარამიძეს დაბადების 70 წლისთავზე. თბ., 1974, გვ. 21—30;

## ბარაკონის „ღვთისმშობელი"

**1753 წ.**

**ტაბ. 206**

ეს დიდი, თლილი ქვით მოპირკეთებული და მდიდრულად მოჩუქურთმებული, ეკლესია რაჭაშია, რიონის ხეობაში, სოფ. წესის მახლობლად (ონის რაიონი). იგი 1753 წელს ააგეს რაჭის ერისთავის როსტომის ბრძანებით. ეს ნაამბობია შესასვლელთა ტიმპანებში მოთავსებულ ძალიან გრძელ და მაღალფარდოვან წარწერებში. ცნობილია ხუროთმოძღვარიც — ავთანდილ შულავრელი. შენობის გეგმა ტრადიციულია — სწორკუთხედი, საკურთხევლის აფსიდი, ორი თავისუფლად მდგომი გუმბათქვეშა ბოძი. ორნამენტაცია ტექნიკურად კარგი შესრულებულია, მაგრამ ხისტი და დაქუცმაცებულია. საყურადღებოა მისი მჭიდრო კავშირი ეროვნულ ტრადიციასთან. ირანული გავლენის კვალი (წინააღმდეგ აღმოსავლეთ საქართველოს მაშინდელი ძეგლების უმეტესობისა) აქ არ შეინიშნება.

ეკლესიის გარეთა ზომებია: სიგრძე — 18,7 მ., სიგანე — 15 მ.,

1. გ. ბოჭორიძე რაჭის ისტორიული ძეგლები: საქართვ. მუზეუმის მოამბე. VII, ტფ, 1933, გვ. 245—257.



სურ. 137. მანავის ეკლესია. 1794 წ. ინტერიერი. ვ. ბერიძის ნახატი.

## მანავის ეკლესია

**1794 წ.**

მანავი გარე კახეთშია, თბილისიდან 62-ე კილომეტრზე, აღმოსავლეთით, თბილის-სიღნაღის გზაზე.

ეკლესია აქ დასახელებულია, როგორც ერთი უკანასკნელი ნიმუშთაგანი ძველი ქართული გუმბათოვანი ეკლესიებისა, ზუსტად დათარიღებული წარწერით (რომელიც ახლა უკვე დაკარგულია). ეს შენობაც მაჩვენებელია გვიანა ფეოდალურ ხანაში ეკლესიათა გეგმების სიჭრელისა— ისიც კუპეჰალეს ტიპის თავისებური რემინისცენციაა, როგორც თბილისის „ჯერისმამისა" და ლოუბნის „ორმოცი მოწამის" ეკლესიები (იხ. ზემოთ). შენობა მცირეა, სრულიად დაუმუშავებელი რიყის ქვის კედლებითა და აგურის კამარებითა და გუმბათით.

მანავში კახთა მეფეების ციხის ნანგრევებიცაა.

ეკლესიის ზომები გარედან: სიგრძე — 10,85 მ., სიგანე — 6,90 მ., სიმაღლე შიგნით — დაახლ. 10,5 მ.

1. Г. Н. Чубинашвили. Арх. Кат., გვ. 472.

## ნინოწმინდის სამრეკლო

**XVI ს.**

**ტაბ. 207**

დგას ძველი საეპისკოპოსო ტაძრის გალავანში (იხ. ზემოთ, ნინოწმინდა). XVI-XVIII სს-თა ეპოქის აგურის არქიტექტურის ერთი საუკეთესო ნიმუშთაგანი. ქვემო სამი სართული ერთიან კვადრატულ კოშკურ მასივს ქმნის, მეოთხე — საკუთრივ სამრეკლო — რვაბოძიანი გამჭოლი ფანჩატურია. ქვემო სამ სართულში თითო კამაროვანი ოთახია ისრული სარკმლებით, ნიშებითა და ბუხრებით. კიბე კედლის სისქეშია. ფასადების კომპოზიცია კარგა-



სურ. 138. ნინოწმინდის სამრეკლო. XVI ს. სართულთა გეგმები, განაკვეთი და ფასადი. ანაზომი ნ. სევეროვისა.

დაა გაახრებული, იგი დამუშავებულია გარკვეული სიმეტრიით განლაგებული ისრული თაღებით, რომბებით, აგურის წყობით გამოყვანილი ჯერებით (ამ დროისთვის დამახასიათებელი მოტივია, რომელიც აგურის ყველა ძეგლში მეორდება სტერეოტიპულად — ისრული თაღი სწორკუთხა ჩარჩოში).

ნინოწმინდის სამრეკლო სიდიდითაც ერთი პირველთაგანია საქართველოში.

1. Г. Н. Чубинашвили. Арх. Ках., გვ 497 – 508.

## თბილისი, ანჩისხატის სამრეკლო

**1675 წ.**

ტაბ. 208

დგას შაეთელის ქუჩაზე, ანჩისხატის ეკლესიიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით დასავლეთის მხრივ. ქვემო კუბური კორპუსი, რომლის I სართულიც ეკლესიის ეზოში ჩასასვლელს წარმოადგენს (ეკლესია ქუჩის დონეზე დაბლაა), ხოლო მეორეში ოთახებია — აგურისაა, საკუთრივ ფანჩატური — ქვისა, აგურისავე პირამიდული გადახურვით. შენობა ზუსტადაა დათარიღებული დომენტი კათალიკოსის მხედრული წარწერით, რომელიც ქუჩის მხარეს (დასავლეთის ფასადში) არის ჩასმული შესასვლელის ზემოთ: „ჩვენ, ქრისტეს მიერ კურთხეულმან ბატონიშვილმან კათალიკოზმან დომენტი აღვაშენე სამრეკლო და განვაახლე საყდარი ესე სულისა ჩვენისა საოხად მეფობასა ქართველთასა შანავაზისასა, ქორონიკონსა ტნიგ“. შაჰნავაზს ვახტანგ V უწოდებდნენ. ტნიგ — 363 + 1312 = 1675.

1. Г. Н. Чубинашвили. Иранские влияние в памятниках и архитектуры Грузии: III Междун. конгресс. по иранскому искусству и археологии. Доклады. М. — Л., 1939, გვ 252 — 261.



სურ. 139. ანანური, ანსამბლის გენერალური გეგმა. ანაზომი ნ. სევეროვისა.

## ანანური

ტაბ. 209 — 212

არაგვის ერისთავთა მძლავრი ციხე მდებარეობს საქართველოს სამხედრო გზაზე, თბილისიდან 66 კმ. დაშორებით, არაგვის მარჯვენა ნაპირას (დუშეთის რაიონი, ძველი მთიულეთი).

უძველესი ნაგებობა აქ უნდა იყოს ხევსურული ტიპის პირამიდულ სახურავიანი კოშკი. დღევანდელ ანსამბლში, გალავნისა და მისი კოშკების გარდა, შედის: მცირე გუმბათოვანი ეკლესია „ღვთაება“, ალბათ XVII ს-ის შუა ათეული წლებისა; დიდი ეკლესია, რომელიც, სამხრეთი კედლის გრძელი სამშენებლო წარწერის თანახმად, 1689 წელს ბარძიმ მსაჯულთუხუცესის თაოსნობით აუგიათ (მშენებლობის ხელმძღვანელი ყოფილა ვინმე ქაიხოსრო ბალსარაშვილი. ტაძრის შენებას, რა თქმა უნდა, კარგა ხანს მოუნდებოდნენ, ასე რომ მის თარიღად საერთოდ XVII ს-ის ბოლო ათეული წლები შეიძლება მივიჩნიოთ); წყარო და წყალსაცავი; ერთნავიანი ეკლესია „მკურნალი“, რომელიც გალავანს გარეთ გამოდის და უფრო დაბლა დგას, ვიდრე გალავნის შიგნითა შენობები; სამრეკლო, რომლის ფანჩატურიც შედგმულია „მკურნალის“ ბანზე. კოშკთაგან მთავარია ყველაზე მაღლა მდგომი „შეუპოვარი“: კვადრატული, მრავალსართულიანი, კედელში დატანებული კიბით (გალავნის დასავლეთით კედლის შუაშია). აქ საცხოვრებლად გამოსადეგი ოთახებიც ჰქონდათ (თითო სართულში თითო), თუმცა საგანგებოდ კეთილმოწყობილი და მორთული დარბაზი, როგორც XVIII ს-ის ზოგ კოშკშია, აქ არ არის.

ანანური XVIII ს-ში შეაკეთეს — ზოგი კედელი ან კედლის ნაწილი მაშინდელია.

ანანურის ციხე მას შემდეგაც მოქმედი იყო, რაც 1743 წელს არაგვის საერისთაო ქართველმა მეფეებმა გააუქმეს.

დიდი ეკლესიის გარეთა ზომებია დაახლ.: სიგრძე — 23 მ-მდე, სიგანე — 17,3 მ., სიმაღლე შიგნით — 26,3 მ.

1. პ. ზაქარაია. ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი. თბ., 1958.

## გვიანა ფეოდალური ხანის სათავდაცვო ნაგებობანი

ტაბ. 213—225

ანანურის გარდა (რომელიც თავისი შემადგენლობით რამდენადმე განცალკევებით დგას), აქ ნაჩვენებია სხვადასხვა ტიპის სათავდაცვო ნაგებობათა რამდენიმე ნიმუში:

ს ნ ო ს ც ი ხ ე ხევში (ყაზბეგის რაიონი), თერგის ერთ-ერთი მარჯვენა შენაკადის ხეობაში. მცირე სიმაღლის კლდეზე აღმართული გალავანი და მის შუაში — კოშკი-დონჟონი. სამშენი მასალა ორგვარია: ტლანქად დამუშავებული ქვის მოზრდილი ლოდები და ფიქალი. როგორც მთა-საქართველოს სხვა სათავდაცვო და საცხოვრებელი შენობები, ესეც ძნელი დასათარიღებელია, იმიტომ, რომ მთაში მშენებლობის წესები კონსერვატული იყო. მაგრამ სათოფურებისა და სხვა ამბრაზურების არსებობა გვაფიქრებინებს, რომ ეს ციხე შეიძლება გვიანაფეოდალურ ხანას მიეკუთვნოს.

ქ ს ნ ი ს ც ი ხ ე ქართლში (კასპის რაიონი). მდებარეობს სადგ. ქსნის მახლობლად, მთაზე, ქსნისა და მტკვრის მარცხენა ნაპირზე. გვიანა ფეოდალური ხანის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საფორტიფიკაციო ნაგებობათაგანი. შედგება ორი ქრონოლოგიური ფენისაგან. პირველი ციხე 1511-სა და 1513/14 წლებს შორის აგო პირველმა მუხრამ-ბატონმა ბაგრატმა, დავით X-ის ძმამ, იმ ხანებში, როცა კახთა მეფე ავ-გიორგი ქართლს მტრობდა და არბევდა. ეს ციხე დიდი არ ყოფილა (შიდა ეზოს მაქსიმალური ზომებია 19×16 მ.). კედლები მთლიანად რიყის ქვისაა, დუღაბის სქელ ფენაზე. საერთო კონტუ-



სურ. 140. ანანური. ციხის შიდა ხედი. ნახატი რ. ბერიძისა.

რი ჩაკეტილი, შეკრული იყო, კოშკები კედლის ხაზს არ სცილდებოდა. 1746 წ. სახლთუხუცესმა კონსტანტინე მუხრან-ბატონმა საგრძნობლად გააფართოვა ციხე: პრინციპულად ახალი იყო თავდაცვის გააქტიურება, გალავნის გარეთ გაწეული ახალი კოშკების აგება. მთავარი დამატება სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეშია — რამდენიმე სართულიანი კოშკისებრი შენობა, რომელიც მოზრდილ საცხოვრებელ ოთახებს შეიცავს; დაემატა ყველაზე მაღალი სწორკუთხა კოშკიც დასავლეთით. ამ დამატებათა შემდეგ ციხე თავისებურ ციხე-დარბაზად იქცა, რადგანაც აქ ხანგრძლივი საცხოვრებელი ბინაც შეიქმნა. ახალი ნაწილები რიყის ქვისა და აგურისაა. კედლები ნაწყობია ამ ორი მასალის მონაცვლეობით, გარკვეული დეკორაციული ეფექტის გათვალისწინებით.

ახალი ფენის თარიღი და მშენებლის ვინაობა შესასვლელის წარწერაშია (ამავე კონსტანტიმემ ააშენა მუხრანის შიოსუბნისა და მჭადიჯვრის ციხეები), პირველი ფენის თარიღი და მშენებლის ვინაობა მატიანეების მიხედვით ირკვევა.

თელავის ბატონის ციხე რთული ხუროთმოძღვრული კომპლექსია. აქ იყო კახთა მეფის რეზიდენცია XVII-XVIII საუკუნეებში. პირველად, 1667-1675 წლებში, აქ სასახლე, კარის ეკლესია და აბანო ააგო არჩილ მეფემ. მაშინდელია გარეთა ზღუდის ნაწილიც. XVIII ს-ის მეორე ნახევარში, ერეკლე II დროს, აშენდა გარეთა დიდი ზღუდე (ნაწილობრივ ძველი კონტურის გაყოლებით) და დასავლეთის ალაყაფის კარი. სასახლის ბირთვს წარმოადგენს დიდი დარბაზი, რომელსაც ექვსი მცირე კვადრატული ოთახი აკრავს. დარბაზი — ისრული კამარით, ისრული სარკმლებითა და ნიშებით — ირანული არქიტექტურის გავლენის ნიმუშია. XIX ს-ში სასახლე გადააკეთეს და შიგ სასწავლებელი მოათავსეს. ზღუდე, რომლის მთავარი ფასადიც ახლა ქალაქის მოედანს უყურებს, რიყის ქვისაა, როგორც ყველა მაშინდელი ციხე და კოშკი, ალიზურვილია შვერილი მრგვალი კოშკებით. მთავარი ფასადის შუა ნაწილი საგანგებოდაა გამოყოფილი: უფრო მაღალია, მთლიანად გამოშვერილია, აქ რამდენიმე მრგვალი კოშკია თავმოყრილი. შესასვლელების დამუშავება — ისრული თაღებითა და ნიშებით — ტიპურია იმ დროისთვის. თელავში, ამას გარდა, სხვა ფეოდალთა გალავანშემორტყმული ციხეებიც იყო.

სვეტიცხოვლის გალავანი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მაგალითი ეკლესიის სიმაგრისა. სულ მცირე გამონაკლისით, ყველა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ეკლესია გალავანშემორტყმული უნდა ყოფილიყო: ზოგი იმიტომ, რომ ფეოდალის სიმაგრეში იდგა, ზოგი იმიტომ, რომ თვით მისი დაცვა იყო საჭირო თავდასხმებისაგან. ამას გარდა, ეკლესიის გალავანი, სადაც



სურ. 141. თელავი, ბატონის ციხე. XVIII ს. ნახატი ა. კელერისა.

მოსახლეობა თავს იყრიდა სალოცავად და დღეობებზე, ამ მოსახლეობის თავშესაფარიც იყო და ე. წ. „გალავნის“ ფუნქციას ასრულებდა. სვეტიცხოვლის გალავნის ხაზში ძველი ნაწილებიც არის: სასახლის ნაშთები სამხრეთ-დასავლეთით, მელქისედეკისეული კარიბჭე XI ს-ისა — დასავლეთით. დიდი ნაწილი კი XVIII ს-ის მეორე ნახევარშია აშენებული, ერეკლე II მეფობაში. აქაც დამახასიათებელია რიყის ქვა, შეერილი მრგვალი კოშკები, თავმომრგვალებული კბილანები კედლისა, სათოფე-სალოდეების სიმრავლე. შენების ხარისხი მაინცდამაინც მაღალი არ არის. გალავანი XIX ს-შიაც შეაკეთეს. XIX ს-ისაა სამხრეთის მარცხენა შესასვლელი, აგრეთვე ზოგი შენობა, ჩართული გალავნის ხაზში.

ქოლაგირის ციხე (ქვემო ქართლი, ბოლნისის რაიონი, თბილის-ბოლნისის გზასთან, მარცხნივ) ტიპური „გალავანია“ — მოსახლეობის დასახიზნავი ზღუდე. მცირე ეკლესიის გარდა, თვით გალავნის შიგნით არაფერი არ არის. ციხის გეგმა კვადრატია, დაახლ. 136×136 მ, ოთხ კუთხეში დგას თითქმის მთლიანად ციხის კონტურს გარეთ გატანილი ოთხსართულიანი მრგვალი კოშკები, რომლებიც სიმაღლით დიდად სჭარბობს ზღუდეს (კედლების სიმაღლე 6 მეტრია, კოშკებისა — 16 მ.). კედელ-კოშკები დაუმუშავებელი შერჩეული ქვითაა ნაშენი (და არა რიყის ქვით). აგური გამოყენებულია სალოდეებისთვის და შესასვლელი კოშკების დეკორაციული დამუშავებისათვის (სახეებიანი წყობით. შესასვლელი კოშკი ორია — მოპირდაპირე კედლების შუაში. მთავარ შესასვლელს მოჯამეელი ლომის რელიეფიც ამკობს). კედლები, ჩვეულებისამებრ, ორ რეგისტრადაა გაყოფილი: ქვემო ნაწილი სქელია, ზემო — ბევრად უფრო თხელი. სხვაობა ქმნის „საბრძოლო ბილიკს“, რომელიც გარს შემოუყვება მთელ ციხეს კოშკების მეორე სართულის დონეზე. აქ იდგნენ მეციხოვნენი.

ქოლაგირის ციხე ერეკლე მეორის მეუღლემ დარეჯან დედოფალმა ააშენა 1788-1798 წლებს შორის. დარჩენილია ციხის პროექტი — გეგმის ნახაზები და განმარტებითი ბარათიც.

პაპუა მაღალაძის კოშკი 1679 წლისა (ქართლი, კასპის რაიონი, კავთურის ხეობა, სოფ. წინარეხს ზემოთ), შედის „მაღალაანთ ეკლესიისა“ და „მაღალაანთ კოშკების“ ანსამბლში (იხ. ზემოთ, „მაღალაანთ ეკლესია“). ნიმუში XVII ს-ის ბოლო მეოთხედის ქვის კვადრატული კოშკისა, რომელიც მშვიდობიანობის დროს საცხოვრებლად არ იყო გამართული (საამისოდ იქვე სასახლე ჰქონდათ). კოშკის გარეგნობის ყველაზე დამახასიათებელი ელემენტია მისი დამაგვირგვინებელი ნაწილი: მაშიკულებისებრი შვერილი „გადმომჯდარი“ კონსტრუქცია, თაღების მწკრივი, იმის მსგავსი, სვანურ კოშკებს რომ აქვთ. ფასადს ამკობს წმ. გიორგის რელიეფი და კიდევ ერთი რელიეფი ცხოველთა გამოსახულებით. კოშკის მნიშვნელობას ზრდის მისი ზუსტი დათარიღება ფასადში ჩართული წარწერით, რომელშიაც ნათქვამია, რომ კოშკი ააშენეს სახლთუხუცესმა პაპუა მაღალაძემ და მისმა ძემ ნიკოლოზმა (მდიდარი აზნაური პაპუა მაღალაძე კათალიკოსის სახლთუხუცესი იყო).



სურ. 142. ქოლაგირის ციხე. აგებულია 1788—1798 წლებს შუა. გეგმა. ანაზომი მ. კალაშნიკოვისა.




სურ. 143. პაპუა მაღალაძის კოშკი. 1679 წ. ანაზომი ე. ბერიძისა.

კოშკის ზომაა დაახლ. 6×6 მ., სიმაღლე 13 მ-მდე.

გორულის კოშკი (ქვემო ქართლი, მარნეულის რაიონი) XVII ს-ის კოშკის მეორე მაგალითია. აქ ოთახები შედარებით უფრო კეთილმოწყობილია, როგორც ჩანს, აქ ცხოვრებასაც გულისხმობდნენ (ოთახები კამაროვანია), თუმცა გამართულობა მაინც პრიმიტიულია.

ხეითის კოშკი (ცხინვალის მახლობლად) საბაწმინდის მონასტერშია. ეს არის ნიმუში XVIII ს-ის დასაწყისის ორსართულიანი მრგვალი საცხოვრებელი კოშკისა. გარეგნობა სრულიად მარტივი და უსახურია. ქვემო სართულს დამხმარე სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა (აქ ქვევრებია ჩამარხული); მეორე სართულში საცხოვრებელი იყო: დამახასიათებელია დარბაზის წახნაგოვანი (და არა მრგვალი) ფორმა, შეკრული კამარით გადახურვა, ღრმა ნიშები (ერთ-ერთში საწოლი უნდა მდგარიყო), შუქის სიმცირე, სათოფურების სიმრავლე. კიბე კედლის სისქეშია ჩატანებული. ბანს კბილანებიანი ცალავანი უვლიდა გარს. ზემო დარბაზის დიამეტრი 6,5 მ. აღწევს, სიმაღლე — 5,5 მ-მდე იყო.

მუხრანის ე. წ. შიოსუბნის ციხე 1756 წლისა აგრეთვე გალავანის მსგავსი იყო, მაგრამ შიგ ეკლესიაც არის და, ეტყობა, სხვა შენობებიც ყოფილა. დარჩენილ ნაგებობათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ე. წ. „მამა-ბურჯი", ე. ი. მთავარი კოშკი, რომელსაც გალავნის ჩრდილო-დასავლეთი კუთხე უჭირავს. ბანის ჩათვლით ეს ოთხსართულიანი მრგვალი კოშკია. ქვემო სართული, ჩვეულებისამებრ, დამხმარე ფუნქციებს ასრულებდა. II და III სართულები — შეკრული კამარით გადახურული ოქტოგონები — საცხოვრებელი დარბაზებია. კედლები შელესილი და სუფთად დამუშავებული იყო. არქიტექტურის ელემენტები ამ დროისათვის ტრადიციულია — ორ-ორ იარუსად განლაგებული ღრმა ისრულ-თაღოვანი ნიშები და სარკმლები, ბუხრები და სხვ... ჩარჩოების პროფილირება, შესრულების ხარისხი განასხვავებს მუხრანის კოშკს ბევრი სხვა მაშინდელი კოშკისაგან. ეს მდიდარი ფეოდალის საცხოვრებელი კოშკის ნიმუშია. თარიღი და მშენებლის — კონსტანტინე მუხრან-ბატონის ვინაობა (იხ. ზემოთ ქსნის ციხე) წარწერებიდან ირკვევა.

ზემო დარბაზის დიამეტრი 6 მ-მდეა, სიმაღლე — 4,5 მ-მდე. კოშკის საერთო სიმაღლე 16.5 მ-მდე.

ქსოვრისის კოშკი (ქართლი, მცხეთის რაიონი), XVIII ს-ისა, მრგვალი, მუხრანის „მამა-ბურჯის" ტიპისა, მაგრამ უფრო მცირე (სიმაღლით 14 მ-მდე). სართულების ფუნქციური განაწილება აქაც იმგვარია, მაგრამ საცხოვრებელი ოთახი (კვადრატული და არა ოქტოგონური) ნაკლები ზომისაა და ნაკლები პრეტენზიითაც არის დამუშავებული. კოშკი და მთელი ციხე-დარბაზი, რომელშიაც იგი შედიოდა, თავად რატიშვილებს, ე. ი. მუხრან-ბატონებზე უფრო წვრილ, ნაკლებ შეძლეფეოდალებს ეკუთვნოდა.

ორბელიანების კოშკი სოფ. ვაშლოვანში (ქვემო ქართლი, თეთრიწყაროს რაიონი), წარწერის თანახმად, აუშენებია რუსეთის ჯარის გენერალ-მაიორს თამაზ ორბელიანს 1811 წელს, ოსტატის გიორგის ხელით. თამაზი თავის კოშკს, რომელიც სასახლის შენობასთან საგანგებო გადასასვლელით იყო დაკავშირებული, „სალხინოს" უწოდებდა. იგი მუხრანის კოშკის ტიპისაა, აგრეთვე დიდი კამაროვანი საცხოვრებელი დარბაზით, საგანგებოდ დეკორაციულად დამუშავებული ფასადით. ეს ტრადიციული კოშკების ერთი უკანასკნელი ნიმუშთაგანია, აგებული იმ დროს, როცა ეს ხუროთმოძღვრული თემა უკვე თანდათან ჰკარგავდა თავის ძველებურ მნიშვნელობას (ამიტომ შეიძლებოდა მისთვის „სალხინოც" კი ეწოდებინათ).

სოფ. აბანოს კოშკი (თრუსოს ხეობა, ხევი, ყაზბეგის რაიონი) ნაჩვენებია, როგორც ნიმუში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული თავდასაცავი (არა საცხოვრებელი) კოშკებისა: დამახასიათებელია მცირე ფართობი, მრავალსართულიანობა, აზიდული პროპორცია, ზემოთკენ ძლიერი დავიწროება, შიდა გამართულობის პრიმიტიულობა. სულ ქვემოთ კოშ-



სურ. 144. ხეითი, კოშკი. XVIII ს. II სართულის გეგმა. ანაზომი ვ. ცინცაძისა.



სურ. 145. ქსოვრისი, რატიშვილების კოშკი. XVIII ს. საცხოვრებელი ოთახის ინტერიერი.

სურ. 146. ხევი, თრუსოს ხეობა, სოფ. აბანო, კოშკი. გეგმები, განაკვეთი, ფასადი. პ.ზაქარაიას ანაზომის მიხედვით.





სურ. 147. მუხრანი, შიოსუბნის ციხე, „მამა-ბურჯი". 1756 წ. განაკვეთი და ფასადი. ანაზომი ვ. წილოსანისა.

სურ. 148. ხევსურეთი, სოფ. ახიელი, კოშკი. გეგმები, განაკვეთი, ფასადი, ანაზომი გ. ლეჟავასი და მ. ჯანდიერისა.



კის ზომებია დაახლ. 5,5×5,5 მ. (სწორი კვადრატი არ არის), სულ ზემოთ — 3,5×3,5 მ., სიმაღლე (დამაგვირგვინებელი ნაწილის გარეშე) 17,5 მ-მდე.

სოფ. ახიელის კოშკი (ხევსურეთში). აქაც დამახასიათებელია მრავალსართულიანობა, ზემოთკენ ძლიერი დავიწროება, პრიმიტიული შიდა გამართულობა. მაგრამ აქ კამაროვანი გადახურვაც არის. მთავარი და ყველაზე უფრო ნიშანდობლივია საფეხურებიანი პირამიდისებრი გადახურვა, რომელშიც ყოველი საფეხური მკაფიოდ გამოიყოფა, რადგან საფეხურებს ჰორიზონტალური შვერილები აქვს. დასახიზნავი სართულები II, III, IV და V იყო, VI ს-ში მზვერავი-მეციხოვნენი იყვნენ.

ახიელის კოშკის მსგავსი კოშკები ფართოდაა გავრცელებული ჩრდილოეთ კავკასიაშიც — ინგუშეთსა და ოსეთში. იქაური კოშკები უფრო წვრილი და მაღალია. თანაც, ჩრდ. კავკასიის სოფლებში ასეთი კოშკები მრავლად იდგა. ხევსურეთში კი უმეტესობა საცხოვრებელი ციხე-სახლებია, სულ სხვა იერისა, ამგვარი თავდასაცავი კოშკები კი ერთეულებად დგას.


1. П. Закарая. Древние крепости Грузии. Тб., 1969.

2. პ. ზაქარაია. კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი. თბ., 1962.

3. ლ. რჩეულიშვილი. თელავი. თბ., 1963.

5. ვახტ. ბერიძე. XVIII ს-ის ქართველ ხუროთმოძღვართა ნახაზები: საქართვ. სახ. მუზ. მოამბე, ტ. XIV—B, 1947. გვ. 227-288.

6. ლ. რჩეულიშვილი. „კოშკი სალხინოდ ნაგები": სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XXI, № 1, 1958, გვ. 115-121.

7. ს. მაკალათია. ხევსურეთი. ტფ., 1935.

8. ვ. ცინცაძე. საცხოვრებელი სახლის ერთი სახის დახასიათებისათვის საქართველოში (კოშკი სოფელ ხეითში): „ქართული ხელოვნება", 4, 1955, გვ. 233—255.


სურ. 149. ძალისა, ფალავანდიშვილების სასახლე. XVII ს. გეგმა. ანაზომი ლ. რჩეულიშვილისა.





სურ. 150 და 151. ძალისა, ფალავანდიშვილების სასახლე. XVII ს. განაკვეთი და კოშკის სართულები. ანაზომი ლ. რჩეულიშვილისა.



## ძალინის სასახლე

**XVII ს.**

ტაბ. 220

ძალინა ძველ შიდა ქართლშია, მდ. ფრონეს ხეობაში (ახლა ზნაურის რაიონია). სოფელში დარჩენილია ციხისა და ფეოდალური სასახლის ნანგრევები. სასახლე XVII ს-ის დამახასიათებელი ნაგებობაა (აგურით ნაშენი, ხის სარტყლების გამოყენებით). ერთსართულიანია, შედგება ორ მწკრივად დალაგებული ხუთი ოთახისა და ლოჯიისაგან (განაპირას კვადრატული ოთახებია, შუაში, წინ. ღრმა ლოჯია, უკან გრძელი სწორკუთხა დარბაზი). ზედ სასახლეზევეა მიშენებული და მის განუყოფელ ნაწილს შეადგენს ხუთსართულიანი ქვიტკირის კოშკი. დარბაზები და კოშკის სამი სართული კამაროვანია. ისრული კამარები, სარკმლების ისრული თაღები, ისრულივე კედლის ნიშები, ბუხრები, საბჯენი თაღები ამ დროის ინტერიერების ტიპურ სურათს ქმნის. კოშკის ზემო სართულს ფართოდ გაშლილი ღია თაღები ჰქონდა ორ მხარეს.

სასახლის სიგრძე-სიგანე უკოშკოდ — დაახლ. 23,5×14 მ., მთავარი დარბაზის ფართობი დაახლ. 9×5,8 მ. (52 კვ. მ.), კოშკის გადარჩენილი სიმაღლე გარედან — 22 მ-მდე.

1. ლ. რჩეულიშვილი. XVII საუკუნის სასახლე ძალინაში: „ქართული ხელოვნება", 5, თბ., 1959, გვ. 221-231.

## რუისპირი, ადამაანთ ციხე

**XVIII ს-ის ბოლო მესამედი**

რუისპირი კახეთშია, თელავის რაიონში, ამ ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრის მანძილზე. ე. წ. ადამაანთ ციხე გამაგრებული საცხოვრებლის, ანუ მცირე ციხე-დარბაზის საინტერესო ნიმუშია: მთლიან კორპუსში (სწორკუთხედი, ოდნავ მომრგვალებული კუთხეებით) გაერთიანებულია სამ და ოთხსართულიანი ნაწილები (თუ ბანებსაც სართულებად ჩავთვლით); აქ თავმოყრილია საცხოვრებელი, სამეურნეო (საწნახელი, მარანი I სართულში) და სათავდაცვო ფუნქციის სადგომები (კბილანებიანი კედლით გარშემორტყმული ბანები, სათოფურებისა და სალოდეების სისტემა). ოთხსართულიან (კოშკურ) ნაწილში კამაროვანი გადახურვებია, სამსართულიანში — ბრტყელი, ხის კოჭებით. შენობა რიყის ქვითაა ნაგები, გარედან მთლიანი, დაუნაწევრებელი მასის სახე აქვს. ძალინისა და მისი ტიპის სასახლეთაგან განსხვავებით, აქ მკაფიოდ გამოყოფილი და ინდივიდუალიზებული კოშკი არ არის, მის ფუნქციას ოთხსართულიანი ნაწილი ასრულებს.

ამის მსგავსი გამაგრებული საცხოვრებლებია კახეთშივე, სოფ. ახმეტაში („ჭანდიერაანთ ციხე") და სოფ. ზემო ხოდაშენში (ახმეტის რაიონი). ორივე XVIII ს-ის ბოლო მესამედს მიეკუთვნება, უკანასკნელის თარიღი 1760-1784 წლებს შუა ექცევა.

რუისპირის ადამაანთ ციხის ზომებია დაახლ. 12×9 მ., კოშკურა ნაწილის სიმაღლე კედლის კბილანების წვერამდე დაახლ 12 მ.



სურ. 152. რუისპირი, ადამაანთ ციხე. XVIII ს. ბოლო მესამედი. აქსონომეტრიული განაკვეთი. ანაზომი ლ. რჩეულიშვილისა.

1. ლ. რჩეულიშვილი. გვიანა ფეოდალური ხანის კოშკური საცხოვრებლის ერთი სახეობა: სსსრ მეცნ. აკად. საზოგ. მეცნ. განყ. მაცნე, თბ., 1967, № 2, გვ. 276-284.

2. პ. ზაქარაია. კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი. თბ., 1962, გვ. 175-188 (ზემო ხოდაშენი და ახმეტა).





სურ. 153 და 154. ნინოწმინდა, მიტროპოლიტის საბა ტუსიაშვილის სახლი. XVIII ს. 70-იანი წლები. სართულთა გეგმები და ფასადები. ანაზომი ლ. რჩეულიშვილისა.



## ნინოწმინდა, საბა ტუსისშვილის სახლი

**XVIII ს. 70-იანი წლები.**

**ტაბ. 227**

სახლი დგას ნინოწმინდის ძველი საეპისკოპოსო ტაძრის გალავანში (იხ. ზემოთ ნინოწმინდა, ნინოწმინდის სამრეკლო). აშენებულია ნინოწმინდელი მიტროპოლიტის საბა ტუსისშვილის მიერ, რომელიც იჯდა კათედრას 1743-45 წლებიდან 1780-იანი წლების დასაწყისამდის განაგებდა. სახლი აგებულია 1774-1777 წლებს შუა, როგორც ჩანს, თვით საბას უშუალო ხელმძღვანელობით. ორსართულიანი შენობაა, სადგომების ერთი მწკრივით: ქვემოთ სამი ოთახია — შუა გრძელი, ორი განაპირა კვადრატული; ზემოთ, განაპირას, კვლავ თითო ოთახია, შუა სივრცე კი, ქვემო დიდი ოთახის თავზე, სახლის მთელი სიღრმის ლოჯიას უჭირავს. საინტერესოა კედლის გაშენების კარების დამუშავება, კედლების პროფილირება. სარკმლები სწორკუთხაა, უთაღო, ორივე სართულის გადახურვა — ბრტყელი, ხისა. თავისი გეგმით ნინოწმინდელის სახლი ძველი ქართული ანფილადური სასახლეების რიგში დგას. მაგრამ ძალინისა და სხვა სასახლეებისაგან განსხვავებით, იგი თითქმის სრულიად თავისუფალია ირანული გავლენისაგან. პირიქით, აქ ახალი ნაკადი იჩენს თავს — ევროპული არქიტექტურის ფორმების შემოჸონება, რაც ამ შენობას ქართული არქიტექტურის უფრო გვიანდელ (XIX ს.) განვითარებასთან აკავშირებს.

შენობის გარეთა ზომებია დაახლ. 20 მ.×7 მ.

1. ლ. რჩეულიშვილი. საბა ტუსისშვილისეული სასახლე სოფ. ნინოწმინდაში: „ქართული ხელოვნება“, ტ. 3, თბ., 1950, გვ. 237-247.

## „გატეხილი ხიდი“

**XVII ს.**

**ტაბ. 229**

გვიანა ფეოდალური ხანის ხიდთმშენებლობის ნიმუში. მდებარეობს თბილისიდან 57 კმ.-ის დაშორებით, გადებულია მდ. ხრამზე (ქციაზე)[1]. ამ ხიდზე გადადიოდა მნიშვნელოვანი სავაჭრო და სტრატეგიული მაგისტრალი, რომელიც საქართველოს სომხეთთან, აზერბაიჯანთან და ირანთან აკავშირებდა. ამის მახლობლად წინათაც არსებობდა ხიდი, ეს კი, როგორც მემატიანეთა ცნობები მოწმობს, ააშენა ქართლის მეფემ როსტომმა XVII ს-ის შუა წლებში. თავისი ფორმებით და საერთო იერით ძალიან ენათესავება ირანულ ხიდებს, რომლებიც, აშკარაა, ნიმუშად ჰქონდათ აშენების დროს.

ხიდი ნაშენია ე. წ. ქართული (კვადრატული) აგურით (22×22×4 სმ). ბურჯების ქვემო ნაწილები ალგეთის ქვის (ანდეზიტის) თლილი ფილებითაა მოპირკეთებული. ოთხი მალია, ყველას ისრული კამარის სახე აქვს (მალების ზომაა: 26, 1 ;8,0; 16,1; 8,2 მ.). ხიდის საერთო სიგრძეა 175 მ., გასავლელი ნაწილის სიგანე — 4,3 მ., ნაპირის ბურჯებში მოწყობილია ქარვასლები. მათი ფართობი 300 მეტრამდეა.

საქართველოში დარჩენილია XVII ს-ის სხვა ხიდებიც — მდ. მაშავერაზე, სოფ. ქოჩალუსთან (ქვემო ქართლში), მდ. ჰიშურაზე (ქუთაისის მახლობლად), გელათელი ეპისკოპოსის გედეონ ლორთქიფანიძის მიერ აშენებული 1668 წ., ეს უკანასკნელი — ქვის ხიდია, ყოველგვარი ირანული ფორმების გავლენის გარეშე.

1 Н. І. Квезерели—Копадзе. Гатехили хид . Тб., 1956.

## გლეხური საცხოვრებელი სახლები

**ტაბ. 230—241**

აქ წარმოდგენილია გლეხური საცხოვრებლის ტიპები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან:

1. „დარბაზი“ — ტიპი, რომლის არსებობა დადასტურებულია წერილობით უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის მიჯნაზე, ხოლო მისი ცალკეული ელემენტები (ზემო სარკმელი შუა ცეცხლის კვამლის გასაშვებად და შუქისთვის) ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაში. ბოლო დროს გავრცელებული იყო ისტორიული ქართლისა და მესხეთის ტერიტორიაზე. დარბაზივე იყო — გვიანა ფეოდალურ ხანაში მაინც — საქალაქო საცხოვრებელი სახლის ყველაზე გავრცელებული სახეც (თბილისში, ახალციხეში). იხ. ზემოთ, ძირითად ტექსტში.



სურ. 155. გლეხის დარბაზის ინტერიერი. ნახატი ნ. სევეროვისა.

სურ. 156. დიღომი. გლეხის დარბაზი. გეგმა. ანაზომი ნ. სევეროვისა.




ႫႺႾႤႧႠ
იმერლიშვილის.
ႣႠႰႡႠႦႨ



წინა გვერდზე. სურ. 157. ყარალაჯი, გლეხის დარბაზი. განაკვეთი. ანაზომი ნ. სევეროვისა.
სურ 158. მცხეთა, იმერლიშვილის დარბაზი. მოხატულობის დეტალები. ნახატი ნ. სევეროვისა.
ამ გვერდზე: სურ. 159. სოფ. ხანი. ნატროშვილის სახლის ბუხარი. ლ. სუმბაძის ნახატი.

სურ. 160. სვანეთი, სოფ. ლეხტაგი, ხერგიანების კოშკი. ანაზომი გ. ლეჟავასი და მ. ჯანდიერისა.



2. „ო დ ა“, გავრცელებული დასავლეთ საქართველოს ვაკე რაიონებში, ე. ი. კოლხეთის დაბლობში. ცალკეული ადგილობრივი ვარიანტების მიუხედავად, არსებითად ტიპი ყველგან ერთნაირია. ეს შენობები, რა თქმა უნდა, უკვე XIX ს-ისაა, და ბევრი რამ, რაც მას ახასიათებს, XIX ს-შივე უნდა იყოს შემუშავებული. უფრო ადრინდელი ნიმუშები არ დარჩენილა. ყოველ შემთხვევაში, წერილობითი და მცირეოდენი გრაფიკული მასალის მიხედვით (არქანჯელო ლამბერტის „სამეგრელოს აღწერა“, იტალიელი კასტელის ნახატები, XVII ს.), კარ-მიდამოს ხასიათი ადრევეც ასეთი უნდა ყოფილიყო — ფუნქციების მიხედვით დიფერენცირებული ცალკეული შენობები (საცხოვრებელი, სასიმინდე, სამზარეულო და სხვ.), გარკვეული ინტერვალით განლაგებული ფართო ეზოში. ყურადღებას იპყრობს ოდების აივნებისა და ინტერიერების მხატვრული დამუშავება (აივნების რიკულები და ხის ბოძები, შიგნით — კედლები განჯინებითურთ, ბუხრის ქვები და სხვ.).

3. ს ვ ა ნ ე თ ი: აქ ნაჩვენებია სვანური საცხოვრებლის ორი ტიპი, თუმცა სინამდვილეში მეტი სახეობა არსებობს: ა) მ უ რ ყ ვ ა მ ი ა ნ ი, ანუ კ ო შ კ ი ა ნ ი ს ა ხ ლ ი — სვანური საცხოვრებლის ყველაზე უფრო განვითარებული და დასრულებული სახეა. უმთავრესი ელემენტებია ორსართულიანი (იშვიათად ერთსართულიანიც) საცხოვრებელი სახლი, სახლის გვერდით ამართული კოშკი (მურყვამი) და ეზო. ეზოს ზოგჯერ გალავანი არტყია და მის შიგნითაა კალო, ფარდულები და სხვ... საცხოვრებელ სახლში ქვემოთ ე. წ. მ ა ჩ ვ ი ბ ი ა, ზემოთ დ ა რ ბ ა ზ ი. მაჩვიბს (მისი ზომაა საშუალოდ 10×12 მ.) მიწის იატაკი აქვს. ეს საცხოვრებელიც არის და საქონლის სადგომიც. სარკმლები არ არის, შუაში კერაა. საქონლისთვის განკუთვნილია ადგილი სამი კედლის შემოყოლებით: აქ გაკეთებულია ხის ტიხარი სა-



სურ. 161. სვანური სახლის მაჩვიბის ინტერიერი. ნახატი გ. ლეჟავასი და მ. ჯანდიერისა.

ქონლისათვის თავის გამოსაყოფებით, მის წინ კი თივის დასაყრელი. დარბაზი უმეტესად მაჩვიბის თავზეა. აქაც არის კერა, ცალ მხარეს კი ღია ტერასა. დარბაზი მხოლოდ ადამიანთათვისაა განკუთვნილი. საინტერესოა სვანური სახლების ინტერიერები — ხის ნაწილთა და ავეჯთა „დაჭრელება“ ხალხური შემოქმედების თავისებური მაგალითია. კოშკებში მთელი ოჯახი აფარებდა თავს საშიშროების დროს, მაგრამ მათ რაიმე კეთილმოწყობა არ გააჩნიათ, არის მხოლოდ იატაკში ჩაკირული ქვევრები წყლისათვის.

ბ) ც ი ხ ე - ს ა ხ ლ ი სოფ. ჩაჟაშში. აქ სათავდაცვო ფუნქცია სახლს ეკისრება. ცალკე გამოყოფილი კოშკი არ არის, თუმცა თვით სახლს კოშკისებრი სახე აქვს, მხოლოდ იგი უფრო დაბალი და მასიურია, ვიდრე ნამდვილი კოშკები. აქ სამი სართულია: პირველს იგივე ფუნქცია აქვს, რაც მაჩვიბს — აქ ადამიანებიც ცხოვრობენ და საქონელიც ჰყავთ; მესამე, არსებითად, ბანია, რომელსაც სათავდაცვო დანიშნულება აქვს. განაკვეთში ჩანს I სართულის დამახასიათებელი „სამკუთხა კამარა“, უფრო ზუსტად — ორფერდა კონსტრუქცია ქვისა. კიბე კედლის სისქეშია.

სურ. 162 და 163. სვანეთი, სოფ. ჩაჟაში, ციხე-სახლი. გეგმები და ფასადი.
ანაზომი გ. ლეჟავასი და მ. ჯანდიერისა.





სურ. 164. სვანეთი, სოფ. ჩაჟაში, ციხე-სახლი. განაკვეთი. ანაზომი გ. ლეჟავასი და მ. ჯანდიერისა.

4. ხევსურეთი. ნაჩვენებია ორგვარი სახე საცხოვრებლისა: ა) კალოიანი სახლი სოფ. ბარისახოში (უმეტესად გავრცელებულია პირაქეთა ხევსურეთში, თუმცა აქა-იქ პირიქითაშიაც გვხვდება). სამსართულიანია. ხშირად ფერდზე დგას და ზურგით მიწაშია შეჭრილი. I სართულს საკუთრივ სახლი ეწოდება, იგი ჯალაბობისა და პირუტყვისთვისაა განკუთვნილი. აქ არის: კერა („ყვერფი“) — საკუთრივ საცხოვრებელ ნაწილში; დაწნული კედლით გამოყოფილი საძროხე; პროდუქტების დასამზადებელი ოთახი სენე; სხვა სამეურნეო დანიშნულების ოთახები. მეორე სართული ჭერხო — მამაკაცთა სადგომია, მესამე — მაღალი ბანი, სადაც ზამთარში ყინულზე პურს ლეწავენ, და ბანის უკან — დაფარული კალო — ფარდული ბარგის (საჭურველის, იარაღის) შესანახად. სახლისთვის დამახასიათებელია ტერასული განლაგება. ბ) ციხე-სახლი „ქვითკირი“— ეს კოშკური სახლია, გავრცელებული პირიქითა ხევსურეთში. ოთხი სართულია (სართულები ერთმანეთს მისადგმელი კიბეებითა და ჭერში დატოვებული ასაძრომებით უკავშირდება). I სართული ბოსელია, II სართული — „შუა-თვალი“ — საცხვარე, III სართული — საცხოვრებელი, აქაა კერა („ყვერფი“). სართულშუა გადახურვებიც და სახურავიც ბრტყელია (შეად. სვანეთს, ზემო რაჭას, თუშეთს, სადაც ორკალთიანი სახურავია). სპეციფიკურია ე. წ. ჩარდახი — ზემო სართულის გადმოშვერილი მაშიკულები, ჩვეულებრივ, თითო ან ორ-ორი ყოველ მხარეს.

ასეთი ციხე-სახლებისაგან (ქვითკირებისაგან) შედგება მთლიანად სოფელი შატილი.

5. ხევი. სახლები სნოსა და ყაზბეგში. ნახაზზე ნაჩვენებია ერთ-ერთი ორსართულიანი ბანიანი სახლი ყაზ-



სურ. 165 და 166. ხევსურეთი, სოფ. ბარისახო. კალოიანი სახლის I სართული და გარეგნული სახე. გ. ჩიტაიას მიხედვით.



ბეგში. I სართული საქონლისთვისაა განკუთვნილი, II—საცხოვრებლად. წინა მხარეს მინაშენია — ცხვრების სადგომი — ამისი სახურავი II სართულის ბანს შეადგენს. საშენი მასალა ტლანქად ნატეხი ქვიშაქვა და უქალია.

6. მთიულეთი. სახლი სოფ. ხოზში — ესეც ტერასებიანი სახლია, ხევსურული კალოიანი სახლის ანალოგიური.





167. ხევსურული ქვითკირი. განაკვეთი. ს. მაკალათიას მიხედვით.
168. ყაზბეგი. ნ. ლუდუშაურის სახლი. გეგმები, განაკვეთი, ფასადი. ვ. დოლიძის მიხედვით.


1. Г. Н. Чубинашвили. Грузинские дарбази: Вопросы, გვ. 14-35 (პირველად დაიბეჭდა 4 ალბომად 1926 და 1927 წლებში).

2. Лонгиноз Сумбадзе, Грузинские дарбази, Тб. 1960.

3. Г. И. Лежава и М. И. Джандиери, Архитектура Свонетии, М., 1938.

4. М. И. Джандиери и Г. И. Лежава, Архитектура Горных районов Грузии, М., 1940.

5. ს. მაკალათია. ხევსურეთი, ტფ. 1935.

6. გ. ჩიტაია, ხევსურული სახლის სენე: „ანალები“, I, თბ. 1947, გვ. 145-162.

7. ვახტანგ დოლიძე. ხევის ხალხური საცხოვრებელი სახლები: „ქართული ხელოვნება“, ტ. 5, თბ. 1959, გვ. 233-248.



169-170. თელავი. საცხოვრებელი სახლი. XIX ს. ფასადები და გეგმები. არქ. ი. ჩხენკელის ანაზომი .







171-172. სიღნაღი. საცხოვრებელი სახლი. XIX ს. ფასადები და გეგმები. არქ. ი. ჩხენკელის ანაზომი.



# XIX ს-ის ქალაქური საცხოვრებელი სახლები

გარდა თბილისური სახლებისა, აქ ნაჩვენებია ანაზომები ერთი თელავური და ერთი სიღნაღური სახლისა. თბილისისა და სხვა ქალაქების სახლებში, რომლებიც XIX ს-ის შუა ათეულ წლებს მიეკუთვნება (უმეტესად — 30-70-იან წლებს. თუმცა, შეიძლება, პროვინციის ქალაქებში ზოგი უფრო გვიანდელიც იყოს), გვხვდება საერთო ელემენტები, ნასესხები კლასიკური არქიტექტურის რეპერტუარიდან (პროფილები, ორდერის ტრანსფორმაცია), მაინც ყოველი ქალაქის სახლები ინარჩუნებს გარკვეულ ინდივიდუალობას.

1. ვახტ. ბერიძე. თბილისის ხუროთმოძღვრება. 1801-1917 წლები. ტ. I, თბ., 1960.

**აბსიდი, აფსიდი** — ნახევარწრიული მოხაზულობის სადგომი, რომელიც უმეტეს წილად გადახურულია კონქით (იხ.). ქრისტიანულ ეკლესიებში აფსიდში მოთავსებულია საკურთხეველი. დასავლურ ტაძრებში აფსიდი უფრო ხშირად გამოშვერილია; ქართული ეკლესიების აფსიდებს უმეტესად გარედან სწორი კედლები ფარავს, მაგრამ გვხვდება შვერილი აფსიდებიც — ნახევარწრიული (როდესაც გარე მოხაზულობა იმეორებს შიდას), მრავალწახნაგა, ზოგჯერ სწორკუთხედში მოქცეულიც.

**არქივოლტი** — ხუროთმოძღვრული დეტალი — თაღოვანი მალის (მაგ., სარკმლის) ჩარჩო. ჩვეულებრივ რაიმე პროფილი და ზოგჯერ სამკაულიც აქვს.

**აფრა** — იხ. პანდანტივი.

**ბაზილიკა** — ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი უძველესი, ფართოდ გვრცელებული, სახეობა: წაგრძელებული სწორკუთხა უგუმბათო შენობა, რომელიც შიგნით, სიგრძივი მიმართულებით. სვეტების ან ბოძების მწკრივით გაყოფილია ნავებად. შუა ნავი (იხ.) განაპირა ნავებზე უფრო ფართო და მაღალი, გადახურულია ორფერდა სახურავით, მის ზემო ნაწილში (ბოძების ან სვეტების ზემოთ) შეიძლება სარკმლები იყოს მოთავსებული; განაპირა ნავების სახურავი ცალფერდაა. საქართველოში ცნობილია სამნავიანი ბაზილიკები (ძველი შუამთა, ბოლნისის სიონი, ანჩისხატი, ურბნისისა და ურიათუბნის ეკლესიები და სხე.), სხვა ქვეყნებში გვხვდება ხუთნავიანიც.

**გუმბათი** — ზუსტი გაგებით — კამარის (იხ.) ერთ-ერთი სახეობა, ჩვეულებრივ ნახევარსფეროს ფორმისა. იხმარება მრგვალი, მრავალწახნაგა, კვადრატული დარბაზების გადასახურავად. საქართველოში გუმბათს უწოდებენ აგრეთვე ეკლესიის დამაგვირგვინებელ კოშკისებრ ნაწილს, რომლის სწორი სახელწოდებაა გ უ მ ბ ა თ ი ს ყ ე ლ ი.

**თაღი** — მრუდხაზოვანი გადახურვა კედელში გაკეთებული მალისა (სარკმლისა, შესასვლელისა) ან საყრდენებსშორისი მანძილისა. სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა დროს გავრცელებული იყო ნახევარწრიული, ნალისებრი, ისრული, მუზარადისებრი, სამკბილა, მრავალკბილა, მრავალცენტრიანი და სხვ. თაღები განსხვავებული ვარიანტებით. შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში გვხვდება ნალისებრი, ნახევარწრიული (უმეტესად) და ისრული თაღები.

ნამდვილი თაღის გარდა, არსებობს *ცრუ* და *დეკორაციული* თაღი. ჩვეულებრივ კედლის სიბრტყეზე მიბჯენილი (ან კედელშივე ამოკვეთილი) — მისი დანიშნულებაა არა მალის გადახურვა, არამედ კედლის დანაწევრება და შემკობა.

*საბჯენი თაღი*, რომელიც საქართველოში ძალიან გავრცელებულია, კამარის საყრდენი კონსტრუქციაა; მას გარკვეული მხატვრული ფუნქციაც ეკისრება (კამარის რიტმული დანაწევრება).

**კათედრალი** — საეპისკოპოსო ტაძარი.

**კამარა** — მრუდხაზოვანი, შეზნექილზედაპირიანი გადახურვა რაიმე სადგომისა. ხუროთმოძღვრების განვითარების მანძილზე სხვადასხვა ქვეყნებში მრავალგვარი კამარა შეიქმნა. საქართველოში უფრო გავრცელებული იყო *ნახევარცილინდრული* (ანუ *ცილინდრული*, *ნახევარწრიული*) კამარა, რომელიც ორ პარალელურ საყრდენს (კედელს) ეყრდნობა. გვხვდება შეისრული კამარებიც (XVI-XVIII სს.). ჯვაროვანი კამარა, რომელსაც კვადრატული სადგომების გადასახურავად იყენებენ, შექმნილია ორი ნახევარცილინდრული კამარის მართკუთხოვანი გადაკვეთით.

*შეკრული კამარა* კვადრატული ან მრავალწახნაგა სივრცისთვის იხმარება და გადასახურავი სადგომის მთელ პერიმეტრს ეყრდნობა. იგი შედგენილია სამკუთხა მონაკვეთებისაგან (მათი რიცხვი იმდენივეა, რამდენი წახნაგიც აქვს სადგომს), რომლებიც ცენტრში (წვეროში) იყრის თავს. საქართველოში ზოგჯერ (მაგ., VI ს-ში) გუმბათის ნაცვლად იხმარებოდა (შიომღვიმის ძველი ეკლესია, ნინოწმინდის ტაძარი).

**კონქი** — აფსიდის გადამხურავი კონსტრუქცია მეოთხედი სფეროს ფორმისა.

**კუპელშალე** — საკულტო შენობის ერთ-ერთი სახეობა, გუმბათით გადახურული, ერთნავიანი (დარბაზული) ეკლესია, რომელშიაც გუმბათი ეყრდნობა სიგრძივი კედლებიდან გამოშვერილ (და არა ცალკე მდგომ) ბურჯებს.

**ნავი** — ბაზილიკის ერთ-ერთი დანაყოფი — გრძელი სადგომი, რომელიც სხვა ნაწილებისაგან (ნავებისაგან) სვეტების ან ბოძების მწკრივით გამოიყოფა.

**პანდანტივი ანუ აფრა** — სფერულ ზედაპირში ამოკვეთილი სამკუთხა მოხაზულობის კონსტრუქცია, რომლის საშუალებითაც გუმბათის წრიული საფუძველი გადასახურავი სადგომის კვადრატს უკავშირდება („აჯდება"). საქართველოში გავრცელდა VIII-IX საუკუნეებიდან, ნაცვლად მანამდის მიღებული ტრომპისა (იხ.).

**სუბსტრაქცია** — ნაგებობის მოსათავსებლად გაკეთებული ხელოვნური კონსტრუქცია — მოშანდაკებული ბაქანი, საყრდენი კედელი და სხვ.

**ტეტრაკონქი** — ოთხაფსიდიანი ეკლესია ან სხვა რაიმე შენობა (აფსიდები ჩვეულებრივ ჯვარისებრ არის განლაგებული). საქართველოში უმეტესად VI-VII საუკუნეებში შენდებოდა (ძველი გავაზის, მანგლისის, თბილისის ქაშვეთის, ნინოწმინდის ეკლესიები, მცხეთის ჯვარისა და ბანას ტიპის ტაძრები და სხვ.).



ცილინდრული კამარა



ჯვაროვანი კამარა



პანდანტივი

**ტრიკონქი** — სამაფსიდიანი ეკლესია ან სხვა რაიმე შენობა. საქართველოში ამ ტიპის უმთავრესი ნიმუშებია ოშკისა და ალავერდის კათედრალები და ქუთაისის ბაგრატის ტაძარი.

**ტრომპი** — ხუროთმოძღვრული კონსტრუქცია, რომლის საშუალებითაც გუმბათის წრიული საფუძველი გადასახურავი სადგომის კვადრატს უკავშირდება. აქვს ნახევარი კონუსის ან მეოთხედი სფეროს (ნახევარ გუმბათის) სახე. მისი დანიშნულება იგივეა, რაც პანდანტივისა (იხ.). ტრომპების გამოყენებისას კვადრატიდან წრეზე გადასვლა ხდება არა უშუალოდ, არამედ საფეხურებად (კვადრატი — რვაწახნაგა — თექვსმეტწახნაგა — წრეხაზი). საქართველოში გავრცელებული იყო უმეტესად VI-VII საუკუნეთა მანძილზე.



**ცენტრალური შენობა** — შენობა (ეკლესია და სხვ.), რომლის გეგმაც თანაბარზომიერადაა განვითარებული ცენტრალური შვეული ღერძის გარშემო. შეიძლება იყოს წრიული, მრავალწახნაგა, კვადრატული. ჯვარისებრი, ვარსკვლავისებრი და სხვ., უპირისპირდება ბაზილიკას და სხვა შენობებს, რომელთაც მკაფიოდ გამომჟღავნებული ერთი (სიგრძივი) ღერძი აქვთ. საქართველოში ცენტრალური შენობის მაგალითებია ადრინდელი ტეტრაკონქები, ჯვარისა და ბანას ტიპის ტაძრები, X ს-ის ექვსაფსიდიანი ეკლესიები და სხვ.

## შემოკლებანი

ენიმკი — ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი.

გ. ჩუბინაშვილი, ქ. ხ. ი. — გიორგი ჩუბინაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, ტფ., 1936.

Вопросы — Г. Н. Чубинашвили. Вопросы истории искусств, I, Тб. 1970.

МАК — Материалы по археологии Кавказа, собранные экспедициями Императорского Московского Археологического Общества.

Е. Такайшвили — ЛЭРЗ — Е. Такайшвили. Археологические экскурсии, разыскания и заметки.

Г. Н. Чубинашвили. Арх. Ках. — Г. Чубинашвили. Архитектура Кахетии, Тб. 1959.

## ДРЕВНЕГРУЗИНСКАЯ АРХИТЕКТУРА

## (РЕЗЮМЕ)

Книга посвящена древней грузинской архитектуре с самых ранних ступеней ее развития — до начала XIX столетия. Первая часть представляет собой исторический обзор, вторая состоит из аннотаций к отдельным памятникам.

Древнейшие следы человеческой деятельности на территории Грузии восходят к эпохе палеолита, а самые ранние образцы архитектурного искусства — к позднему неолиту. Это селища близ Шулавери в Восточной Грузии, т. н. Шулаврис-гора и Имирис-гора (V и IV тысячелетие до н. э.) — с группами круглых в плане жилых и хозяйственных ячеек, перекрытых то коническим куполом, то плоской кровлей. Памятник эпохи ранней бронзы — селище Квацхелеби в 10 км. от г. Гори (самые ранние слои — нач. и середины III тысячелетия до н. э.). В ранних постройках характерно наличие очага; стены из саманного кирпича или из плетенки с глиняной обмазкой. В Квацхелеби — плоское перекрытие с центральным отверстием, опирающееся на столб. План комнаты приблизительно квадратный, с закругленными углами, с передней, несколько напоминающий композицию мегарона. Исследованы также поселения эпохи поздней бронзы — Нацар-гора, II—I тысячел. до н. э. Места для них выбирали на мысу с крутыми берегами, или на холмах, господствовавших над равнинами. Территория Грузии, так же как и всего Закавказья, богата остатками мегалитических сооружений. Их особенно много в районе Триалети (укрепления и жилые комплексы из необработанных глыб сухой кладки) и в Абхазии (дольмены). Предположительно, древнейшие мегалитические сооружения могут восходить к III тысячелетию. К тому же времени относится и ряд курганных погребений, напр., курган Кохрас-гора близ Тбилиси, в котором обнаружены остатки погребальной камеры, сложенной из дубовых брусьев. По-видимому, к I тысячелетию до н. э. следует отнести зарождение традиции создания скальных комплексов, что, несомненно, было связано с аналогичной традицией в государстве Урарту, находившемся в районе озера Ван.

Во II половине I тысячелетия до н. э. на территории Грузии возникло два рабовладельческих государства — Иберия в восточной части и Колхида — в западной, приморской. По свидетельству греческих (Ксенофонт, V—IV вв. до н. э., Страбон, I в. до н. э. — I в. н. э.) и римских (Витрувий, I в. до н. э.) авторов, в то время в Грузии существовали укрепленные благоустроенные города, крытые черепицей и построенные согласно правилам архитектурного искусства, дворцы, дома, рынки и другие общественные сооружения, а Витрувий дает описание колхидского жилого дома со сложенным из деревянных брусьев пирамидальным перекрытием и с верхним отверстием — своеобразного прототипа крестьянского жилья типа «дарбази», получившего в Грузии в дальнейшем широкое распространение и послужившего одним из источников формирования средневековой монументальной купольной архитектуры. Благодаря работам грузинских археологов в настоящее время раскрыты и памятники этого времени: грандиозный акрополь Армазцихе (Багинети) в древней столице Мцхета (середина I тысячелетия до н. э. — первые века н. э.) — с толстыми крепостными стенами (основание из плит тесаного камня, сами стены — глиняные) и башнями, с остатками дворцового зала; гробница I в. н. э. в Мцхета, облицованная квадрами тесаного камня, перекрытая каменным же полуциркульным сводом, с черепичной кровлей; городище Вани в Западной Грузии (I тысячел. до н. э.); остатки дворца правителей в Армазисхеви

в Мцхета (с некрополем, в котором обнаружен богатейший инвентарь; с баней, снабженной гипокаустами римского типа, и т. д.). Приблизительно к этому-же времени, к перелому двух эр, возможно отнести возникновение скального города Уплис-цихе близ Гори, некоторые залы которого перекрыты высеченными в скалах сводами, украшенными кессонами римского типа.

Т. о., строительным материалом издревле служили глина, дерево, камень. Наиболее характерно употребление камня, который во все последующие времена останется основным материалом, используемым в монументальном строительстве. Техника строительства каменных стен претерпевает эволюцию от сухой кладки из булыжника или необработанных глыб — до кладки из тесаного камня на известковом растворе. Из-за плохой сохранности сооружений, их разрозненности в отношении хронологии, трудно судить об эволюции, собственно об архитектуре, ее художественных чертах. Но можно заключить, что жилые ячейки были организованы не вокруг центрального двора (как в Месопотамии и античных странах), а представляли собой единый блок, открытый с внешней стороны, как у субаров, хеттов, в Миттани. Этот принцип сохранит в Грузии силу и в дальнейшем, как в архитектуре дворцов, так и крестьянского жилого дома. Характерно и применение темы передней — портика, тоже общей с указанным кругом переднеазиатских стран.

Ряд сооружений, точнее, отдельные их фрагменты, и в большей мере, различные предметы, обнаруженные во время раскопок (утварь, произведения мелкой пластики и т. д.), свидетельствуют о довольно тесных связях с античным миром. Пока окончательно трудно судить, насколько глубоко проникло в грузинскую архитектуру эллинистическое влияние, но, скорее всего, оно ограничивалось постройками, принадлежавшими верхним слоям общества.

В IV—V вв. н. э .в Грузии зарождаются феодальные отношения. Прибл. в 337 г. Иберия принимает христианство в качестве официальной религии, что имело важное значение для последующего культурного развития страны. Находившаяся в кругу стран Передней Азии и Средиземноморья, т. е., по существу, в центре тогдашнего цивилизованного мира, Грузия отныне устанавливает особенно тесные контакты с Западом — с Византией и другими христианскими странами, хотя никогда не порывает связей и с Востоком. Очаги грузинской культуры — монастыри, занимавшиеся интенсивной литературной, в частности, переводческой деятельностью — возникают не только в самой Грузии, но и в Сирии и Палестине, а позднее и в Греции. К V в. относятся древнейшие уцелевшие образцы грузинского письма, самое раннее из известных нам произведений оригинальной литературы, переводы на грузинский язык отдельных частей библии.

В средневековой Грузии, в которой многие виды искусства — монументальная живопись, украшение рукописной книги, декоративная скульптура, чеканка и разные виды прикладных искусств — получили очень широкое развитие, архитектура занимает особое место, пожалуй, наиболее ярко отражая самобытные национальные черты. В то же время, она представляет значительный интерес для освещения многих проблем истории средневекового христианского зодчества вообще, благодаря разнообразию архитектурных тем, многие из которых сложились именно в Грузии, и раннему появлению некоторых типов сооружений и конструкций, получивших широкое распространение на Переднем Востоке и в Западной Европе.

Первые же постройки раннефеодального времени показывают отработанность строительных приемов и конструкций, в чем сказывается наличие давних коренных традиций строительного искусства. Все монументальные здания возводятся из камня на известковом растворе. Стены церквей складываются с фасадной и внутренней стороны из

гладко отесанных квадров, уложенных правильными рядами. В середине — заливка. Церковные сооружения, все без исключения, перекрываются сводами; применяются как коробовые своды, так и крестовые, а также купола. Широко распространены арки; в качестве отдельных опор применяются сложенные из камня столбы — монолитные колонны очень редки и занимают второстепенное место. В дворцовых сооружениях для перекрытия, помимо сводов, применяют и плоские деревянные конструкции.

По большому количеству уцелевших памятников и развалин можно проследить путь развития средневековой архитектуры с IV в. вплоть до начала XIX-го. Наиболее полную и последовательную картину, так же как и в других средневековых странах, дает культовое зодчество — его памятники сохранились лучше и, к тому же, они ярче отображают стилистическую эволюцию.

Средневековую грузинскую архитектуру делят на следующие периоды:

1. Архитектура раннего средневековья — с IV в. до середины VII в. Это период первого блестящего расцвета, совпадающий отчасти с «раннехристинским искусством» на западе.

2. Переходный период — с середины VII в. до середины X в. Совпадает со временем арабского вторжения, феодального раздробления, а затем борьбы за объединение страны.

3. Архитектура развитого средневековья — с середины X в. до перелома XIII—XIV вв., период второго расцвета, совпадающий, в основном, с периодом существования объединенной феодальной монархии, одного из наиболее мощных государств на Переднем Востоке.

4. Архитектура позднего средневековья — XIV—XVIII вв. Это период, когда феодально раздробленная, окруженная агрессивными мусульманскими государствами, Грузия ведет кровопролитную борьбу за сохранение самостоятельности.

В 1801 г. Грузия была присоединена к Российской империи, после чего начинается новая глава в историческом, экономическом, социальном и культурном развитии страны.

Как и в странах Европы и Переднего Востока, в «раннехристианскую эпоху», в Грузии строили сооружения: а) некупольные, с вытянутой продольной осью, и б) центрические. Тип базилики, построенной на ритмическом повторении элементов, был чужд грузинским зодчим; но этот тип насаждался официальной церковью, поскольку он был уже освящен первыми церквами в Палестине. Древнейшие уцелевшие в Грузии часовни показывают как-бы борьбу противоположных традиций — местных (стремление к центральным композициям) и привнесенных извне (форма базилики). Церкви Некреси (IV в.) и Дзвели-Шуамта (V в.) имеют лишь внешнее подобие базилики, но лишены четко выраженной продольной оси и настоящих нефов. Первая и самая значительная настоящая базилика — Болнисский Сион (478—493 гг.), а также базилики VI—VII вв. (Урбниси, Анчисхати в Тбилиси, Цкароставн и др), отличаются от римско-эллинистских, составляя самостоятельную группу (каменные стены, сводчатые перекрытия, столбы, арки, отсутствие нартекса и атриума и т. д.).

В Грузии выработался т. н. тип трехцерковной базилики (при внешнем базиликальном виде, внутри не нефы, а три, разделенные стенами, зала). Образцы: церкви VI—VII вв. в Зегани, Некреси, Квемо-Болниси, Дманиси. Так же, как и трехнефная базилика, тип трехцерковной базилики просуществовал в Грузии до X в. включительно, пройдя определенную эволюцию. Наконец, на всем протяжении средневековья в Грузии строили и однонефные (зальные) церкви. Примеры из I периода: церкви Акаурта (рубеж V—V вв.), Ак-

ванеба (VI в.), Олтиси (VI—VII вв.), две часовни на Кацхском «столпе» (V и VI вв.).

Примерно с середины VI в. на первый план выходит строительство центрических зданий. Но в Грузии центричность здания не означала, что оно является мемориальным сооружением, мартирием, как это, по мнению ряда ученых, было во многих случаях на Западе или в странах Переднего Востока. В Грузии вообще не известны ротонды и октогоны того типа, которые были унаследованы от античного времени христианской архитектурой эллинизированных стран. Ядром грузинских центрических храмов (за малым исключением) является перекрытый куполом квадрат, вокруг которого развивается крестообразный план (другие типы — лишь исключение, или относятся к переходным этапам). Тема купола на квадрате, сыгравшая решающую роль в развитии всего восточно-христианского зодчества, была в Грузии, т. о., коренной — генетически она была связана не только с архитектурой Сасанидского Ирана, но и, как было сказано, с типами древнейшего местного крестьянского жилья. Для связи купола, всегда возвышающегося на многогранном барабане (в котором пробиты окна) с подкупольным квадратом, в раннюю эпоху в Грузии, в отличие от Византии, применяли лишь конхи; пандантивы появляются позднее.

Уже в раннюю эпоху в Грузии сложилось несколько типов центрально-купольных церквей: т. н. croix libre («свободный крест») с одной апсидой и тремя прямоугольными рукавами; с крестообразным внутри планом, но снаружи имеющим вид прямоугольника или многогранника; тетраконх — тип, который достиг наиболее полного развития: в Грузии выработался специфический вариант с угловыми комнатами, известный под названием «типа Джвари». Можно проследить его эволюцию от простого четырехлистника (Дзвели Гавази, VI в.) к более сложному плану в кафедрале Ниноцминда (VI в.), наконец, к знаменитому храму Мцхетского Джвари (586/87—604 гг.), знаменующему собой завершение развития типа. Другие образцы того же типа — храмы VII в. в Атени, Мартвили, Дзвели Шуамта. Аналогичный тип, но с определенными особенностями, сложился и в Армении, за пределами же этих двух стран, он неизвестен, так же как и еще один вариант тетраконха — с круглым обходом (храмы VII в. в Ишхани и Бана; первый из них основательно перестроен позднее, окончательно — в XI в.); наконец, к первой трети VII в. относится храм в Цроми — один из наиболее ранних законченных образцов широко распространившегося затем во многих странах типа «вписанный крест» (croix inscrite). В отличие от всех предыдущих храмов, купол здесь опирается не на стены, а на четыре свободно стоящих столба. Храм Цроми — с удлиненной продольной осью, с двумя треугольными нишами на восточном фасаде, с фронтонными завершениями всех четырех рукавов креста, создаваемого массами сооружения — предвосхищает дальнейшее развитие грузинской купольной архитектуры.

Перелом VI—VII вв. — период первого расцвета грузинской средневековой архитектуры, когда творческие искания достигают полного художественного завершения. На этом этапе архитектура Грузии ставит и разрешает задачу органического сочетания внутреннего пространства здания с его внешними формами, ставит проблему художественно осмысленного фасада — черта, резко отличающая грузинское зодчество того времени от византийского, и на все последующие века остающаяся характерной. IV—VI вв. — период строгого, «классического» стиля. Оформление сдержанное, декор занимает подчиненное место, но определенную роль играет (напр., в Джвари, Атени, Мартвили, в ряде маленьких церквей) фасадная рельефная скульптура, совершенно неизвестная в то время в Византии. В декоративных мотивах и профилях, за редким исключением, нет следов римско-эллинистических пережитков, наложивших столь заметный отпечаток на многие христианские по-

стройки Сирии, Малой Азии и Северной Африки. Композиции фасадов спокойные, уравновешенные, статичные, пропорции — широкие, без подчеркнутого стремления ввысь. Храмы монументальны, стены — с их широкими плоскостями — незыблемы и мощны, но нет впечатления подавляющей тяжести, мистической мрачности. Грузинские памятники и тогда, и позднее будут отличаться удивительной жизнерадостностью. Храмы Болниси, Джвари, Цроми, Самцевриси — выдающиеся в художественном отношении произведения, которые можно отнести к числу лучших творений мирового зодчества эпохи.

В качестве образца гражданской архитектуры I периода в книге рассмотрен акрополь города-крепости Уджарма.

Переходный период: в первое время арабского владычества строительство ведется менее интенсивно, чем прежде. На грани VIII—IX вв., в IX—X вв. оно достигает большого масштаба в самостоятельных грузинских княжествах и царствах: Тао-Кларджети, Абхазии, Кахети, в отдельных частях Картли. Характерная черта — разложение старого стиля, появление элементов живописности, декоративности, разнообразие и пестрота архитектурных тем и форм, из коих лишь часть окажется жизнеспособной и войдет в репертуар архитектуры последующего времени. В качестве образцов этого периода рассмотрены: кафедрал Самшвилде в средневековом городище (757—777 гг.), церкви Цирколи (VIII в.) и Армази (864 г.), в Ксанском ущелье, в Вост. Грузии; Вачнадзиани (VIII—IX вв.) и Гурджаани (VIII в.), в Кахети; группа шестиабсидных церквей (тип храма, распространенный лишь в X в.) — Кягмис-Алты, Гогюба, Олтиси в Южной Грузии, Бочорма в Кахети; к этому же типу примыкает церковь Тао-скари (X в.) в Южной Грузии, в плане которого восемь радиально расположенных «лучей»; шестиабсидный с обходом храм в Кацхи (рубеж X—XI вв.) и связанные в отношении плана с этим типом храмы Кумурдо в исторической провинции Джавахети (964 г.) и Никорцминда в Раче (1010—1014 гг.), по своей архитектуре и декору уже принадлежат к следующему этапу развития. Переходным временем датируется также монастырь Опиза (храм основан в VIII в., перестроен в X в.), трехнефные базилики X в. Отха-эклесиа и Пархали, ряд монастырских трапезных, скрипториев и т. д. Важные памятники этого времени — феодальные дворцы VIII—IX вв. в Кахети.

Архитектура с середины X в. до перелома XIII—XIV вв. Это время мощного подъема грузинской средневековой культуры, обширного строительства. Возникают новые и достигают расцвета многие старые феодальные города, возводятся крепости, распределение которых на территории Грузии подчинялось определенному плану, крупнейшие кафедралы, строятся дороги, мосты, караван-сараи, различные сооружения общественного назначения( напр., больницы), монастырские ансамбли. В культовой архитектуре ведущим становится тип прямоугольного крестово-купольного храма, с удлиненной продольной осью, с высоким куполом, опирающимся сначала на 4 свободностоящих столба, затем (эволюция намечается уже с I пол. XI в.) на два столба и выступы абсиды (этот тип становится каноническим со II пол. XII в.). В пропорциях усиливается стремление ввысь, фасады разработаны декоративными арками (до I пол. XIII в.), окна и двери обрамляются резными наличниками, богатейшая орнаментация которых отныне начинает занимать существенное место в общем облике храмов; с юга и запада церкви имеют притворы; внутри стены и своды сплошь расписаны. Общая живописность, однако, не мешает сохранению тектонической ясности и четкости общего построения. Эту черту грузинская архитектура сохраняет несмотря на смену стиля. В качестве подкупольной конструкции тромпы уступают место парусам. Храмы XII—XIII вв. меньше, интимнее, чем кафедралы X—XI вв., более насыщены декором. Отличительная черта грузинских купольных храмов — ступен-

чатость постепенно вырастающих масс, состоящих из рукавов креста, перекрытых двускатной кровлей, и угловых, более низких помещений, перекрытых на один скат — все увенчано единственным куполом на высоком барабане, с пирамидальной кровлей: это основная доминанта, объединяющая все сооружение в компактное целое. В Грузии неизвестны кубические массы, создающие цельный блок корпуса храма — как в ряде византийских и русских памятников; неизвестны посводное покрытие и многокупольность византийских и русских храмов, или угловые башни романских кафедралов, т. е. «децентрализующие» элементы композиции. С романской архитектурой грузинская имеет больше точек соприкосновения, чем с византийской (характер каменных массивных стен, декоративных арок, резьба по камню, большое место, отводимое, особенно в X—XI вв, фасадной скульптуре, которая в Византии практически играет незначительную роль; в ряде случаев, пропорции интерьеров); но их отличает структура плана церквей (в романских храмах построение путем ритмического повторения элементов, что требует «постепенного» восприятия интерьера; интерьеры грузинских храмов воспринимаются симультанно, как единое целое), отличает и общая стилистическая установка: в Грузии это период живописного стиля; наконец, в Грузии неизвестны реминисценции античных мотивов, столь значительные в некоторых школах романской архитектуры. От византийских храмов грузинские резко отличаются также и характером стен, их фактурой: там живописная (часто ковровая) кладка из чередующихся рядов кирпича и камня, с толстыми прослойками раствора, глухие декоративные ниши, по существу, отсутствие четкой общей системы декора; здесь широкие плоскости гладких стен из чисто отесанных квадров, совершенно отличная, отработанная декоративная система фасадных композиций, специфически «каменная» резьба; большие кафедралы X—XI вв. по своим размерам значительно превосходят современные им византийские церкви; кроме того, в них гораздо больше подчеркнута вертикальность пропорций. Существенная разница наблюдается, несмотря на черты родства, между грузинской и армянской архитектурой, в отношении отдельных типов и архитектурных тем, декора, пропорций, цвета и т. д.

Главнейшие памятники эпохи: кафедралы О ш к и (50—60 гг. X в.), Х а х у л и (X в.), И ш х а н и (после перестройки—XI в.), упомянутый К у м у р д о. Х р а м  Б а г р а т а в Кутаиси (основная часть—1003 г., притворы—I пол. XI в.), патриарший собор С в е т и ц х о в е л и в Мцхете (1010—1029 гг. арх. Арсукисдзе), кафедралы А л а в е р д и (I четв. XI в.), С а м т а в и с и (1030 г.), М а н г л и с и (после перестройки в 1020 г.), однонефные церкви XI в. Х ц и с и (1002 г.). С а в а н е (1046 г.). ансамбль Г е л а т с к о г о монастыря (основан в 1106 г., малые церкви — XIII в.), церкви Т и г в а (1152 г.) и С а о р б и с и (1152 г.), группа церквей конца XII и начала XIII вв. в Картли: И к о р к а (1172 г.), Б е т а н и а, К в а т а х е в и, П и т а р е т и, Ц у г р у г а ш е н и, А х т а л а, кирпичные церкви Т и м о т е с у б а н и, К и н ц в и с и, однонефные — М а г а л а а н т  э к л е с и а, Г у д а р е х и, памятники рубежа XIII — XIV вв,: тбилисский храм М е т е х и (1278—1289), храм монастырей С а ф а р а и З а р з м а. Кроме того, большие скальные ансамбли — монастыри В а р д з и а (XII в.) и Д а в и д  Г а р е д ж а (основан в VI в., развивался на протяжении всего средневековья); гражданские и крепостные сооружения — здание А к а д е м и и в Г е л а т и, царский дворец в Г е г у т и, ряд крепостей, мостов и т. д.

А р х и т е к т у р а XIV—XVIII вв., времени тяжелой борьбы за национальную независимость раздробленной на отдельные царства и княжества Грузии, известна по постройкам разнообразного назначения. Сохранились целые городища (Г р е м и, XVI в. Кахети), царский дворец в Т е л а в и (XVII и XVIII вв.); феодальные ансамбли (А н а у р и, XVII в., с крепостными стенами, башнями двумя купольными церквами,

помещениями хозяйственного назначения), дворцы феодалов (напр. дворец в сел. Дзагина, XVII в.), отдельные храмы («Самеба», т. е. церковь Тройцы в Гергети, в горной провинции Хеви, XIV в., «Ормоцини» в Гоубани, XVI в., Гремп, Ахали Шуамта в Кахети, XVI в., Мчадисджвари в Картли, 1668, Баракони в Раче, 1753), колокольни (в Нинոцминда, XVI в., Анчисхатская в Тбилиси, 1675), много крепостей, мостов, бань и т. д. В планах и общей композиции сохраняются национальные традиции, хотя в исполнении налицо черты ремесленности и эклектизма; в Восточной Грузии большое распространение получает строительство из кирпича, в ряде памятников в декоре и некоторых архитектурных деталях, заметно влияние иранских мотивов, что сильнее дает о себе знать в царских и феодальных дворцах.

В книге показаны также образцы народной архитектуры Грузии, чрезвычайно ценной в художественном отношении и, в то же время, весьма разнообразной, что объясняется как многообразием природных и климатических условий в различных частях страны, так и различием исторического и социально-экономического развития отдельных провинций. В Восточной Грузии и в Южных районах вплоть до XIX в. включительно широко был распространен тип дарбази, в равнинных районах Зап. Грузии — тип деревянного ода-сахли (хозяйственные помещения вынесены во двор); для архитектуры жилого дома горных районов характерно использование камня в качестве строительного материала (дерево применяют в интерьере), объединение в едином сооружении жилых, оборонительных и хозяйственных функций.

В XIX в. ,после присоединения Грузии к Российской империи, когда в развитии культуры и искусства Грузии произошел коренной перелом, в течение I пол. и середины XIX в. наибольший интерес представляет архитектура городского жилого дома (Тбилиси, Кутаиси, Телави, Сигнахи и др.) органически сочетающая традиционные и выработавшиеся в соответствии с местными требованиями черты — с элементами классицизма, проникшего из России. В стиле классицизма шло официальное строительство, а с 60-х гг. XIX в. архитектуру Грузии, так-же как и других стран, захлестывает волна эклектизма.

## ИЛЛЮСТРАЦИИ В ТЕКСТЕ


1. Шулаверис-гора. V тысячел. до н. э. План группы жилищ.
2. Имирис-гора, здание №№ 9—10. IV тысячелетие до н. э. Реконструкция А. Джавахишвили.
3. Имирис-гора. IV тысячелетие до н. э. Генеральный план восточного сектора.
4. Квацхелеби, здание № 5. III тысячелетие до н. э. Реконструкция А. Джавахишвили.
5. Уплисцихе, пещерный город. Конец старой эры, первые века н. э. План и разрез главного комплекса пещерных залов.
6. Армазцихе. Колонный зал. По А. Апакидзе.
7. Мцхетская гробница. I в. н. э. Разрез и фасад.
8. Мцхетская гробница. План.
9. Армазис-хеви, баня. II—III вв. н. э. Планы.
10. Монастырь Некреси, старая базилика IV в. Реконструкция Н. Северова.
11. Монастырь Некреси, старая базилика. План.
12. Монастырь Некреси, дворец епископа (VIII—IX вв.) и башня (XVI в.).
13—14. Болнисский Сион, 478—493 гг. План и поперечный разрез базилики.
15—16. Болнисский Сион. Продольный разрез и аксонометрический разрез базилики.
17—18. Урбниси, базилика св. Стефана. VI в. План и поперечный разрез.
19—20. Урбниси, базилика св. Стефана. Продольный разрез и восточный фасад.
21. Тбилиси, базилика Анчисхати. VI в. План.
22—23. Квемо-Болниси, трехцерковная базилика V—VI вв. План и продольный разрез.
24. Ванати, трехцерковная базилика. V—VI вв. План.
25. Дманиси, трехцерковная базилика. VI в. План.
26—27. Зегани, трехцерковная базилика «Квелацминда». Перелом V—VI вв. План и западный фасад.
28. Планы церквей Акванеба (VI в.) и Акаурта (перелом V—VI вв.).
29. Кущи, Старый Олтиси, церковь. Перелом VI—VII вв. План.
30. Кацхский «Свети» (естественный скальный «столп»). Генеральный план верхней площадки. Часовни V и VI вв.
31. Монастырь Шиомгвиме, купольная церковь. VI в. План.
32. Монастырь Шиомгвиме, купольная церковь. Разрез.
33. Монастырь Шиомгвиме, купольная церковь. Интерьер. Рис. Н. Северова.
34. Церковь Эрелаант сакдари. V—VI вв. План и разрез.
35—36. Идлети, церковь «Натлисмцемели» (Иоанна Крестителя). VI в. Разрез и планы.
37. Дзвели Гавази, церковь. VI в. План и разрез.
38—39. Нинощминда, кафедрал. VI в. План; Реконструкция интерьера, рис. Н. Северова.
40. Мцхета, храм Джвари. 586/87—604 гг. План.
41—42. Мцхета, храм Джвари. Разрез О—W и восточный фасад.
43—46. Атени, Сион, VII в. План, северный и восточный фасады, разрез О—W с видом на юг.
47—48. Мартвили, кафедрал. VII в. План и схематическая реконструкция Н. Северова.
49. Дзвели Шуамта, базилика. V в. План.
50. Дзвели Шуамта, большая купольная церковь. VII в. План.
51. Дзвели Шуамта, большая купольная церковь. Разрез.
52. Дзвели Шуамта, малая купольная церковь. VII в. План и разрез.
53. Бана, кафедрал. VIII в. План.
54. Цроми, храм. 626—634 гг. План.
55—56. Цроми, храм. Поперечный разрез и западный фасад.
57. Самцевриси, церковь. VII в. Деталь конструкции конхи.
58—59. Самцевриси, церковь. План и разрез.
60. Уджарма, цитадель. Реконструкция И. Цицишвили.
61. Уджарма, башня. Рисунок А. Варази.
62—63. Самшвилде, храм 759—777 гг. Поперечный разрез и план.
64. Самшвилде, храм. Схематическая реконструкция Н. Чубинашвили.
65. Цирколи, церковь. VIII в. План.
66. Армази, церковь. 864 г. План.
67—68. Армази, церковь. Продольный и поперечный разрезы.
69. Цирколи, церковь. Продольный разрез.
70. Гурджаани, храм «Квелацминда». VIII в. Южный фасад.
71—72. Гурджаани, храм «Квелацминда». Планы на двух уровнях.
73—75. Вачнадзиани, храм «Квелацминда». VIII—IX вв. План, продольный разрез с видом на юг, восточный фасад.
76. Бочорма, церковь в крепости. X в. План.
77. Бочорма, церковь в крепости. Рисунок В. Сидамон-Эристави.
78. Кацхи, церковь. Перелом X—XI вв. Обход — I пол. XI в. План.
79—80. Таоскари, церковь X в. Разрез и план.
81—82. Базилика Отхта эклесиа. X в. План и южный фасад.
83. Базилика Отхта эклесиа. X в. Восточный фасад.
84. Монастырь Опиза, церковь. VIII в., восстановлена в X в. План.
85. Вачнадзиани, дворец. IX в. Разрез.
86. Вачнадзиани, дворец. План.
87—88. Кумурдо, кафедрал. 964 г. Зодчий Сакоцари. Восточный фасад и план.
89. Монастырь Ошки, храм. 50—60 гг. X в. Строитель — Григол. План.
90. Монастырь Хахули. II полов. X в. Генеральный план.
91. Кутаиси, храм Баграта. Основная часть — перелом X—XI вв., портики и притворы — I полов. XI в. Реконструкция плана В. Цинцадзе.
92—93. Алаверди, кафедрал. I четверть XI в. Реконструкция плана (Н. Северов) и поперечный разрез.
94—95. Алаверди, кафедрал. Продольный разрез и восточный фасад.
96. Алаверди, кафедрал. Интерьер. Рисунок Н. Северова.
97. Мцхета, патриарший собор Светицховели. 1010—1029 гг. Зодчий Арсукисдзе. План.
98. Мцхета, Светицховели. Поперечный разрез с видом на восток.
99. Мцхета, Светицховели. Восточный фасад.
100. Мцхета, Светицховели. Западный фасад.
101. Мцхета, храм Самтавро. I полов. XI в. План.
102. Самтависи, кафедрал. 1030 г. План.
103. Ишхани, храм. Основан в VII в., перестроен в IX и XI вв. План.
104. Никорцминда, храм. 1010—1014 гг. План.
105. Хциси, церковь. 1002 г. Рельеф на фасаде. Рисунок Р. Шмерлинг.

106—107. Монастырь Гелати, храм Богоматери. Основан в 1106 г. План и продольный разрез.
108—109. Монастырь Гелати, храм Богоматери. Южный и западный фасады.
110. Монастырь Гелати, храм Богоматери. Восточный фасад.
111—112. Бетания, храм. Перелом XII—XIII вв. Западный и южный фасады.
113. Бетания, храм. Поперечный разрез.
114. Монастырь Кватахеви. Перелом XII—XIII вв. Генеральный план.
115. Питарети, храм. 1213—1222 гг. План.
116—117. «Магалаант эклесиа» (церковь рода Магаладзе) близ Цинарехи. Конец XII в. План и орнаментальные детали.
118. «Магалаант эклесиа». Восточный фасад.
119. Монастырь Сафара, храм св. Саввы. Конец XIII в. Зодчий Парезаедзе. Западный фасад.
120. Монастырь Сафара, храм св. Саввы. План.
121—122. Тбилиси, храм Метехи. 1278—1289 гг. План и поперечный разрез.
123. Тбилиси, храм Метехи. Восточный фасад.
124. Тбилиси, храм Метехи. Северный фасад.
125. Гегути, царский дворец. Основная часть—XII в. План.
126. Гегути, дворец. Разрез.
127—128. Монастырь Агара, трапезная. Перелом XI—XII вв. Фасад и продольный разрез.
129. Тбилиси, церковь «Джварис-мама». XVI в. План.
130. Гоубани, церковь «Ормоцни» (Сорока мучеников). XVI в. План.
131. Церковь «Гулбандиани» близ села Сакара. XVI в. План, разрез, фасад, перспектива.
132—133. Монастырь Ахали Шуамта. 40-е гг. XVI в. План и продольный разрез.
134—135. Монастырь Ахали Шуамта, Колокольня. XVI в. Разрез и планы.
136. Греми, церковь архангелов. XVI в. План и продольный разрез.
137. Манави, церковь. 1794 г. Интерьер. Рисунок В. Беридзе.
138. Ниноцминда, колокольня. XVI в. Планы этажей, разрез, фасад.
139. Ананури, крепость. Основные сооружения XVII в. Разрез и планы.
140. Ананури, крепость. Вид внутри крепости. Рисунок Р. Беридзе.
141. Телави, «Батонис-цихе» (ограда царской резиденции). XVIII в. Рисунок А. Келлера.
142. Крепость Колагири. 1788—1798 гг. План.
143. Башня Папуа Магаладзе близ села Цинарехи. 1679 г. План, разрез, перспектива, детали.
144. Хенти, башня. Начало XVIII в. План II этажа.
145. Ксовриси, башня Ратишвили. XVIII в. Интерьер жилой комнаты.
146. Сел. Абано (горная провинция Хеви), башня. Планы этажей, разрез, фасад.
147. Мухрани, крепость Шиосубани, главная башня («Мама-бурджи»). 1756 г. Разрез и фасад.
148. Сел. Ахиели (горная провинция Хевсурети). Башня. Планы этажей, разрез, фасад.
149. Дзагина, дворец Палавандишвили. XVII в. План.
150—151. Дзагина, дворец Палавандишвили. Разрез; планы этажей башни.
152. Руиспири, укрепленный жилой дом «Адамаант цихе». Последняя треть XVIII в. Аксонометрический разрез.
153—154. Ниноцминда, дом митрополита Саба Тусишвили. 70-е гг. XVIII в. Планы этажей и фасад.
155. Крестьянский жилой дом типа «дарбази». Интерьер. Рисунок Н. Северова.
156. Дигоми, крестьянский «дарбази». План.
157. Карагаджи, крестьянский дарбази. Разрез.
158. Мцхета, дарбази Имерлишвили. Детали резьбы по дереву.
159. Сел. Хани, дом Натрошвили. Оформление стены с камином.
160. Сел. Лехтаг (Верхняя Сванетия), башня Хергиани. Планы этажей, разрез, фасад.
161. Интерьер «Мачвиби» сванского дома. Рисунок Г. Лежава и М. Джандиери.
162—163. Сел. Чажаши Верхняя Сванетия), дом-крепость. Планы этажей и фасад.
164. Сел. Чажаши, дом-крепость. Разрез.
165—166. Сел. Барисахо (Хевсурети), крестьянский жилой дом с током. План и внешний вид.
167. Хевсурский «Квиткири». Разрез.
168. Казбеги. Дом Н. Гудушаури. План, разрез, фасад, по В. Долидзе.
169—170. Телави. Жилые дома XIX в. Фасады и планы. Обмер архитектора И. Чхенкели.
171—172. Сигнахи. Жилые дома XIX в. Фасады и планы Обмер архитектора И. Чхенкели.

# ილუსტრაციები



1. შულავერის გორა, №№ 7, 8, 10 და სხვა შენობები. ძვ. წელთაღრიცხვის V ათასწლედი.

2. შულავერის გორა. №№ 1 და 2 შენობები. ძვ. წელთაღრიცხვის V ათასწლედი.





3. იმირის გორა. შენობა № 8. ძვ. წელთაღრიცხვის IV ათასწლედი.

4. იმირის გორა. შენობები №№ 8, 9, 10. ძვ. წელთაღრიცხვის IV ათასწლედი





5. ციკლოპური კედელი წალკაში.



6. არმაზციხე. სვეტებიანი დარბაზის ნანგრევები. ძვ. წელთაღრიცხვის ბოლო საუკუნეები — ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისი.



7. მცხეთის აკლდამა. ინტერიერი. ჩვენი წელთაღრიცხვის I ს.



8. მცხეთის აკლდამა. გარეთა ხედი. ჩვენი წელთაღრიცხვის I ს.



9. უფლისციხე. გამოქვაბული ქალაქის საერთო ხედი.



10. ძველი შუამთა. მონასტრის ანსამბლი. წინა პლანზეა V ს-ის ბაზილიკა.



11. ბოლნისის სიონი. საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან. 478-493 წწ.





13. ბოლნისის სიონი. სვეტისთავი ცხოველების გამოსახულებით. 478-493 წწ.

[illegible] ბოლნისის სიონი. ინტერიერი, ხედი აღმოსავლეთისკენ. 478-493 წწ.



14. ურბნისის ბაზილიკა. საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. VI ს.



15. ანჩისხატის ბაზილიკა. დასავლეთის ფასადი. VI ს.





15. ნეკრესის მონასტერი, სამეკლესიიანი ბაზილიკა. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. VI ს.

16. ნეკრესის მონასტერი, სამეკლესიიანი ბაზილიკა. ინტერიერი. VI ს.



18. ღმანისის ნაქალაქარი. სამეკლესიიანი ბაზილიკა. VI ს.



19. იკვანება. რელიეფი ეკლესიის შესასვლელის თავზე. VI ს.





21. შიომღვიმე. მონასტრის საერთო ხედი. შუაში — VI ს-ის გუმბათოვანი ეკლესია

20. კაცხის სვეტი. საერთო ხედი.



22. შიომღვიმის მონასტერი. მარჯვნივ — VI ს-ის გუმბათოვანი ტაძარი. წინ — სატრაპეზო. XII ს. გადაკეთებულია XVII ს.-ში.



23. იდლეთის ეკლესია. სამხრეთის მხარე. VI ს.



24. ნინოწმინდის ტაძრის ნანგრევები. აღმოსავლეთის მხარე შიგნიდან. VI ს.



25. მცხეთის ჯვარი. ხედი სვეტიცხოვლის გალავნიდან.



26. მცხეთის ჯვარი. 586/87-604 წწ. საერთო ხედი ზემოდან. ნახატი ნ. სევეროვისა.



27. მცხეთის ჯვარი. აღმოსავლეთის ფასადი. 586/87-604 წწ.



28. მცხეთის ჯვარი. სამხრეთის ფასადი. 586/87-604 წწ.



29. მცხეთის ჯვარი. ინტერიერი, ხედი აღმოსავლეთისაკენ. 586/87-604 წწ. ნახატი ნ. სევეროვისა.



30. მცხეთის ჯვარი. სამხრეთის შესასვლელის ტიმპანი. 587/87-604 წწ.

31. მცხეთის ჯვარი. სამხრეთის ტიმპანის დეტალი.





32. ატენის სიონი. საერთო ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან. VII ს.



33. ატენის სიონი. რელიეფი ნადირობის გამოსახულებით დასავლეთის ფასადზე.



34. ატენის სიონი. ინტერიერი, ხედი სამხრეთისაკენ. VII ს.



მარტვილის ტაძარი. ინტერიერი, ხედი აღმოსავლეთისაკენ. VII ს.



36. ატენის სიონი. ჩრდილოეთის შესასვლელის ტიმპანი. VII ს.



37. ატენის სიონი. აღმოსავლეთის ფასადის ნაწილი.



38. მარტვილის ტაძარი. აღმოსავლეთის აფსიდის რელიეფები. VII ს.



39. ძველი შუამთა, დიდი გუმბათოვანი ეკლესია. ხედი აღმოსავლეთიდან. VII ს.



40. ბანას ტაძარი. საერთო ხედი. VII ს.



41. ბანას ტაძარი. ფასადის დეტალი. VII ს.



42. ბანას ტაძარი. საკურთხევლის აფსიდის თაღედი. VII ს.



43. ბანას ტაძარი. საკურთხევლის აფსიდის საერთო ხედი. VII ს.



44. ბანას ტაძარი. სვეტისთავი. VII ს.



45. იშხნის ტაძარი. საკურთხევლის აფსიდი. VII ს.



46. წრომის ტაძარი. რეკონსტრუქცია ნ. სევეროვისა, ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.



47. წრომის ტაძარი. რეკონსტრუქცია ნ. სევეროვისა, ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან.





49. წრომის ტაძარი. ხედი დასავლეთიდან. VII ს.-ის პირველი მესამედი.

48. წრომის ტაძარი. აღმოსავლეთის ფასადი. VII ს.-ის პირველი მესამედი.




50. წრომის ტაძრის ინტერიერი. ნახატი არქ. რ. ბერიძისა.

51. წრომის ტაძარი. ინტერიერის ნაწილი. VII ს.-ის პირველი მესამედი.





52. სამწევრისის ეკლესია. საერთო ხედი შორიდან. VII ს.



53. სამწევრისის ეკლესია. სამხრეთი მხარე. VII ს. მარჯვნივ ფანასკერტელ-ციციშვილების საძვალე XVI ს-ისა.



54. სამწევრისის ეკლესია. ინტერიერი. VII ს., ნახატი ნ. სევეროვისა.



55. უჯარმა. კოშკის დეტალი.



56. გურჯაანის ყველაწმინდა. საერთო ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან. VIII ს.



57. გურჯაანის ყველაწმინდა. აღმოსავლეთის ფასადი. VIII ს.



58. ვარძიანის ყველაწმინდა. ინტერიერი. VIII-IX სს.. ნახატი ნ. სევეროვისა.



59. წირქოლის ეკლესია. დასავლეთის ფასადი. VIII ს.



60. გოგიუბას ეკლესია. საერთო ხედი. X ს.



61. ბოჭორმის ეკლესია. ინტერიერი. X ს.



62 ოპიზის მონასტერი. ეკლესია VIII ს., განახლებული X ს.



63. დოლისყანის ეკლესია. საერთო ხედი. X ს.



64. ბიჭვინტის ტაძარი. საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან X ს.

65. ბიჭვინტის ტაძარი. ინტერიერი. ხედი აღმოსავლეთისკენ. X ს.





66. ნეკრესის მონასტერი, ეპისკოპოსის სასახლე, IX ს.



67. იყალთოს აკადემიის შენობა. VIII-IX სს.



68. ვანთა, სასახლე. VIII ს.



69. კუმურდოს ტაძარი. 964 წ., რეკონსტრუქცია ნ. სევეროვისა.



70. კუმურდოს ტაძარი. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. 964 წ.

71. კუმურდოს ტაძარი. აღმოსავლეთის ფასადის ნაწილი. 964 წ.





72. კუმურდოს ტაძარი. გუმბათქვეშა კამარები. 964 წ.

73. კუმურდოს ტაძარი. რელიეფი გუმბათქვეშა თაღებს შორის. 964 წ.





74. კუმურდოს ტაძარი. სარკმლის მორთულობა. 964 წ.



75. ოშკის ტაძარი. ხედი სამხრეთიდან. X ს.-ის 50—60-იანი წლები.



76. ოშკის ტაძარი აღმოსავლეთის ფასადი. X ს. 50-60-იანი წლები.



77. ოშკის ტაძარი. სამხრეთის კარიბჭე. X ს.-ის 50-60-იანი წლები.



78. ოშკის ტაძარი. ინტერიერი. ხედი დასავლეთისაკენ. X ს.-ის 50-60-იანი წლები.



79. ოშკი, ბიბლიოთეკის დარბაზი. გუმბათქვეშა ტრომპი. X ს.



80. ოშკის ტაძარი. სამხრეთის კარიბჭის სვეტისთავი. X ს.-ის 50-60-იანი წლები.

81. ხახულის ტაძარი. ორმაგი სარკმელი სამხრეთის ფასადზე. X ს.





82. ქუთაისი. ბაგრატის ტაძარი. სამხრეთის ფასადი და კარიბჭე რესტავრაციის შემდეგ.

83. ქუთაისი. ბაგრატის ტაძარი. დასავლეთის ფასადი რესტავრაციამდე. X-XI სს.-ის მიჯნა.





84. ქუთაისი ბაგრატის ტაძარი. კარიბჭის ჩუქურთმები. X-XI სს.-ის მიჯნა.



85. ქუთაისი ბაგრატის ტაძარი. კარიბჭის ჩუქურთმები. XI ს.-ის I ნახევარი.



86. ალავერდის ტაძარი. საერთო ხედი შორიდან, სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე. XI ს.-ის I მეოთხედი.



87. ალავერდის ტაძარი. სამხრეთის ფასადი. XI ს. I მეოთხედი.





89. მცხეთის საერთო ხედი მცხეთის ჯვრიდან.

88. ალავერდის ტაძარი. აღმოსავლეთის ფასადი. XI ს. I მეოთხედი.



90. სვეტიცხოველი. საერთო ხედი სამხრეთიდან. 1010—1029 წწ.

91. სვეტიცხოველი. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. 1010—1029 წწ.





92. სვეტიცხოველი. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან. 1010--1029 წწ.

93. სვეტიცხოველი. დასავლეთის ფასადის ნაწილი. 1010—1029 წწ.





94. სვეტიცხოველი. დასავლეთის სარკმლის მორთულობა, დეტალი. 1010—1029 წწ.

95. სვეტიცხოველი. ვაზის გამოსახულება დასავლეთის ფასადზე. დეტალი. 1010—1029 წწ.







97. სვეტიცხოველი. გალავნის კარიბჭე. XI ს.

96. სვეტიცხოველი. ინტერიერი, ხედი აღმოსავლეთისაკენ. 1010—1029 წწ.



98. სამთავისის ტაძარი. აღმოსავლეთის ფასადი. 1030 წ.

99. სამთავისის ტაძარი. აღმოსავლეთის ფასადის შუა ნაწილი. 1030 წ.





100. სამთავისის ტაძარი. აღმოსავლეთის ფასადის მარჯვენა მხარე. 1030 წ.



101. მცხეთა, სამთავროს ტაძარი. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან. XI ს.-ის I ნახევარი.



102. მცხეთა, სამთავროს ტაძარი. ჩრდილოეთის ფასადის შუა ნაწილი. XI ს.-ის I ნახევარი.



103. მცხეთა, სამთავროს ტაძარი. სამხრეთის ფასადის შუა ნაწილი. XI ს-ის I ნახევარი.





105. იშხნის ტაძარი. აღმოსავლეთის ფასადის ნაწილი. 1032 წ.

104. მცხეთა. სამთავროს ტაძარი. სამხრეთის სარკმელთა საპირეების დეტალი. XI ს.-ის I ნახევარი.



106. იშხნის ტაძარი. მოჩუქურთმებული სარკმელი. 1032 წ.



107. იშხნის ტაძარი. პორტალი. 1014—1027 წწ.





109. ნიკორწმინდის ტაძარი. სამხრეთის ფასადი. 1010—1014 წწ.

108. ნიკორწმინდის ტაძარი. აღმოსავლეთის სარკმელი. 1010—1014 წწ.



110. ნიკორწმინდის ტაძარი. ხედი დასავლეთიდან. 1010—1014 წწ.



111. ნიკორწმინდის ტაძარი. აღმოსავლეთის ფასადის რელიეფი „ფერისცვალება“ 1010—1014 წწ.



112. ნიკორწმინდის ტაძარი. სამხრეთის ფასადის რელიეფი „ქრისტეს მეორედ მოსვლა". 1010 — 1014 წწ.



113. ნიკორწმინდის ტაძარი. გუმბათის ყელის მორთულობის დეტალი. 1010—1014 წწ.



114. ნიკორწმინდის ტაძარი. ჯვრის ამაღლების გამოსახულება შესასვლელის ტიმპანში. XI ს. I ნახევარი.



115. ნიკორწმინდის ტაძარი. სამხრეთის კრიბჭის მორთულობა. XI ს. I ნახევარი.



116. ნიკორწმინდის ტაძარი. ჩიტების გამოსახულება სამხრეთის კარიბჭის კამარაში. XI ს. I ნახევარი.

117. ნიკორწმინდის ტაძარი. ინტერიერი, გუმბათის ყელი. 1010–1014 წწ.







119. მანგლისის ტაძარი. საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. აშენებულია V ს., გაფართოებულ-გადაკეთებული XI ს. I ნახევარში.

118. მანგლისის ტაძარი. სამხრეთის კარიბჭის ინტერიერი. XI ს. I ნახევარი.



120. კაცხის ტაძარი. საერთო ხედი. X-XI სს მიჯნა. გარშემოსავლელი XI ს. I ნახევრისა.

121. კაცხის ტაძარი. გარშემოსავლელის მორთულობის დეტალი. XI ს. 1 ნახევარი.







123. კაცხის ტაძარი. გარშემოსავლელის მორთულობის დეტალი. XI ს. I ნახევარი.

122. კაცხის ტაძარი. ჯვრის ამაღლების რელიეფური გამოსახულება გარშემოსავლელში. XI ს. I ნახევარი.



124. ხციისის ეკლესია. სარკმლის მორთულობა. 1002 წ.



125. სავანის წმ. გიორგის ეკლესია. დასავლეთი ფასადი. 1046 წ.



126. საფარის წმ. გიორგის ეკლესია. დასავლეთის ფასადის ნაწილი. 1046 წ.



127. სავანის წმ. გიორგის ეკლესია. ფასადის მორთულობის დეტალი. 1046 წ.





129. სვეთის „ზედა მაცხოვარი“. კანკელი. XI ს.

128. სვეთის „ზედა მაცხოვარი“, კანკელის დეტალი. XI ს.



130. პატარა ონის ეკლესია. კანკელი. XI ს.



131. საფარის კანკელის ფრაგმენტი ტაძრად მიყვანების რელიეფური გამოსახულებით. XI ს.



132. კანკელის ფრაგმენტი. XI ს.

133. ატენის სიონი. მხატვრობა XI ს-სა.





134. ატენის სიონი. მხატვრობა XI ს-სა.



135. მოხარატებული კარი ზემო სვანეთიდან. XI ს.



136. წმ. მამა. ვერცხლის ჭედური რელიეფი გელათიდან. XI ს.



137. მარტვილის ორსართულიანი ეკლესია. საერთო ხედი. X-XI სს.





129. გელათის მონასტერი. საერთო ხედი სამხრეთიდან. XII-XIII სს.

138. გელათის მონასტრის მთავარი ტაძარი. ხედი დასავლეთიდან. 1106 წ.



140. გელათის მონასტრის მთავარი ტაძარი. ხედი სამხრეთიდან. 1106 წ.

141. გელათის მონასტერი, სამრეკლო. XIII ს.







143. გელათის მონასტრის მთავარი ტაძარი, ინტერიერი. XII ს.

142. გელათის მონასტერი, წმ. ნიკოლოზის ეკლესია. XIII ს.



144. მთავარანგელოზის თავი. გელათის მთავარი ტაძრის საკურთხევლის მოზაიკის დეტალი. XII ს.



145. გელათის მონასტერი, აკადემიის შენობა. XII ს.



146. საორბისის ეკლესია. სარკმლის მორთულობა. 1152 წ.



147. თიღვის ტაძარი. სარკმლის მორთულობა. 1152 წ.





149. იკორთის ეკლესია. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. 1172 წ

148. იკორთის ეკლესია. სამხრეთის ფასადის შუა ნაწილი. 1172 წ.



150. ბეთანიის ეკლესია. საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. XII-XIII სს. მიჯნა.



151. ბეთანიის ეკლესია. აღმოსავლეთის ფასადი. XII-XIII სს. მიჯნა.



152. ქვათახევის ეკლესია. გუმბათის ყელი. XII-XIII სს. მიჯნა.



153. ქვათახევის ეკლესია. ჩუქურთმის დეტალი. XII-XIII სს. მაჯნა.



154. ქვათახევის ეკლესია. ჩუქურთმის დეტალი. XII-XIII სს. მიჯნა.



155. ქვათახევის ეკლესია. აღმოსავლეთის ფასადის დეტალი. XII-XIII სს. მიჯნა.



156. ფიტარეთის ეკლესია. ხედი სამხრეთიდან. 1213—1222 წწ.



157. ფიტარეთის ეკლესია. სამხრეთის ფასადის ნაწილი. 1213—1222 წწ.



158. ფიტარეთის ეკლესია. გუმბათის ყელის დეტალი. 1213—1222 წ.



159. წუღრუღაშენის ეკლესია. ხედი დასავლეთიდან. 1213—1222 წწ.





161. ღმანისი, ეკლესიის კარიბჭე. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან 1213—1222 წწ.

160. წუღრუღაშენის ეკლესია. დასავლეთის ფასადის დეტალი. 1213—1222 წწ.



162. ახტალის ეკლესია. ხედი დასავლეთიდან. XIII ს. I მეოთხედი.

163. ახტალა. სამლოცველო. ფასადის ნაწილი. XIII ს.





164. მალალაანთ ეკლესია. ხედი დასავლეთიდან. XII-XIII სს. მიჯნა.

165. მალალაანთ ეკლესია. აღმოსავლეთის ფასადის შუა ნაწილი. XII-XIII სს. მიჯნა.





166. გუდარეხის ეკლესია. აღმოსავლეთის ფასადი. 1223—1245 წწ.

167. გუდარეხის სამრეკლო. საერთო ხედი. 1278 წ.





168. ტიმოთესუბნის ეკლესია. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. XII-XIII სს. მიჯნა.



9. ყინწვისის ეკლესია. სამხრეთის ფასადის ნაწილი. XIII ს. დასაწყისი.



170. თბილისის მეტეხის ტაძარი. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. 1278—1289 წწ.



171. თბილისის მეტეხის ტაძარი. ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. 1278—1289 წწ.



172. თბილისის მეტეხის ტაძარი. ჩრდილოეთის ფასადი. 1278—1289 წწ.



173. საფარის მონასტერი. საერთო ხედის სამხრეთ-დასავლეთიდან.



174. საფარის წმ. საბას ტაძარი. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან. XIII ს. დასასრული.



175. ზარზმის ტაძარი. სამხრეთის ფასადი. XIV ს. დასაწყისი.





177. ზარზმის სამრეკლო. დასავლეთის ფასადი. XIV ს. დასაწყისი. ქვემო სართული გადაკეთებულია 1577 წელს.

176. საფარის წმ. საბას ტაძარი. დასავლეთის ფასადი, XIII ს. დასასრული.



138. ზემო სვანეთი, სოფ. მაცხვარიში, თარნგზელის ეკლესია, საერთო ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. განვითარებული შუა საუკუნეების ხანა.



179. ზემო სვანეთი, სოფ. იენაშის ეკლესია. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან. განვითარებული შუა საუკუნეების ხანა.





181. ვარძია. გამოქვაბული მონასტრის საერთო ხედი. XII ს.

180. ზემო სვანეთი, კვირიკესა და ივლიტეს ეკლესია. საერთო ხედი სამხრეთიდან. განვითარებული შუა საუკუნეების ხანა.





183. ვარძია. მთავარი ეკლესიის ინტერიერი. XII ს.

182. ვარძია. გამოქვაბული მონასტრის საერთო ხედი. XII ს.



134. დავით გარეჯა. ლავრა. კლდეში ნაკვეთი სენაკებისა და გალავნების ხედი.



165. დავით გარეჯა. ლავრის ნაგებობათა საერთო ხედი.



185. დავით გარეჯა. ბერთუბნის გამოქვაბული ეკლესიის მხატვრობა XIII ს-ისა.



187. უბისის მონასტერი. სვეტი. 1141 წ.



158. „ჩუქურთმიანი შენობა“ გუდარეხის ნამონასტრალში. XIII ს.

159. გეგუთის ციხე-დარბაზის ნანგრევები. XII ს.





190. აწყურის ციხე. საერთო ხედი. შუა საუკუნეები.



191. ოქროს ციხე. საერთო ხედი. შუა საუკუნეები.



192. ხერთვისის ციხე. საერთო ხედი მდინარიდან. შუა საუკუნეები.





194. ხერთვისის ციხე. საერთო ხედი. შუა საუკუნეები.

193. ხერთვისის ციხე, დონჟონი. X ს.



195. ბესლეთის ხიდი აფხაზეთში. XI-XII სს.



176. დონდალოს ხიდი აჭარაში. XII-XIII სს.



197. გერგეტის სამება. ეკლესია და სამრეკლო. საერთო ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთი-
დან. XIVს.

198. გერგეტის სამება და მყინვარწვერი.



199. ლოუბანი, „ორმოცნი". ეკლესიის ინტერიერი — გუმბათის ყელი და გუმბათქვეშა კამარები. XVI ს.



200. ლოუბანი, „ორმოცნი", ეკლესიის გუმბათის ყელი. XVI ს.





201. ახალი შუამთის ეკლესია. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან. XVI ს. ორმოციანი წლები.



202. გრემი, მთავარანგელოზთა ეკლესიისა და სამეფო კოშკის ანსამბლი. XVI ს.



203. გრემი, მთავარანგელოზთა ეკლესია. გუმბათის ყელი და სამხრეთის ფასადის ნაწილი. XVI ს.



204. გრემი, მთავარანგელოზთა ეკლესია და კოშკი ჩრდილოდასავლეთიდან. XVI ს



205. მუხადიჯვარი, ეკლესია. დასავლეთის ფასადი. 1668 წ.



206. ბარაკონის „ღვთისმშობელი“. აღმოსავლეთის ფასადის ნაწილი. 1753 წ.



207. ნინოწმინდის სამრეკლო. საერთო ხედი. XVI ს.



208. თბილისის ანჩისხატის სამრეკლო, ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან. 1675 წ.



209. ანანური. ანსამბლის საერთო ხედი სამხრეთიდან.



210. ანანური. ღვთაების ეკლესია და დიდი ტაძარი. ხედი სამხრეთ-დასავლეთიდან. XVII ს.





212. ანანური. გალავნის შესასვლელი.

211. ანანური. დიდი ტაძრის სამხრეთი ფასადის შუა ნაწილი. XVII ს. დასასრული.





214. ქსნის ციხე. საერთო ხედი მთასთან ერთად. 1511—1513 წწ. და 1746 წ.

213. სნოს ციხე. საერთო ხედი. გვიანი შუა საუკუნეები.



215. ქსნის ციხე. აღმოსავლეთის კედელი შიგნიდან. 1746 წ.



216. ქსნის ციხე. დასავლეთის კოშკი. 1746 წ.





218. თელავი. ბატონის ციხის გალავანი. XVIII ს.

217. ქსნის ციხე. აღმოსავლეთის კედელი გარედან. 1746 წ.



219. სვეტიცხოვლის გალავანი. სამხრეთის მხარე. XVIII ს., უფრო ადრინდელი ნარჩენებით.

220. სვეტიცხოვლის გალავანი. აღმოსავლეთის მხარე. XVIII ს.





221. ქოლაგირის ციხე. შესასვლელი. XVIII ს. დასასრული.



222. ქოლაგირის ციხე. კუთხის კოშკი. XVIII ს. დასასრული.

223. გორჟულის კოშკი. XVII ს.





224. ქსოვრისი, რატიშვილების კოშკი. XVIII ს.



225. ვაშლოვანი, თამაზ ორბელიანის კოშკი. 1311 წ.



226. ძალინის სასახლის ნანგრევები. XVII ს.

227. ნინოწმინდა, ტუსიშვილის სახლი. განჯინის კარის დეტალი. XVIII ს.





228. გრემი, „ქულბაქები“. XVI ს.



229. „გატეხილი ხიდი". XVII ს. შუა წლები.



240. ღარბაზის ინტერიერი. ნახატი ნ. სევეროვისა.



231. სასიმინდე — დასავლეთი საქართველო.

232. ოდა — დასავლეთ ი საქართველო.





233. სვანური სოფელი.



234. სვანური კოშკები.



235. სვანური სოფელი.



236. ხევსურეთი, სოფ. შატილი. სახლის კედლის დეტალი.



237. ხევსურეთი, სოფ. შატილის საერთო ხედი.



238. ხევი. ყაზბეგი. საცხოვრებელი სახლი.

239. მთიულეთი, სოფ. სეფე. საცხოვრებელი სახლი.





240. ხევი, სოფ. სნო. საცხოვრებელი სახლი.

241 მთიულეთი, ღუქნები საქართველოს სამხედრო გზაზე.






242. ქუჩა ძველ თბილისში.





243, 244. ძველი თბილისური საცხოვრებელი სახლები.







247. სიღნაღი. საცხოვრებელი სახლი. XIX ს.

245, 246 ძველი თბილისური საცხოვრებელი სახლები.



348. ყვარელი. მარჯანიშვილების სახლი. XIX ს.

# ТАБЛИЦЫ


1. Шулаврис-гора. Сооружения №№ 7, 8, 10 и др. V тысячелетие до н. э.
2. Шулаврис-гора. Сооружения №№ 1 и 2. V тысячелетие до н. э.
3. Имирис-гора. Сооружение № 8. IV тысячелетие до н. э.
4. Имирис-гора. Сооружения №№ 8, 9, 10. IV тысячелетие до н. э.
5. Циклопическая стена в районе Цалка.
6. Армазисцихе. Развалины колонного зала. Последние столетия до н. э. — начало н. э.
7. Мцхетская гробница. Интерьер. I в. н. э.
8. Мцхетская гробница. Внешний вид. I в. н. э.
9. Уплисцихе. Общий вид пещерного города.
10. Дзвели Шуамта. Ансамбль монастыря. На переднем плане — базилика V в.
11. Болнисский сион. Общий вид с юго-запада. 478—493 гг.
12. Болнисский сион. Интерьер, вид на восток. 478—493 гг.
13. Болнисский сион. Капитель с изображением животных. 478—493 гг.
14. Урбниси, базилика. Общий вид с юго-востока. VI в.
15. Тбилиси, базилика Анчисхати. Западный фасад. VI в.
16. Монастырь Некреси, трехцерковная базилика. Интерьер. VI в.
17. Монастырь Некреси, трехцерковная базилика. Вид с юго-востока. VI в.
18. Городище Дманиси, трехцерковная базилика. VI в.
19. Акванеба, церковь. Рельеф над входом. VI в.
20. Кацхский «столп». Общий вид.
21. Шио-Мгвиме. Общий вид монастыря. В центре купольный храм VI в.
22. Шио-Мгвиме, монастырь. Справа купольный храм VI в., на переднем плане трапезная XII в., перестроенная в XVII в.
23. Идлети, церковь. Вид с юга. VI в.
24. Ниноцминда, развалины храма, VI в., вид на восток.
25. Мцхетский Джвари. Вид с ограды Мцхетского патриаршего собора Светицховели.
26. Мцхетский Джвари. 586/87—604 гг. Общий вид сверху, рисунок Н. Северова.
27. Мцхетский Джвари. Восточный фасад. 586/87—604 гг.
28. Мцхетский Джвари. Южный фасад. 586/87—604 гг.
29. Мцхетский Джвари. Интерьер, вид на восток. 586/87—604 гг. Рисунок Н. Северова.
30. Мцхетский Джвари. Тимпан южного входа. 586/87—604 гг.
31. Мцхетский Джвари. Деталь южного тимпана.
32. Атенский сион. Общий вид с северо-запада. VII в.
33. Атенский сион. Рельеф с изображением охоты на зап. фасаде.
34. Атенский сион. Интерьер, вид на юг. VII в.
35. Мартвили, храм. Интерьер, вид на восток. VII в.
36. Атенский сион. Тимпан северного входа. VII в.
37. Атенский сион. Часть восточного фасада.
38. Мартвили, храм. Рельефы на восточном фасаде. VII в.
39. Дзвели Шуамта, большой купольный храм. Вид на восток. VII в.
40. Бана, кафедрал. Общий вид. VII в.
41. Бана, кафедрал. Деталь фасада. VII в.
42. Бана, кафедрал. Аркатура алтарной абсиды. VII в.
43. Бана, кафедрал. Общий вид алтарной абсиды. VII в.
44. Бана, кафедрал. Капитель. VII в.
45. Ишхани, храм. Алтарная абсида. VII в.
46. Цроми, храм. Реконструкция Н. Северова. Вид с северо-востока.
47. Цроми, храм. Реконструкция Н. Северова. Вид с северо-запада.
48. Цроми, храм. Восточный фасад. I треть VII в.
49. Цроми, храм. Вид с запада. I треть VII в.
50. Цроми, храм. Интерьер. Рисунок арх. Р. Беридзе.
51. Цроми, храм. Часть интерьера. I треть VII в.
52. Самцевриси, церковь. Общий вид издали. VII в.
53. Самцевриси, церковь. Вид с юга. VII в. Справа усыпальница Панаскертели-Цицишвили. XVI в.
54. Самцевриси, церковь. Интерьер. VII в., рис. Н. Северова.
55. Уджарма. Деталь башни.
56. Гурджаани, храм «Квелацминда». Общий вид с юго-запада. VIII в
57. Гурджаани, храм «Квелацминда». Восточный фасад. VIII в.
58. Вачнадзиани, храм «Квелацминда». Интерьер. VIII—IX вв. Рисунок Н. Северова.
59. Цирколи, церковь. Западный фасад. VIII в.
60. Гогюба, церковь. Общий вид. X в.
61. Бочорма, церковь. Интерьер. X в.
62. Монастырь Опиза. Церковь VIII в., восстановленная в X в.
63. Долискана, церковь. Общий вид. X в.
64. Бичвинта (Пицунда), храм. Общий вид с юго-востока. X в.
65. Бичвинта (Пицунда), храм. Интерьер, вид на восток. X в.
66. Монастырь Некреси, дворец епископа, IX в.
67. Икалто, здание академии. VIII—IX вв.
68. Ванта, дворец. VIII в.
69. Кумурдо, кафедрал. 964 г. Реконструкция Н. Северова.
70. Кумурдо, кафедрал. Вид с северо-востока. 964 г.
71. Кумурдо, кафедрал. Часть восточного фасада. 964 г.
72. Кумурдо, кафедрал. Подкупольные своды. 964 г.
73. Кумурдо, кафедрал. Рельеф между подкупольными арками. 964 г.
74. Кумурдо, кафедрал. Резные украшения окна. 964 г.
75. Ошки, кафедрал. Вид с юга. 50—60 гг. X в.
76. Ошки, кафедрал. Восточный фасад. 50—60 гг. X в.
77. Ошки, кафедрал. Южный притвор. 50—60 гг. X в.
78. Ошки, кафедрал. Интерьер, вид на запад. 50—60 гг. X в.



348. ყვარელი. მარჯანიშვილების სახლი. XIX ს.

# ТАБЛИЦЫ


1. Шулаврис-гора. Сооружения №№ 7, 8, 10 и др. V тысячелетие до н. э.
2. Шулаврис-гора. Сооружения №№ 1 и 2. V тысячелетие до н. э.
3. Имирис-гора. Сооружение № 8. IV тысячелетие до н. э.
4. Имирис-гора. Сооружения №№ 8, 9, 10. IV тысячелетие до н. э.
5. Циклопическая стена в районе Цалка.
6. Армазисцихе. Развалины колонного зала. Последние столетия до н. э. — начало н. э.
7. Мцхетская гробница. Интерьер. I в. н. э.
8. Мцхетская гробница. Внешний вид. I в. н. э.
9. Уплисцихе. Общий вид пещерного города.
10. Дзвели Шуамта. Ансамбль монастыря. На переднем плане — базилика V в.
11. Болнисский сион. Общий вид с юго-запада. 478—493 гг.
12. Болнисский сион. Интерьер, вид на восток. 478—493 гг.
13. Болнисский сион. Капитель с изображением животных. 478—493 гг.
14. Урбниси, базилика. Общий вид с юго-востока. VI в.
15. Тбилиси, базилика Анчисхати. Западный фасад. VI в.
16. Монастырь Некреси, трехцерковная базилика. Интерьер. VI в.
17. Монастырь Некреси, трехцерковная базилика. Вид с юго-востока. VI в.
18. Городище Дманиси, трехцерковная базилика. VI в.
19. Акванеба, церковь. Рельеф над входом. VI в.
20. Кацхский «столп». Общий вид.
21. Шио-Мгвиме. Общий вид монастыря. В центре купольный храм VI в.
22. Шио-Мгвиме, монастырь. Справа купольный храм VI в., на переднем плане трапезная XII в., перестроенная в XVII в.
23. Идлети, церковь. Вид с юга. VI в.
24. Ниноцминда, развалины храма. VI в., вид на восток.
25. Мцхетский Джвари. Вид с ограды Мцхетского патриаршего собора Светицховели.
26. Мцхетский Джвари. 586/87—604 гг. Общий вид сверху, рисунок Н. Северова.
27. Мцхетский Джвари. Восточный фасад. 586/87—604 гг.
28. Мцхетский Джвари. Южный фасад. 586/87—604 гг.
29. Мцхетский Джвари. Интерьер, вид на восток. 586/87—604 гг. Рисунок Н. Северова.
30. Мцхетский Джвари. Тимпан южного входа. 586/87—604 гг.
31. Мцхетский Джвари. Деталь южного тимпана.
32. Атенский сион. Общий вид с северо-запада. VII в.
33. Атенский сион. Рельеф с изображением охоты на зап. фасаде.
34. Атенский сион. Интерьер, вид на юг. VII в.
35. Мартвили, храм. Интерьер, вид на восток. VII в.
36. Атенский сион. Тимпан северного входа. VII в.
37. Атенский сион. Часть восточного фасада.
38. Мартвили, храм. Рельефы на восточном фасаде. VII в.
39. Дзвели Шуамта, большой купольный храм. Вид на восток. VII в.
40. Бана, кафедрал. Общий вид. VII в.
41. Бана, кафедрал. Деталь фасада. VII в.
42. Бана, кафедрал. Аркатура алтарной абсиды. VII в.
43. Бана, кафедрал. Общий вид алтарной абсиды. VII в.
44. Бана, кафедрал. Капитель. VII в.
45. Ишхани, храм. Алтарная абсида. VII в.
46. Цроми, храм. Реконструкция Н. Северова. Вид с северо-востока.
47. Цроми, храм. Реконструкция Н. Северова. Вид с северо-запада.
48. Цроми, храм. Восточный фасад. I треть VII в.
49. Цроми, храм. Вид с запада. I треть VII в.
50. Цроми, храм. Интерьер. Рисунок арх. Р. Беридзе.
51. Цроми, храм. Часть интерьера. I треть VII в.
52. Самцевриси, церковь. Общий вид издали. VII в.
53. Самцевриси, церковь. Вид с юга. VII в. Справа усыпальница Панаскертели-Цицишвили. XVI в.
54. Самцевриси, церковь. Интерьер. VII в., рис. Н. Северова.
55. Уджарма. Деталь башни.
56. Гурджаани, храм «Квелацминда». Общий вид с юго-запада. VIII в.
57. Гурджаани, храм «Квелацминда». Восточный фасад. VIII в.
58. Вачнадзиани, храм «Квелацминда». Интерьер. VIII—IX вв. Рисунок Н. Северова.
59. Цирколи, церковь. Западный фасад. VIII в.
60. Гогюба, церковь. Общий вид. X в.
61. Бочорма, церковь. Интерьер. X в.
62. Монастырь Опиза. Церковь VIII в., восстановленная в X в.
63 Долискана, церковь. Общий вид. X в.
64. Бичвинта (Пицунда), храм. Общий вид с юго-востока. X в.
65. Бичвинта (Пицунда), храм. Интерьер, вид на восток. X в.
66. Монастырь Некреси, дворец епископа. IX в.
67. Икалто, здание академии. VIII—IX вв.
68. Ванта, дворец. VIII в.
69. Кумурдо, кафедрал. 964 г. Реконструкция Н. Северова.
70. Кумурдо, кафедрал. Вид с северо-востока. 964 г.
71. Кумурдо, кафедрал. Часть восточного фасада. 964 г.
72. Кумурдо, кафедрал. Подкупольные своды. 964 г.
73. Кумурдо, кафедрал. Рельеф между подкупольными арками. 964 г.
74. Кумурдо, кафедрал. Резные украшения окна. 964 г.
75. Ошки, кафедрал. Вид с юга. 50—60 гг. X в.
76. Ошки, кафедрал. Восточный фасад. 50—60 гг. X в.
77. Ошки, кафедрал. Южный притвор. 50—60 гг. X в.
78. Ошки, кафедрал. Интерьер, вид на запад. 50—60 гг. X в.

79. Ошки, зал библиотеки. Подкупольная тромпа. X в.
80. Ошки, кафедрал. Капитель в южном притворе. 50—60 гг. X в.
81. Хахули, храм. Двойное окно южного фасада. X в.
82. Кутаиси, храм Баграта. Южный фасад и притвор после реставрации.
83. Кутаиси, храм Баграта. Зап. фасад до реставрации. Рубеж X—XI вв.
84. Кутаиси, храм Баграта. Северная апсида, внутренний вид. Рубеж X—XI вв .
85. Кутаиси, храм Баграта. Орнаменты притвора. I пол. XI в.
86. Алаверди, кафедрал. Общий вид издали с юго-востока. 1 четверть XI в.
87. Алаверди, кафедрал. Южный фасад. 1 четверть XI в.
88. Алаверди, кафедрал. Восточный фасад. 1 четверть XI в.
89. Общий вид Мцхета с Мцхетского Джвари.
90. Мцхета, патриарший храм Светицховели. Общий вид с юга. 1010—1029 гг.
91. Мцхета. Светицховели. Вид с юго-востока. 1010—1029 гг.
92. Мцхета, Светицховели. Вид с северо-запада. 1010—1029 гг.
93. Мцхета, Светицховели. Часть западного фасада. 1010—1029 гг.
94. Мцхета, Светицховели. Декор западного окна, деталь. 1010—1029 гг.
95. Мцхета, Светицховели. Рельефное изображение лозы на западном фасаде. 1010—1029 гг.
96. Мцхета, Светицховели. Интерьер, вид на восток. 1010—1029 гг.
97. Мцхета, Светицховели. Ворота ограды. XI в.
98. Самтависи, кафедрал. Восточный фасад. 1030 г.
99. Самтависи, кафедрал. Средняя часть восточного фасада. 1030 г.
100. Самтависи, кафедрал. Правая сторона восточного фасада. 1030 г.
101. Мцхета, храм Самтавро. Вид с северо-запада. 1 пол. XI в.
102. Мцхета, храм Самтавро. Средняя часть северного фасада. 1 пол. XI в.
103. Мцхета, храм Самтавро. Средняя часть южного фасада. 1 пол. XI в.
104. Мцхета, храм Самтавро. Деталь оконных наличников южного фасада. 1 пол. XI в.
105. Ишхани, кафедрал. Часть восточного фасада. 1032 г.
106. Ишхани, кафедрал. Резные украшения окна. 1032 г.
107. Ишхани, кафедрал. Портал. 1014—1027 гг.
108. Никорцминда, храм. Восточное окно. 1010—1014 гг.
109. Никорцминда, храм. Южный фасад. 1010—1014 гг.
110. Никорцминда, храм. Вид с запада. 1010—1014 гг.
111. Никорцминда, храм. Рельеф на восточном фасаде: «Преображение». 1010—1014 гг.
112. Никорцминда, храм. Рельеф на южном фасаде: «Второе пришествие». 1010—1014 гг.
113. Никорцминда, храм. Деталь резьбы на барабане купола. 1010—1014 гг.
114. Никорцминда, храм. Изображение вознесения креста в тимпане южного входа. 1 пол. XI в.
115. Никорцминда, храм. Резьба в южном притворе. I пол. XI в.
116. Никорцминда, храм. Изображение птиц в своде южного притвора. 1 пол. XI в.
117. Никорцминда, храм. Интерьер, вид на барабан купола. 1010—1014 гг.
118. Манглиси, храм. Интерьер южного притвора. I пол. XI в.
119. Манглиси, храм. Общий вид с юго-востока. Построен в V в., основательно перестроен в I пол. XI в.
120. Кацхи, храм. Общий вид. Перелом X—XI вв. Обход 1 пол. XI в.
121. Кацхи, храм. Деталь резного декора обхода. I пол. XI в.
122. Кацхи, храм. Рельефное изображение вознесения креста в обходе. I пол. XI в.
123. Кацхи, храм. Деталь резного декора обхода. 1 пол. XI в.
124. Хцısи, церковь. Резные украшения окна. 1002 г.
125. Саване, церковь св. Георгия. Западный фасад. 1046 г.
126. Саване, церковь св. Георгия. Часть западного фасада. 1046 г.
127. Саване, церковь св. Георгия. Деталь резного декора фасада. 1046 г.
128. Спети, церковь «Зеда Мацховари». Деталь алтарной преграды. XI в.
129. Спети, церковь «Зеда Мацховари». Алтарная преграда. XI в.
130. Патара Они, церковь. Алтарная преграда. XI в.
131. Фрагмент алтарной преграды из Сафары с рельефным изображением сретения. XI в.
132. Фрагмент алтарной преграды. XI в.
133. Атенский сион. Стенопись XI в.
134. Атенский сион. Стенопись XI в.
135. Резная деревянная дверь из Сванетии. XI в.
136. Св. Мамай. Серебряный чеканный рельеф из Гелати. XI в.
137. Мартвили, двухэтажная церковь. Общий вид. X—XI вв.
138. Гелатский монастырь, главный храм. Вид с запада. 1106 г.
139. Гелатский монастырь. Общий вид с юга. XII—XIII вв.
140. Гелатский монастырь, главный храм. Вид с юга. 1106 г.
141. Гелатский монастырь, колокольня. XIII в.
142. Гелатский монастырь, церковь св. Николая. XIII в.
143. Гелатский монастырь, главный храм. Интерьер. XII в.
144. Голова архангела. Деталь мозаики в алтаре главного храма Гелатского монастыря. XII в.
145. Гелатский монастырь. здание Академии. XII в.
146. Саорбиси, церковь. Резное украшение окна. 1152 г.
147. Тигва, храм. Резное украшение окна. 1152 г.
148. Икорта, храм. Средняя часть южного фасада. 1172 г.
149. Икорта, храм. Вид с северо-востока. 1172 г.
150. Бетания, храм. Общий вид с юго-востока. Перелом XII—XIII вв.
151. Бетания. храм. Восточный фасад. Перелом XII—XIII вв.
152. Кватахеви, храм. Барабан купола. Перелом XII—XIII вв.
153. Кватахеви, храм. Деталь резного декора. Перелом XII—XIII вв.
154. Кватахеви, храм. Деталь резного декора. Перелом XII—XIII вв.
155. Кватахеви, храм. Деталь восточного фасада. Перелом XII—XIII вв.

156. Питарети, храм. Вид с юга. 1213—1222 гг.
157. Питарети, храм. Часть южного фасада. 1213—1222 гг.
158. Питарети, храм. Часть барабана купола. 1213—1222 гг.
159. Цугругашени, церковь. Общий вид с запада. 1213—1222 гг.
160. Цугругашени, церковь. Часть западного фасада. 1213—1222 гг.
161. Дманиси, притвор храма. Вид с северо-запада. 1213—1222 гг.
162. Ахтала, храм. Вид с запада. 1 четверть XIII в.
163. Ахтала, часовня. Часть фасада. XIII в.
164. «Магалаант эклесиа». Общий вид с запада. Перелом XII—XIII вв.
165. «Магалаант эклесиа». Средняя часть восточного фасада. Перелом XII—XIII вв.
166. Гударехи, храм. Восточный фасад. 1223—1245 гг.
167. Гударехи, колокольня .Общий вид. 1278 г.
168. Тимотес-убани, храм. Вид с северо-востока. Перелом XII—XIII вв.
169. Кинцвиси, храм. Часть южного фасада. Начало XIII в.
170. Тбилиси, храм «Метехи». Вид с юго-востока. 1278—1289 гг.
171. Тбилиси, храм «Метехи». Вид с северо-востока. 1278—1289 гг.
172. Тбилиси, храм «Метехи». Северный фасад. 1278—1289 гг.
173. Монастырь Сафара. Общий вид с юго-запада.
174. Монастырь Сафара, храм св. Саввы. Вид с юго-востока. Конец XIII в.
175. Зарзма, храм. Южный фасад. Начало XIV в.
176. Монастырь Сафара, храм св. Саввы. Западный фасад. Конец XIII в.
177. Зарзма, колокольня. Западный фасад. Начало XIV в. Нижний этаж переделан в 1577 г.
178. Верхняя Сванетия, село Мацхвариши, церковь Тарнгзел. Общий вид с северо-востока. Эпоха зрелого средневековья.
179. Верхняя Сванетия, село Иенаш, церковь. Вид с юго-запада. Эпоха зрелого средневековья.
180. Верхняя Сванетия, церковь Квирике и Ивлиты. Общий вид с юго-востока. Эпоха зрелого средневековья.
181. Вардзиа. Общий вид пещерного монастыря. XII в.
182. Вардзиа. Общий вид пещерного монастыря. XII в.
183. Вардзиа. Интерьер главной церкви. XII в.
184. Давид-Гареджа, монастырь Лавра. Общий вид ограды и пещерных келий.
185. Давид-Гареджа. Общий вид строений Лавры.
186. Давид-Гареджа. Живопись XIII в. в пещерной церкви монастыря Бертубани.
187. Убиси, башня. 1141 г.
188. Монастырь Гударехи, «Орнаментированный дом». XIII в.
189. Гегути, царский дворец. XII в.
190. Крепость Ацкури. Общий вид. Средние века.
191. Крепость «Окрос-цихе». Общий вид. Средние века.
192. Крепость Хертвиси. Общий вид со стороны реки. Средние века.
193. Крепость Хертвиси, донжон. X в. (?)
194. Крепость Хертвиси. Общий вид. Средние века.
195. Беслетский мост в Абхазии. XI—XII вв.
196. Мост в Дондало в Аджарии. XI—XII вв.
197. Гергети, церковь «Самеба» (Тройцы) и колокольня. Общий вид с юго-востока XIV в.
198. Гергетская «Самеба» и вершина Казбека.
199. Гоубани, церковь «Ормоцни» (сорока мучеников). Интерьер церкви с видом на барабан купола и подкупольные своды. XVI в.
200. Гоубани, церковь «Ормоцни». Барабан купола. XVI в.
201. Монастырь Ахали Шуамта, церковь. Вид с северо-запада. 40-е гг. XVI в.
202. Греми, храм Архангелов и царская башня. XVI в.
203. Греми, храм Архангелов. Барабан купола и часть южного фасада. XVI в.
204. Греми, храм Архангелов и башня, вид с северо-запада. XVI в.
205. Мчадиджвари, церковь. Западный фасад. 1668 г.
206. Храм «Бараконской богоматери». Часть восточного фасада. 1753 г.
207. Ниноцминда, колокольня. Общий вид. XVI в.
208. Тбилиси, колокольня Анчисхати. Вид с северо-запада. 1675 г.
209. Ананури, крепость. Общий вид ансамбля с юга.
210. Ананури, церковь Гвтаэба и большой храм. Вид с юго-запада. XVII в.
211. Ананури. Средняя часть южного фасада большого храма. Конец XVII в.
212. Ананури, вход в ограду крепости.
213. Крепость Сно в горной провинции Хеви. Общий вид. Позднее средневековье.
214. Ксанская крепость. Общий вид издали. 1511—1513 и 1746 гг.
215. Ксанская крепость. Восточная стена со стороны крепостного двора. 1746 г.
216. Ксанская крепость. Западная башня. 1746 г.
217. Ксанская крепость. Восточная стена с фасадной стороны. 1746 г.
218. Телави, ограда «Батонис-цихе» (царского дворца). XVIII в .
219. Мцхета, ограда храма Светицховели. Южная сторона. XVIII в., с остатками более ранних частей.
220. Мцхета, ограда храма Светицховели. Восточная стена. XVIII в.
221. Крепость Колагири. Вход. Конец XVIII в.
222. Крепость Колагири. Угловая башня. Конец XVIII в.
223. Горули, башня. XVII в.
224. Ксовриси, башня Ратишвили. XVIII в.
225. Вашловани, башня Тамаза Орбелиани. 1811.
226. Дзагина, дворец Палавандишвили. XVII в.
227. Ниноцминда, дом митрополита Саввы Тусисшвили. Деталь створки стенного шкафа. XVIII в.
228. Греми, торговые ряды («Кулбакеби»). XVI в.
229. Мост «Гатехили хиди». Середина XVII в.
230. Интерьер крестьянского жилого дома типа «дарбази». Рисунок Н. Северова.
231. Кукурузник. Западная Грузия.
232. Жилой дом типа «ода-сахли». Западная Грузия.
233. Деревня в Сванетии.
234. Сванские башни.
235. Деревня в Сванетии.
236. Хевсурети, селение Шатили. Деталь стены дома.
237. Хевсурети, селение Шатили. Общий вид.
238. Хеви, селение Казбеги, жилой дом.
239. Мтиулети, село Сепе, жилой дом.
240. Хеви, селение Сно, жилой дом.
241. Мтиулети, духан на Военно-Грузинской дороге.
242. Улица в старом Тбилиси.
243—246. Жилые дома в старом Тбилиси, середина XIX в.
247. Сигнахи, жилой дом, XIX в.
248. Кварели, дом Марджанишвили. XIX в.

ამ წიგნში მოთავსებული ფოტოსურათების ავტორები არიან:

ა. როინაშვილი
დ. ერმაკოვი
თ. კიუნე
კ. ზანისი
ვ. თულაშვილი
გ. ბარტიშევსკი
ი. ზენკო
გ. ლიახოვი
ს. შიმანსკი
ი. გილგენდორფი
ნ. ჩუბინაშვილი
პ. ზაქარაია
ო. ცქვიტინიძე
ვ. დოლიძე
ნ. ანდღულაძე
დ. ჩუბინიშვილი
რ. ბერიძე
თ. ვარდოსანიძე

# სარჩევი


წინათქმა 7

ისტორიული ვითარება 9

უძველესი და ანტიკური დროის ხუროთმოძღვრება 11

შუა საუკუნეები

პერიოდიზაცია 16

ქართული კულტურა IV—VII საუკუნეებში. არქიტექტურის ზოგადი ხასიათი. შენობათა ტიპები. მშენებლობის ტექნიკა 17

IV—VII საუკუნეთა ხუროთმოძღვრების ისტორიული მიმოხილვა 21

გარდამავალი ხანის (VII ს-ის მეორე ნახევრიდან X ს-ის ნახევრამდე) ქართული კულტურა. იმდროინდელი ხუროთმოძღვრების ხასიათი 37

გარდამავალი ხანის ხუროთმოძღვრების ისტორიული მიმოხილვა 39

სახელმწიფოს გაერთიანების ხანის (X ს-ის ნახევრიდან XIII ს-ის დასასრულამდე) ქართული კულტურა. ხუროთმოძღვრების ზოგადი დახასიათება 45

ხუროთმოძღვრების ისტორიული მიმოხილვა X საუკუნის მეორე ნახევრიდან XIII—XIV ს-თა მიჯნამდე 49

გვიანი ფეოდალური ხანის ქართული კულტურა. XIV—XVIII საუკუნეთა ხუროთმოძღვრების ზოგადი დახასიათება 63

XIV—XVIII საუკუნეების ძეგლები 73

ანოტაციები 81

არქიტექტურული ტერმინების განმარტებანი 197

შემოკლებანი 199

Древнегрузинская архитектура (Резюме) 200

Иллюстрации в тексте (список) 207

ილუსტრაციები

Таблицы (список)

რედაქტორები: დავით ჩუბინიშვილი
გიორგი ჩიკვაიძე
მხატვარი ილია უთურაშვილი
მხატვრული რედაქტორი ზურაბ კაპანაძე
ტექრედაქტორი ბეჟან ასათიანი
კორექტორი ნანა წიკლაური

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22. VIII. 1974
ქაღალდის ზომა 60×90 1/8
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 51,05.
ტირაჟი 6.000. უე 00434. შეკვ. № 2464.
**ფასი 8 მან. 87 კაპ.**

გამომცემლობა „ხელოვნება“
თბილისი, პლეხანოვის 179.
1974

БЕРИДЗЕ ВАХТАНГ ВУКОЛОВИЧ

ДРЕВНЕГРУЗИНСКАЯ АРХИТЕКТУРА

(на грузинском языке)

Издательство «Хеловнеба»

Тбилиси, пр. Плеханова, 179

1974

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.